სიკვდილი ისვენებს

ჟოზე სარამაგუ

პილარს - ჩემს სავანეს

„ჩვენ სულ უფრო ნაკლები ვიცით იმის შესახებ, რა არის ადამიანი“

„გაფრთხილებათა წიგნი“

„კიდევ ერთხელ დაფიქრდი სიკვდილზე და შენ ნამდვილად გაოცდები, რომ ამ მოვლენის წყალობით ახალი ცნებები, ენის მოქმედების ახალი არეალი ვერ შეიცანი“

ვიტგენშტაინი

მომდევნო დღეს არავინ მომკვდარა. ამ გარემოებამ, საშინლად რომ ეწინააღმდეგებოდა ყოფიერების კანონებს, ადამიანთა გონებაში ყველა შეხედულებით გამართლებული დიდი ქაოსი წარმოშვა, რამეთუ მსოფლიო ისტორიის ორმოცივე ტომიც რომ გადაქექო ან, თუ გნებავს, გადააქოთო, ერთ ფაქტსაც ვერ წააწყდები ასეთი ჭეშმარიტად ფენომენალური მოვლენის შესახებ, ერთ ცნობასაც ვერ ამოქექავ იმის თაობაზე, მთელი დღე-ღამის განმავლობაში - მთელი იმ ოცდაოთხი საათისა, დილის, შუადღის, საღამოსა და ღამის მონაკვეთებად რომ არის დაყოფილი - ავადმყოფობით არავინ მომკვდარიყოს, უბედური შემთხვევის შედეგად არ დაღუპულიყოს, გაღმა არ გასულიყოს. ის კი არა, არ იყო დღესასწაულის დღეებში ესოდენ ხშირი, ფატალური შედეგით დასრულებული ავარიებიც, სხვანაირად ავტოკატასტროფებს რომ ეძახიან, მაშინ, როდესაც წარმოუდგენელი თავქარიანობა და ალკოჰოლის სიჭარბე გზებზე ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა გაარკვიონ, პირველს ვის მიიყვანს მანქანა დაღუპვამდე. სიკვდილმა ახალი წლის წინა დღეებში ჩვეული უხვი მოსავალი არ მოიმკა და ისე ჩანდა, რომ

ბებერმა ათროპოსმა გადაწყვიტა, თავისი მაკრატელი ერთი დღით განზე გადაედო. სხვათა შორის, სისხლი არც ისე ცოტა იღვრებოდა. დაბნეულ და გაოგნებულ მეხანძრეებს ნანგრევებიდან დასახიჩრებული ადამიანები ამოჰყავდათ. ისინი, კატასტროფების მათემატიკურად დაზუსტებული ლოგიკით, იმ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ, რომელიც განისაზღვრება ფორმულით: მკვდარზე უფრო მკვდარი. მაგრამ ეს ადამიანები, უმძიმესი დაზიანებებისა და სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმების მიუხედავად, ცოცხლები იყვნენ და სირენების სულისშემძვრელი ყმუილის თანხლებით საავადმყოფოებამდე ცოცხლები მიჰყავდათ. გზაში არავინ მომკვდარა, უფრო მეტიც - ექიმების უნუგეშო პროგნოზი ერთმაც არ გაამართლა. საცოდავი უიმედოა, ჩვენ აქ ვერაფერს გავხდებით, ხელის მოკიდებაც არ ღირს, აქ მედიცინა უძლურია, ეუბნებოდა ქირურგი მედდას, რომელიც მას ნიღბის მორგებაში ეხმარებოდა. მიუხედავად ამისა, უბედური, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ განწირული იყო, დღეს სიკვდილზე უარს ამბობდა. და ასე იყო მთელ ქვეყანაში. წლის უკანასკნელი დღის შუაღამემდეც კი მოიძებნებოდნენ ადამიანები, რომლებიც წესების სრული დაცვით სიკვდილთან შეხვედრას აპირებდნენ: ისეთებიც, ვინც საქმის, ასე ვთქვათ, შიშველ არსს აღიქვამდა - არსი კი ის იყო, რომ სიცოცხლე დამთავრდა - და ისეთებიც, მისი იმ მრავალრიცხოვანი თვისებებით რომ ერთობოდნენ, რომლებითაც ეს ზემოხსენებული ყბადაღებული არსი სიკვდილის ჟამს მიდრეკილია, დიდი ან მცირე ხმაურითა და ზარ-ზეიმით შეიმოსოს. ყველაზე საყურადღებო შემთხვევა - ვგულისხმობ პერსონას, რომელსაც ეს შეემთხვა - ძალიან, ძალიან მოხუც და ღრმად პატივცემულ დედა-დედოფალს უკავშირდებოდა. ოცდათერთმეტი დეკემბრის ოცდასამ საათსა და ორმოცდაცხრამეტ

წუთზე არც ერთი გლახაკი მის სიცოცხლეზე დამწვარ ასანთსაც კი არ ჩამოვიდოდა. ყველა იმედი გადაიწურა, ექიმები იძულებულნი იყვნენ, დაუნდობელი სინამდვილის წინაშე კაპიტულაცია გამოეცხადებინათ, უავგუსტესი ოჯახი კი, ტახტზე უფლების რიგითობის მკაცრი დაცვით, ავადმყოფის საწოლს შემოწყობოდა და უდრტვინველად ელოდა, როდის ამოუშვებდა გვარის მეთაური უკანასკნელ სუნთქვას, ან გახევებული ენით წარმოთქვამდა რამდენიმე გამოსათხოვარ სიტყვას - საყვარელი შვილიშვილებისადმი მიმართულ დარიგება-ანდერძს, ქვეშევრდომთა მომავალი თაობების უმადურ მეხსიერებას ლამაზად მოქარგულ ფრაზებად რომ დარჩებოდა. თუმცა არაფერიც არ მომხდარა, დრო კი თითქოს გაიყინა. დედა-დედოფლის მდგომარეობა არც უმჯობესდებოდა და არც უარესდებოდა. მისი დამჭკნარი სხეული ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მერყეობდა და ყოველ წამს შეიძლებოდა ფეხი დასცდენოდა, მაგრამ ჯერ ისევ წვრილ ძაფზე ეკიდა, რომელიც გაუგებარი ახირების გამო სიკვდილს (აბა, სხვას ვის) ჯერ კიდევ ხელში ეჭირა. ჩვენ კი ამასობაში მომდევნო დღეში გადავედით, როდესაც, როგორც ჩვენი თხრობის დასაწყისში უკვე ითქვა, არავინ მომკვდარა.

და ეს დღე შუაწელს უკვე დიდი ხნის გადაცილებული იყო, როდესაც ხმა გავარდა, რომ ახალი წლის დადგომასთან ერთად, უფრო ზუსტად, პირველი იანვრის ნული საათიდან მთელ ქვეყანაში აღარავინ მოკვდებოდა. შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ასეთი ხმების წყარო ის გამაოგნებელი სიჯიუტე იყო, რომლითაც დედა-დედოფალი თავისი სიცოცხლის საცოდავ ნარჩენებს ებღაუჭებოდა, მით უმეტეს, რომ სამეფო კარის პრესსამსახურის მიერ საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული სამედიცინო ბიულეტენი არა მარტო ადასტურებდა, რომ მისი

უდიდებულესობა ღამის განმავლობაში შესამჩნევად მომჯობინდა, არამედ სიტყვების ფრთხილი შერჩევით სრული გამოჯანმრთელების შესაძლებლობაზეც მიანიშნებდა. ხმა, რაც სავსებით ბუნებრივია, შეიძლებოდა რომელიმე დამკრძალავ ბიუროს გაევრცელებინა: როგორც ჩანს, ახალი წლის პირველ დღეს ჩვენ პირში ჩალაგამოვლებულები დავრჩითო; ან საავადმყოფოს პერსონალს: ეს ჯიგარი ოცდამეშვიდედან, როგორც იტყვიან, არც ცოცხლებში წერია და არც მკვდრებშიო; ან საგზაო პოლიციას: ეტყობა რაღაც მისტიკაა, ტრასაზე ამდენი ავარიაა და არც ერთი მკვდარი, სხვებმა ჭკუა რომ ისწავლონო. ასე რომ, ხმამ, რომლის წყაროს დადგენაც მხოლოდ სამომავლოდ მოხერხდა, ისიც - მოვლენების შემდგომი განვითარების წყალობით, რაც ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა - მალე გაზეთებში, რადიოში, ტელევიზიებში შეაღწია, დირექტორებისა და რედაქტორების ყურამდე მივიდა; მიაღწია იმ ადამიანებამდე, რომლებსაც არა მარტო შეეძლოთ შორიდან, ასე ვთქვათ, ყნოსვით მიეგნოთ მსოფლიო მასშტაბის მოვლენისთვის, არამედ საჭიროებისას მისი მნიშვნელობა კარგა გვარიანადაც გაებერათ. რამდენიმე წუთში ქუჩებს რეპორტიორები მოედვნენ, ყველა შემხვედრი გამოკითხეს, ხოლო აჩოჩქოლებულ რედაქციებში ტელეფონები აძაგძაგდნენ და გამოცოცხლდნენ. ისტერიკული გამოკითხვები დაიწყო. ამას ზარების ქარიშხალი მოჰყვა. რეკავდნენ საავადმყოფოებში, წითელ ჯვარში, მორგებში, დამკრძალავ ბიუროებში, სხვადასხვაგვარ პოლიციაში - გასაგებია, რომ საიდუმლო პოლიციის გამოკლებით - პასუხები კი გასაოცრად ერთფეროვანი და მოკლე იყო: სიკვდილი არ დაფიქსირდა. ერთ ახალგაზრდა ჟურნალისტ ქალს სხვებთან შედარებით

ბედმა გაუღიმა: გამვლელი, ხან მას რომ უყურებდა და ხან - კამერას, ერთი შემთხვევის შესახებ მოუყვა, რომელიც საკუთარი თვალით ნახა და რომელიც დედა-დედოფლის შემთხვევის ზუსტი ასლი იყო. შუაღამემდე ცოტა ხნით ადრე, ჰყვებოდა იგი, სწორედ მანამდე, ვიდრე სამრეკლოდან ზარის უკანასკნელი ხმა მოაღწევდა, ბაბუაჩემმა, რომელიც უკანასკნელ დღეში იყო, მოულოდნელად თვალები გაახილა, თითქოს საკუთარი გადაწყვეტილება, მომკვდარიყო, ინანა და აღარ მოკვდა. ჟურნალისტი გაგონილით ისე აღტყინდა, რომ გამვლელის ხვეწნა-მუდარას, რას აკეთებთ, არ შემიძლია, ბაბუაჩემს აფთიაქში წამალი უნდა ვუყიდოო, ყურადღება არ მიაქცია და იგი სარედაქციო ფურგონში შეათრია, თან ექაქანებოდა: მოდით, მოდით, ბაბუათქვენს არავითარი წამალი აღარ სჭირდებაო. მანქანა ადგილს მოსწყდა. ისინი სტუდიისკენ გაქანდნენ, სადაც იმ წუთებში პარანორმალური მოვლენების სამ სპეციალისტს შორის გასამართი დებატებისთვის ემზადებოდნენ. უფრო სწორად, დებატები უნდა გამართულიყო ორ დამსახურებულ ჯადოქარსა და ერთ ნათელმხილველს შორის, რომლებიც სასწრაფოდ მოიყვანეს ტელევიზიაში, რათა გაეანალიზებინათ და აეხსნათ ის, რასაც სხვა ენამახვილებმა, რომელთათვის წმიდა არაფერი არსებობს, უკვე მოასწრეს და ლეტალურამდე ვერმიღწეული გამოსავალი უწოდეს. ჩვენმა ნახსენებმა რეპორტიორმა ქალმა დიდი შეცდომა დაუშვა, რადგან თავისი წყაროს სიტყვები ისე გაიგო, თითქოს მოხუცმა, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში ედგა, ინანა ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც აპირებდა, ანუ წერილი რომ მიჰქონდა და აღარ წაიღო. არადა, ბედნიერი შვილიშვილის სიტყვები „თითქოს ინანა“ ძალიან განსხვავდებოდა მტკიცებითი ფორმისგან „ინანა“.

სინტაქსის ნიუანსებსა და ზმნის უღლების ფორმებში უკეთ გარკვევა ჟურნალისტს საშუალებას მისცემდა, თავიდან აეცილებინა გაუგებრობა და ამას მოყოლილი რისხვა, რომელიც, სირცხვილისა და დამცირებისგან გაწითლებულმა, უშუალო ხელმძღვანელისგან მოიმკო. თუმცა ვერც ერთი მათგანი ვერ წამოიდგენდა, რომ ღია ეთერით ნათქვამ და შემდეგ საღამოს გამოშვებებში ჩანაწერის სახით გამეორებულ სიტყვებს მილიონობით ადამიანი დამახინჯებულად გაიგებდა და ეს უახლოეს მომავალში ისეთ გამაოგნებელ შედეგს გამოიღებდა, როგორიცაა იმ მოქალაქეთა ორგანიზაციის შექმნა, რომლებსაც მტკიცედ სწამთ, რომ ნებისყოფის უბრალო დაძაბვით სიკვდილზე გამარჯვება შეიძლება და რომ დედამიწიდან ამდენი ხალხის დაუმსახურებელი გაქრობა მხოლოდ წინა თაობების უნებისყოფობით აიხსნება. თუმცა, საქმე ამით როდი დასრულდა. რადგან ადამიანები ძალების ზედმეტი დაძაბვის გარეშეც აღარ იხოცებოდნენ, კიდევ ერთი მასობრივი მოძრაობა გაჩნდა, რომლის წევრებმაც, მაცდური პერსპექტივით გაბრუებულებმა, ხმამაღლა გამოაცხადეს, რომ ოქროს ოცნება, რომელიც კაცობრიობას დასაბამიდან აწვალებს - ამქვეყნად უკვდავების მოპოვება - აღსრულდა და საერთო საუნჯედ იქცა, ისევე, როგორც მზე, რომელიც ყოველდღე ამოდის, ან ჰაერი, რომლითაც ყველა სუნთქავს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მოძრაობა ერთი და იმავე ელექტორატის სიმპათიის მოპოვებას ცდილობდა, მათ მაინც მოახერხეს შეთანხმება, შეკავშირება და თავიანთ საპატიო თავმჯდომარედ იმ ადამიანის არჩევა, რომელმაც წინაპართა უნარი გამოავლინა. ეს სწორედ ის მამაცი ბებრუხანა იყო, რომელმაც მოახერხა, გადამწყვეტ წუთს სიკვდილი ბრძოლაში გამოეწვია და დაემარცხებინა. ჩვენი ინფორმაციით, გადაწყვეტილებაზე გავლენა არ

მოუხდენია იმ ფაქტს, რომ დაუდგრომელი ბაბუ ღრმა კომაში იყო და, როგორც ჩანდა, იქიდან გამოსვლას არ აპირებდა.

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვათშეთანხმება სამთავრობო კრიზისი მაინცდამაინც არ გამოდგება იმ თავისთავად უნიკალური მოვლენების დასახასიათებლად, რომელთა შესახებაც მოყოლას ვაპირებთ, რადგან უაზრობა და ყოველდღიურობის ლოგიკის კანონთა უგულებელყოფა იქნებოდა, ასე დაგვეხასიათებინა ეგზისტენციალური სიტუაცია, რომელიც სიკვდილის არარსებობამ წარმოშვა, მაინც განვმარტავთ, რომ რამდენიმე მოქალაქემ, რომლებიც მეტისმეტად შეაწუხა მათმა უფლებამ, მიეღოთ უტყუარი ინფორმაცია, გადაწყვიტა, საკუთარი თავისა და სხვებისთვის ეკითხა: რა უბედურებაა, ხელისუფლება სიცოცხლის ნიშან-წყალს რომ არ ამჟღავნებს. თუმცაღა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა, რომელიც, თათბირიდან თათბირზე მიმავალი, გზაში ძლივს დაიჭირეს, ჟურნალისტებს განუმარტა, რომ რადგან ამ მოვლენის რაციონალურ ახსნას ვერავინ ახერხებდა, ჯერჯერობით მთავრობის ყველა განცხადება აღმაშფოთებლად ნაადრევი იქნებოდა. ჩვენ, დაამატა მან, ქვეყნის ყოველი კუთხიდან წამოსულ ინფორმაციას ვაგროვებთ და, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ სიკვდილის ერთი ფაქტის შესახებაც კი არ მიგვიღია ცნობა, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ჩემი უწყებისთანამშრომლები, რომლებმაც ისევე არ იციან არაფერი, როგორც ხალხმა, უბრალოდ, მზად არ არიან, საკუთარი მოსაზრებები გამოთქვან ასეთი ფენომენისა და მისი უახლოესი თუ შორეული შედეგების შესახებ. აი, მინისტრი აქ რომ გაჩუმებულიყო (თუ სიტუაციის უჩვეულობასაც გავითვალისწინებთ), შეეძლო, მოქალაქეების

მადლიერების იმედი ჰქონოდა, მაგრამ პოლიტიკოსების, მით უფრო - ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსების, დაუოკებელმა სწრაფვამ, ყოველგვარ სიტუაციაში ხალხს სიმშვიდისკენ მოუწოდონ, ამ ტროპიზმმა, ამ მექანიკურობამ, ამ ავტომატურმა რეაქციამ იგი ულრან ტყეში შეიყვანა და აიძულა, ნათქვამისთვის ასეთი სიტყვებიც დაემატებინა: მე, როგორც თანამდებობის პირი, რომელიც პასუხს აგებს ერის ჯანმრთელობაზე, ყველას, ვისაც ჩემი გესმით, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ განგაშისთვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. თუ სწორად გავიგე, იმავე წუთს შენიშნა ერთმა ჟურნალისტმა, რომელიც ცდილობდა, მისი ტონი ზედმეტად ირონიული არ გამოჩენილიყო, ბატონი მინისტრის აზრით, განგაში არ უნდა ავტეხოთ იმის გამო, რომ არავინ კვდება. ჭეშმარიტებაა, თუმცა სხვა სიტყვებით გამოხატული. ამ შემთხვევაში, ბატონო მინისტრო, ნება მომეცით, შეგახსენოთ, რომ ჯერ კიდევ გუშინ ადამიანები იხოცებოდნენ, თუმცა აზრად არავის მოსვლია, ამის გამო განგაში აეტეხა. რა თქმა უნდა, ჩვენ შევეჩვიეთ, რომ ადამიანები იხოცებიან და მხოლოდ მაშინ ვნერვიულობთ, როდესაც სიკვდილიანობა მეტისმეტად იმატებს, როგორც ეს ომის ან ეპიდემიის დროს ხდება, ანუ მაშინ, როდესაც რუტინა ირღვევა. ასეც შეიძლება ითქვას, მაგრამ ახლა, როდესაც აღარავინ კვდება, თქვენი სიმშვიდისკენ მოწოდება, სხვა თუ არაფერი, პარადოქსია. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია და ვაღიარებ, რომ ამ შემთხვევაში სიტყვა „განგაშის“ წარმოთქმა საჭირო არ იყო. რა სიტყვა იყო საჭირო, ამას მხოლოდ იმიტომ გეკითხებით, ბატონო მინისტრო, რომ, როგორც ჟურნალისტი, რომელიც საკუთარ მოვალეობას კარგად აცნობიერებს, ყოველთვის ვცდილობ, შედარებით ზუსტი ცნებები გამოვიყენო. ასეთი

ჩაკირკიტებით, ცოტა არ იყოს, განაწყენებულმა მინისტრმა მშრალად უპასუხა: საჭირო იყო არა ერთი, არამედ ოთხი სიტყვის წარმოთქმა. რომლების, ბატონო მინისტრო. ამაო იმედი ნუ გაგვიჩნდება. ორი აზრი არ არის, ხვალინდელი ნომრის პირველი გვერდისთვის მშვენიერი სათაური გამოვიდოდა, მაგრამ რედაქტორმა, მთავარ რედაქტორთან მოთათბირების შემდეგ, აგიზგიზებული საერთო-სახალხო ზეიმის ასეთი ყინულიანი წყლის ჭავლით ჩაქრობა უგუნურებად მიიჩნია, მათ შორის - მარკეტინგული თვალსაზრისითაც, და განკარგულება გასცა, ჩვეულებრივი საახალწლო სათაური გაეშვათ: „ახალი წელი, ახალი ცხოვრება“.

მთავრობის განცხადებაში, რომელიც გვიან ღამით გავრცელდა, პრემიერ-მინისტრმა დაადასტურა, რომ ახალი წლიდან მოყოლებული, მთელ ქვეყანაში სიკვდილის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, ყველას მომხდარის გონივრული შეფასებისა და განსჯისკენ მოუწოდა, შეახსენა შემთხვევითი დამთხვევების შესაძლებლობა, რომელიც მაგნიტურ ქარიშხალს ან სხვა კოსმიურ მოვლენას შეიძლებოდა გამოეწვია, ისაუბრა გარკვეული ფაქტორების განსაკუთრებული და უკიდურესად ხანმოკლე შერწყმის სავარაუდო გავლენაზეც, რომელმაც დროისა და სივრცის წონასწორობის დარღვევა გამოიწვია, და დაამატა, რომ, ასე იყო თუ ისე, კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისთვის ნაბიჯები უკვე გადადგმული გახლდათ და ეს მიზნად ისახავდა ხელისუფლების დახმარებას, რომლის ქმედებები მით უფრო ეფექტური იქნებოდა, რაც მეტად მოხერხდებოდა ძალისხმევის კოორდინირება. როცა მთელი ეს ფსევდომეცნიერული აბდაუბდა წარმოთქვა, რაც მიუწვდომელით აღტყინებული ტვინების დაშოშმინებას

ისახავდა მიზნად, განაცხადა, რომ ხელისუფლება ყველა მოულოდნელობისთვის მზად იყო და მოსახლეობის მხარდაჭერის შემთხვევაში, იმედი ჰქონდათ, მომზადებულნი შეხვდებოდნენ ყველა იმ სოციალურ, პოლიტიკურ, მორალურ თუ ეკონომიკურ პრობლემას, რომლებიც, თუ ეს მართლა მოხდებოდა, ეჭვი არ არის, მოჰყვებოდა სიკვდილის გაქრობას. უკვდავების გამოწვევას მივიღებთ, წამოიძახა მთავრობის მეთაურმა ერთგვარი ექსტაზით, თუ ასეთია ღვთის ნება, ჩვენ სამადლობელ ლოცვებს აღვავლენთ, რადგან მან იარაღად სწორედ ჩვენი ხალხი აირჩია... და ეს ნიშნავს, დასძინა თავისთვის, როცა კითხვა დაამთავრა, რომ კარგა გვარიანად ჩავეფალით ქაქში. ოო, სცოდნოდა ერთი, რომ „კარგა გვარიანად“ ამ შემთხვევაში არა ყელამდე, არამედ ყურებამდე და უფრო ზემოთ ჩაფვლას ნიშნავდა... მოჩვენებით სიმშვიდეში კიდევ ნახევარი საათი გავიდა. შემდეგ, ლიმუზინით სახლში რომ მიემგზავრებოდა, პრემიერს კარდინალმა დაურეკა. საღამო მშვიდობისა, ბატონო პრემიერო. საღამო მშვიდობისა, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ. გირეკავთ, რათა გითხრათ, რომ შოკში ვარ. დიახ, მეც, მდგომარეობა ძალიან სერიოზულია, ჩვენს ქვეყანას თავისი ისტორიის მანძილზე მსგავსი არაფერი გადახდენია. მთავარი ეს არ არის. მაშ, რა არის. ის სავალალოზე უარესი მდგომარეობა, რომ თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, როდესაც თქვენს განცხადებას კითხულობდით, საჭიროდაც კი არ მიიჩნიეთ, სამყაროს ქვაკუთხედი, ზეციური ციხესიმაგრე, ჩვენი წმიდა რწმენის მთავარი საფარველი გეხსენებინათ. დამნაშავე ვარ, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, თუმცა თქვენი ნათქვამის არსს ვერ ჩავწვდი. მაშინ გულდასმით მომისმინეთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო: სიკვდილის გარეშე არ არსებობს აღდგომა, ხოლო აღდგომის იდეის

გარეშე არც რელიგია არსებობს, ეშმაკმა დალახვროს. უკაცრავად, კარგად ვერ გავიგე, გაიმეორეთ, გეთაყვა. არა, არა, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, ვდუმვარ, ეს, ალბათ, ტელეფონისბრალია, ასე ვთქვათ, ინტერფერენცია, სტატისტიკური განმუხტვა, ან შეიძლება კავშირის ბრალია, თანამგზავრულ კავშირს ასეთი რამ ემართება ხოლმე, ყურადღებას ნუ მიაქცევთ. მაშ ასე, თქვენ ამბობდით, რომ... მე ვამბობდი, რომ ყველა კათოლიკე, და გამონაკლისი არც თქვენ ხართ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ვალდებულია, იცოდეს, რომ ეკლესია აღდგომის იდეას ემყარება, გარდა ამისა, რამ გაფიქრებინათ, რომ ღმერთს საკუთარი აღსასრული სურს, ამის მტკიცება ღვთის გმობა და მკრეხელობაა. მომიტევეთ, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, მე არ მითქვამს, რომ ღმერთს საკუთარი აღსასრული სურს. შეიძლება სიტყვასიტყვით ასე არ გითქვამთ, მაგრამ დაუშვით იმის შესაძლებლობა, რომ ხორცის უკვდავება ღვთის ნებით გვებოძა და არ არის აუცილებელი ტრანსცენდენტული ლოგიკის დოქტორი იყო, რომ მიხვდე - ვინც ერთი თქვა, მან მეორეც იგულისხმა. თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, ეს ხომ რიტორიკული ფიგურაა, შთაბეჭდილების მოსახდენი ორატორული ხერხი და მეტი არაფერი, პოლიტიკას ეს სჭირდება, თავადაც იცით. ეკლესიასაც ბევრი რამ სჭირდება, ბატონო პრემიერო, მაგრამ ჩვენ, ვიდრე გავჭრიდეთ, ასჯერ ვზომავთ, წარმოთქმამდე ყოველ სიტყვას ვწონით, და თუ რამეს ჰაერზე ვიტყვით, შესწორებებიც მზად გვაქვს და ყველაზე შორეული ეფექტიც - გათვლილი, რამეთუ ჩვენი საქმე, თუ ადვილად გასაგები მაგალითი გსურთ, ბალისტიკას ენათესავება. სასოწარკვეთილი ვარ, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ. თქვენს ადგილზე მეც სასოწარკვეთილი ვიქნებოდი, - ამ სიტყვების შემდეგ

კარდინალი წამით შეყოვნდა, თითქოს ყუმბარის მიზნამდე მიღწევასა და აფეთქებას დაელოდა და რბილად დაამატა: - მითხარით, ბატონო პრემიერო, წაიკითხა თქვენი განცხადება მისმა მაღალადმატებულებამ. რა თქმა უნდა, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, შეიძლებოდა კი ასეთ დელიკატურ საქმეში სხვანაირად მოქცევა. და რა გითხრათ ჩვენმა ხელმწიფემ, თუ ეს სახელმწიფო საიდუმლოება არ არის. მოიწონა. როგორი სიტყვებით. გასაოცარია. რა არის გასაოცარი. მისმა უმაღლესობამ მითხრა: გასაოცარია. ესე იგი, მანაც მკრეხელობა ჩაიდინა. მე, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, ვერ გავბედავ, ასეთი დასკვნები გამოვიტანო, საკუთარი შეცდომებიც მეყოფა. მომიწევს, მეფეს დაველაპარაკო და შევახსენო, რომ ასეთ რთულ, ჩახლართულ და დელიკატურ საქმეში მხოლოდ წმიდა დედაეკლესიის დოქტრინების განუხრელად მკაცრ დაცვას შეუძლია მოსალოდნელი ქაოსისგან ქვეყნის გადარჩენა. თქვენი ნებაა, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ. და მე ვკითხავ მის უდიდებულესობას, რა უკეთესია: რომ დედა-დედოფალი სამუდამოდ იყოს მიჯაჭვული სასიკვდილო სარეცელს, საიდანაც ადგომა არ უწერია და ხრწნადი, დაშლის პირას მისული გარსი მის უკვდავ სულს აბრკოლებდეს, თუ სიკვდილით სიკვდილი დათრგუნოს და სამუდამო დიდების შარავანდედით მოსილი ზეცად ამაღლდეს. პასუხი ცხადია, რა თქმა უნდა, მაგრამ, იმისგან განსხვავებით, რასაც თქვენ ფიქრობთ, ბატონო პრემიერო, მე პასუხები ისე არ მაინტერესებს, როგორც კითხვები, თანაც - ჩვენი კითხვები: დააკვირდით, მათში არის ხილული მიზანიც და ფარული განზრახვაც, რითაც მომავალ პასუხებს გზას უკვალავენ. დაახლოებით ასეა საქმე პოლიტიკაშიც, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ. დიახ, დიახ, მაგრამ ეკლესიის

უპირატესობა - თუმცა ზოგჯერ ეს არც ჩანს - ის არის, რომ საქმე აქვს ზევით და მართავს ქვევით. ჩამოვარდნილი სიჩუმე პრემიერმა დაარღვია: მე უკვე თითქმის სახლში ვარ, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, მაგრამ ნება მომეცით, კიდევ ერთი რამ გკითხოთ. გთხოვთ. როგორ უნდა მოიქცეს ეკლესია, თუ აღარასოდეს არავინ მოკვდება. „აღარასოდეს", ბატონო პრემიერ-მინისტრო, სიკვდილთან დაკავშირებით ნათქვამიც კი, მეტისმეტად ზოგადია. მგონია, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, რომ ეს პასუხი არ არის. აჰ, პასუხი არ არის. მაშ, ინებეთ საპასუხო კითხვა: რას გააკეთებს სახელმწიფო, თუ აღარასოდეს არავინ მოკვდება. სახელმწიფო შეეცდება, გადარჩეს. მაგრამ რა მოუვა ეკლესიას. ეკლესია, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მარადიულ კითხვებზე პასუხის გაცემას ისე შეეჩვია, რომ სხვა ამპლუაში მისი წარმოდგენა არც კი შემიძლია. მაშინაც კი, თუ ეს სინამდვილეს ეწინააღმდეგება. ჩვენ თავიდანვე მხოლოდ ამას ვაკეთებთ და, ნება მიბოძეთ, გითხრათ, ამასვე ვეყრდნობით. პაპი რას იტყვის. მის ადგილზე - ღმერთო, მაპატიე უაზრო მოუსვენრობა! - მე სასწრაფოდ ვუბრძანებდი, ახალი დოქტრინა გამოეცხადებინათ, გადადებული სიკვდილის დოქტრინა. და არავითარი განმარტება. ეკლესიას არასდროს არაფრის ახსნას არ სთხოვდნენ, მას სხვა ხელობა აქვს: ბალისტიკის გარდა ჩვენი საქმე მეტისმეტად ცნობისმოყვარე სულის რწმენით დაშოშმინებაა. ღამე მშვიდობისა, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, კარგად ბრძანდებოდეთ, ხვალ გნახავთ. თუ ღმერთი ინებებს, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მარად და უცვლელად - თუ ღმერთი ინებებს. ვითარებიდან გამომდინარე, საეჭვოა, მან ჩვენი შეხვედრა არ ინებოს. არ დაგავიწყდეთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, რომ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ადამიანები პატიოსნად

იხოცებიან, თითქოს არაფერი მომხდარაო, და ეს კარგის ნიშანია. გააჩნია, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, შეიძლება მეზობლები ჩვენს ქვეყანაში ოაზისს, ედემს, ახალ სამოთხეს ხედავენ. კარგად თუ დააკვირდებიან, ჯოჯოხეთს დაინახავენ. ღამე მშვიდობისა, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, მშვიდ და ღრმა ძილს გისურვებთ. ღამე მშვიდობისა, ბატონო პრემიერ-მინისტრო, და თუ სიკვდილი გადაწყვეტს, დღეს დაბრუნდეს, დაე, თქვენ არ გაახსენდეთ. თუ ამქვეყნად სამართლიანობა მხოლოდ ლამაზი სიტყვები არაა, დედა-დედოფალი ჩემზე ადრე უნდა წავიდეს. გპირდებით, თქვენს სიტყვებს მეფეს არ გადავცემ. თქვენი მადლიერი ვარ, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ. ღამე მშვიდობისა. ღამე მშვიდობისა.

ღამის სამ საათზე კარდინალი კლინიკაში აპენდიციტის მწვავე შეტევით მიიყვანეს, საჭირო იყო სასწრაფო ქირურგიული ჩარევა. ვიდრე ანესთეზიის შავი ხვრელი მის მაღალუსამღვდელოესობას იწოვდა, იმ ერთ წამში, რომელიც გონების სრულ გათიშვას უსწრებს წინ, მან, ისევე როგორც მანამდე უამრავმა სხვამ, გაიფიქრა, შეიძლება, ვეღარ გავიღვიძოო, მერე გაახსენდა, რომ ასეთი რამ ახლა შეუძლებელი იყო, და ბოლოს უკანასკნელ გაელვებად გაუკრთა გონებაში ფიქრი, რომ თუ მოკვდებოდა, ეს იქნებოდა ნიშანი, რომ ასეთი პარადოქსული სახით, მაგრამ მაინც შეძლო სიკვდილის დამარცხება. თავგანწირვის მძაფრი აღტყინებით შეპყრობილ კარდინალს სურდა, ღმერთისთვის ეთხოვა, მოეკლა იგი, მაგრამ სიტყვების დალაგება ვეღარ მოასწრო. ნარკოზმა იგი იხსნა წარმოუდგენელი მკრეხელობისგან, სიკვდილის უფლება იმისთვის გადაეცა, ვინც ცნობილია, როგორც სიცოცხლის მომნიჭებელი.

* * *

კონკურენტმა გამოცემებმა, რომლებმაც მოახერხეს და რედაქტორების შთაგონებას ყველაზე მრავალფეროვანი და ზუსტი სათაურები გამოჰგლიჯეს, - მათ შორის შეგხვდებოდათ დრამატული, წააწყდებოდით ლირიკულს, არც ისე იშვიათი იყო ფილოსოფიური თუ მისტიციზმის ბურუსში გახვეული, ასევე - გულისამაჩუყებელი უბრალოებით გამორჩეული, რასაც, მაგალითად, დასჯერდა ერთ-ერთი მასობრივი ყოველდღიური გაზეთი და გოდება ასე დაასრულა: ახლა რა გვეშველება, კითხვის ნიშნის დაგრეხილი კუდით, - ჩვენ მიერ უკვე ნახსენები პირველი გვერდის სათაური „ახალი წელი, ახალი ცხოვრება" სასწრაფოდ მასხრად აიგდეს, თუმცა ვიღაც-ვიღაცებს, ვინც ბუნებრივი სულიერი მიდრეკილებით, ანდა განმანათლებლობის ნაყოფით პირჩატკბარუნებული, ყველაზე წინ მეტ-ნაკლებად პრაგმატული ოპტიმიზმის ურყევობას აყენებს, მაშინაც კი, როცა მყარი საფუძველი აქვს იეჭვოს, რომ საქმე ეხება წმინდა წყლის და, ამასთანავე, სწრაფწარმავალ მოჩვენებითობას, - ეს სათაური, მთელი თავისი აღმაშფოთებელი ბანალურობის მიუხედავად, გულზე ბალზამად - ალბათ, რაღაცნაირ ბანალზამად - დაეპკურა. ადამიანებმა, რომლებიც ამ მოულოდნელად თავსდატეხილ გაურკვევლობამდე ისეთ სამყაროში ცხოვრობდნენ, რომელიც ყველა შესაძლებლიდან და არსებულიდან საუკეთესოდ მიაჩნდათ, განუზომელი სიხარულით აღმოაჩინეს, რომ ახლა მათ თვალწინ რაღაც საუცხოო ხდებოდა, რომ უკვე კარზე აკაკუნებდა წარმოუდგენელი, საკვირველი ცხოვრება, სადაც აღარ იქნებოდა ყოველდღიური შიში ათროპოსის

მაკრატლის კრაჭუნის წინაშე, სადაც არავის გადასცემდნენ წერილს, რომელსაც გახსნიდი და განსაზღვრულ დროს გაიგებდი, სად მიგიჩინეს ადგილი - სამოთხეში, განსაწმენდელსა თუ ჯოჯოხეთში, სადაც დაიკარგებოდა ის გზაჯვარედინი, რომელზეც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ჩვენი ცრემლიანი ცხოვრება და ჩვენთვის განკუთვნილი, ძვირფასო ამხანაგებო, იმქვეყნიური ხვედრი იყრებოდნენ. ამიტომაც სკეპტიკურად განწყობილ ან თუნდაც თავშეკავებულ გამოცემებს და მათთან ერთად - ტელევიზიებსა და რადიოპროგრამებს აღარაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ დანთქმულიყვნენ ამ საერთო აღტაცების აზვირთებულ ტალღებში, რომლებმაც ქვეყანას ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გადაუარა, მცირედმორწმუნეთა აღგზნებული ტვინები გააგრილა და თვალსაწიერიდან გადარეცხა სასაფლაოს კვიპაროსის ჩრდილი, რომელიც, როგორც ცნობილია, შორს ეცემა. ცნობილი ვადის გასვლისა და იმის აღმოჩენის შემდეგ, რომ მართლაც არავინ კვდებოდა, პესიმისტებმა და სკეპტიკოსებმა - ჯერ თითო-თითოდ, შემდეგ ჰატარა ნაკადულებად და ბოლოს უზარმაზარ მდინარეებად - დაიწყეს ჩადინება იმ თანამოქალაქეების ზღვაში, რომლებიც მცირედ მიზეზსაც კი იყენებდნენ, რათა ქუჩაში გამოსულიყვნენ და დაეყვირათ: როგორც იქნა, ცხოვრება ჭეშმარიტად მშვენიერია.

ხოლო შემდეგ ერთმა ახალდაქვრივებულმა ქალბატონმა, რომელსაც სხვა საშუალება ვერ ეპოვა საკუთარი უზომო, თუნდაც იმის გააზრებით ოდნავ სევდანარევი ბედნიერების გამოსახატავად, რომ, რადგან აღარ მოკვდება, მრავალჯერ გამოტირებულ ქმარს ვეღარასოდეს ნახავს, - გაიფიქრა: ჩემს ყვავილებით

მორთულ აივანზე სახელმწიფო დროშა ხომ არ გამოვკიდოო. ეს ზუსტად ის შემთხვევა იყო, როდესაც სიტყვა და საქმე ერთია. ორმოცდარვა საათიც კი არ იყო გასული, რომ მთელი ქვეყანა დროშებით აჭრელდა, მთელი პეიზაჟი შეივსო, ამასთან, ქალაქში ეს უფრო შესამჩნევი იყო, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დროშის აივანზე ან ფანჯარაში გადმოკიდება და მინდორში დაკიდება ერთი და იგივე არაა. საერთო პატრიოტული აღტყინებისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იმიტომაც იყო, რომ უცებ საიდანღაც, ანუ გაურკვეველი წყაროდან, გავრცელდა მხურვალე, რომ არ ვთქვათ, ღია მუქარის შემცველი, განცხადებები, მაგალითად, ასეთი: ვინც ფანჯარაში ჩვენი სამშობლოს უკვდავ დროშას არ გამოფენს, სიცოცხლის ღირსი არ არის. ქუჩებში დროშებით მხოლოდ ისინი აღარ დაძრწოდნენ, ვინც თანამოქალაქეებისთვის მათი შეჩეჩება უკვე მოასწრო ასეთი სიტყვების თანხლებით: შემოგვიერთდი, იყავი პატრიოტი, იყიდე დროშა. კიდევ ერთი იყიდე. ბარემ მესამეც. ურტყი სიცოცხლის მტრებს, დასანანია, რომ ცემით ვერ მოკლავ. ქუჩები რაინდების ნამდვილ ბანაკს დაემსგავსა: ყველგან გაშლილი ალმები მოჩანდა, რომლებსაც ქარი აფრიალებდა, - რა თქმა უნდა, თუ ქარი იყო, ხოლო უქარო ამინდში საქმეშიელექტროენტილატორი ერთვებოდა, და თუ მისი სიმძლავრე საკმარისი არ იყო, რომ ალამს, ვაჟკაცურად შემართულს, ეფრიალა, ჰაერში ელივლივა და თავისი ტკრციალით მეომრული სულები აენთო, ამ მოწყობილობას დროშის ღირსეული ფართხუნის უზრუნველყოფა მაინც შეეძლო. რა თქმა უნდა, ისეთებიც მოიძებნებოდნენ - თუმცა ცოტანი - რომლებიც ჩურჩულით ამტკიცებდნენ, რომ ეს ყველაფერი ზედმეტი იყო, რომ აჭარბებდნენ, რომ ადრე თუ გვიან დროშების ტყის აღება მაინც მოუწევდათ, ამიტომ რაც

ადრე აიღებდნენ, მით უკეთესი, რამეთუ, როგორც ზედმეტად დამტკბარი ნამცხვარი არ ვარგა და კუჭისათვის მავნებელია, ასევე დასაცინი გახდება სახელმწიფოებრიობის სიმბოლოები, თუ მათდამი ზომიერი, კანონიერი პატივისცემა აი, ასეთ გარყვნილებამდე დაეშვა, რომელიც ექსგიბიციონისტის ქმედებას უფრო ჰგავს, რომელმაც თავისი ავბედითი პალტო გადაიღეღა. და კიდევ, - ამბობდნენ ისინი, - თუ ეს ღირსშესანიშნაობა გამოფენილია ასეთი, ბოდიში ტავტოლოგიისთვის, ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად - რომ სიკვდილმა მოსავლის აღება შეწყვიტა - მაშინ ან ჩვენ ავიღებთ მათ და არ დაველოდებით გულისრევის შემოტევას, რომელიც ნაციონალური სიმბოლიკის ასეთი უზომო გამოყენებისას გარდაუვალია, ან სიცოცხლის ბოლომდე და, ჩათვალეთ, უსასრულობამდე, - დიახ, დიახ, ზუსტად უსასრულობამდე, ჟამთა აღსასრულამდე, რომელიც არასდროს დადგება, - მათი ცვლა მოგვიწევს, ყოველთვის, როცა კი ისინი მზეზე გადახუნდება, წვიმა დაალპობს, ან ქარი დახევს. ცოტა, ძალიან ცოტა მოიძებნა ისეთი, ვინც გაბედა, ასე სახალხოდ დაასხა ცეცხლზე ნავთი, ერთი კი ანტიპატრიოტული გამოხდომებისთვის ისე ბეგვეს, მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ ახალი წლიდან ამ ქვეყანაში სიკვდილმა თავისი საქმიანობა შეაჩერა.

მაგრამ ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ მათ გვერდით, ვინც იცინის, ყოველთვის მოიძებნება ის, ვინც ტირის, ამასთან, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, სიცილისა და ტირილის მიზეზი ერთი და იგივეა. რამდენიმე ძალიან გავლენიანმა პროფესიულმა გაერთიანებამ, რომლებიც სერიოზულად შეაშფოთა მოვლენების განვითარებამ, ნელ-ნელა უკმაყოფილების გამოხატვა დაიწყო. როგორც

მოსალოდნელი იყო, იურიდიულად ეს პირველად დამკრძალავმა ბიუროებმა გააფორმეს. ნედლეულის გარეშე დარჩენილმა ამ ინდუსტრიის კაპიტნებმა თავდაპირველად, წესისამებრ, ლოყები დაიხოკეს და მოზარეთა გუნდივით აბღავლდნენ, ვის ანაბარა დაგვტოვეო, მაგრამ მას შემდეგ, რაც გააცნობიერეს, რომ გარდაუვალ კრახს მათი ფენის ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ ასცდებოდა, ყრილობა მოიწვიეს, რომლის მუშაობამაც გააფთრებული, თუმცა კი უნაყოფო კამათის შემდეგ, - რამეთუ სიკვდილის მონაწილეობის გარეშე, რასაც მეკუბოეებისა და მესაფლავეების თაობები, როგორც ბუნების საჩუქარს, ისე აღიქვამდნენ, მდგომარეობის გამოსწორების ყოველი მცდელობისთვის თამამად შეგვეძლო წყლის ნაყვა გვეწოდებინა, - ასეთი შედეგი გამოიღო: ყრილობამ მთავრობას მიმართვა გაუგზავნა, რომელიც ისეთივე ნაყოფიერი იყო, როგორიც - სასაცილო, და ამის თაობაზე სხდომის თავმჯდომარემ ყველა პატიოსნად გააფრთხილა: მასხრად აგვიგდებენ, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს, ან ასე უნდა მოვიქცეთ, ან ჩვენი საქმე დაიღუპება. ჩვენ, ნათქვამი იყო მიმართვაში, სიკვდილის გაქრობით გამოწვეულ უმძიმეს კრიზისთან ბრძოლის მეთოდების განსახილველად საგანგებოდ მოწვეული ყრილობის დელეგატებმა, სიტუაციის ყოველმხრივი და ძირფესვიანი ანალიზის შემდეგ, რა დროსაც ხალხის ინტერესები ერთი წამითაც არ დაგვვიწყებია, ერთსულოვნად მივიღეთ შემდეგი გადაწყვეტილება: ჩვენს თავსდამტყდარი ქვეყნის ისტორიაში ყველაზე საშინელი უბედურების კატასტროფული შედეგების თავიდან აცილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მთავრობა სპეციალური დადგენილებით დააკანონებს როგორც ბუნებრივი, ისე

უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპული ყველა შინაური ცხოველის დამარხვის ან კრემაციის აუცილებლობას და ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების რეგლამენტირებულ, სათანადო განხორციელებას დააკისრებს დამკრძალავ ბიუროებსა და სააგენტოებს, რომელთა თანამშრომლებიც თავიანთ ოსტატობას თაობიდან თაობამდე ხვეწდნენ, ხალხის კეთილდღეობაზე ჭეშმარიტი მზრუნველების სახელი დაიმკვიდრეს და სწორედ რიტუალური მომსახურების საქმეში, ამ ცნების ყველაზე ღრმა და სრული გაგებით, საზოგადოებას თავგანწირული სამსახურის მაგალითები აჩვენეს. შემდეგ წერილში ნათქვამი იყო: მთავრობის ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ დაუყოვნებლივი აღორძინება და დარგის ორიენტაციის უცილობელი შეცვლა მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებას, რამეთუ ერთია ადამიანთა მოდგმის წარმომადგენლის უკანასკნელ გზაზე გაცილება და სრულიად სხვა - კატის ან იადონის ცხედრის მიწისთვის მიბარება, რომ არაფერი ვთქვათ ცირკის სპილოზე ან ზოოპარკის ნიანგზე, ანუ გათვალისწინებული უნდა იყოს ჩვენი ტრადიციული ნოუ-ჰაუს საფუძვლიანი და ყოველმხრივი გადახედვა, რაშიც ჭეშმარიტად ფასდაუდებელ დახმარებას გაგვიწევს უკვე დაგროვილი გამოცდილება, რომელსაც ახლა უკვე ცხოველების სასაფლაოების მოწყობასა და მათ დასაფლავებაში გამოვიყენებთ, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმიანობის გვერდითი - თუმცა, არ უარვყოფთ, მაღალშემოსავლიანი - ფორმა ძირითად საქმიანობად უნდა გადაიქცეს, რაც საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ იმ ასობით, თუ ათასობით არა, თავდადებული და მუყაითი თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლება, რომლებიც ამდენი წლის განმავლობაში სიკვდილს ყოველდღიურად ყოველგვარი

ძრწოლის გარეშე უყურებდნენ თვალებში და არ იმსახურებენ, რომ ახლა მან ამ ადამიანებს ზურგი შეაქციოს. დასასრულ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, იმის გამო, რომ სასიცოცხლო აუცილებლობად მიგვაჩნია იმპროფესიის დაცვა, რომელმაც თავისი საჭიროება და სარგებლიანობა ათასწლეულების განმავლობაში დაამტკიცა, დაჟინებით მოვითხოვთ, ჩვენი შუამდგომლობის შედეგად არა მარტო სასურველი გადაწყვეტილება მიიღოთ, არამედ უმოკლეს დროში ელემენტარული სამართლიანობის აღსადგენად გახსნათ საკრედიტო ხაზი და უპროცენტო გრძელვადიანი სესხი მოგვცეთ, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს ეკონომიკის იმ სექტორის სასწრაფო გამოცოცხლებას, რომლის არსებობასაც პირველად დაემუქრა ისეთი საფრთხე, როგორიც არათუ ისტორიას, ალბათ, იმ ეპოქასაც კი არ ახსოვს, ისტორიამდელს რომ უწოდებენ, რამეთუ არსად და არასდროს, არანაირ გარემოებაში, არ შეიძლება და არც უნდა მოხდეს, რომ კაცთა მოდგმის წარმომადგენელი, რომელმაც ამქვეყნიური ცხოვრების გზა გაასრულა, ისეთი ადამიანის გარეშე დარჩეს, ვინც ადრე თუ გვიან მის ცხედარს მიწას მიაბარებს, თუ, რა თქმა უნდა, თავად მიწა არ გაიპობა და გარდაცვლილს დიდსულოვნად არ შესთავაზებს საკუთარ წიაღში უკანასკნელ განსასვენებელს. პატივისცემით, თარიღი, ხელმოწერა.

მათ კვალდაკვალ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროთა კარებს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საავადმყოფოების, ჰოსპიტლებისა და კლინიკების ხელმძღვანელებმაც სასწრაფოდ მიუკაკუნეს, რათა მათთვის საკუთარი შიში გაეზიარებინათ, რომელიც, რაც უნდა საკვირველი იყოს, ლოგისტიკის სფეროს უფრო შეეხებოდა, ვიდრე საკუთრივ მედიცინისას. მათ განაცხადეს,

რომ მუდმივ ჯაჭვში, რომლის რგოლებსაც შეადგენენ ავადმყოფები და განმუხტვის ორი საშუალება, როცა ერთნი იკურნებიან და ეწერებიან, სხვები კი მიცვალებულთა რიგებს უერთდებიან, ამ უკანასკნელის ამოვარდნის შედეგად რაღაც მოკლე ჩართვასავით მოხდა. მივიღეთ საცობი, - ისეთი კი არა, ბოთლს რომ ეცობა, არამედ ისეთი, როგორიც გზებზეა: განუწყვეტლივ იზრდება იმ პაციენტების რიცხვი, რომლებსაც, დაავადებისა თუ უბედური შემთხვევის შედეგად მიღებული ტრავმის სიმძიმის გამო, ჩვეულებრივ სიტუაციაში საიქიოში გამგზავრება უკვე დიდი ხნის გარანტირებული ექნებოდათ. მდგომარეობა სახიფათოა, ამტკიცებდნენ საავადმყოფოების ხელმძღვანელები, პაციენტებს უკვე დერეფნებში ვაწვენთ და ისეთი პირი უჩანს, სულ მალე არა მარტო საწოლები აღარ გვეყოფა, არამედ შენობებიც, რამეთუ პერსონალის ოთახებიც კი პაციენტებით აივსება. მათი განცხადებით, რაკი პრობლემის მოგვარების არსებულ მეთოდს გარკვეულწილად ჰიპოკრატეს ფიცთანაც ჰქონდა კავშირი, მიღებული გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო არა სამედიცინო ან ადმინისტრაციული, არამედ პოლიტიკური. ჭკვიანი უთქმელადაც ხვდებაო და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მთავრობის მეთაურთან მოლაპარაკების შემდეგ განკარგულება გამოსცა: სტაციონარებში ავადმყოფების მოზღვავების გათვალისწინებით, რაც მთელი სისტემის უწყვეტ მუშაობას საგრძნობლად ართულებს და რაც იმ პაციენტთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის შედეგია, რომლებიც სიკვდილის პირას არიან, მათი მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი არავის აქვს და ასე კარგა ხანს დარჩებიან - იმ დრომდე მაინც, ვიდრე მედიცინა ახალ წამლებსა და მკურნალობის ახალ მეთოდებს შემოგვთავაზებს - მთავრობა საავადმყოფოების

ადმინისტრაციებს ურჩევს, ყოველმხრივი და გულმოდგინე გამოკვლევის შემდეგ, რამაც ლეტალური პროცესების შეუქცევადობა უნდა დაადასტუროს, - ავადმყოფები მოსავლელად ნათესავებს გადასცენ, თუმცა, ამასთან, სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებს ევალებათ, ავადმყოფებს ჩაუტარონ ყველა კლინიკური გამოკვლევა და სამკურნალო ღონისძიებები, რომელთაც ოჯახის ექიმი აუცილებლად ან თუნდაც სასურველად მიიჩნევს. ეს გადაწყვეტილება ეფუძნება საკმაოდ დამაჯერებელ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მუდმივად სიკვდილის პირას მყოფი პაციენტისთვის, სულ ცოტა, სულერთი უნდა იყოს - გამონათების იშვიათ მომენტებშიც კი - სად იმყოფება: საავადმყოფოს გადატვირთულ პალატაში თუ შინ, რადგან იქაც და აქაც ვერც მოკვდება და ვერც მორჩება. მთავრობა შემთხვევით სარგებლობს და მოქალაქეებს ატყობინებს, რომ სრული მასშტაბით ტარდება გამოკვლევები, რისი მიზანიც სიკვდილის მოულოდნელი გაუჩინარების ჯერ კიდევ გაურკვეველი მიზეზების გარკვევაა. ასევე გაცნობებთ, რომ ექსპერტთა ცოტა ხნის წინ ჩამოყალიბებულ კომისიას, რომლის შემადგენლობაშიც სხვადასხვა კონფესიის მღვდელმსახურნი და სხვადასხვა ფილოსოფიური მიმართულების წარმომადგენლები შევიდნენ - მათ ამ საკითხზე სათქმელი ყოველთვის აქვთ - დაევალა, გაერკვიოს ისეთ მგრძნობიარე და საჩოთირო საკითხში, როგორიცაა უკვდავება და ამასთან ერთად შეიმუშაოს მოსალოდნელი პრობლემების თუნდაც სავარაუდო ჩამონათვალი, პრობლემებისა, რომელთაგან პირველი და მთავარი ასეთი სასტიკი კითხვის სახით ყალიბდება: რა ვუყოთ მოხუცებს, თუ უკვე აღარ გვაქვს იმის იმედი, რომ სიკვდილი, როგორც ეს აქამდე იყო, მათ კაპრიზებსა და

ახირებებს ბოლოს მოუღებს.

მეპატრონეები მოხუცებულთა სახლებისა, რომლებიც ისეთი ოჯახებისთვის შეიქმნა, სადაც არც დრო აქვთ და არც მოთმინება, მოუარონ მათ, ვინც, თუ დადის, მხოლოდ ბანცალით, მოსწმინდონ ცხვირიდან გამონადენი და ნერწყვი, ებრძოლონ სფინქტერის მოშლისგან გამომდინარე - და მერე როგორ გამომდინარე - შეუკავებლობის შედეგებს და ღამღამობით წინაპრების სუსტ ძახილზე ლოგინიდან ადგნენ - დამკრძალავი ბიუროებისა და საავადმყოფოების გაკვალულ გზას გაუყვნენ და თავი სულ კედელს ურტყეს. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მათ წინაშე მდგარ არჩევანს - მიეღოთ თუ არ მიეღოთ ახალი მობინადრეები - გაუსაძლისი სიმწვავით ანალოგი არ ჰქონდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შედეგი - და განა ის არ განაპირობებს ასეთი დილემის გადაჭრას - ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე იქნებოდა. თავშესაფრებისა და მოხუცებულთა სახლების ხელმძღვანელები, მათი უბედურების თანამოზიარეების - შიდავენური გადასხმების სპეციალისტებისა და სამგლოვიარო, ლილისფერი ზონრებით მორთული გვირგვინების ოსტატების - მსგავსად, მიეჩვივნენ, რომ სიკვდილისა და სიცოცხლის მონაცვლეობა შეუჩერებლად ხდება და იმ დროზე ფიქრიც კი აშინებდათ, როდესაც მათი მობინადრეების სხეულები და სახეები მხოლოდ იმისთვის თუ შეიცვლებოდა, რომ მათზე უძლურებისა და მიხრწნილების ანაბეჭდები უფრო მკაფიოდ ასახულიყო, დღითი დღე გახშირებულიყო: ნაოჭები, რომლებიც სახეს შემწვარ ვაშლს ამსგავსებს; ხელების კანკალი და მუხლების სისუსტე, სიარულისას ყანყალი, მოძრაობისას ცახცახი, რაც ადამიანს ქარიშხლიან ზღვაში ჩაგდებულ ძირგახვრეტილ ნავს ამსგავსებს. ამ თავშესაფართა ქსელში, რომელსაც

ოფიციალურად „უშფოთველი დაისი“ ერქვა, ერთ დროს ყოველი ახალი მობინადრე ზედამხედველებისთვის სასიხარულო თავსატეხად იქცეოდა, რამეთუ საჭირო იყო მისი სახელის დამახსოვრება, გარე სამყაროდან მოყოლილი და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ჩვევების, ახირებებისა და უცნაურობების დაზეპირება: ერთი გადამდგარი ჩინოვნიკი მთელი დღეები თავის კბილის ჯაგრისს კბილის პასტის ნარჩენებისგან წმენდდა, ხოლო ერთი დედაბერი ღამეებს თავისი ოჯახის გენეალოგიური ხის ხატვაში ათენებდა და ვერაფრით ახერხებდა, უჯრედებში ჩაეტია სახელები, რომლებიც მის ტოტებზე უნდა ყოფილიყო დაკიდებული. რამდენიმე კვირა, ვიდრე ახალმოსული, ჩვეულების ძალით, ყურადღებისა და მზრუნველობის მხრივ სხვებს გაუთანაბრდებოდა, ცხოვრებაში უკანასკნელად ყველას ნებიერა და რჩეული ხდებოდა, ცხოვრება კი არც ისე დიდი ხანია - გაუგებარია, რატომ და რისთვის - მარადისობად იქცა, რომელიც შეგვიძლია მზეს შევადაროთ, ამ ახალი არკადიის ყველა მცხოვრებს თანაბრად რომ უნაწილებს თავის ცხოველმყოფელ სხივებს. კი შეგვიძლია შევადაროთ, მაგრამ ჯობს, ეს არ გავაკეთოთ, რამეთუ საკუთარი თვალით ვხედავთ, როგორ იბინდება დღის მნათობი, ჩვენ კი ცოცხლები ვრჩებით. ახლა ყველაფერი შეიცვალა: ახლა ყველა ახალი მობინადრის ხვედრი წინასწარ არის ცნობილი: იგი თავშესაფარს არ დატოვებს, რათა სახლში ან საავადმყოფოში მოკვდეს, როგორც ეს ძველ, კურთხეულ დროში ხდებოდა, როდესაც სხვა მობინადრეები თავ-თავიანთ ოთახებში სასწრაფოდ იკეტებოდნენ, რომ სიკვდილს უნებურად ისინიც ხელისთვის არ გაეყოლებინა; ახლა ჩვენ ვიცით, რომ ეს ყველაფერი წარსულში დარჩა, მაგრამ ხელისუფლებამ ჩვენზეც ხომ უნდა იფიქროს -

თავშესაფრების მეპატრონეებზე, გამგეებსა და თანამშრომლებზე, ხომ უნდა იფიქროს ჩვენს ბედზეც, რომელიც სავალალოა: ჩვენ ვინღა შეგვიფარებს, როდესაც ჩვენი დრო მოვა და დააკვირდით, ჩვენ ვერ ვისარგებლებთ იმით, რასთანაც რაღაც მაინც გვაქვს საერთო, სადაც, ბოლოს და ბოლოს, მრავალი წლის განმავლობაში ვმუშაობდით - მკითხველი, ალბათ, უკვე მიხვდა, რომ აქ თანამშრომლების მთელი გუნდი ჩაერთო - სხვა სიტყვებით, ჩვენს „უშფოთველი დაისის“ თავშესაფრებში ჩვენი ადგილი აღარ იქნება, თუ, რა თქმა უნდა, იქიდან კლიენტების ნაწილს არ გავაძევებთ - და ეს აზრი უკვე ხელისუფლებასაც მოუვიდა, როდესაც გადაჭედილი საავადმყოფოების შესახებ დებატები მიმდინარეობდა. ოჯახმაც გაიხსენოს თავისი მოვალეობა, თქვა მაშინ ხელისუფლებამ, მაგრამ ამისთვის ხომ საჭიროა, ოჯახის ერთ წევრს მაინც შერჩეს თავში - ტვინი, ხოლო დანარჩენ სხეულში - ცოტაოდენი ენერგია, ამასთან, საკუთარი გამოცდილებით და სამყაროზე დაკვირვებით ყველამ იცის, რომ როგორც ერთის, ისე მეორის ვარგისობის ვადა ერთი ამოსუნთქვაა, თუ ამოსუნთქვას მარადისობას შევადარებთ, რომელიც ჩვენთან ცოტა ხნის წინ დამყარდა, ხსნა კი, ბატონებო, ისაა, რომ მოხუცებულთა სახლების რაოდენობა გავზარდოთ, ოღონდ არა ისე, როგორც აქამდე, როდესაც ასეთ თავშესაფრებს პატარა თუ დიდ სახლებს უწოდებდნენ - არა, უნდა აიგოს ახალი უზარმაზარი შენობები, მაგალითად, ხუთკუთხა-პენტაგონის, ბაბილონის გოდოლის ან კნოსოსის ლაბირინთის ფორმისა: ჯერ - შენობები, შემდეგ - კვარტალები, შემდეგ - ქალაქები, ანუ, თუ ყველაფერს საკუთარ სახელს დავარქმევთ, აშენდება გიგანტური სასაფლაოები ცოცხალთათვის, რომელთა საბედისწერო, შეუქცევადი მიხრწნილება სათანადო მეთვალყურეობის

ქვეშ მოექცევა, ღვთის ნაბოძები, მხოლოდ მისთვისვე ცნობილი ვადით, ანუ სიცოცხლის ბოლომდე, გაურკვეველი ხნით რომ გადაიწია, ეს კი ორმაგ პრობლემას წარმოშობს, რომელიც თანამდებობის პირების ყურადღებას მოითხოვს და ნიშნავს, რომ მოხუცებულთა რაოდენობის სულ უფრო მეტად ზრდა იმ ადამიანების რაოდენობის ზრდას იწვევს, ვინც მათ უნდა მოუაროს, ეს კი, თავის მხრივ, შეცვლის საზოგადოებაში ასაკობრივ თანაფარდობას, რაც სქემატურად რომბიოდით შეგვიძლია გამოვსახოთ და მოხუცების რაოდენობის საზარელი, უწყვეტი მატება ახალ თაობებს პითონივით გადაყლაპავს, ხოლო მათი უმრავლესობა, მომვლელებად და სანიტრებად გადაქცეული, ცხოვრების საუკეთესო წლებს გაატარებს სხვადასხვა ასაკის – ხნიერიდან დაწყებული მათუსალას ასაკით დამთავრებული - მოხუცებზე ზრუნვაში, უსასრულო რიგებად მიმავალი მამების, ბაბუების, პაპების, პაპის პაპებისა და კიდევ უფრო შორეული წინაპრების მოვლაში, რომლებიც იმ ფოთლებს ჰგვანან, ტოტებიდან რომ ცვივა და წინა, იმის წინა და იმის წინის წინა შემოდგომაზე ჩამოცვენილთა გროვაში ფენებადივანებს - ou sont les neiges d'antan, ვიკითხოთ პოეტის კვალდაკვალ - ეს ბრმა და გამოყრუებული ხალხი დამწკრივდება ლეგიონებად, ჭიანჭველის ურდოებად, ხალხი, ვინც, ცხოვრების გზაზე მავალი, თანდათან კარგავს კბილებსა და თმას, იტანჯება კატარითა და თიაქარით, ან არსადაც არ მიდის წევს თეძოს ყელის მოტეხილობით ან დამბლადაცემული და ნიკაპზე ჩამოღვრილი დორბლის მოწმენდაც კი არ შეუძლია. გვერწმუნეთ, ბატონო მინისტრებო, ამ თავსდამტყდარ განსაცდელს ყველაზე კოშმარული სიზმარიც კი ვერ შეედრება. ასეთი რამ იმ დროშიც კი არ დასიზმრებიათ, როდესაც ადამიანი გამოქვაბულის საშინელ, მარადიულ

სიბნელეში ბინადრობდა და, იმ გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელიც „უშფოთველი დაისის“ პირველი თავშესაფრის დაარსებისას მივიღეთ, გარწმუნებთ, სხვა ყველაფერი საბავშვო სათამაშოა, მაგრამ ღმერთმა წარმოსახვის უნარი რისთვის გვიბოძა, ნება მოგვეცით, ბატონო პრემიერ-მინისტრო, გულზე ხელი დავიდოთ და განვაცხადოთ: სჯობს სიკვდილი, ამ ყოველივეს სიკვდილი სჯობს.

მთელს ჩვენს სფეროს სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა, განუცხადა ჟურნალისტებს სადაზღვევო ორგანიზაციების ფედერაციის პრეზიდენტმა, რომელიც იმ ათასობით, თითქოსდა ერთმანეთისგან გადაწერილ წერილს გულისხმობდა, რითაც მოსახლეობა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების სასწრაფოდ შეწყვეტას ითხოვდა. მათში ეწერა, რომ, რადგან სიკვდილმა, როგორც ეს საყოველთაოდ გახდა ცნობილი, არსებობა შეწყვიტა, რბილად რომ ვთქვათ, სრული სისულელე იქნებოდა, ძველებურად გაეგრძელებინათ გადასახადის გადახდა, რომელიც ამიერიდან მხოლოდ ისედაც მდიდარი კომპანიების გამდიდრებას მოემსახურებოდა. არ მსურს, ვირები ნამცხვრებით ვკვებო, პოსტსკრიპტუმში აღშფოთებას ვერ მალავდა ერთ-ერთი განსაკუთრებით გაბრაზებული კლიენტი. სხვები კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ და უკვე გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას ითხოვდნენ, მაგრამ ამას სინდისის დასამშვიდებლად, რაღაც შემთხვევისთვის უფრო აკეთებდნენ, რომელიც შეიძლებოდა ბედნიერი გამომდგარიყო. ჟურნალისტების კითხვას, რას აპირებდნენ სადაზღვევო კომპანიები, რომლებსაც მოულოდნელად თავს მძიმე არტილერიის ცეცხლი დაატყდათ, ფედერაციის პრეზიდენტმა უპასუხა, რომ, მართალია, იურისტები ახლა ტიპურ პოლისებს

სწავლობდნენ, რათა - რა თქმა უნდა, კანონის შესაბამისად - საშუალება გამოენახათ, რომელიმე, წესისამებრ, წვრილი შრიფტით დაბეჭდილი, პუნქტი ისე განემარტათ, რომ კლიენტებს, თუნდაც მათი ნების საწინააღმდეგოდ, გადასახადი სიცოცხლის ბოლომდე, ანუ მარადიულად ეხადათ, მაგრამ, სავარაუდოდ, მათ რაღაც ჯენტლმენური შეთანხმების მსგავს, გონივრულ კომპრომისს შესთავაზებდნენ - ხელშეკრულების ტექსტს პატარა დანართი დაემატებოდა, რომელიც 80 წელს აუცილებელი სიკვდილის ასაკად გამოაცხადებდა. რაც ხატოვნად უნდა გავიგოთ, სასწრაფოდ დაამატა მან მოწყალე ღიმილით. მაშ ასე, გადასახადს ძველებურად ამოიღებენ იმ დღემდე, ვიდრე ბედნიერი დაზღვეული ოთხმოცი წლისთავს არ იზეიმებს და წარმოსახვითი მიცვალებული არ გახდება. მაშინ მას უფლება ექნება, მოითხოვოს სადაზღვევო პრემია, რომელსაც სრულად აუნაზღაურებენ. უნდა აღინიშნოს, რომ თუ კლიენტებს სურვილი ექნებათ, ხელშეკრულების კიდევ ოთხმოცი წლით გაგრძელება შეიძლება, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ, კიდევ ერთი, როგორც ახლა ამბობენ, ვირტუალური სიკვდილი დაფიქსირდება და ანაზღაურების პროცედურა გამეორდება, შემდეგ - კიდევ, კიდევ და კიდევ. აქ ჟურნალისტების აღფრთოვანებული შეძახილები გაისმა და დარბაზს ტაშმა გადაუარა, საპასუხოდ კი მადლიერმა პრეზიდენტმა თავი დახარა. ტაქტიკურმა გათვლამ სტრატეგიული შედეგი გამოიღო - იმავე დღეს სადაზღვევო კომპანიებს ახალი წერილები მიაყარეს, სადაც ძველი ძალადაკარგულად იყო გამოცხადებული. ყველა კლიენტმა დამზღვევებთან სასწრაფოდ გააფორმა ჯენტლმენური შეთანხმება და ეს ერთ-ერთი უიშვიათესი შემთხვევა იყო, როდესაც არც მწვადი დამწვარა და არც შამფური, ანუ ყველა კმაყოფილი დარჩა, განსაკუთრებით - სადაზღვევო

კომპანიები, რომლებმაც მოვარდნილ წარღვნას ფეხად გაასწრეს. ეჭვს აღარ იწვევდა, რომ ფედერაციის პრეზიდენტს, მოახლოებული არჩევნების შედეგად, კვლავ დაეკისრებოდა იმ მოვალეობის შესრულება, რომელსაც თავს ასე ბრწყინვალედ ართმევდა.

* * *

შერეული კომისიის პირველი სხდომის შესახებ ყველაფრის თქმა შეიძლება, გარდა იმისა, რომ მან წარმატებით ჩაიარა. პასუხისმგებლობა, თუ შეიძლება აქ ეს მნიშვნელოვანი სიტყვა გამოვიყენოთ, აკისრია მთავრობაში თავშესაფართა ადმინისტრაციების გაგზავნილ დრამატულ მემორანდუმს, რომელიც ასეთი მუქარანარევი ფრაზით მთავრდებოდა: სჯობს სიკვდილი, ბატონო პრემიერ-მინისტრო, სიკვდილი სჯობს ამ ყოველივეს. როდესაც, ტრადიციისამებრ, შუბლშეკრულ პესიმისტებად და კისკისა ოპტიმისტებად დაყოფილ ფილოსოფოსებს უკვე მეათასედ სურდათ ნახევრად ცარიელი თუ ნახევრად სავსე ჭიქის თაობაზე, ცოტა არ იყოს, მოყირჭებული დისკუსიის განახლება, რაც იმ საკითხთან შედარებით, რომელმაც ისინი ერთად შეყარა, მსჯელობას იმ ღირსებებისა და ნაკლის, უპირატესობებისა და უხერხულობების უბრალო ჩამოთვლად აქცევდა, რაც სიკვდილთან შედარებით აქვს უკვდავებას, სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები გაერთიანდნენ და სცადეს, ამ დისკუსიისთვის სულ სხვა, ერთადერთი მათთვის საინტერესო მიმართულება მიეცათ - კერძოდ, დაემტკიცებინათ, რომ სიკვდილი ღვთის მეუფების საფუძველია და ამიტომ ყველა დავა უსიკვდილო

მომავლის შესახებ უფრო აბსურდულია, ვიდრე მკრეხელური, რადგან თუ მთლად ღმერთის გაქრობას არა, მის არყოფნას მაინც გულისხმობს. არაფერია ახალი: კარდინალმა უკვე მიუთითა, სად იყო ძაღლის თავი დამარხული, თითით აჩვენა წრის კვადრატურის ეს თეოლოგიური ნაირსახეობა, როდესაცპრემიერ-მინისტრს, არცთუ გასაგებად, მაგრამ მაინც მოახსენა, რომ სიკვდილის გარეშე არც აღდგომა იქნება, აღდგომის გარეშე კი ეკლესიის არსებობა აზრს კარგავს. თუ არ არსებობს სიკვდილი - ის ერთადერთი იარაღი, რომელიც ღმერთმა ადამიანებს მისი სამეფოსკენ მიმავალი გზის გასაკვალად მისცა - მაშინ უდავოდ უნდა დავასკვნათ: მთელი საღმრთო ისტორია ჩიხში შედის. ეს არგუმენტი ფილოსოფოს-პესიმისტების ყველაზე მოხუცი წარმომადგენლის პირიდან გაისმა, რომელიც ამას არ დასჯერდა, კიდევ უფრო შორს წავიდა და მთელი ტირადა წარმოთქვა: ყველა რელიგია, რომელი მხრიდანაც უნდა მივუდგეთ, თავის არსებობას ერთი რამით ამართლებს - სიკვდილით, ვინაიდან ის არანაკლებ სჭირდება, ვიდრე პური არსობისა. რელიგიური სფეროს წარმომადგენლებს პროტესტი არ გამოუთქვამთ. პირიქით, ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც კათოლიკურ სექტორში შედიოდა, თქვა: სავსებით მართალი ბრძანდებით, ჩვენ მხოლოდ იმისთვის ვარსებობთ, რომ ადამიანებმა შიშის მძიმე ტვირთი, როგორც წისქვილის ქვა, მთელი სიცოცხლე ზურგით ატარონ და სიკვდილის ჟამს აღსასრული გათავისუფლებად აღიქვან, სამოთხეში მოხვედრის იმედი გაუჩნდეთ; სამოთხეში, ჯოჯოხეთში, ან სულაც არსად, და უნდა ითქვას, რომ სიკვდილის შემდგომი ცხოვრება იმაზე ნაკლებად გვადარდებს, ვიდრე საზოგადოებას ჰგონია: რელიგია, ბატონო ფილოსოფოსო, ამქვეყნიური საქმეებითაა დაკავებული და ზეცასთან

არაფერი ესაქმება. ასეთი რამ ჯერ არ გამიგონია. აბა, რაღაც ხომ უნდა თქვა, რომ საქონელი გაასაღო. სხვა სიტყვებით, თქვენ იმქვეყნიური ცხოვრების არ გჯერათ. ჩვენ მას ვითვალისწინებთ. უხუცესი ფილოსოფოსი დაელოდა, ვიდრე სახეზე გაურკვეველი ღიმილი გადაეფინებოდა, როგორიც რთული ლაბორატორიული ცდის წარმატებით დასრულებისას გადაეფინებათ ხოლმე. მაგრამ, თუ ასეა, ჩაერია ოპტიმისტური ფრთის წარმომადგენელი ფილოსოფოსი, მაშინ სიკვდილის გაქრობა ასე რატომ გაშფოთებთ. და ვინ თქვა, რომ ის გაქრა, მან, უბრალოდ, ადამიანების ხოცვა შეწყვიტა, ეს სხვადასხვა რამაა. გეთანხმებით, მაგრამ რადგან ეს ეჭვი ჯერ არ გაქარწყლებულა, ჩემი კითხვის პასუხს ველი. ადამიანები რომ არ იხოცებოდნენ, ყველაფერი ნებადართული იქნებოდა. ეს ცუდია, დაინტერესდა მოხუცი ფილოსოფოსი. როდესაც ყველაფერი ნებადართულია, ისევე ცუდია, როგორც ის, როდესაც არაფერია ნებადართული. ამ დროს ყველა გაჩუმდა. მაგიდის გარშემო მსხდარ რვა მამაკაცს დავალებული ჰქონდა, ემსჯელათ იმის შესახებ, რას უქადის კაცობრიობას უსიკვდილო მომავალი და არსებული მონაცემების საფუძველზე გაეანალიზებინათ ახალი პრობლემები, რომელთაც კაცობრიობა შეეჯახებოდა. ზედმეტია იმის თქმა, რომ უეჭველად გამწვავდებოდა ყველა ძველი პრობლემაც. უკეთესი იქნება, თუ ზომებს საერთოდ არ მივიღებთ, წარმოთქვა ფილოსოფოსმა-ოპტიმისტმა, მომავალი პრობლემები, დაე, მომავალმა გადაჭრას. უბედურება ის არის, პასუხობდა პესიმისტი, რომ ისინი, მართალია, მომავალი პრობლემებია, მაგრამ უკვე თავს დაგვატყდა, სხვებთან ერთად ჩვენ აქ გვაქვს მთავრობის სახელზე დაწერილი მიმართვები, რომლებიც თავშესაფრების, საავადმყოფოების, დამკრძალავი

ბიუროებისა და სადაზღვევო კომპანიების ხელმძღვანელებმა შეადგინეს და, თუ ამ უკანასკნელთ არ ჩავთვლით, რომლებიც ყველაფერში ხეირს ნახულობენ, უნდა ვაღიაროთ, რომ პერსპექტივა არა მარტო შავბნელია, არამედ კატასტროფული და შემაძრწუნებელიც და ყველაზე ავადმყოფურ ფანტაზიასაც კი აჭარბებს. ჩემს სიტყვებს ირონიად ნუ მიიღებთ, რომელიც მოცემულ ვითარებაში ცუდი გემოვნების ნიშანი იქნებოდა, აზრი გამოთქვა პროტესტანტების წარმომადგენელმა, მაგრამ ჩვენი კომისია მკვდრადშობილად უნდა მივიჩნიოთ. თავშესაფარ „უშფოთველი დაისის“ ადმინისტრაცია მართალია, ჩაილაპარაკა კათოლიკემ, სიკვდილი სჯობს ყოველივე ამას. კომისიის დაუყოვნებლივ დათხოვნის გარდა, რაც, როგორც ჩანს, თქვენი სანუკვარი სურვილია, არის სხვა წინადადებები, დაინტერესდა ფილოსოფოსი-ოპტიმისტი. ჩვენ, რომის კათოლიკური, სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები, საერთო ეროვნულ კამპანიას გავაჩაღებთ და მორწმუნეებს მოვუწოდებთ ილოცონ, რომ ღმერთმა უმოკლეს ხანში მოწყალება მოიღოს და სიკვდილი დააბრუნოს, რათა ბედკრული კაცობრიობა ასცდეს უმწარეს ხვედრს. რა, ღმერთს აქვს სიკვდილზე ძალაუფლება, იკითხა რომელიღაც ოპტიმისტმა. ეს ხომ ერთი მედლის ორი მხარეა - ავერსი და რევერსი. თუ ასეა, მაშინ იქნებ სიკვდილმა ღვთის ნებით მიგვატოვა. ამ გამოცდის აზრი ჩვენთვის თავის დროზე გახდება ნათელი, მანამდე კი კრიალოსანს მოვკიდოთ ხელი. ჩვენც ვილოცებთ, თუმცა, რა თქმა უნდა, კრიალოსნის გარეშე, გაიღიმა პროტესტანტმა. ჩვენ მორწმუნეთა მსვლელობასაც მოვაწყობთ, იმათ მსგავსად, ad petendem pluviam რომ დადიან, წვიმის გარდამოვლენის ლოცვებით, გადათარგმნა კათოლიკემ. ჩვენ აქამდე ჯერ არ მივსულვართ, ისევ

გაიღიმა პროტესტანტმა, ამ მსვლელობებითა და პროცესიებით არასოდეს ვყოფილვართ გატაცებული. მაშინ, იკითხა ფილოსოფოსმა-ოპტიმისტმა ისეთი ტონით, რომელიც მოწმობდა, რომ უახლოეს მომავალში მოწინააღმდეგის ბანაკში აპირებდა გადაბარგებას, ახლა რა ვქნათ, როდესაც ჩვენ წინ ლამის ყველა კარი დაიხურა. დავიწყოთ იმით, რომ სხდომა გავაგრძელოთ, გამოეხმაურა მისი ღრმად მოხუცებული კოლეგა-პესიმისტი. მერე. მერე ისევ ვიფილოსოფოსოთ, თუ მაინც ამისთვის გავჩნდით ქვეყანაზე. რისთვის. აი, ეგ აღარ ვიცი. მაშ, რატომ. იმიტომ, რომ ფილოსოფიას სიკვდილიც ისევე სჭირდება, როგორც რელიგია. ჩვენც ვფილოსოფოსობთ, რადგან ვიცით, რომ დავიხოცებით - ტყუილად კი არ წამოსცდა მესიე დე მონტენს, რომ ფილოსოფოსობა ნიშნავს, ისწავლო გარდაცვალება.

მაგრამ ზოგიერთმა, ვინც ფილოსოფოსი არ იყო - ყოველ შემთხვევაში, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით - სიკვდილამდე მისასვლელი გზის პოვნა მაინც შეძლო. და რაც უნდა უცნაური იყოს, არა იმისთვის, რომ თავად ესწავლა გარდაცვალება, ვინაიდან ჯერ მისი დრო არ მოსულა, არამედ იმისთვის, რომ სიკვდილი მოეტყუებინა და სხვების წაყვანაში დახმარებოდა. სულ მალე დადასტურდა, რომ ადამიანის მოდგმას გამომგონებლობის უშრეტი ნიჭი აქვს.საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრზე განლაგებულ რომელიღაც სოფელში გლეხის ოჯახი ცხოვრობდა, სადაც, როგორც ჩანს, მათი ცოდვების გამო, არა ერთი, არამედ ორი წევრი იყო სიკვდილის პირას ან, როგორც ახლა ამბობდნენ - გადადებული სიკვდილის მდგომარეობაში. ერთ-ერთი მათგანი ბაბუა გახლდათ - ძველი ყაიდის კაცი, უდრეკი პატრიარქი, რომელიც ავადმყოფობამ სრულ არარაობად, ძველმანად აქცია,

მხოლოდ ლაპარაკის უნარი არ წაურთმევია; მეორე კი რამდენიმე თვის ბავშვი, რომელმაც ჯერ სიტყვები „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“ არც კი იცოდა და რომელსაც ნამდვილმა სიკვდილმა მათი სწავლის შესაძლებლობა წაართვა. ორივე არც ცოცხალი იყო და არც მკვდარი. სოფლის ექიმი, რომელიც მათთან კვირაში ერთხელ მიდიოდა, ამბობდა: მათ უკვე ვეღარც მოვარჩენთ და ვეღარც ვერაფერს ვავნებთო, ვერც იმ სასიკვდილო წამალს გავუკეთებთ, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ ასეთი პრობლემების გადაწყვეტას ხელს უწყობდაო, და ექიმის ერთადერთი მცდელობაც, ისინი ერთი ნაბიჯით მაინც მიეახლოებინა სიკვდილის სავარაუდო ადგილისთვის, ამაო აღმოჩნდებოდა, ვინაიდან სიკვდილი მაინც მიუწვდომელი დარჩებოდა, იმავე წამს ნაბიჯს უკან გადადგამდა და ამით დისტანციას შეინარჩუნებდა. ოჯახმა მღვდელი მოიყვანა, იმან მოუსმინა, თვალები აღაპყრო და უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, გარდა იმისა, რომ ეთქვა: ჩვენი ბედი ღვთის ხელშია და ღვთის გულმოწყალება უსაზღვროაო. რა თქმა უნდა, უსაზღვროა, მაგრამ არასაკმარისი იმისთვის, რომ ჩვენს ბაბუს - მშვიდად მიცვალებაში, ხოლო ჩვილს, რომელსაც არავისთვის არაფერი დაუშავებია, გადარჩენაში დაეხმაროს. მათ ამ გაურკვეველ ვითარებაში – არც აქეთ და არც იქით - გადარჩენის ყოველგვარი შანსი და იმედი გადაწურული ჰქონდათ, როდესაც მოულოდნელად მოხუცმა თქვა: ვინმე მოდით ჩემთან. წყალი გინდათ, ჰკითხა გათხოვილმა ქალიშვილმა. წყალი კი არა, სიკვდილი. თქვენც ხომ იცით, ექიმმა თქვა, რომ ეს შეუძლებელია, სიკვდილი აღარ არსებობს. არაფერი არ იცის თქვენმა ექიმმა, მას შემდეგ, რაც სამყარო სამყაროდ იქცა, სიკვდილისთვის დრო და ადგილი ყოველთვის მოიძებნება. ახლა კი არ არის. არ არის კი არა, არის. მამა, ნუ

ნერვიულობთ, თორემ სიცხე აგიწევთ. არანაირი სიცხე არ მაქვს და რომც მქონდეს, არაფერი შეიცვლებოდა, ყურადღებით მომისმინე. გისმენთ. ახლოს მოდი, მეშინია ხმამ არ მიმტყუნოს. ილაპარაკეთ. და მოხუცმა მას ყურში რამდენიმე სიტყვა უთხრა. ქალმა თავი გააქნია, მაგრამ მოხუცი თავის აზრზე მტკიცედ იდგა. ეს არაფერს შეცვლის, ჩაილაპარაკა განცვიფრებულმა და შიშისგან გაფითრებულმა შვილმა. შეცვლის. და თუ არა. ცდა ბედის მონახევრეაო. და თუ მაინც არა. მაშინ ისევ აქ დამაბრუნეთ. ბიჭი. ბიჭს თან წავიყვან. თუ იქ დავრჩი, ისიც ჩემთან ერთად იქნება. ქალი დაფიქრდა, სახეზე დაბნეულობა გამოესახა, ბოლოს კი იკითხა: და რატომ აქ არა. წარმოიდგინე, რა მოხდება, როდესაც მხარეში, სადაც ვერავინ, როგორც უნდა ეცადოს, ვერ კვდება, უცებ ორი მიცვალებული გამოჩნდება. ამას როგორ ახსნი. ესეც არ იყოს, საქმეს ისეთი პირი უჩანს, ეჭვი მეპარება, სიკვდილმა დაბრუნების უფლება მოგვცეს. ეს სიგიჟეა, მამა. შეიძლება სიგიჟეა, მაგრამ სხვა გზას ვერ ვხედავ. ჩვენ გვინდა, რომ თქვენ იცოცხლოთ. ვიცოცხლო, მაგრამ არა ასე, როგორც ახლა, როდესაც ვერ გამიგია, ცოცხალი მკვდარი ვარ, თუ მკვდარი ცოცხალი. თუ თქვენი ნება მართლაც ასეთია, მაშინ ჩვენ მას აღვასრულებთ. მაკოცე. შვილი ტუჩებით მის შუბლს შეეხო, ატირდა, ოთახიდან გავიდა და სხვა ნათესავებს ტირილით უთხრა, რომ მამამ ამაღამვე საზღვრის მეორე მხარეს გადაყვანა ითხოვა, სადაც, მისი წარმოდგენით, სიკვდილს ჯერ ძალა არ დაუკარგავს, ხოლო მათ ისღა დარჩენიათ, სურვილი შეუსრულონ.

ახალ ამბავს ოჯახი სიამაყითა და მორჩილებით შეხვდა: სიამაყით იმიტომ, რომ ყოველდღე ვერ ნახავ, მოხუცი საკუთარი ფეხით მიდიოდეს სიკვდილისკენ, რომელიც მას გაურბის, ხოლო მორჩილებით იმიტომ, რომ იგი მაინც

მხოლოდ ლაპარაკის უნარი არ წაურთმევია; მეორე კი რამდენიმე თვის ბავშვი, რომელმაც ჯერ სიტყვები „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“ არც კი იცოდა და რომელსაც ნამდვილმა სიკვდილმა მათი სწავლის შესაძლებლობა წაართვა. ორივე არც ცოცხალი იყო და არც მკვდარი. სოფლის ექიმი, რომელიც მათთან კვირაში ერთხელ მიდიოდა, ამბობდა: მათ უკვე ვეღარც მოვარჩენთ და ვეღარც ვერაფერს ვავნებთო, ვერც იმ სასიკვდილო წამალს გავუკეთებთ, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ ასეთი პრობლემების გადაწყვეტას ხელს უწყობდაო, და ექიმის ერთადერთი მცდელობაც, ისინი ერთი ნაბიჯით მაინც მიეახლოებინა სიკვდილის სავარაუდო ადგილისთვის, ამაო აღმოჩნდებოდა, ვინაიდან სიკვდილი მაინც მიუწვდომელი დარჩებოდა, იმავე წამს ნაბიჯს უკან გადადგამდა და ამით დისტანციას შეინარჩუნებდა. ოჯახმა მღვდელი მოიყვანა, იმან მოუსმინა, თვალები აღაპყრო და უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, გარდა იმისა, რომ ეთქვა: ჩვენი ბედი ღვთის ხელშია და ღვთის გულმოწყალება უსაზღვროაო. რა თქმა უნდა, უსაზღვროა, მაგრამ არასაკმარისი იმისთვის, რომ ჩვენს ბაბუს - მშვიდად მიცვალებაში, ხოლო ჩვილს, რომელსაც არავისთვის არაფერი დაუშავებია, გადარჩენაში დაეხმაროს. მათ ამ გაურკვეველ ვითარებაში – არც აქეთ და არც იქით - გადარჩენის ყოველგვარი შანსი და იმედი გადაწურული ჰქონდათ, როდესაც მოულოდნელად მოხუცმა თქვა: ვინმე მოდით ჩემთან. წყალი გინდათ, ჰკითხა გათხოვილმა ქალიშვილმა. წყალი კი არა, სიკვდილი. თქვენც ხომ იცით, ექიმმა თქვა, რომ ეს შეუძლებელია, სიკვდილი აღარ არსებობს. არაფერი არ იცის თქვენმა ექიმმა, მას შემდეგ, რაც სამყარო სამყაროდ იქცა, სიკვდილისთვის დრო და ადგილი ყოველთვის მოიძებნება. ახლა კი არ არის. არ არის კი არა, არის. მამა, ნუ

ნერვიულობთ, თორემ სიცხე აგიწევთ. არანაირი სიცხე არ მაქვს და რომც მქონდეს, არაფერი შეიცვლებოდა, ყურადღებით მომისმინე. გისმენთ. ახლოს მოდი, მეშინია ხმამ არ მიმტყუნოს. ილაპარაკეთ. და მოხუცმა მას ყურში რამდენიმე სიტყვა უთხრა. ქალმა თავი გააქნია, მაგრამ მოხუცი თავის აზრზე მტკიცედ იდგა. ეს არაფერს შეცვლის, ჩაილაპარაკა განცვიფრებულმა და შიშისგან გაფითრებულმა შვილმა. შეცვლის. და თუ არა. ცდა ბედის მონახევრეაო. და თუ მაინც არა. მაშინ ისევ აქ დამაბრუნეთ. ბიჭი. ბიჭს თან წავიყვან. თუ იქ დავრჩი, ისიც ჩემთან ერთად იქნება. ქალი დაფიქრდა, სახეზე დაბნეულობა გამოესახა, ბოლოს კი იკითხა: და რატომ აქ არა. წარმოიდგინე, რა მოხდება, როდესაც მხარეში, სადაც ვერავინ, როგორც უნდა ეცადოს, ვერ კვდება, უცებ ორი მიცვალებული გამოჩნდება. ამას როგორ ახსნი. ესეც არ იყოს, საქმეს ისეთი პირი უჩანს, ეჭვი მეპარება, სიკვდილმა დაბრუნების უფლება მოგვცეს. ეს სიგიჟეა, მამა. შეიძლება სიგიჟეა, მაგრამ სხვა გზას ვერ ვხედავ. ჩვენ გვინდა, რომ თქვენ იცოცხლოთ. ვიცოცხლო, მაგრამ არა ასე, როგორც ახლა, როდესაც ვერ გამიგია, ცოცხალი მკვდარი ვარ, თუ მკვდარი ცოცხალი. თუ თქვენი ნება მართლაც ასეთია, მაშინ ჩვენ მას აღვასრულებთ. მაკოცე. შვილი ტუჩებით მის შუბლს შეეხო, ატირდა, ოთახიდან გავიდა და სხვა ნათესავებს ტირილით უთხრა, რომ მამამ ამაღამვე საზღვრის მეორე მხარეს გადაყვანა ითხოვა, სადაც, მისი წარმოდგენით, სიკვდილს ჯერ ძალა არ დაუკარგავს, ხოლო მათ ისღა დარჩენიათ, სურვილი შეუსრულონ.

ახალ ამბავს ოჯახი სიამაყითა და მორჩილებით შეხვდა: სიამაყით იმიტომ, რომ ყოველდღე ვერ ნახავ, მოხუცი საკუთარი ფეხით მიდიოდეს სიკვდილისკენ, რომელიც მას გაურბის, ხოლო მორჩილებით იმიტომ, რომ იგი მაინც

განწირული იყო. რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანს ყველაფერი ვერ ექნება, მამაცი მოხუცი ამქვეყნად მხოლოდ ღარიბ და პატიოსან ოჯახს დატოვებს, რომელიც მის ხსოვნას უდავოდ სათუთად შეინახავს. ოჯახი კი არც მარტო მოხუცისა და იმ ქალიშვილისგან შედგებოდა, რომელიც ატირებული გამოვიდა ოთახიდან, და არც მხოლოდ ჩვილისგან, რომელმაც ვერავისთვის მოასწრო ზიანის მიყენება - იყო კიდევ ერთი ქალიშვილი ქმრით და სამი, საბედნიეროდ, ძალიან ჯანმრთელი ბავშვით და მათი გაუთხოვარიდეიდა, რომელსაც გათხოვების დრო, დიდი ხანია, გამოეპარა. მეორე სიძე, ანუ იმ ქალის ქმარი, ვინც ატირებული გამოვიდა, შორეულ ქვეყანაში ცხოვრობდა, სადაც სამუშაოდ გაემგზავრა და სადაც ხვალ შეიტყობდა, რომ ერთადერთი ვაჟი და სიმამრი, რომელსაც დიდ პატივს სცემდა, დაკარგა. ცხოვრება ასეა მოწყობილი: ცალი ხელით მოგცემს, მეორე ხელით კი, თავის დროზე, ყველაფერს წაგართმევს. თუმცა რომელიღაც გლეხის ოჯახის ნათესაური კავშირები ჩვენი ამბისთვის არც ისე მნიშვნელოვანია და, სავარაუდოდ, ეს თემა აქ აღარც შეგვხვდება. ჩვენ ეს ყველაზე უკეთ ვიცით, თუმცა მიგვაჩნია, რომ თუნდაც თხრობის ტექნიკის თვალსაზრისით მართებული არ იქნება, იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ამ ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ეპიზოდის - დაუჯერებლის, მაგრამ ნამდვილის - გმირებად უნდა იქცნენ, მხოლოდ ორიოდე სიტყვა და რამდენიმე სტრიქონი ვთქვათ. დაე, იყვნენ. ჰო, დამავიწყდა მეთქვა, რომ გაუთხოვარმა დეიდამ ეჭვის გამოთქმა მოასწრო: მეზობლები რას იტყვიან, იკითხა მან, როდესაც დაინახავენ, რომ აქ აღარ არიან ისინი, ვინც სიკვდილის პირას იყვნენ და ვერაფრით კვდებოდნენ. საერთოდ, გაუთხოვარ დეიდას ქარაგმებით ლაპარაკი არ სჩვეოდა, და თუ ახლა

ალაპარაკდა, მხოლოდ იმიტომ, რომ არ აღრიალებულიყო, როდესაც წარმოთქვამდა ბავშვის სახელს, რომელმაც ზიანის მიყენება ჯერ ვერავისთვის მოასწრო და წარმოთქვამდა სიტყვას „მამაჩემი". პასუხი მას სამი შვილის მამამ გასცა: უბრალოდ, ვიტყვით იმას, რაც მოხდა და შედეგს დაველოდებით. ეჭვი არ არის, ბრალად დაგვდებენ, რომ ისინი ხელისუფლების მალულად, საიდუმლოდ, სასაფლაოს გარეთ დავასაფლავეთ, თან - სხვა ქვეყანაში. ღმერთმა ქნას, ამის გამო ომი არ დაიწყოს, უპასუხა დეიდამ. შუაღამემდე ცოტა ხნით ადრე ისინი საზღვრისკენ გაემართნენ. სოფელი თითქოს ეჭვობდა, რომ უცნაური ამბები უნდა მომხდარიყო და ჩვეულებრივზე გვიან დამშვიდდა. აი, მიყუჩდა ქუჩები, ფანჯრებში ერთიმეორის მიყოლებით ჩაქრა სინათლე. შეაბეს ჯორი, მოხუცი, მიუხედავად იმისა, რომ ქარივით მსუბუქი იყო, დიდი გაჭირვებით გამოიყვანეს და ორთვალაზე დააწვინეს. როდესაც ძლივსგასაგონი ხმით იკითხა, წერაქვი და ნიჩაბი ხომ არ დაგავიწყდათო, დააწყნარეს: ნურაფერზე ინერვიულებთ, მამა. შემდეგ დედამ აკვნიდან ბავშვი ამოიყვანა, მკერდზე მიიკრა და ჩასჩურჩულა: მშვიდობით, შვილო, ერთმანეთს ველარ ვნახავთ, რაც მართალი არ იყო, ვინაიდან იგი დასა და დის ქმართან, ანუ სიძესთან ერთად თავადაც აპირებდა გამგზავრებას: იმ საქმისთვის, რაც მათ ელოდათ, სამი კაცი ბევრი სულაც არ იყო. გაუთხოვარმა დეიდამ არ მოისურვა მათთან გამოთხოვება, ვინც სახლს სამუდამოდ ტოვებდა და თავის მცირეწლოვან დისშვილებთან ერთად ოთახში ჩაიკეტა. იმის შიშით, რომ რკინის ბორბლებს სოფლის ოღროჩოღრო გზებზე არ ერახრახა, რაც თანასოფლელებს ფანჯრებზე ააწებებდა, რათა გაეგოთ, ამ შუაღამისას მათი მეზობლები სად მიდიოდნენ, მგზავრებმა სოფელს შემოუარეს და შარაგზაზე

უკვე სოფლის გადაღმა გავიდნენ. სასაზღვრო ზოლი არც ისე შორს იყო, მაგრამ იქით გზა არ მიდიოდა, ამიტომ ცოტა ხნის შემდეგ ისევ ვიწრო ბილიკზე გადასვლა მოუხდათ, სადაც ორთვალა გაჭირვებით მოძრაობდა, გზის ბოლო ნაწილის გავლა კი სულაც ფეხით მოუწევდათ და როგორ უნდა წაეყვანათ მოხუცი, ღმერთმა იცოდა. საბედნიეროდ, სიძე აქაურ ტყეებს კარგად იცნობდა - სანადირო თოფით ხელში ფეხით ჰქონდა შემოვლილი და ხანდახან კონტრაბანდითაც ერთობოდა. ორი საათი მოუნდნენ იმ ადგილამდე მისვლას, სადაც ორთვალა უნდა დაეტოვებინათ, ხოლო როდესაც მიაღწიეს, სიძეს აზრად მოუვიდა, მოხუცი ჯორზე შეესვათ და პირუტყვის ძლიერი მუხლის იმედად ყოფილიყვნენ. ჯორი გამოხსნეს, ზედმეტი აღკაზმულობისაგან გაათავისუფლეს და წარმოუდგენელი ძალისხმევით სცადეს მასზე მოხუცის შესმა. ქალები მოთქვამდნენ და ცრემლებთან ერთად ჯერ კიდევ შერჩენილი ძალაც ეცლებოდათ. უბედური მოხუცი ნახევრად გულწასული იყო, თითქოს სიკვდილის ზღურბლს ცალი ფეხით უკვე გადააბიჯაო. არ გამოდის, სინანულით წამოიძახა სიძემ და უცებ გონება გაუნათდა: ჯერ თავად შეჯდებოდა ჯორზე, შემდეგ კი სიმამრს აიყვანდა და წინ დაისვამდა: ხელებს შემოვხვევ და დავიჭერ. ამასობაში ახალგაზრდა დედა საზიდართან მივიდა, უნდოდა, ჩვილისთვის საბანი კარგად შემოეკეცა, რომ ქარს არ დაებერა, შემდეგ დაბრუნდა და დას მიეხმარა. ბევრს ეცადნენ, მაგრამ არაფერი გამოვიდა: მოხუცი თითქოს ტყვიისგან იყო ჩამოსხმული, მხოლოდ მისი მიწიდან ოდნავ აწევა შეძლეს. და აქ მოხდა რაღაც გაუგონარი და ზებუნებრივი, უბრალო ენით თუ ვიტყვით - სასწაული: თითქოს დედამიწის მიზიდულობის ძალამ მოქმედება შეწყვიტა, ან ვექტორი შეცვალა და ქვევიდან ზევით

მიმართა - მოხუცის სხეული ქალიშვილების ხელებისგან გათავისუფლდა, ჰაერში თავისით აიწია და სიძის გამოწვდილ ხელებზე დაეშვა, ხოლო ცა, რომელიც საღამოდან მოყოლებული, შავი, მძიმე ღრუბლებით იყო დაფარული და წვიმით იმუქრებოდა, უცებ მოიწმინდა და მთვარემ გამოანათა. შეგვიძლია გზა გავაგრძელოთ, უთხრა სიძემ ცოლს, ჯორს შენ გაუძღვები. დედამ საბანს კუთხე გადაუწია, რათა ბავშვისთვის დაეხედა. დახუჭული თვალები ორ მკრთალ ლაქას ჰგავდა, სახის ნაკვთები გადღაბნილიყო. ქალმა ისე შეჰკივლა, რომ კივილმა ირგვლივ ყველაფერი მოიცვა და ბუნაგებში ცხოველები შეაკრთო: არა, არ შემიძლია, მას იქითა მხარეს იმისთვის ვერ წავიყვან, რომ საკუთარი ხელით ჩავაბარო სიკვდილს, მამა წაიყვანეთ, მე აქ დავრჩები. მასთან და მივიდა და უთხრა: გინდა, წლობით უყურო, როგორ იტანჯება. შენ სამივე ჯანმრთელი გყავს და შენთვის იოლია ლაპარაკი. შენი შვილი ჩემი შვილია. თუ ასეა, მაშინ შენ წაიყვანე, მე არ შემიძლია. შენ არ შეგიძლია, მე კი ეს არ უნდა გავაკეთო, ეს მკვლელობის ტოლფასია. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ წაიყვანს. სიკვდილისთვის მიბარება და მოკვლა ერთი და იგივე არ არის, ყოველ შემთხვევაში, ასეთ ვითარებაში, შენ ხარ მისი დედა და არა მე. განა შენ შეძლებდი რომელიმე შვილის ან სამივეს წაყვანას. ალბათ, შევძლებდი, მაგრამ თავს ვერ დავდებ. ესე იგი, მართალი ვყოფილვარ. თუ ასეა, აქ დაგველოდე, ჩვენ მოხუცს წავიყვანთ. ქალი ჯორთან მივიდა, აღვირში მოჰკიდა ხელი და ქმარს უთხრა: წავედით. წავედით, გამოეხმაურა ისიც, ოღონდ ნელ-ნელა, თორემ გადმოვარდება. ცაზე სავსე მთვარე ბრწყინავდა. სადღაც წინ სასაზღვრო ზოლი გადიოდა - ხაზი, რომელიც მხოლოდ რუკაზე ჩანს. როგორ გავიგებთ, იკითხა ცოლმა. მამა გაგვაგებინებს, იყო პასუხი. ქალი მიხვდა და

აღარაფერი უკითხავს. კიდევ ასი მეტრი გაიარეს, კიდევ ათი ნაბიჯი და მოულოდნელად ქმარმა თქვა: მოვედით. დამთავრდა. კი. და უკნიდან ვიღაცის ხმამ გაიმეორა: დამთავრდა. დედამ მარცხენა ხელზე მკვდარი ბავშვი უკანასკნელად გადაიწვინა, მარჯვენით კი მხარზე სიძისა და დის დავიწყებული ნიჩაბი და წერაქვი შეიგდო. კიდევ ცოტა გავიაროთ, აი, იმ განაკაფ ადგილამდე, თქვა სიძემ. მოშორებით, ფერდობზე, განათებული სოფელი მოჩანდა. იმის მიხედვით, როგორ მიაბიჯებდა ჯორი, მიხვდნენ, რომ ნიადაგი დარბილდა, თხრა ადვილი იქნებოდა. აი, ეს ადგილი მომწონს, თქვა ბოლოს სიძემ, ხეც დგას, იოლად ვიპოვით, როდესაც აქ ყვავილებს მოვიტანთ. დედამ ნიჩაბსა და წერაქვს ხელი გაუშვა და ბავშვი მიწაზე დააწვინა. შემდეგ დებმა, ისე, რომ სიძის ჩამოქვეითებასა და მიხმარებას არ დალოდებიან, მოხუცის ცხედარი ასწიეს და ბავშვის გვერდით დააწვინეს. დედა ქვითინებდა და მონოტონურად იმეორებდა: მამა, შვილო. ატირებული და მოეხვია და უთხრა: ასე ჯობს, დამიჯერე, ჯობს, ეს ხომ სიცოცხლე არ იყო. მერე მუხლებზე დადგნენ და დაიტირეს მიცვალებულები, რომლებმაც სიკვდილის მოტყუება შეძლეს. ნიჩბით შეიარაღებული სიძე უკვე ორმოს თხრიდა, იქიდან მიწას ყრიდა და თხრას განაგრძობდა. რაც უფრო ღრმად ჩადიოდა, ნიადაგი მით უფრო მყარი, მკვრივი და ქვიანი ხდებოდა, ასე რომ, საფლავისთვის საჭირო სიღრმეზე მხოლოდ ნახევარსაათიანი გულმოდგინე მუშაობის შემდეგ ჩავიდა. არც კუბოები იყო და არც სუდარები, გვამებს მიწას იმით მიაბარებდნენ, რაც სიცოცხლეში ეცვათ. ორმა ქალმა და ერთმა კაცმა ძალები გააერთიანა - კაცი დაბლა ჩახტა, ქალები კი ორმოს აქეთ-იქით დადგნენ და მოხუცის სხეული ნელ-ნელა ჩაუშვეს. ქალიშვილებს ის ხელებით ეჭირათ, რომლებიც ისე ჰქონდა

გაშლილი, თითქოს ჯვარზე გაუკრავთო. სიძემ გამოართვა და აი, გვამი უკვე სწორკუთხა საფლავის ფსკერზე იწვა. ქალები შეუჩერებლად ტიროდნენ. სიძეს თვალები მშრალი ჰქონდა, მაგრამ ციებიანივით კანკალებდა. ყველაზე უარესი ჯერ კიდევ წინ იყო. კვნესითა და ცრემლით საფლავში ჩვილიც ჩაუშვეს. ჯერ ბაბუას მიუწვინეს გვერდით, მაგრამ არ მოეწონათ: პატარა, სუსტი სხეული განმარტოებით იწვა, როგორც უპატრონო და უმნიშვნელო. მაშინ მამაკაცი დაიხარა, ბავშვი აიყვანა, მოხუცის მკერდზე პირქვე დააწვინა და ბაბუას ხელები ნამცეცა ზურგზე გადააჯვარედინებინა. ასე უკეთესად გამოვიდა. ახლა ორივე მზად იყო, შეხვედროდა სამუდამო სიმშვიდეს. შეგვიძლია, მიწა მივაყაროთ - ფრთხილად და თანდათანობით, რათა მათ ერთხანს კიდევ შეეძლოთ ჩვენი დანახვა, ჩვენთან გამოთხოვება, ხოლო ჩვენ - მათი ნათქვამის გაგონება: მშვიდობით, შვილებო, მშვიდობით, სიძევ, მშვიდობით, დეიდა, მშვიდობით, დედა. როდესაც დამარხეს, სიძემ მიწა მოასწორა, რათა გვერდით ჩავლისას ვერავინ მიმხვდარიყო, რომ აქ საფლავი იყო. მერე ქვები დააწყო, ერთი - თავთან, მეორე, პატარა - ფეხებთან, და საფლავს ბალახი დააყარა. რამდენიმე დღეში ამ მკვდარი მცენარეების ადგილს ცოცხლები დაიკავებენ. დამჭკნარი და გამხმარი მცენარე იმ მიწას გამოკვებავს, რომელმაც გაზარდა. სიძემ მანძილი საფლავიდან სანიშნე ხემდე ფართო ნაბიჯებით გადაზომა - თორმეტი ნაბიჯი გამოვიდა, მერე ნიჩაბი და წერაქვი მხარზე შეიდო და თქვა: წავედით. მთვარე ღრუბლების უკან დაიმალა, რომლებიც ისევ გადაეფარა ცას და სწორედ მაშინ, როცა ოჯახმა ორთვალაში ჯორი შეაბა, წვიმა წამოვიდა. [P SEP]

* * *[P SEP]

იმ დრამატული ეპიზოდის მონაწილეები, რომელიც ახლახან ცნობისმოყვარე მკითხველს ჩვენთვის უჩვეულოდ, დაწვრილებით მოვუთხრეთ, სცენაზე მათი უეცარი გამოჩენის დროსღარიბ გლეხებად მოვიხსენიეთ. შეცდომა, რაც მთხრობლის ფაქტებით დაუდასტურებელი შთაბეჭდილებიდან, მათი ზედაპირული შესწავლიდან მომდინარეობდა, სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს, რამეთუ სიმართლე ყველაზე ძვირფასია. ღარიბი – ნამდვილად ღარიბი - გლეხის ოჯახს ვერასდროს ექნებოდა ორთვალა და საკმარისი საშუალება იმისთვის, რომ ისეთი ღორმუცელა ცხოველი შეენახა, როგორიც ჯორია. როგორც ჩანს, საუბარი მცირე მიწათმოქმედებს შეეხება, საშუალო შეძლების ადამიანებს, რომლებმაც საშუალო სკოლა მაინც დაამთავრეს, რის წყალობითაც ერთმანეთს უბრალოდ გამართულად კი არ ესაუბრებიან, არამედ მართავენ დიალოგს, რომელსაც აქვს ის, რასაც ზოგი შინაარსს უწოდებს, ზოგი - არსს, ხოლო ზოგი, უფრო წინდახედული - აზრს. სხვაგვარად განა შეძლებდა გაუთხოვარი დეიდა ისეთი ლამაზი ფრაზის აგებას, რომელსაც ზემოთ კომენტარი უკვე გავუკეთეთ: რას იტყვიან მეზობლები, როდესაც ნახავენ, რომ აქ აღარ არიან ისინი, ვინც სიკვდილის პირას იყვნენ და ვერაფრით კვდებოდნენ. მაშ ასე, შეცდომა დროულად გამოვასწორეთ, ჭეშმარიტება დავადგინეთ და ახლა მოვუსმინოთ, რას იტყვიან მეზობლები. სიფრთხილის მიუხედავად, ვიღაცამ ორთვალა მაინც დაინახა და გაოცდა - ამ შუაღამისას ეს სამი ადამიანი ნეტავ სად მიდისო. სწორედ ამ სიტყვებით გამოხატა ფხიზელმა მეზობელმა თავისი გაკვირვება და საკუთარ თავს მიმართა: ნეტავ, ამ შუაღამისას სად მიდიან, - ხოლო დილით მცირედი ცვლილებით იგივე გაიმეორა და ჩვენთვის კარგად ნაცნობი მოხუცის სიძეს ჰკითხა: წუხელ, იმ შუაღამისას, სად მიდიოდით. იმან, ვისაც კითხვა დაუსვეს, უპასუხა, საქმეზე ვიყავითო, თუ რაღაც ამის მსგავსი, მაგრამ მეზობელი ასეთ პასუხს არ დასჯერდა: ორთვალათი, ცოლითა და ცოლისდით შუაღამისას რა საქმეზე შეიძლება მიდიოდეს კაცი, შენი ნებაა, მაგრამ უცნაური კია. უცნაურია, მაგრამ ყველაფერი სწორედ ასე იყო. და საიდანღა დაბრუნდით, როდესაც თენდებოდა. ეს კი შენი საქმე არ არის. მართალი ხარ, მაპატიე, ეს მართლაც არ არის ჩემი საქმე, მაგრამ, ის მაინც ხომ შემიძლია გკითხო, როგორ არის მოხუცი. ისევ ისე. ბავშვი. ისიც ძველებურად. ღმერთმა ქნას, ორივე მომჯობინდეს. გმადლობ. ნახვამდის. მეზობელმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, გაჩერდა და შემობრუნდა: მომეჩვენა, თითქოს ორთვალაზე რაღაცას ტვირთავდით და კიდევ მომეჩვენა, თითქოს შენს ცოლისდას ხელით თავისი პატარა მოჰყავდა, ხოლო თუ არ მომჩვენებია, - და, სავარაუდოდ, ასეცაა, - მაშინ სიმამრის ორთვალაზე რა დადეთ საბანში გახვეული მით უმეტეს, რომ... მით უმეტეს, რომ... მით უმეტეს, რომ ორთვალა უკან ცარიელი დაბრუნდა, შენს ცოლისდას კი ხელში აღარაფერი ეჭირა. როგორც ჩანს, შენ მთელი ღამე თვალი არ მოგიხუჭავს. ფხიზლად მძინავს, ჩქამიც საკმარისია, რომ გამეღვიძოს. გაგეღვიძა, როდესაც მივდიოდით, გაგეღვიძა, როდესაც ვბრუნდებოდით... ამას დამთხვევა ჰქვია. სწორედაც. ესე იგი, გინდა მოგიყვე, როგორც იყო ყველაფერი. სასურველია. მაშინ გამომყევი. შევიდნენ სახლში, მეზობელი სამ ქალს მიესალმა, მერე კი არცთუ გულწრფელად დაამატა: ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის და დაელოდა. შენ ყველაფერს პირველი გაიგებ, ჩაილაპარაკა სიძემ, არც დუმილის ფიცს ჩამოგართმევთ. მხოლოდ ის თქვი, რისი თქმაც გსურს. ჩემი სიმამრი და ბავშვი წუხელ გარდაიცვალნენ: ჩვენ ისინი

საზღვრის მეორე მხარეს გადავიყვანეთ, სადაც სიკვდილს თავის საზრუნავზე ჯერ უარი არ უთქვამს. დახოცეთ, იყვირა მეზობელმა. ასეც შეიძლება ითქვას, რადგან საკუთარი ფეხით იქ ვერ მივიდოდნენ, თუმცა მთლად ასეც არ არის, რადგან ყველაფერი სიმამრის ბრძანებით გაკეთდა, ხოლო რაც შეეხება უბედურ ბავშვს, მას წესიერად არც უცოცხლია. ჩვენ ისინი ევკალიპტის ძირში, ერთმანეთს ჩახუტებულები დავასაფლავეთ. მეზობელმა ხელი თავზე იტაცა: ახლა რა მოხდება. ის, რომ შენ ამ ამბავს ყველას მოსდებ, ჩვენ დაგვიჭერენ და პოლიციაში წაგვიყვანენ, მერე კი, ალბათ, გაგვასამართლებენ იმის გამო, რაც არ ჩაგვიდენია. ჩაიდინეთ, ჩაიდინეთ. საზღვრამდე ერთი ნაბიჯით ადრე ისინი ცოცხლები იყვნენ, საზღვარს გადავაბიჯეთ და გარდაიცვალნენ. მითხარი ერთი, როდის და როგორ დავხოცეთ ჩვენ ისინი. რომ არ წაგეყვანათ, მაშინ... მაშინ ისინი სიკვდილის მოლოდინში იქნებოდნენ, რომელიც აღარ მოდის. სამი ქალი მეზობელს მშვიდად და მდუმარედ მისჩერებოდა. ჯობს, წავიდე, თქვა მან, კი ვფიქრობდი, რომ რაღაც მოხდა, მაგრამ ასეთ რამეს გონებაში ვერც გავივლებდი. შენთან თხოვნა მაქვს, წარმოთქვა სიძემ. რა თხოვნა. პოლიციაში წამიყვანე, მაშინ აღარ მოგიწევს სახლიდან სახლში სიარული და ჩვენი საშინელი ბოროტმოქმედების შესახებ მოთქმა: წარმოიდგინეთ, კეთილო ხალხო, მამის მკვლელები, ბავშვის მკვლელები, დედაო ღვთისა, ჩვენ გვერდით რა ურჩხულებს უცხოვრიათ... ასე მოყოლას არ დავიწყებ. ვიცი, მაგრამ, მაინც - წამიყვან თუ არა. როდის. ახლავე. ხომ იცი, რას ამბობენ: თონე სანამ ცხელიაო და რამე... კარგი, წავიდეთ.

მაგრამ არც სასამართლო გამართულა და არც განაჩენი გამოუტანიათ. სამაგიეროდ, ეს ამბავი მთელ ქვეყანაში

ელვის უსწრაფესად გავრცელდა: გაზეთები და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გმობდნენ ბოროტმოქმედებს, დებს მკვლელებს უწოდებდნენ, ხოლო სიძეს - დანაშაულის იარაღს, მოხუცსა და ბავშვს ისე დასტიროდნენ, თითქოს ისინი მათი საკუთარი ბაბუა და შვილიშვილი ყოფილიყვნენ, და საზოგადოებრივი მორალის ბარომეტრებად ქცეულები უკვე მეათასედ მიუთითებდნენ ზნეობის სავალალო დაცემასა და საუკუნეებით განმტკიცებული ოჯახური ფასეულობების უმაგალითო გათელვაზე, რაც ყველა უბედურების მიზეზი და სათავეა, ხოლო ორი დღის შემდეგ გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ყველა საზღვრისპირა რეგიონში ანალოგიური შემთხვევა მოხდა. აი, უკვე სხვა ორთვალებზე, რომლებშიც სხვა ჯორები იყო შებმული, სხვა სხეულები დააწვინეს, იმ ადგილებისკენ, სადაც უსაფრთხოების ქამრებით მიბმული ან კიდევ საბანში გახვეული და საბარგულში დამალული ტვირთი უნდა ჩამოეტვირთათ, შემოვლით და მიტოვებულ გზებზე ყველა მარკისა და მოდელის ავტომობილი ამოძრავდა, რომლებიც ამ ახალგამომცხვარ გილიოტინასთან, სადაც დანის როლს, მომიტევეთ ასეთი თამამი შედარებისთვის, წვრილი, თვალისთვის უხილავი სასაზღვრო ზოლი ასრულებდა, დაუღალავად ეზიდებოდნენ ახალ-ახალ განწირულებს, ვის მიმართაც აქეთა მხარეს, გაჭირვეულებული სიკვდილის გადაწყვეტილებით, უმაღლესი ზომა სისრულეში არ მოდიოდა. თუმცა ყველა ოჯახს, რომელიც ასე იქცეოდა, ნამდვილად არ შეეძლო, თავის გასამართლებლად ისეთივე საფუძვლიანი, თუმცა მაინც საეჭვო არგუმენტები მოეყვანა, რომლებითაც სარგებლობდნენ ჩვენი ნაცნობი ტანჯული გლეხები, წარმოდგენაც რომ არ ჰქონდათ, რას დაუდეს სათავე საკუთარი საქციელით. ზოგს, ბაბუას ან მამას

მოსაზღვრე ტერიტორიაზე რომ გზავნიდა, სულაც არ უნდოდა, თავის საქციელში რამე დაენახა, გარდა ჩაწოლილი - აი, სწორედ - ტვირთისგან გათავისუფლების უბრალო და ეფექტური, მოდი, პირდაპირ ვთქვათ, რადიკალური საშუალებისა. პრესა, რომელიც ადრე შვილიშვილთან ერთად დამარხული მოხუცის ქალიშვილებსა და სიძეს ამათრახებდა, მერე კი ამ აღაპში გაუთხოვარი დეიდაც შეიყვანა, რომელსაც ხელის შეწყობასა და თანამზრახველობას სდებდა ბრალად, ახლა სისასტიკისა და პატრიოტიზმის არქონის გამო ერთი შეხედვით ძალზე ღირსეულ ადამიანებს კიცხავდა, რომელთაც საერთო-ეროვნული განსაცდელის წუთებში თვალთმაქცობის ნიღაბი ჩამოიხსნეს და სამყაროს თავისი ნამდვილი სახე აჩვენეს. სამი მოსაზღვრე სახელმწიფოს მეთაურებისა და ოპოზიციის ზეწოლით პრემიერ-მინისტრმა დაგმო არაადამიანური საქციელი, ხალხს მოუწოდა, სიცოცხლეს მეტი პატივისცემით მოპყრობოდნენ და განაცხადა, რომ საზღვრის გასწვრივ განლაგებულ შეიარაღებულ ძალებს ნაბრძანები ჰქონდათ, წინ აღდგომოდნენ უკიდურესად მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების მიერ საზღვრის გადალახვის მცდელობას, განურჩევლად იმისა, საკუთარი ნებით დგამდნენ ისინი ამ ნაბიჯს თუ ნათესავები თვითნებობდნენ. პრემიერს, რა თქმა უნდა, სიტყვაც არ უთქვამს იმის შესახებ, რომ სინამდვილეში მთავრობას მოვლენების ასეთი განვითარება ძალიანაც აძლევდა ხელს, რადგან ასეთი გამოსავალი - რა თქმა უნდა, ორაზროვნად ჟღერს - ქვეყნის ინტერესებს შეესაბამებოდა და მომავალში შეამცირებდა დემოგრაფიულ წნევას, რომელიც ბოლო სამი თვის განმავლობაში განუხრელად იზრდებოდა, თუმცა საგანგაშო ნიშნულამდე ჯერ არ მისულიყო. მთავრობის

ხელმძღვანელს სიტყვაც არ დაუძრავს მისი და შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრის შესახებ, რომელზეც გადაწყდა მთელ ქვეყანაში აგენტი-მეთვალყურეების, უფრო გასაგებად - ჯაშუშების - დაგზავნა. მათ დაევალათ ცნობების მიწოდება ყველა იმ ადამიანის საეჭვო გადაადგილების შესახებ, რომლებიც გადადებული სიკვდილის მდგომარეობაში მყოფ პაციენტებს ენათესავებოდნენ. გადაწყვეტილებას იმის შესახებ, ჩარეულიყვნენ თუ არა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ვითარების შესატყვისად მიიღებდნენ, რამეთუ ხელისუფლების ამოცანა სულაც არ ყოფილა ამ, აქამდე არნახული მიგრაციის შეჩერება; მათ მხოლოდ მოსაზღვრე სახელმწიფოების მოთხოვნის დაკმაყოფილება, თუნდაც მათი ნაწილობრივ დაშოშმინება და დიპლომატიური დემარშების დროებით შეწყვეტა სურდათ. ჩვენ აქ იმისთვის კი არ ავურჩევივართ, რომ მათ დაკრულზე ვიცეკვოთ, ენერგიულად წარმოთქვა პრემიერმა. პატარა სოფლებს, დასახლებებს, განცალკევებით გაშენებულ მამულებს ჯერ ვერ მივწვდით, შენიშნა მინისტრმა. მანდ ისე მოიქცნენ, როგორც სურთ, როგორც გონება უკარნახებთ, თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რომ ყველა ადამიანს პოლიციელს ვერ მიუჩენ.

სისტემამ მეტ-ნაკლებად გამართულად ორი კვირა იმუშავა, მერე კი ჯაშუშებმა ჩივილი დაიწყეს და განაცხადეს, რომ მათ ემუქრებოდნენ: თუ წყნარი ცხოვრება გსურთ, ნახევრად მიცვალებულების ტრაფიკზე თვალი დახუჭეთ, თორემ თავად შეუერთდებით მათ რიცხვს, ვისი თვალთვალიც დაგავალესო. ეს რომ ლიტონი სიტყვები არ იყო, მალევე დადასტურდა: ოთხი მეთვალყურე გაქრა, შემდეგ კი უცნობებმა მათ ნათესავებს დაურეკეს და აცნობეს, სად შეიძლებოდა დაკარგულების პოვნა. სადაც მიუთითეს, იქ იპოვეს კიდეც. რა თქმა უნდა, მკვდრები არ

იყვნენ, მაგრამ არც ცოცხლები ეთქმოდათ. რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მინისტრმა გადაწყვიტა, უჩინარი მოწინააღმდეგისთვის საკუთარი ძალა ეჩვენებინა, ამიტომაც პირველ რიგში თვალთვალის გაძლიერება ბრძანა, შემდეგ კი პრემიერის დანერგილი პრაქტიკის - ამის გაყვანა შეიძლება, იმისა - არა, - აღმოფხვრა. პასუხმა არ დააყოვნა: კიდევ ოთხმა ჯაშუშმა გაიზიარა წინამორბედების ბედი, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთი სატელეფონო ზარი გაისმა და ისიც - მინისტრის კაბინეტში, რაც პროვოკაციადაც შეიძლებოდა ჩაგვეთვალა და ზედმიწევნით ლოგიკურ საქციელადაც, რითაცმოწინააღმდეგეს სურდა ეთქვა: ჩვენ ვარსებობთ. მაგრამ მხოლოდ ესეც არ იყო. ჯენტლმენური შეთანხმების შესახებ საუბარს კონსტრუქციული წინადადებაც ახლდა: მინისტრი მეთვალყურეებს ხსნიდა, ხოლო ისინი, ვისი სახელითაც უცნობი და უჩინარი თანამოსაუბრე ლაპარაკობდა, დატანჯულ ხალხს საიდუმლოდ გადაიყვანდნენ საზღვარზე. თქვენ ვინ ბრძანდებით. დაინტერესდა აპარატის თანამშრომელი, რომელმაც ტელეფონს უპასუხა. ჩვენ ვართ დისციპლინისა და წესრიგის მოყვარული ხალხი და საკუთარი საქმის ოსტატები, ადამიანები, რომლებიც ვერ იტანენ უწესრიგობას, არასოდეს გადადიან სიტყვას დაბოლოს, უბრალოდ, პატიოსანი მოქალაქეები. და რა ჰქვია თქვენს ორგანიზაციას. დაინტერესდა ჩინოვნიკი. ზოგი ჩვენ მაფიას გვეძახის, ორი ფ-თი. რატომ ორით. იმიტომ, რომ განვსხვავდებოდეთ კლასიკურისგან, რომელიც ერთით იწერება. სახელმწიფო მაფიასთან საქმეს არ იჭერს. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის ხელმოწერით, ბეჭდით დამოწმება და ნოტარიალურად გაფორმება ხდება - რა თქმა უნდა, არა. არც ისეთ, არც ასეთ და, საერთოდ, არც

ერთ შემთხვევაში. და ვის ველაპარაკები. მე სამდივნოს თანამშრომელი ვარ. აა, ალბათ, ადამიანი, რომელმაც არ იცის, როგორია სინამდვილე. მე ვიცი ჩემი სამსახურებრივი მოვალეობები. მოკლედ, ამას მნიშვნელობა არ აქვს, თქვენ მხოლოდ ჩვენი წინადადების მინისტრამდე მიტანა გევალებათ, თუ, რა თქმა უნდა, მასთან შესვლის უფლება გაქვთ. შესვლის უფლება მე არ მაქვს, მაგრამ ჩვენი საუბრის შესახებ ჩემს უშუალო უფროსობას სასწრაფოდ მოვახსენებ. წინადადების გასააზრებლად ხელისუფლებას ზუსტად ორმოცდარვა საათს ვაძლევთ და არც ერთი წამით მეტს, ამასთან ერთად, ეს თქვენი უფროსობა გააფრთხილეთ, რომ თუ პასუხი ისეთი არ იქნება, როგორიც გვსურს, თქვენს კიდევ რამდენიმე მეთვალყურეს ელის საფრთხე. ყველაფერს გადავცემ. მაშ ასე, ზეგ ამავე დროს დავრეკავ და მიღებულ გადაწყვეტილებას ვიკითხავ. ჩავიწერე. მოხარული ვარ, რომ გაგიცანით. იმავეს ვერ ვიტყოდი. დარწმუნებული ვარ, აზრს შეიცვლით, როდესაც გაიგებთ, რომ თქვენი მეთვალყურეები შინ უვნებლები დაბრუნდნენ და თუ ჯერ კიდევ არ დაგვიწყებიათ ლოცვები, რომლებიც ბავშვობაში გასწავლეს, მაშინ ილოცეთ, რომ სწორედ ასე მოხდეს. გავიგე. ეჭვიც არ მეპარებოდა. კეთილად ბრძანდებოდეთ. ხომ გახსოვთ - ორმოცდარვა საათი და არც ერთი წამით მეტი. თქვენთან მე აღარ ვილაპარაკებ. მე კიდევ დარწმუნებული ვარ, პირიქით იქნება. რატომ. იმიტომ, რომ მინისტრი პირდაპირ ჩემთან საუბარს არ მოინდომებს, გარდა ამისა, თუ საქმე არ გამოვა, თქვენ გაზღვევინებენ და დაიმახსოვრეთ - ჩვენ ჯენტლმენურ შეთანხმებას გთავაზობთ. როგორ არა. ნახვამდის. ნახვამდის. ჩინოვნიკმა მაგნიტოფონიდან კასეტა ამოიღო და უფროსობასთან წავიდა.

ნახევარი საათის შემდეგ კასეტა უკვე მინისტრს ეჭირა

ხელში. მან ის ერთხელ, მეორედ, მესამედ მოისმინა და იკითხა: ეს თქვენი თანამშრომელი სანდო ადამიანია. აქამდე მსუბუქი საყვედურიც არ დაუმსახურებია. იმედი მაქვს, არც მძიმე. არც მსუბუქი, არც მძიმე, უპასუხა უშუალო უფროსმა ისე, რომ ირონიას ვერ მიუხვდა. მინისტრმა კასეტა ამოიღო, იქიდან მაგნიტური ლენტი ამოაძრო, ხვეულა დიდ საფერფლეზე დადო და ანთებული სანთებელა მიუახლოვა. ლენტი დანაოჭდა, დაიკეცა, ატკაცუნდა და რამდენიმე წუთში შავი ფერფლის გროვად იქცა. იმათაც ხომ შეეძლოთ საუბრის ჩაწერა, თქვა უფროსობამ. მაგას არა აქვს მნიშვნელობა, სატელეფონო საუბრის ინსცენირება ყველას შეუძლია, ამისთვის მხოლოდ ორი ხმა და მაგნიტოფონია საჭირო, მთავარია, ორიგინალი გაანადგურო, ესე იგი ყველა ასლიც. არა მგონია, აუცილებელი იყოს იმის თქმა, რომ ზარი კომუტატორის ოპერატორმაც დააფიქსირა. უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს ჩანაწერები გაქრეს. რა თქმა უნდა, ახლა კი ნება მომეცით, წავიდე, თქვენ, ალბათ, უნდა იფიქროთ. არ წახვიდეთ, მე უკვე ყველაფერი მოვიფიქრე. არც არის გასაკვირი, ბატონო მინისტრო, თქვენ ძალიან გამჭრიახი გონება გაქვთ. თქვენი სიტყვები მლიქვნელობა იქნებოდა, წმინდა წყლის სიმართლე რომ არ იყოს: მე მართლაც სწრაფად ვაზროვნებ. ნუთუ მათი წინადადების მიღებას აპირებთ. მე მათ სხვა წინადადებით მივმართავ. ვშიშობ, არ მიიღებენ. მათ ემისარს მტკიცე და მუქარანარევი ტონი ჰქონდა და თქვენც გაიგონეთ, რასაც დაგვპირდა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი პასუხი არ დააკმაყოფილებთ. ჩემო ძვირფასო, ჩვენი პასუხი ისეთი იქნება, რომ დააკმაყოფილებთ. ვერ ვხვდები. ჩემო ძვირფასო, თქვენი უბედურება ის არის - ოღონდ არ გეწყინოთ - რომ მინისტრივით აზროვნება არ შეგიძლიათ. დამნაშავე ვარ და ძალიან ვწუხვარ. ეს დანაშაული არ არის,

უბედურებაა და აქ დასამწუხრებელიც არაფერია: თუ ოდესმე მინისტრის მოვალეობების შესრულებას დაგავალებენ, ამ სავარძელში ჩაჯდომას ვერ მოასწრებთ, რომ თქვენი ტვინი სრულიად განსხვავებულად ამუშავდება. ეს ოცნებები რაში მჭირდება, მე უბრალო ჩინოვნიკი ვარ. ხელს ნუ ჩაიქნევთ. მაშ, ასე... გულისყურით გისმენთ. ზეგ თქვენი ეს თანამშრომელი - რაკი ემისრის სატელეფონო ზარს მან უპასუხა, ჩვენი სახელით მოლაპარაკებები სწორედ მან უნდა წარმართოს და არა სხვამ - ეტყვის, რომ ჩვენ მათი წინადადების განხილვას დავთანხმდით და მაშინვე დაამატებს: საზოგადოებრივი აზრი და ოპოზიცია არაფრის დიდებით არ დაუშვებენ, რომ ათასობით აგენტმა მიზეზების აუხსნელად საქმიანობა შეწყვიტოს... ხოლო მაფფიის ჩარევა ასეთ მიზეზად ვერ დასახელდება. სწორედ ასეა, თუმცა ეს სხვა სიტყვებით უნდა ითქვას. მაპატიეთ, ბატონო მინისტრო, დაუფიქრებლად წამოვროშე. რის შემდეგაც ეს თქვენი თანამშრომელი საპასუხო წინადადებას ან, თუ გნებავთ, ალტერნატიულ ვარიანტს წამოაყენებს: აგენტი მეთვალყურეები თავიანთ ადგილებზე რჩებიან, მაგრამ დეზაქტიურდებიან. დეზაქტიურდებიან. დიახ, ვფიქრობ, ეს კარგი სიტყვაა. უდავოდ, ბატონო მინისტრო, უბრალოდ, გავოცდი. გასაოცარი აქ რა არის, ეს ერთადერთი საშუალებაა, თავი ისე დავიჭიროთ, თითქოს ამ ნაძირლების შანტაჟს არ ვემორჩილებით. სინამდვილეში - დავემორჩილეთ. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფასადის შენარჩუნებაა, ხოლო იმის იქით რა ხდება, ჩვენი საქმე არ არის. ანუ რა. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი აგენტები ცოცხალი მკვდრების გადამყვან რომელიმე ორგანიზებულ ჯგუფს აჩერებენ და ბოროტმოქმედებს აკავებენ, სავსებით გასაგებია, რომ ნათესავებისთვის წარდგენილ ანგარიშში ეს საფრთხე გათვალისწინებული იქნება. არა, იქ არც

ანგარიშებია და არც ქვითრები, მაფფია გადასახადებს არ იხდის. ეს ისე, სიტყვის მასალად ვთქვი, ეს არ არის მთავარი; მთავარია, რომ თუ ჩვენ აგენტების ქსელს არ გავაუქმებთ, მაგრამ უმოქმედოს გავხდით, ყველა მოგებული დარჩება - სახელმწიფო მძიმე ტვირთისგან გათავისუფლდება, აგენტებს მეტად აღარ აწამებენ და დაასახიჩრებენ, ოჯახები, როცა დარწმუნდებიან, რომ მათი ახლობლები სამუდამო განსასვენებელს ჰპოვებენ და ცოცხალი მკვდრები აღარ იქნებიან, შვებით ამოისუნთქავენ, ხოლო მაფფია თავის პროცენტს მიიღებს. ბრწყინვალე გეგმაა, ბატონო მინისტრო. კი, მაგრამ ის მხოლოდ იმ შემთხვევაში იმუშავებს, თუ არავინ არაფერს იტყვის. მართალი ხართ. ალბათ, ჩემო ძვირფასო, თქვენი მინისტრი გაქნილი ცინიკოსი გგონიათ. რას ამბობთ, ბატონო მინისტრო, მე, უბრალოდ, გაოცებული ვარ, რა სწრაფად და რა უზადო ლოგიკით ააგეთ სქემა. გამოცდილება, ჩემო ძვირფასო, გამოცდილება. სასწრაფოდ დაველაპარაკები იმ თანამშრომელს, თქვენს ინსტრუქციებს გადავცემ, დარწმუნებული ვარ, თავს გაართმევს, როგორც უკვე მოგახსენეთ, აქამდე მას უკმაყოფილების საბაბი არ მოუცია. უნდა ვივარაუდოთ, რომ არც ქრთამი აუღია. ჭეშმარიტი სიმართლეა, ბატონო მინისტრო, უპასუხა თანამოსაუბრემ, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, მუღამი დაუჭირა საუფროსო ოხუნჯობას.

ყველაფერმა - უკეთ რომ ვთქვათ, თითქმის ყველაფერმა - ისე ჩაიარა, როგორც მინისტრი ვარაუდობდა. ზუსტად დათქმულ დროს, არც ერთი წუთით ადრე და არც ერთი წუთით გვიან, იმ დანაშაულებრივი გაერთიანების წარმომადგენელმა დარეკა, თავს მაფფიას რომ უწოდებდა, რათა გაეგო, რა ჰქონდა მისთვის სათქმელი შინაგან საქმეთა უწყებას. ჩინოვნიკმა

დაკისრებულ მოვალეობას თავი ბრწყინვალედ გაართვა და დაამტკიცა, რომ ტყუილად არ შეუქიათ - მთავარი სათქმელი მტკიცედ და ნათლად გადასცა: აგენტები ადგილებზე დარჩებიან, მაგრამ მოქმედებას შეწყვეტენ - და პატივი ერგო, ყველა შესაძლოდან საუკეთესო პასუხი მიეღო და უფროსობისთვის გადაეცა: ხელისუფლების ალტერნატიულ წინადადებას ყურადღებით განვიხილავთ, შედეგს კი ოცდაოთხ საათში გაცნობებთ. და აცნობეს კიდეც: ხელისუფლების წინადადებას მივიღებთ, ოღონდ ერთი პირობით: დეზაქტივაციას მხოლოდ ის აგენტები დაექვემდებარებიან, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის ერთგულნი დარჩნენ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი, რომლებიც მაფფიამ ვერ გადაიბირა. მოდი, ვცადოთ, პრობლემას დანაშაულებრივი დაჯგუფების თვალით შევხედოთ. რთული და ხანგრძლივი საერთო-ეროვნული მასშტაბის ოპერაციის წინ, როდესაც საუკეთესო, გამოცდილი კადრები ნათესავების დამუშავებაზე არიან გადასროლილნი, რომლებიც თავადაც არ არიან წინააღმდეგნი, საკუთარი ახლობლებისგან გათავისუფლდნენ, თავად ისინი კი გაათავისუფლონ არა მარტო უაზრო, არამედ დაუსრულებელი ტანჯვისგან, მაფფიისთვის გასაგები გახდა, რომ ძალიან კარგი და, შეძლებისდაგვარად, სასარგებლო იქნება გამოცდილი საშუალებების - მოსყიდვის, დაშინების, შანტაჟის - დახმარებით მთავრობის მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით გადაჭიმული აგენტების უზარმაზარი ქსელის გამოყენება. სწორედ ამ შუა გზაზე დაგდებულ ქვას წამოჰკრა ფეხი შინაგან საქმეთა მინისტრის სტრატეგიამ და სახელმწიფოს და მთავრობის პრესტიჟს დიდი დარტყმა მიაყენა. და ისიც, სცილას და ქარიბდას, გრდემლსა და ურის, ორ ცეცხლს - აბა, კიდევ რა არსებობს, - შორის მოქცეული,

მოულოდნელად წარმოქმნილ გორდიას კვანძზე სათათბიროდ პრემიერთან გავარდა. უარესი ის იყო, რომ საქმე ისე შორს წავიდა, უკან ვეღარ დააბრუნებდი. მართალია, მთავრობის ხელმძღვანელი კოლეგაზე გამოცდილი იყო, მაგრამ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და ბანდიტებს შესთავაზა ახალი გარიგება: შემოეღოთ რაღაც numerus clausus-ის მსგავსი, ანუ კვოტები: მაგალითად, მოქმედი აგენტების ოცდახუთი პროცენტი იმათ მხარეს გადავიდოდა. ჩინოვნიკს სხვა გზა არ ჰქონდა და კიდევ ერთხელ გააცნო მაფფიის უკვე მოთმინებადაკარგულ წევრს შეთანხმების კომპრომისული ვარიანტი, რაზეც, ხან ჩამქრალი, ხან სუსტად მბჟუტავი იმედით გათანგული მინისტრების აზრით, შესაძლებელი იყო, ბოლოს და ბოლოს, შეთანხმებულიყვნენ, თუმცა, რა თქმა უნდა, ხელი არ მოეწერათ, ვინაიდან როდესაც საქმე ჯენტლმენურ შეთანხმებას ეხება, როგორცლექსიკონი ამბობს, პატიოსანი სიტყვაც საკმარისია, რაც ყველა იურიდიულ პროცედურას ცვლის. მაგრამ ასე ფიქრი ნიშნავდა, რომ მათ მაფფიოზების ვერაგ და ცბიერ ბუნებაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. პირველი: მათ პასუხის ზუსტი დრო არ თქვეს, რის გამოც საცოდავი შინაგან საქმეთა მინისტრი შამფურზე აგებულივით წრიალებდა და გადადგომაც კი დააპირა. მეორე: როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ მათ კეთილინებეს და დარეკეს, მხოლოდ ის თქვეს, რომ ჯერ არ გადაუწყვეტიათ, აინტერესებთ მოლაპარაკების ახალი თემა თუ არა, ხოლო შემდეგ, თითქოს სასხვათაშორისოდ, მიანიშნეს, რომ პასუხისმგებლობას არ იღებენ იმ სამწუხარო ფაქტის გამო, რომ კიდევ ოთხი აგენტი სავალალო მდგომარეობაში აღმოაჩინეს; მესამე: რაკი ყველა მოლოდინი, ბოლოს და ბოლოს, სრულდება - კარგად თუ ცუდად, ეს სხვა საკითხია - პასუხიც მოვიდა,

რომელმაც მინისტრამდე იმავე ადამიანების გზით მიაღწია და რომელიც ორ პუნქტად იყოფოდა: ა) იმ აგენტების კვოტამ, რომლებიც მთავრობისთვის აღარ მუშაობენ, არა ოცდახუთი, არამედ ოცდათხუთმეტი პროცენტი უნდა შეადგინოს და ბ) მაფფია ითხოვს, უფლება მიეცეს, როგორც კი საჭიროდ მიიჩნევს, ისე, რომ ხელისუფლების საქმის კურსში ჩაყენება და, მით უმეტეს, თანხმობის თხოვნა აზრადაც არ მოუვიდეს, მათ მხარეს გადასული აგენტები გადაიყვანოს იმ რეგიონებში, სადაც დეზაქტივირებული აგენტები მუშაობდნენ და ისინი ჩაანაცვლოს. ამ ხაფანგიდან თავის დაღწევის გზა არსებობს, ჰკითხა კაბინეტის ხელმძღვანელმა შინაგან საქმეთა მინისტრს. არა მგონია, უპასუხა მან, თუ უარი ვთქვით, ყოველდღე მივიღებთ ოთხ აგენტს, რომლებიც აღარც სამსახურისთვის ივარგებენ და აღარც სიცოცხლისთვის, ხოლო თუ დავთანხმდით, ამ ბრბოზე დამოკიდებული გავხდებით, ღმერთმა იცის, რამდენი ხნით. სამუდამოდ თუ მანამდე, ვიდრე ოჯახები თავიანთი ნახევრად მიცვალებულების თავიდან მოშორებას არ შეწყვეტენ. იცით, ერთი იდეა გამიჩნდა. არა, არ ვიცი და არც ის ვიცი, გამიხარდეს თუ არა. მე მთელი გულით ვცდილობ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მაგრამ თუ გგონიათ, რომ პირიქით, ხელს გიშლით, მითხარით. ყველაფრის ასე გულთან მიტანა არ შეიძლება, გამაცანით თქვენი იდეა. ვვარაუდობ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, რომ საქმე მოთხოვნა-მიწოდების საკითხს უკავშირდება. რას ამბობთ, ჩვენ ხომ საქმე გვაქვს ადამიანებთან, რომელთა სიცოცხლის დასასრულებლად ერთადერთი საშუალება არსებობს. ზუსტად ისევე, როგორც კლასიკური შეკითხვისას - რა უფრო ადრე გაჩნდა, ქათამი თუ კვერცხი - ყოველთვის ვერ გაარკვევ, მიწოდება განსაზღვრავს მოთხოვნას თუ პირიქით, მოთხოვნა -

მიწოდებას. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ შინაგანი საქმეებიდან ეკონომიკაზე გადაგიყვანთ. განსხვავება, ბატონო პრემიერ-მინისტრო, არც ისე დიდია, როგორც ადამიანს შეიძლება მოეჩვენოს: ეკონომიკა და შინაგანი საქმეები იმ ძარღვებს ჰგავს, რომლებიც ერთმანეთს ერწყმის. სხვა თემაზე ნუ გადადიხართ. ის პირველი ოჯახი რომ არ მიმხვდარიყო, პრობლემის მოგვარება საზღვრის მეორე მხარეს შეიძლებაო, ახლა სხვა სიტუაცია გვექნებოდა, ამ ოჯახისთვის სხვებს რომ არ მიებაძათ, მაფფიას - ორი ფ-თი - ამ საქმეზე ხელის მოთბობა აზრადაც არ მოუვიდოდა, რადგან ეს საქმე არც იარსებებდა. თეორიულად - კი ბატონო, მაგრამ მაგ გაქნილებს შეუძლიათ, ქვას წვენი გამოადინონ და ძვირად გაყიდონ, თუმცა მე მაინც ვერ ვხვდები, რა იდეა გაქვთ. იდეა, ბატონო პრემიერ-მინისტრო, უბრალოა. ღმერთმა ქნას. ორი სიტყვით თუ ვიტყვით, მიწოდების არხი უნდა გადავკეტოთ. და როგორ. ოჯახები უნდა დავარწმუნოთ, რომ ჰუმანიზმის წმინდა საწყისების, მოყვასის სიყვარულისა და სოლიდარობის გამო ახლობლები საზღვარზე არ გადაიყვანონ. და თქვენ გგონიათ, რომ ასეთი სასწაულის მოხდენა შეგიძლიათ. ვფიქრობ, მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებისა და სწორი აგიტაციის გამოყენებით ძალიან ფართო კამპანია უნდა გავაჩაღოთ, გავაკრათ პლაკატები და ჩამოვკიდოთ ბილბორდები, ბამპერებსა და საქარე მინებზე მივაკრათ სტიკერები, მოვაბნიოთ ფურცლები, დავდგათ სპექტაკლები, გადავიღოთ როგორც მხატვრული, ისე ანიმაციური ფილმები, ანუ გავაკეთოთ ყველაფერი, რათა მათ, ვინც ოჯახური მოვალეობა და ნათესაური ვალდებულებები დაივიწყეს, გული ავუჩუყოთ, ავატიროთ, ვაიძულოთ, საკუთარი საქციელი მოინანიონ, ადამიანებს თანაგრძნობისა და სოლიდარობის გრძნობა

დავუბრუნოთ და დარწმუნებული ვარ, ცოდვილები ძალიან მალე გააცნობიერებენ თავიანთ მიუტევებელ სისასტიკეს და იმ ძველ ღირებულებებს დაუბრუნდებიან, რომლებიც ცოტა ხნის წინ საფუძველთა საფუძველი იყო. ჩემი ეჭვი სულ უფრო იზრდება: ახლა საკუთარ თავს ვეკითხები, კულტურის მინისტრის პორტფელი ხომ არ ჩაგაბაროთ, ან აღმსარებლობის საქმეთა, ვინაიდან თქვენს ნიჭს ნამდვილად ქარს ატანთ. მართებული იქნებოდა, სამივე უწყება გაგვეერთიანებინა. აჰა, ეკონომიკის სამინისტროც მანდ უნდა იყოს. დიახ, იმიტომ რომ ეს, ვიმეორებ, ერთმანეთთან შერწყმული ძარღვებია. ოღონდ ამ თქვენი კამპანიიდან არაფერი გამოვა. რატომ, ბატონო პრემიერ-მინისტრო. იმიტომ, რომ ასეთ კამპანიებს სიკეთე მხოლოდ მათთვის მოაქვს, ვინც მათი მეშვეობით მდიდრდება. ჩვენ ბევრი კამპანია გვაქვს ჩატარებული. დიახ, და შედეგებიც ცნობილია, მაგრამ ესეც რომ არა, თუ ეს სარგებლობას მოიტანს, არა დღეს და ხვალ, მე კი გადაწყვეტილება სასწრაფოდ უნდა მივიღო. თქვენს განკარგულებებს ველოდები, ბატონო პრემიერო. მთავრობის ხელმძღვანელმა ნაღვლიანად გაიღიმა. ეს ყველაფერი უაზრო და სასაცილოა, თქვა მან, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ასარჩევი არაფერი გვაქვს, ხოლო ჩვენი წინადადებები სიტუაციას მხოლოდ დაამძიმებს. მაშასადამე. მაშასადამე, თუ არ გვინდა, რომ ჩვენს სინდისზე ყოველდღე ოთხი აგენტი იყოს, რომლებიც სიკვდილის ზღურბლთან ჩაჩეჩქვილი თავებით მიათრიეს, მაფფიის - ორი ფ-თი რომ იწერება - წინადადების მიღების გარდა არაფერი დაგვრჩენია. შეიძლებოდა, პოლიციას ელვისებური ოპერაცია ჩაეტარებინა და რამდენიმე ათეული მაფიოზი დაგვეჭირა, იქნებ, მაშინ მეთაურებს უკან დაეხიათ. ურჩხული რომ გაანადგურო, მას თავი უნდა მოაჭრა,

ფრჩხილები კი არა. და მაინც. ოთხი აგენტი დღეში, ბატონო მინისტრო, ოთხი დასახიჩრებული, გაიხსენეთ ეს და აღიარეთ, რომ ჩვენ ხელ-ფეხი შეკრული გვაქვს. ოპოზიცია მთლად გაცოფდება - დაიწყებენ ჩხავილს, რომ ქვეყანა ბანდიტებს მივყიდეთ. ისინი ამბობენ არა ქვეყანას, არამედ - სამშობლოს. მით უარესი. იქნებ, ეკლესია დაგვეხმაროს - გაითვალისწინოს, რომ ჩვენ ამ გადაწყვეტილებას ვიღებთ, რათა ადამიანებს სიცოცხლე შევუნარჩუნოთ. ადრე შეიძლებოდა გვეთქვა, სიცოცხლე შევუნარჩუნოთო, ახლა არ შეიძლება. მართალი ხართ, რამე უნდა მოვიფიქროთ. ხანმოკლე დუმილის შემდეგ პრემიერმა თქვა: საკმარისია. იმ თქვენს ჩინოვნიკს მითითებები მიეცით და დეზაქტივაცია დაიწყეთ. ამასთან, ცუდი არ იქნებოდა გვცოდნოდა, როგორ აპირებს მაფფია ქვეყნის მასშტაბით ამ ოცდახუთი პროცენტის გადანაწილებას. ოცდათხუთმეტის. გულითადი მადლობა შესწორებისთვის: ის მახსენებს, რომ ჩვენი მარცხი, რომელიც თავიდანვე გარდაუვალი იყო, კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა. სამწუხარო დღეა. მომდევნო ოთხი აგენტის ოჯახები, რომ იცოდნენ, აქ რა ხდება, არ დაგეთანხმებოდნენ. შეიძლება, ეგ ოთხი ხვალ უკვე მაფფიისთვის მუშაობდეს. ასეთია ცხოვრება, უძვირფასესო შერწყმული ძარღვების მინისტრო. შინაგან საქმეთა, ბატონო პრემიერ-მინისტრო, შინაგან საქმეთა. ეს ძარღვი შუაშია. [P SEP]

* * *[P SEP]

დანაშაულებრივ გაერთიანებასთან მოლაპარაკებების დროს ამდენი დამამცირებელი დათმობის შემდეგ ხელისუფლება იქამდე მივიდა, რომ მოკრძალებული და

პატიოსანი სახელმწიფო მოხელეები თავიანთ სამუშაო დროს მთლიანად მაფფიას უთმობდნენ, ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ ამის შემდეგ ვინმეს შეიძლებოდა ისიც ეფიქრა, მორალური დაცემის ზღვარს მივადექით და იმის იქით ვეღარსად წავალთო. არაფერიც: როდესაც რეალპოლიტიკის ჭაობიან ნიადაგზე ბრმად დაეხეტები, როდესაც ჯოხს ხელს წამოავლებს და ისე, რომ პარტიტურაში არც კი იხედება, კონცერტს პრაგმატიზმი დირიჟორობს, ეჭვიც არ შეგეპაროს, რომ გასულმდაბლების ლოგიკური იმპერატივი გაჩვენებს: არა, წასასვლელი იმის იქითაც არის. თავდაცვის სამინისტრომ, რომელსაც გულწრფელობის ჟამს ომისას უწოდებენ, საზღვრის გასწვრივ განლაგებულ ჯარებს მითითება დაუგზავნა, რომ თვალი ფხიზლად მხოლოდ სახელმწიფო მნიშვნელობის ავტომაგისტრალებისთვის ედევნებინათ, განსაკუთრებით - იმ გზებისთვის, რომლებიც მოსაზღვრე სახელმწიფოებისკენ მიდის, ხოლო სოფლის შარაგზებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მეორეხარისხოვანი მაგისტრალები ჩვეულ ბუკოლიკურ სიმშვიდეში დაეტოვებინათ. ეს ნიშნავდა, რომ ჯარის დიდი ნაწილი მუდმივი დისლოკაციის ადგილებში დაბრუნდებოდა. რა თქმა უნდა, რიგითებისა და კაპრალების გულში გულწრფელმა სიხარულმა იფეთქა, ვინაიდან მათ დღედაღამ ყარაულში ყოფნა და პატრულირება სასტიკად მოჰბეზრდათ; მეორე მხრივ, ამან სერჟანტების ასევე გულწრფელი უკმაყოფილება გამოიწვია, რომლებიც, როგორც ჩანს, უკეთ ერკვევიან ისეთ ცნებებში, როგორიცაა სამხედრო ღირსება და სამშობლოს სამსახური. თუ უკმაყოფილების ეს შიდავენური მოძრაობა ლეიტენანტებამდე უკვე თავდაპირველ იმპულსს მოკლებული მიდიოდა, კაპიტნებს როცა მიაღწევდა, ძველ ძალას იბრუნებდა და უფრო მძლავრდებოდა კიდეც. საშიში

სიტყვის - მაფფია - ხმამაღლა წარმოთქმა ვერავის გაებედა, მაგრამ გულითად საუბრებში ყოველთვის ამოტივტივდებოდა ხოლმე მოგონებები იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, ბრძანების გამოსვლამდე, როდესაც შემოწმების მიზნით უკურნებელი სენით დაავადებული ავადმყოფებით სავსე ფურგონებს აჩერებდნენ, მძღოლის გვერდით მჯდომი აგენტი მაშინვე თავისი უფლებამოსილების ახსნას იწყებდა და არც ელოდებოდა, მოეთხოვათ - თავად წარადგენდა ყველანაირი ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ საბუთებს, საიდანაც ირკვეოდა, რომ, ნაციონალური უსაფრთხოების ინტერესების შესაბამისად, ამა და ამ დაავადებით დაავადებულ ამას და ამას გასვლის უფლება ეძლევა - დანიშნულების პუნქტი, როგორც წესი, მითითებული არ იყო - და უფრო მეტიც: ყველა სამხედრო და სამოქალაქო პირს მთავრობა ავალებს, მას სასწრაფო გადაადგილებისთვის ყველანაირი დახმარება აღმოუჩინოს. და ვერანაირი ეჭვი ვერ ააფორიაქებდა სერჟანტების მამაც გულებს, მათ უბრალო სულში ვერ შეიპარებოდა, აგენტებს, როდესაც მათ საბუთებს უწვდიდნენ, უცნაური დამთხვევის წყალობით, სულ ცოტა, შვიდ შემთხვევაში შემმოწმებლებისთვის თვალი რომ არ ჩაეკრათ. იმის გათვალისწინებით, რა შორს იყო ერთმანეთისგან ის ადგილები, სადაც სოფლის ცხოვრების ეს სცენები თამაშდებოდა, როგორც აბსურდული, მაშინვე უარყვეს მოსაზრება, თითქოს საქმე ორაზროვან მანჭვასთან ჰქონდათ, რომელსაც ადამიანები ოდითგანვე სხვა, თავისივე ან საპირისპირო, რასაც ამჯერად მნიშვნელობა არ აქვს, სქესის წარმომადგენლის საცდუნებლად იყენებენ. ამდროს ყველა აგენტი შესამჩნევად ღელავდა, ვინ - მეტად, ვინ - ნაკლებად, და ისე იქცეოდა, თითქოს დახმარების

სათხოვნელად დაწერილი ბარათი, ეს წუთია, ბოთლში ჩადო და ზღვაში გადააგდოო. ეს გარემოება ფხიზელ სერჟანტებს იმ შუბს ახსენებდა, რომელიც ხალთაში არ დაიმალება. ნაწილებში დაბრუნების თაობაზე გაცემული გაუგებარი ბრძანების კვალდაკვალ გავრცელდა ჭორები, რომელთა წყაროც, როგორც ირწმუნებოდნენ, შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო. ყაზარმებში ვითარება მეტისმეტად დაიძაბა, რაზეც ოპოზიციურმა გაზეთებმა მაშინვე ატეხეს ხმაური, სამთავრობო გამოცემები კი თავგამოდებით ამტკიცებდნენ, რომ ასეთი საწამლავი შეიარაღებული ძალების საბრძოლო განწყობას ვერ მოწამლავდა; თუმცა, ასე იყო თუ ისე, ხმები სამხედრო გადატრიალებისთვის მზადების შესახებ - რომლის ვერც მიზანი და ვერც მიზეზი ვერავის აეხსნა - კვლავ ვრცელდებოდა, თან ისე, რომ საზოგადოების ცნობიერებაში ცოცხალ-მკვდრების პრობლემაც კი დაჩრდილა. არა, მთლად არ დავიწყებიათ და ამის დასტურად უცნობი ავტორის ფრთიანი ფრაზა გამოდგება, რომელსაც კაფეების სტუმრები გამუდმებით იმეორებდნენ: ერთ რამეში შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ - გადატრიალება რომც მოხდეს, ერთმანეთს რამდენიც უნდა ესროლონ, ვერავის მოკლავენო. წუთი წუთზე ელოდნენ, რომ მეფე ერს გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა, მთავრობა სასწრაფო ზომების შესახებ ინფორმაციას გაავრცელებდა, სახმელეთო ჯარებისა და ავიაციის სარდლები - ქვეყანას ზღვაზე გასასვლელი არ ჰქონდა და ცხადია, არც ფლოტი ჰყავდა - ხელისუფლებას კიდევ ერთხელ შეჰფიცებდნენ ერთგულებას; მანიფესტს გამოაქვეყნებდნენ მწერლები, ხალხს თავიანთ მოსაზრებებს გააცნობდნენ მხატვრები, გაიმართებოდა სოლიდარობის კონცერტი და რევოლუციური პლაკატების გამოფენა, ორივე უმსხვილესი

პროფკავშირული ორგანიზაცია საერთო-ეროვნულ გაფიცვას გამოაცხადებდა, ეპისკოპოსების კონგრეგაცია ყველას ლოცვისა და მარხვისკენ მოუწოდებდა, გაიმართებოდა მომნანიებელთა მსვლელობა, მიმოაბნევდნენ უთვალავ ყვითელ, ლურჯ, მწვანე, წითელ, თეთრ ფურცელს; ვიღაც იმის მტკიცებასაც დაიწყებდა, თითქოს დიდი მანიფესტაცია მზადდებოდა და გადადებული სიკვდილის მდგომარეობაში მყოფი ყველა ასაკისა და წრის ათასობით ადამიანი ინვალიდის სავარძლებით, საკაცეებით ან შვილების ზურგებზე ამხედრებული, ცენტრალურ პროსპექტებზე დეფილეს მოაწყობდა, ხოლო წინ ვეებერთელა ტრანსპარანტს წაიმძღვარებდნენ, დამშვენებულს მძიმეების გარეშე წარწერით - მძიმეები გამომსახველობითობას შესწირეს მსხვერპლად: ჩვენ ტანჯულები აქ მოვაბიჯებთ თქვენ ბედნიერებს დაგელოდებით. მაგრამ არა, ასეთი არაფერი მოხდა. ჭორები, რომ მაფფია ადამიანების საზღვარზე გადაყვანაში მონაწილეობდა, არ გაიფანტა - იმასაც გეტყვით, რომ მერე განვითარებული მოვლენების გამო უფრო გაძლიერდა, მაგრამ როგორც კი გავრცელდა ცნობა საგარეო საფრთხის თაობაზე, ზუსტად ერთ საათში ძმათამკვლელი ომის ვნებები ჩაცხრა და სამი ფენა: მღვდელმსახურები, არისტოკრატია და ხალხი, რომელიც, ქვეყანაში შეუჩერებელი პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობდა, თავისი მონარქის და - ცოტა არ იყოს, უხალისოდ, მაგრამ მაინც - მთავრობის გარშემო გაერთიანდა. რა მოხდა შემდეგ, ამას ჩვენთვის ჩვეული ლაპიდარულობით მოგიყვებით.

სამი მეზობელი სახელმწიფოს მთავრობებმა, რომლებიც გაცოფებული იყვნენ, რომ დამკრძალავი ჯგუფები - მაფფიის ნებით თუ თავისთავად - გარყვნილი ქვეყნიდან, სადაც არავინ კვდება, მათ საზღვრებში

ყოველდღე აღწევდნენ, უამრავი უშედეგო დიპლომატიური დემარშის შემდეგ ერთობლივად მოქმედება გადაწყვიტეს, თავიანთი ჯარები საზღვრებისკენ დაძრეს და დამრღვევებისთვის ცეცხლის გახსნა ბრძანეს, თუმცა მხოლოდ მესამე გაფრთხილების შემდეგ. აქ უპრიანი იქნება, დავამატოთ, რომ რამდენიმე მაფფიოზის დაღუპვა, რომლებმაც აკრძალული ზღვარი გადალახეს და რომლებიც ლამის მიბჯენით დახვრიტეს, გაერთიანებაში აღიქვეს სწორად, ანუ როგორც საწარმოო ზიანი, და მყისვე მომსახურების ტარიფების გასაზრდელად გამოიყენეს, თან გაზრდილი ტარიფები „პირადი უსაფრთხოებისა“ და „ოპერატიული რისკის“ გრაფებში შეიტანეს. მას შემდეგ, რაც ეს შთამბეჭდავი წვრილმანები გაგაცანით, რაც წარმოდგენას გვიქმნის, რა გამართულად მუშაობს დანაშაულებრივი ორგანიზაცია, შეგვიძლია განვაგრძოთ. მთავრობის მერყეობას და მაღალი ჩინის სამხედრო მოხელეთა ეჭვებს ტაქტიკურად უზადო მანევრით აუარეს გვერდი და ინიციატივა ხელში ისევ სერჟანტებმა აიღეს, რომლებიც ჯერ მეურნალეებად, შემდეგ კი სახალხო მოძრაობის გმირებად იქცნენ, მოძრაობისა, რომელიც, ჯარის ბრძოლის ველზე სასწრაფოდ დაბრუნების მოთხოვნით სახლებიდან მოედნებსა და პროსპექტებზე გადმოიღვარა. ჩვენი სამშობლოს თავსდამტყდარი ოთხმაგი უბედურების - დემოგრაფიულის, სოციალურის, ეკონომიკურისა და პოლიტიკურის - მიმართ გულგრილმა და გულცივმა მოსაზღვრე სახელმწიფოებმა, ბოლოს და ბოლოს, ნიღბები ჩამოიხსნეს და მთელ მსოფლიოს თავიანთი ნამდვილი - დაუნდობელი დამპყრობლისა და უსულგულო მტაცებლის - სახე აჩვენეს. სახლებსა და მაღაზიებში, რადიოთი და ტელევიზიით საუბრობდნენ იმაზე, რომ მათ ჩვენი შურდათ, ამის შესახებ დაუღალავად

წერდნენ გაზეთები და ჟურნალები: დიახ, მათ შურთ, რომ ჩვენს ქვეყანაში არავინ კვდება, ამიტომაც ჩვენი ოკუპირება უნდათ, რათა აღარც თავად დაიხოცონ. ორდღეღამიანი მარშირების შემდეგ, აფრიალებული დროშებისა და პატრიოტული სიმღერების - მარსელიეზას, კარმანიოლას, ინტერნაციონალის, deutchland uber ailes-ის, god save the king-ის, bandera rossa-ს, stars and stripes-ის, ჩვენს ძვირფას სამშობლოზე ლამაზი ქვეყანა კიდევ სად არის - თანხლებით ჯარისკაცები არც ისე დიდი ხნისწინ მიტოვებულ პოზიციებს დაუბრუნდნენ და შეტევის მოსაგერიებლად და საუკუნო დიდების მოსახვეჭად მოემზადნენ. არ დასჭირდათ. არ იყო არც შეტევა და, შესაბამისად, არც დიდება. მეზობლებს, რომლებიც არც დამპყრობლები იყვნენ და არც აგრესორები, უბრალოდ, სურდათ, იძულებით გადაადგილებულ პირთა ეს ახალი ნაირსახეობა მათთან დასამარხად უნებართვოდ აღარ შეეყვანათ. მარტო დამარხვა რომ ყოფილიყო, რა უჭირს, მაგრამ კიდევ იყო: ხოცვა, ჟლეტა, განადგურება, ვინაიდან იმავე წამს, როგორც კი ფეხებით წინ - თვალებს რომ დაენახათ, რა მოსდიოდა დანარჩენ სხეულს - საცოდავები საზღვარს კვეთდნენ, მაშინვე წყდებოდა მათი ამქვეყნიური ცხოვრება და სულს აცხებდნენ. და აი, ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა ორი მტრული ბანაკი, მაგრამ ამჯერად სისხლის მდინარეები არ წამოსულა. და არა იმიტომ, რომ ჩვენს ჯარისკაცებს არ უნდოდათ - ისინი დარწმუნებული იყვნენ, არ დაიღუპებოდნენ, თუნდაც ტყვიამფრქვევის ჯერს ორად გადაეჭრა. თუმცა, კანონზომიერი მეცნიერული ცნობისმოყვარეობით შეპყრობილები საკუთარ თავს ვკითხავთ, სხეულის ორი ნახევარი ცალ-ცალკე როგორ იცოცხლებს, თუ კუჭი, ვთქვათ, ერთ ნახევარში დარჩა, ხოლო ნაწლავები - მეორეში. ვკითხავთ, მაგრამ პასუხს ვერ

მივიღებთ. მოკლედ, პირველი გასროლა აზრად მხოლოდ შეშლილს თუ მოუვიდოდა. ჰოდა, არავინაც არ გაისროლა. ის კი არა, რამდენიმე ჯარისკაცის გადაწყვეტილებას, იქითა მხრიდან აქეთ, ამ ახალგამომცხვარ ელდორადოში გამოქცეულიყო, ერთადერთი შედეგი მოჰყვა: დეზერტირები სასწრაფოდ უკან დააბრუნეს, სადაც მათ უკვე სამხედრო-საველე სასამართლო ელოდათ. რა თქმა უნდა, ამ ეპიზოდს ჩვენს გულმოდგინედ შეთხზულ ისტორიასთან ცოტა რამ აქვს საერთო და მას აღარ დავუბრუნდებით, მაგრამ არც სამელნის ბნელ ფსკერზე მინდა მისი დატოვება. საფიქრებელია, რომ ტრიბუნალი აპრიორი არ მიიღებს მხედველობაში მარადიული სიცოცხლის გულუბრყვილო სურვილს, რაც ადამიანისთვის ასე დამახასიათებელია: მართლაც, რა მოხდება, ყველას რომ მარადიული სიცოცხლე მოუნდეს, იკითხავს ბრალდების მხარე და ყველაზე უსინდისო რიტორიკის ილეთებს გამოიყენებს, ხოლო დაცვის მხარეს შესაფერისი პასუხის მოსაძებნად გამბედაობა ან გონიერება არ ეყოფა, ვინაიდან თავადაც არ ეცოდინება, რა მოხდება. იმედი ვიქონიოთ, რომ იმ საცოდავებს არ დახვრეტენ, თორემ გამოვა, რომ მატყლზე წავიდნენ და გაკრეჭილები დაბრუნდნენ.

ამაზე - მოვრჩეთ. თუ გახსოვთ, როდესაც ვამბობდით, რომ სერჟანტები და მათი თანამოაზრე კაპიტნები ხალხის გადაყვანის გამო პასუხისმგებლობას მაფფიას აკისრებდნენ, დავამატეთ, რომ ეს ეჭვი მოვლენების შემდგომმა განვითარებამ კიდევ უფრო გაამყარა. აი, ახლა დრო მოვიდა, მოვყვეთ, რა მოხდა. როდესაც მაფფია პირველაღმომჩენების კვალს გაჰყვა, სწორედ მათსავით იქცეოდა - მომაკვდავები საზღვარგარეთ გაჰყავდა, ასაფლავებდა და სანაცვლოდ უზარმაზარ თანხას იღებდა, იმ განსხვავებით, რომ საერთოდ არ ბრუნავდა

ტოპოგრაფიულ და ოროგრაფიულ ნიშნებზე, რომლებიც მომავალში დამწუხრებულ და საკუთარი სისასტიკის გამო სინანულში ჩავარდნილ ნათესავებს საფლავის მოძებნასა და გარდაცვლილისთვის შენდობის თხოვნაში დაეხმარებოდა. და საჭირო არ არის, სტრატეგიული აზროვნების უნარით იყო დაჯილდოებული, რომ მიხვდე: საზღვრის მეორე მხარეს თავმოყრილი სამი არმია სასიკვდილოდ გამზადებულთა აქამდე შეუფერხებელ გადაყვანას აბრკოლებდა. მაგრამ მაფფია მაფფია არ იქნებოდა, გამოსავალი რომ არ ეპოვა. და, ღმერთმანი, დასანანია, ფრჩხილებში შევნიშნავთ, რომ ისეთმა გენიოსებმა, როგორებიც დანაშაულებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები არიან, კანონმორჩილების გათელილი გზებიდან გადაუხვიეს, ბრძნული ბიბლიური მცნება დაარღვიეს - აი, ის, არსობის პურის საკუთარი ოფლით მოპოვებას რომ ეხება და მიუხედავად იმისა, რომ ადამასტორის კვალად მწარედ მოსთქვამდნენ, არასდროს თავი ასე საძაგლად არ გვიგრძნიაო, რომელიღაც ეშმაკური ხერხით ყველა დანარჩენისთვის გადაულახავი დაბრკოლება მაინც გადალახეს. ვიდრე გავაგრძელებთ, განვმარტავთ, რომ ჩვენი სიტყვიერების გენიის მიერ უბედური გიგანტის ბაგეებით წარმოთქმული სიტყვა „საძაგლად“ მაშინ მხოლოდ ღრმა სევდას, ნაღველს, სინანულს აღნიშნავდა, მაგრამ მოგვიანებით უბრალო ხალხმა გაიაზრა, რომ მშვენიერი სიტყვა ტყუილუბრალოდ იკარგება, არადა, მისით ისეთი ცნებების აღნიშვნა შეიძლება, როგორიცაა ზიზღი, სიძულვილი, გულისრევა. საერთოდ, სიტყვებზე თვალი ფხიზლად უნდა გეჭიროს: ისინი ადამიანებზე ნაკლებად ცვალებადნი როდი არიან. თავისთავად ისეთი სიტყვაც, როგორიცაა „ხერხი“, დიდი ხანია თავის ფუძეს მოსწყდა: რა ხერხსა და შალაშინზე

შეიძლება იყოს აქ საუბარი, როდესაც საქმეში ჩაერია შავბნელი ხალხი მიწებებული ულვაშებითა და ჩამოფხატული ქუდებით, დაშიფრული დეპეშები, კოდირებული სატელეფონო საუბრები, შუაღამის პაემნები გზაჯვარედინებზე, ქვის ქვეშ ამოდებული წერილები და ყველაფერი, რაშიც ასეთ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი აგენტები. ნუ გვეგონება, რომ ეს ტრანზაქციები, როგორც ადრე, ახლაც მხოლოდ ორმხრივი დარჩა. ქვეყანაში დაბუდებული მაფფიის გარდა, მოლაპარაკებებში მოსაზღვრე სახელმწიფოებიდანაც მონაწილეობდნენ მსგავსი ორგანიზაციები, ვინაიდან ეს ერთადერთი საშუალება იყო, თითოეულ დანაშაულებრივ ორგანიზაციას ეროვნული დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა - სამარცხვინო და დაუშვებელი იყო, ერთი ქვეყნის მაფია მეორე ქვეყნის ხელისუფლებას დაჰკავშირებოდა. მაინც არსებობს ქვეყანაზე საზღვრები, რომელთა გადალახვის უფლებას არ გაძლევს სირცხვილის გრძნობა და ეროვნული სუვერენიტეტის წმინდა პრინციპის პატივისცემა, რომელსაც ასე უფრთხილდება როგორც მაფია, ისე ხელისუფლება, მაგრამ თუ უკანასკნელთან დაკავშირებით ყველაფერი თითქოს გასაგებია, პირველთან ეს ძალიან საეჭვო იქნებოდა, რომ არა ჩვენ ხელთ არსებული უდავო მტკიცებულებები იმისა, თუ როგორი შეუდრეკელობით იცავენ ისინი თავიანთ სამფლობელოს უცხოელი კოლეგების შემოჭრისგან. ძალიან, ძალიან რთული იყო მოქმედებების კოორდინირება, საზოგადოსა და კერძოს მორიგება, ინტერესთა წონასწორობის შენარჩუნება, რაც ნაწილობრივ ხსნის იმას, უსაქმურობით თავგაბეზრებული ჯარისკაცები რატომ ლანძღავდნენ ორი გრძელი და გულისამრევად მოსაწყენი კვირის განმავლობაში ერთმანეთს მაძახურთა მეშვეობით, თუმცა ისინიც

ცდილობდნენ, ზომიერება დაეცვათ და მოწინააღმდეგის თავმოყვარეობა ძალიანაც არ შეელახათ, რათა ზედმეტად მგრძნობიარე რომელიმე პოლკოვნიკს თავში სისხლი არ ავარდნოდა და, თუ ხატოვნად ვიტყვით, ტროა არ დატრიალებულიყო. ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებები სრულიად საიდუმლოდ მიმდინარეობდა, თუმცა რაღაც-რაღაცები მაინც ჟონავდა: არსებობს მყარი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სამივე არმიის წარმომადგენლები - მათი სახელმწიფოების უმაღლესი ხელისუფლების თანხმობით - დათანხმდნენ - საინტერესოა, ამის სანაცვლოდ რამდენი მოტეხეს, ეს წინ და უკან სიარული, საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლა არ შეემჩნიათ, ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, საკითხი მოგვარდა. ამას ბავშვიც მოიფიქრებდა, მაგრამ იმისთვის, რომ ასეთი ჩანაფიქრი ეფექტური აღმოჩნდეს, საჭიროა, ასაკში შესულმა გონიერმა ადამიანმა იმ სასწავლებლის კარზე დააკაკუნოს, სადაც მაფიოზებს ამზადებენ და თქვას: ჩემს მოწოდებას ვემორჩილები, დაე, აღსრულდეს ნება თქვენი.

სიტყვამცირობის დამფასებლები, ლაკონიზმის მოყვარულები, ენობრივ საშუალებათა ეკონომიის მომხრეები, ალბათ, უკვე კითხულობენ, თუ იდეა ასეთი უბრალოა, რაღა საჭიროა ამდენი ყბედობა, რატომ არ შეიძლება მოკლედ თქმა. პასუხი იდეაზე უბრალო არ იქნება და თანამედროვე ტერმინით გამოვთქვამთ, რათა ნაწილობრივ შევძლოთ იმ არქაიზმების კომპენსირება, რომლებიც, ბევრის მაღალი აზრით, ჩვენს თხრობას ობივით ედება. მაშ ასე, ჩვენ გვეკითხებიან, რატომ, და ჩვენც ვპასუხობთ: ბექგრაუნდის გამო. როდესაც ამ სიტყვას ამბობენ, ყველამ იცის, რას გულისხმობენ და ძალიან მეპარება ეჭვი, რაიმე სარგებელი მიგვეღო,

სიტყვათშეთანხმება „უკანა ხედი“ რომ გამოგვეყენებინა, რომელიც არა მარტო ძველმოდური, არამედ არაზუსტიცაა, რადგან ბექგრაუნდი სულაც არ არის მარტო უკანა ხედი, არამედ არის უთვალავი ხედი, რომლებიც მთელი თავისი გარდაუვალობით დაკვირვების ობიექტსა და ჰორიზონტის ხაზს შორის არსებობს. კარგი, იყოს - უკეთესად ვთქვათ - კონტექსტში მოთავსება. დიახ, დიახ, ასე იყოს, და როდესაც, ბოლოს და ბოლოს, მონათხრობი კონტექსტში მოვათავსეთ, შევთანხმდეთ, რომ მოვიდა დრო მოვყვეთ, რაში მდგომარეობდა მაფფიის ხერხი, რამაც მას საშუალება მისცა, მინიშნებებიც კი აღმოეფხვრა შეიარაღებულ კონფლიქტზე, რომელიც არათუ მის ინტერესებს არ შეესაბამებოდა, არამედ პირიქით. და აი, როგორც უკვე ითქვა, ბავშვიც კი მოიფიქრებდა, მომაკვდავი საზღვარგარეთ გაეყვანა, როგორც კი მოსახდენი მოხდებოდა, უკან უკვე ცხედრის სტატუსით შემოეყვანა და მშობლიური მიწისთვის მიებარებინა. შამათი, ამ სიტყვის ყველაზე ზუსტი, მკაცრი და სრული მნიშვნელობით. თავად ხედავთ, პრობლემა ყველა მხარისთვის ზარალის გარეშე მოგვარდა და ოთხი არმია, რადგანაც საზღვარზე სრულ საბრძოლო მზადყოფნაში დაყუდების აუცილებლობა გაქრა, შინ დაბრუნდა, ვინაიდან მაფფია სწრაფი დაბრუნება-მიბარების ოპერაციის ჩატარებას აპირებდა: კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ტანჯულები სულს მაშინვე განუტევებდნენ ხოლმე, როგორც კი საზღვარს გადაკვეთდნენ, ასე რომ, იქითა მხარეს საჭიროზე მეტხანს დარჩენის არავითარი საფუძველი არ არსებობდა: სიკვდილის წამი ხომ ყველა სხვა წამზე მოკლეა და ამოსუნთქვას ჰგავს, ხოლო შედარებისთვის გაიხსენეთ, როგორ უცებ, თავისთავად, ყოველგვარი შებერვის გარეშე ქრება სანთელი. არასოდეს ევთანაზიაც კი არ ყოფილა

ასეთი მარტივი და უმტკივნეულო. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ იმ ქვეყანაში, სადაც არავინ კვდება, იუსტიციის უწყებას საფუძველი არ გააჩნია, გადამზიდავ-დამკრძალავების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოება დაიწყოს, თუნდაც ამის სურვილი ჰქონდეს და მთავრობასა და მაფფიას შორის დადებული ჯენტლმენური შეთანხმებით არ იყოს ხელფეხშეკრული. განზრახ მკვლელობაში ვერავის დაადანაშაულებ, რადგან, ტექნიკური თვალსაზრისით, მკვლელობა არ ხდება, გარდა ამისა, ეს მოქმედება, საძრახი, მაგრამ არა მსჯავრდასადები - ისე გამოვთქვამ, როგორც შემიძლია, ვისაც შეუძლია, უკეთ გამოთქვას - ქვეყნის ფარგლებს გარეთ ხდება; ხალხს იმის გამო ხომ არ დაიჭერ, რომ მკვდრებს მარხავენ. ასეთია მათი ბედი, მათი გზა. პირიქით, ფეხები უნდა დაუკოცნო მესაფლავეებს, რომ ყველა თვალსაზრისით ასეთი მძიმე შრომა იკისრეს. მათ ბრალი მხოლოდ იმის გამო შეიძლება წაუყენო, რომ არც ერთი გარდაცვალება ექიმის დადასტურებული არ არის, რომ მიცვალებულებს დადგენილ ფორმალობათა დაცვის გარეშე ასაფლავებენ და რომ თავად საფლავი არა მარტო უსახელოდ რჩება, არამედ, როდესაც პირველივე წვიმის შემდეგ იმ ადგილებში გამდიდრებული ნიადაგიდან ახალგაზრდა, თავმომწონე მცენარეები ამოძვრებიან, უკვალოდაც დაიკარგება. მოსალოდნელი სირთულეების წარმოდგენის შემდეგ ხარჯებისა და კომპენსაციების ჭაობში ჩაფლობის პერსპექტივით შეშინებულმა - სადაც მასდაუნდობელი, ანკესზე წამოგებაში დახელოვნებული, მძიმე დავაში გამობრძმედილი მაფფიის ადვოკატები ჩაითრევდნენ - იუსტიციის სამსახურმა განზე გადგომა და ლოდინი არჩია, ვიდრე არ გაირკვეოდა, საქმეს რა პირი უჩანდა. ეს ბრძნული გადაწყვეტილება იყო. ქვეყანა, როგორც

არასდროს, ისეა აფორიაქებული, ხელისუფლება დაბნეულია, ბურჯებს ჭრიალი გაუდით, ურყევი ღირებულებები არათუ ირყევა, არამედ დაბლა ცვივა, სამოქალაქო გულგრილობამ ცხოვრების ფორმებსა და სფეროებში შეაღწია და ღმერთმა იცის, კიდევ რა მოხდება - უფრო სავარაუდოა, რომ მასაც არაფერი გაეგება. ხმა გავრცელდა, თითქოს მაფფია სარიტუალო ბიზნესის ხელმძღვანელებთან ძალისხმევის ოპტიმიზაციისა და მოვალეობების დიფერენცირების მიზნით ჯენტლმენური შეთანხმების დადებას აპირებდა, რაც ადამიანურ ენაზე ასე ჟღერს: ერთნი ცხედრებით მომარაგებას აიღებდნენ საკუთარ თავზე, მეორენი - ტექნიკისა და სხვადასხვა საშუალების მიწოდებას. დამკრძალავი ბიუროები ამ წინადადებას ორივე ხელით ჩაეჭიდნენ, ვინაიდან საკუთარი ათასწლოვანი გამოცდილების, უნარ-ჩვევებისა და ნოუ-ჰაუს ძაღლების, კატებისა და იადონების საფლავების მოსაწყობად გამოყენებით უკვე დაიტანჯნენ, მოჰბეზრდათ ზღვის - აი, შეუსაბამობა - გოჭის ან სამუდამოდ გაშეშებული კუს, მოშინაურებული ციყვის ან კიდევ პატრონის მხარზე წოლის მოყვარული ხვლიკის გასვენება. ასე ჯერ არასოდეს დავცემულვართ, გაიძახოდნენ ისინი. ახლა კი მომავალი ნათელ და მხიარულ ფერებში ესახებოდათ, მათი იმედი იფურჩქნებოდა და ზედაპირზე მოტივტივე პარადოქსის გამოყენებით შეიძლება ითქვას, რომ დაკრძალვის ოსტატებისთვის სიცოცხლის მზემ ამოანათა. ყოველივე ეს - მაფფიის დაუზარლობის და გატენილი ქისის წყალობით. როდესაც ცხედარი საზღვარს უკანა გზაზე კვეთდა, სიკვდილის დასარეგისტრირებლად შემთხვევის ადგილზე მაფფიას ექიმები მიჰყავდა. ის აწარმოებდა მოლაპარაკებებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან იმის შესახებ, რომ მისი კლიენტები, პირველ რიგში, დღისა თუ

ღამის იმ მონაკვეთში დაემარხათ, როდესაც მას სჭირდებოდა. ალბათ, ხვდებით, ეს ყველაფერი იაფი არ იქნებოდა, მაგრამ ჩიტი ბდღვნად ღირდა, ფაქტურები დამატებითი მომსახურების ხარჯთაღრიცხვის ხარჯზე იბერებოდა და ბიზნესი ყვაოდა. და უცებ, თითქოს ონკანი გადაკეტესო, გატანჯულთა უხვი დინება დაიშრიტა. ისე ჩანდა, თითქოს მონანიების უეცარი აღტყინებით შეპყრობილი მათი ოჯახები სინდისმა ერთად შეაწუხა და გადაწყვიტეს, თავიანთი ახლობლები საზღვარგარეთ სასიკვდილოდ აღარ გადაეყვანათ. ისინი თითქოს ასე მსჯელობდნენ: ესე იგი, ვიდრე მათ ჯანი და გონება უჭრიდათ, კარგები იყვნენ, ახლა კი აყროლებული ძველმანებივით, რომელთა გარეცხვასაც აზრი აღარ აქვს, ნაგავსაყრელზე ვყრით. სიხარულით გასხივოსნებული დამკრძალავი ბიუროები მძიმე სასოწარკვეთილებას მიეცნენ: ისევ გამოჩნდა ჰორიზონტზე გაკოტრების აჩრდილი, ისევ უნდა აეტანათ უმწარესი დამცირება და დაემარხათ ძაღლები, კატები, იადონები და სხვა წვრილფეხობა, მათ შორის - კუები, ზღვის გოჭები, ციყვები, გაღმა გასული ხვლიკები, თუმცა არა, ხვლიკები აღარ იქნებოდა - მხოლოდ ერთს შეეძლო პატრონის მხარზე წოლა. მაფფიამ, ისე, რომ არც სიმშვიდე დაუკარგავს და არც დაბნეულა, გადაწყვიტა, გაერკვია, რა ხდებოდა. ყველაფერი მარტივი აღმოჩნდა: ოჯახებმა ქარაგმებითა და მინიშნებებით მიახვედრეს, რომ ერთია, როდესაც ნათესავი ღამით, სიბნელეში, ჩუმად და მალულად გაგყავს, როცა აუცილებელი არ არის, მეზობლებმა გაიგონ, იგი ისევ სარეცელში წევს თუ სადმე აორთქლდა - აქ მოტყუებაც იოლია - კარის მეზობელს, კითხვაზე, როგორ არის თქვენი ბაბუა, მწუხარედ უპასუხებ, ოჰ, ისევ ისე... და სულ სხვა საქმეა გარდაცვალების მოწმობებისა და საფლავის ქვების

გაჩენა. შურიანი და ენამწარე მეზობლები მალე გაიგებენ, რომ ბაბუა ერთადერთი შესაძლო სიკვდილით გარდაიცვალა, ანუ სასტიკმა და უმადურმა ოჯახმა საზღვრის იქით გადაიყვანა. ძალიან გვრცხვენია, ძალიან. მაფფიამ ისმინა, ისმინა და თქვა, რომ დაფიქრდება. ფიქრმა მხოლოდ ერთ დღე-ღამეს გასტანა. ამ გზის გამკვალავი მოხუცის მაგალითის მიხედვით, რომლის შესახებაც წინა გვერდებზე გიამბეთ, მკვდრებმა თავად გადაწყვიტეს, ასეთებად ქცეულიყვნენ, ანუ გარდაცვალების მოწმობაში სიკვდილის მიზეზად უნდა ჩაიწეროს - თვითმკვლელობა. და დაკეტილი ონკანიც გაიღო.

* * *

თუმცა ყველაფერი ასე ცუდად არ იყო ქვეყანაში, სადაც, როგორც უკვე იცით, არავინ კვდებოდა; გაუმაძღარმა მაფფიამ უკვდავების იმედსა და მუდმივი სიცოცხლის შიშს შორის გაჩხერილი საზოგადოების ყველა უჯრედში თავისი მრუდე ფრჩხილების ჩასობა ვერ მოახერხა, ვერ მოახერხა მაფფიამ, რომელიც სულებს ხრწნიდა, სხეულებს იმორჩილებდა და ფეხქვეშ თელავდა იმას, რაც კიდევ შემორჩა ძველი დროების კეთილსინდისიერებისგან, როდესაც კონვერტს, რომლის შიგთავსსაც აშკარად ქრთამის სუნი უდიოდა, დაუყოვნებლივ პატრონს უბრუნებდნენ, მაგალითად, ასეთი ნათელი და მტკიცე პასუხით: ამ ფულით თქვენს შვილებს სათამაშოები უყიდეთ. ან ასეთით: მისამართი შეგეშალათ. იმ ეპოქაში ღირსების გრძნობა ყველა კლასისა და ფენისთვის იყო ხელმისაწვდომი. ახლაც, ყველაფრის მიუხედავად, ფიქტიური თვითმკვლელობებისა თუ საზღვარზე

გახშირებული ბინძური საქმეების საწინააღმდეგოდ, მაშინდელი სული ჯერ კიდევ იძვროდა წყლის ზედაპირზე - არა იმ წყლის, რომელიც ოკეანეებსა და ზღვებშია და რომელიც სხვა, შორეულ ნაპირებს ასველებს, არამედ ტბებისა და მდინარეების, ნაკადულებისა დატბორების, წვიმის მიერ გზად დატოვებული გუბეებისა და ჭათა სიღრმეში, სადაც იდუმალ კამკამში რატომღაც ყველაზე ცხადად მოჩანს ცის სიმაღლე, და ასევე - თუმცა წარმოუდგენელი კი ჩანს - აკვარიუმების მშვიდ ზედაპირზე. და აი, სწორედ ასეთ წამს, როდესაც წყლის ზედაპირზე ამოსულმა წითელფარფლებიანმა თევზმა დაბნეულად მიმოიხედა და უკვე არც ისე დაბნეულად ჰკითხა საკუთარ თავს, რამდენი ხანია უკვე, ეს წყალი არ გამოუცვლიათო, და კარგად იცოდა თევზმა, რასაც კითხულობდა, ვინაიდან არაერთხელ გაუპია უწვრილესი აპკი იქ, სადაც ჰაერი წყალს ერევა, და აი, სწორედ ამ საბედისწერო წამს ფილოსოფოსის შეგირდს მთელი თავისი შიშველი გარდუვალობით წინ გამოეჭიმა კითხვა, რომელმაც სათავე დაუდო ისეთ გააფთრებულ პოლემიკას, როგორიც არ ახსოვს იმ ქვეყნის ისტორიას, სადაც არავინ კვდება. დიახ, აკვარიუმის თავზე მქროლავმა სულმა ახალგაზრდა ფილოსოფოსს ჰკითხა: დაფიქრებულხარ ოდესმე, ერთნაირია თუ არა სიკვდილი ყველა ცოცხალი არსებისთვის, ცხოველით დაწყებული, ვიდრე ადამიანამდე, და მცენარით დამთავრებული, ფეხქვეშ გათელილი ბალახიდან, ვიდრე ასმეტრიან sequoiadendron giganteum-ამდე, მაშ ასე, ერთნაირია თუ არა სიკვდილი ადამიანისთვის, რომელმაც იცის, რომ მოკვდება და ცხენისთვის, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს, რა ელის და კიდევ ჰკითხა: როდის კვდება თავის პარკში ყრუდ ჩაკეტილი აბრეშუმის ჭია, რომელსაც ყველა საგდული

დაუხშვია და შესაძლებელია თუ არა, ერთი არსების სიცოცხლე მეორე არსების სიკვდილისგან იშვას ან, იქნებ, აბრეშუმის ჭია არც კვდება, რადგან პეპლად გადაიქცევა. და ფილოსოფოსის შეგირდმა ასე უპასუხა: ჭია არ კვდება, პეპელა მოკვდება, როდესაც კვერცხებს დადებს. ეგ მე შენს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე ვიცოდი, უპასუხა აკვარიუმის წყალზე მქროლავმა სულმა, აბრეშუმის ჭია არ კვდება და პარკში, როდესაც იქიდან პეპელა გამოფრინდება, არავითარი ცხედარი არ რჩება, ასე თავად თქვი, ერთის სიცოცხლე მეორის სიკვდილისგან იბადება. ამას „მეტამორფოზა“ ეწოდება და ეს ვინ არ იცის, მედიდურად თქვა ფილოსოფოსის შეგირდმა. ლამაზად ჟღერს და ბევრს გვპირდება, შენ თქვი „მეტამორფოზა“ და ლაპარაკი გააგრძელე, თითქოს ვერც შეამჩნიე, რომ სიტყვა საგნებსა და მოვლენებზე მიკრული იარლიყია, მაგრამ არა თავად ეს საგნები და მოვლენები და შენ ვერ გაიგებ, როგორები არიან ისინი სინამდვილეში, ან სინამდვილეში რა ეწოდებათ, ვინაიდან სახელები, რომლებსაც მათ არქმევ, შენი შერქმეული სახელებია და მეტი არაფერი. ესე იგი, ჩვენ შორის ფილოსოფოსი რომელია. აქ ასეთი არავინაა: შენ მხოლოდ სწავლობ ფილოსოფიას, მე კიდევ აკვარიუმის წყლებზე მქროლავი სული ვარ. რამდენადაც მახსოვს, ჩვენ სიკვდილზე ვსაუბრობდით. სიკვდილზე კი არა, სიკვდილებზე, მე ვიკითხე, რა მიზეზით არ კვდებიან ადამიანური არსებები და სხვა ძუძუმწოვრები, სწორედაც, ერთის არსიკვდილი რატომ არ იქცევა სხვების არსიკვდილად და, როდესაც, მაგალითად, ეს წითელფარფლებიანი თევზი მოკვდება, ამასთან მინდა გაგაფრთხილო, რომ, თუ წყალს არ შეუცვლი, ეს ძალიან მალე მოხდება, მაშ ასე, შეძლებ კი მის სიკვდილში სხვა სიკვდილის ამოცნობას, რომელსაც შენ, არავინ იცის

რატომ, ამჟამად გადაურჩი. ადრე, როდესაც ჩვენთან ჯერ კიდევ კვდებოდნენ, მეც, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც მიწევდა გარდაცვლილების ნახვა, არასოდეს მიფიქრია, რომ ისინიც იმ სიკვდილის წერა ხდებიან, რაც ადრე თუ გვიან მეც მეწვევა. ეს იმიტომ, რომ თითოეულს თქვენი საკუთარი სიკვდილი გაქვთ. დაბადებიდანვე დაგყვება თან და დაატარებ. ის შენ გეკუთვნის, შენ - მას. კი მაგრამ, ცხოველები და მცენარეები. ვფიქრობ, მათ შემთხვევაშიც ასეა. ანუ ყველას თავისი სიკვდილი აქვს. სწორედ ასეა. გამოდის, უთვალავი სიკვდილი არსებობს, იმდენივე, რამდენი ცოცხალი არსებაცაა, რომლებიც ცოცხლობდნენ, ცოცხლობენ და იცოცხლებენ. ასეც შეიძლება ითქვას. საკუთარ თავს ეწინააღმდეგები, წამოიძახა ფილოსოფოსის შეგირდმა. თითოეული თქვენგანის სიკვდილი, ასე ვთქვათ, მეორეხარისხოვანი სიკვდილია, რომელიც სიცოცხლეზეა დამოკიდებული, ასეთი სიკვდილი ბევრია და ისინი არსებობას იმათთან ერთად ასრულებენ, ვისაც ბოლოს უღებენ, ხოლო მათ ზემოთ უმაღლესი, მთავარი სიკვდილია, ის, რომლის მოღვაწეობის სფეროც მისი გაჩენის დღიდან ადამიანთა მთელ მოდგმაზე ვრცელდება. როგორც ჩანს, რაღაც იერარქია არსებობს. აბა, როგორ. ცხოველებშიც ასეა, ერთუჯრედიანით დაწყებული - პროტოზოას რომ ეძახიან - და ცისფერი ვეშაპით დამთავრებული. მათთანაც იგივეა. მცენარეებშიც - მიკროორგანიზმებიდან გიგანტურ სეკვოიამდე, რომელიც, შენ მისი ზომების პატივისცემის გამო, ლათინურად მოიხსენიე. რამდენადაც ვიცი, ასეთი რამ ყველა მათგანს ემართება. გამოდის, ყველას თავისი საკუთარი, პირადი სიკვდილი აქვს, რომელსაც ვერავის გადასცემს. დიახ. გარდა ამისა, კიდევ არის ორი საყოველთაო სიკვდილი, თითო ბუნების თითოეული

სამეფოსთვის. სრული სიმართლეა. ეს თანატოსის მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების განაწილება აქ მაინც მთავრდება. იკითხა ფილოსოფოსის შეგირდმა. იქ, სადამდეც ჩემი წარმოსახვა წვდება, კიდევ ერთ სიკვდილს ვხედავ - უკანასკნელს და უმაღლესს. ნუთუ. აბა, წარმოიდგინე: ის ოდესმე მთელ სამყაროს ეწვევა და მართლაც დაიმსახურებს „სიკვდილის" სახელს, თუმცა, როდესაც ეს მოხდება, უკვე აღარავინ იქნება ამ სიტყვის მთქმელი, ხოლო ყველაფერი დანარჩენი, რაზეც ჩვენ ვილაპარაკეთ, წვრილმანი და უმნიშვნელო დეტალებია. აქედან ვასკვნი, რომ სიკვდილი ერთადერთი არაა, რატომღაც შეაჯამა ფილოსოფოსის შეგირდმა. ამდენი ხანია სწორედ მაგას გიხსნი. ანუ ერთი სიკვდილი, რომელიც ჩვენია, საქმიანობას წყვეტს, ხოლო დანარჩენი ორი, რომლებიც შესაბამისად ფლორასა და ფაუნას განეკუთვნებიან, თავიანთ საქმეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აგრძელებენ, ამასთან თითოეულს თავისი სფერო აქვს, თავისი სექტორი. აბა, დაგარწმუნე. კი. მაშინ წადი და ამის შესახებ ყველას გააგებინე, უთხრა სულმა, რომელიც აკვარიუმის თავზე ქროდა.

უკმაყოფილება, რაც აკვარიუმის თავზე მქროლავი სულის თამამ წინადადებას დაუყოვნებლივ შეაგებეს, უპირველესად იმან გამოიწვია, რომ მისი რუპორი იყო არა დიპლომირებული ფილოსოფოსი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ოსტატის თანაშემწე, რომელიც მხოლოდ მარტივი და ელემენტარული - იმ პროტოზოას მსგავსი - ცნობებით კი არ იყო შეიარაღებული, არამედ, თითქოს ეს არ კმაროდა, ეს ცნობები ფრაგმენტული და ზედაპირული, ერთმანეთზე ძლივს მორგებული, ფურთხით მიმაგრებული, დალამბული იყო, ასე რომ, მათი ჭრელი ფერები და დანაწევრებული ფორმები ერთმანეთს ვერ ურიგდებოდა და ისეთ

ფილოსოფიას ქმნიდა, რომელიც შეიძლება არლეკინურ მიმდინარეობას, ან ეკლექტიკურ სკოლას მიაკუთვნო. თუმცა, მთავარი ეს არ არის. დიახ, რა თქმა უნდა, პოსტულატის არსი აკვარიუმის თავზე მქროლავმა სულმა ჩამოაყალიბა, მაგრამ წინა გვერდებზე მიმდინარე დიალოგის გადაკითხვაც საკმარისია, რომ აღიარო: ამ საინტერესო იდეის განვითარებაში ფილოსოფოსის შეგირდმაც თავისი არცთუ მცირე წვლილი შეიტანა, თუნდაც მსმენელის რანგში, რაც, როგორც ყველას კარგად მოეხსენება, ჯერ კიდევ სოკრატეს დროიდან, დიალექტიკურად აუცილებელი ფაქტორია. ყოველ შემთხვევაში, ერთს ვერავინ უარყოფს: ადამიანური არსებები ფაუნის ყველა სხვა ოჯახის, გვარისა თუ სახეობისგან განსხვავებით, არ კვდებიან. რაც შეეხება ფლორას, ყველა, ისიც კი, ვინც ბოტანიკა არ იცის, დიდი ძალისხმევის გარეშე აღიარებს, რომ მცენარეები, ისევე როგორც ადრე, იბადებიან, იფოთლებიან, ჭკნებიან, ხმებიან და, თუ ამ ბოლო ფაზას, რომელსაც ხან სდევს ხრწნა, ხან კი - არა, შეუძლებელია, სიკვდილი ეწოდოს, მაშინ სხვა მოვიდეს და უკეთ აგვიხსნას. და იმ გარემოებასაც, რომ ადამიანები აქ არ იხოცებიან, ხოლო მთელი დანარჩენი ცოცხალი ბუნება კვდება, ვიღაც-ვიღაცები ოპონენტთა რიგებიდან იმით ხსნიდნენ, ყველაფერ ნორმალურს ჩვენი სამყარო ჯერ საბოლოოდ არ დაუტოვებიაო, ხოლო ნორმალური - თქმაც არ უნდა, მაგრამ თუ ვიტყვით, მაშინ - პირდაპირ და უბრალოდ - არის მოკვდე თავის დროზე. მოკვდე და არ მსჯელობდე, სიკვდილი დაბადებისთანავე მეწერა თუ, უბრალოდ, ისე, სასეირნოდ იყო გამოსული და მე გადამეყარაო. სხვა ქვეყნებში ადამიანები ჩვეულებრივად იხოცებიან და არ ეტყობათ, რომ ამაზე ძალიან წუხდნენ. თავიდან, რა თქმა უნდა, შურიც იყო და

შეთქმულებებიც, ერთი-ორი ჯაშუშიც დაიჭირეს, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ, გაეგოთ, რაშია ჩვენი მიღწევების საიდუმლო, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რაც შემდეგ ჩვენთან დატრიალდა, ვვარაუდობთ, რომ უმეტესობას ჩვენ მიმართ გაუჩნდა განცდა, რომელიც ასეთ ფორმულამდე დაიყვანება: კიდევ კარგი, აქ არ ხდება.

ეკლესიამ, ცხადია, დებატებში მონაწილეობის მისაღებად თავის ნაცად ხერხს მიმართა - გზანი უფლისანი ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან შეუცნობელნი, რაც ვერბალური უღმერთობით მსუბუქად გასვრილ თანამედროვე ენაზე ნიშნავს, რომ ზეციური კარიბჭის ჭუჭრუტანაში შეჭყეტა, იმის გასაგებად, იქ რა ხდება, ჩვენთვის არ შეიძლება. კიდევ, ამბობდა ეკლესია, ბუნებრივი მოვლენების დროებითი, თუნდაც ძალიან ხანგრძლივი, შეჩერება ადრეც მომხდარა, საკმარისია გავიხსენოთ ის უთვალავი სასწაული, რომლებიც ღმერთმა ბოლო ოც ასწლეულში მოახდინა, და განსხვავება ახლანდელსა და იმდროინდელ სასწაულებს შორის შეიძლება მხოლოდ მასშტაბში იყოს, ვინაიდან, თუ ადრე რწმენის სიმტკიცით დამსახურებული მადლი ერთეულებზე გადმოდიოდა, ახლა ის მთელ ქვეყანას მოეფინა, ასე ვთქვათ, სიცოცხლის ელექსირით მისი ყველა მოქალაქე დაჯილდოვდა, თან არა მარტო ჭეშმარიტად მორწმუნეები, რომელთა ღვაწლიც, ლოგიკურად, გამორჩევით უნდა ყოფილიყო დაფასებული, არამედ ათეისტებიც, აგნოსტიკოსებიც, ერეტიკოსებიც, ყველა ჯურის კერპთაყვანისმცემლები, სხვადასხვა სექტის მიმდევრები, სხვა რელიგიების ადეპტები, კარგი და ცუდი ან საერთოდ უვარგისი ადამიანები, შეშლილები და ჭკვიანები, ჯალათები და მსხვერპლნი, ნათელი პიროვნებები და შავბნელი ბოროტმოქმედები, პოლიციელები და ქურდები, სისხლის

მწოველები და დონორები, ერთი სიტყვით ყველა, ყველა, გამონაკლისის გარეშე, ერთბაშად მოწმე და მიმღები გახდა სასწაულების ისტორიაში უდიდესი სასწაულისა: ხორცის საუკუნო სიცოცხლე ამიერიდან სულის საუკუნო სიცოცხლეს შეერწყა. თუმცა საეკლესიო იერარქები - ეპისკოპოსები და უფრო ზემდგომნიც - სასწაულის წყურვილით შეპყრობილ საშუალო რგოლის სამღვდელოებას არ დაეთანხმნენ, რის შესახებაც მორწმუნეებს კატეგორიული და მტკიცე ტონით შედგენილი მიმართვის მეშვეობით სასწრაფოდ ამცნეს: მიმართვა, რომელშიც, როგორც წესია,უფლის გზების შეუცნობლობა ახსენეს, დაჟინებით იმეორებდა აზრს, კარდინალს ჯერ კიდევ კრიზისის პირველ საათებში პრემიერთან სატელეფონო საუბრის დროს ექსპრომტად რომ მოუვიდა, როდესაც საკუთარი თავი პაპის ადგილზე დააყენა, ამ მკრეხელობის გამო ღმერთს პატიება სთხოვა და წამოაყენა წინადადება, სასწრაფოდ შეემუშავებინათ ახალი - გადადებული სიკვდილის - დოქტრინა და მთლიანად მინდობოდნენ უკვე მრავალჯერ ნაქებ დროის სიბრძნეს, რომელიც გვეუბნება, რომ ამოცანა, რომელიც დღეს გადაუჭრელი ჩანს, ხვალ თავად გადაიჭრება. ხვალემ იფიქროს ხვალისა. თავისი საყვარელი გაზეთის რედაქტორისთვის გაგზავნილ წერილში ერთ-ერთმა მკითხველმა მზადყოფნა გამოთქვა, მიეღო იდეა, რომ სიკვდილს მოეგუნება, საკუთარი თავი გაურკვეველი ვადით გადაედო, მაგრამ მოწიწებით ითხოვდა, აეხსნათ, ეს ამბავი ეკლესიამ როგორ გაიგოო და თუკი იგი ასე კარგადაა ინფორმირებული, მაშინ იქნებ გვამცნოს, ეს გადადება რამდენ ხანს გაგრძელდებაო. რედაქციამ მკითხველს შეახსენა, რომ საუბარი მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდს ეხება, რომელიც ჯერ არაფრით დასაბუთებულა, აქედან კი, ყველას, ვისაც ყურები ესხა, შემდეგი დასკვნა უნდა

გამოეტანა: ეკლესიამ იმდენივე იცის ამის თაობაზე, რამდენიც ყველა ჩვენგანმა, ანუ - არც არაფერი. ამავე დროს ვიღაცამ შეთხზა სტატია, რომელშიც მოითხოვა, დისკუსია თავდაპირველ საკითხს მიბრუნებოდა, სახელდობრ - სიკვდილი ერთია თუ ბევრი, ანუ სიკვდილია თუ სიკვდილები, და რაკი ხელში კალამი აიღო, განაცხადა, ეკლესია ორაზროვან პოზიციას იჭერს, ჩვეულებისამებრ დროის მოგებას ცდილობს და საკუთარ თავზე არავითარ ვალდებულებას არ იღებს, ანუ ბაყაყს ფეხზე არტახო ადებს იმისთვის, რომ არც მწვადი დაწვას და არც შამფურიო. ამ ფოლკლორული გამოთქმებიდან პირველმა ჟურნალისტების დიდი დაბნეულობა გამოიწვია, ასეთი ცხოვრებაში არც არაფერი გაეგონათ და არც წაეკითხათ. ჩიხში მოექცნენ, მაგრამ პროფესიული თავმოყვარეობით წაქეზებულებმა, თაროებიდან ლექსიკონები გადმოიღეს, რომლებიც სტატიებისა და წერილების წერისას არაერთხელ გამოსდგომიათ და ზემოხსენებული წყალხმელეთას ძებნა დაიწყეს. რა თქმა უნდა, ვერაფერს მიაგნეს, იპოვეს ბაყაყი, ფეხიც იპოვეს, მაგრამ არსად ჩანდა „არტახს ადებს", რის გამოც ამ სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება და ამ დაკავშირებით მიღებული ღრმა აზრის გარკვევა ვერ ხერხდებოდა. აქ ვიღაცას მოხუცი გუშაგი გაახსენდა, რომელიც სოფლიდან ქალაქში დიდი ხნის წინ ჩამოსულიყო, მაგრამ აქამდე, ყველას დასაცინად, მაინც ისე ლაპარაკობდა, თითქოს ბუხართან ზის და შვილიშვილებს ზღაპრებს უყვებაო. კითხვაზე, გაგიგონია თუ არა ესა და ეს ანდაზაო, პასუხად მიიღეს: როგორ არაო, ხოლო კითხვაზე, გესმის თუ არა მისი აზრიო - აქ გაუგებარი რა არისო. მაშინ აგვიხსენით, მოითხოვა შეფრედაქტორმა. ბატონებო, გატეხილი ძვლების შესაკავშირებლად არტახებს, ანუ არტაშანს ადებენ. და აქ ბაყაყი რა შუაშია.

ძალიანაც შუაშია, იმიტომ რომ ჯერ ვერავინ მოახერხა ბაყაყის ფეხის არტახებში მოქცევა. რატომ. იმიტომ, რომ ფეხი მუდმივად უკანკალებს. და მაინც ეს რას ნიშნავს. იმას, რომ არის საქმე, რომლისთვისაც ხელის მოკიდებაც არ ღირს, მაინც არაფერი გამოვა. ჰო, მაგრამ ჩვენი მკითხველი წერს, როდესაც რაიმე სამუშაოს ვერ ასრულებენ, ან განზრახ აჭიანურებენ, ასე ვთქვათ, აჯანჯლებენ, სწორედ მაშინ ამბობენ, ბაყაყის ფეხის დასაარტახებლად წავიდაო, ანუ, ამ შემთხვევაში, ეკლესია ბაყაყს ფეხზე არტახს ადებს. სწორედ მასეა. ე. ი. ჩვენი მკითხველი მართალია. ვფიქრობ, მართალია, მაგრამ მე ხომ პატარა კაცი ვარ. დიდი მადლობა, ძალიან დაგვეხმარეთ. და მწვადისა და შამფურის ამბავი არ აგიხსნათ. არა, გმადლობთ, ეს ვიცით, თავადაც მთელი დღეები მაგის მეტს არაფერს ვაკეთებთ. ხოლო პოლემიკა სიკვდილის მრავლობითობის შესახებ, რომელიც აკვარიუმის თავზე მქროლავმა სულმა ასე დიდებულად დაიწყო, სრულ ფარსად იქცეოდა, გაზეთში ერთი ეკონომისტის სტატია რომ არ გამოჩენილიყო. მართალია, სოციალური მეურვეობის სფეროში ბუღალტრული აღრიცხვა მისი სპეციალობა არ იყო, მაგრამ ამ ეკონომისტმა მიიჩნია, საგანი იმდენად მაინც მესმის, რომ საჯაროდ ვიკითხო: საინტერესოა, როგორ აპირებს მთავრობა ასე, ოცი წლის შემდეგ აუნაზღაუროს შემწეობები მილიონობით ადამიანს, რომლებიც მოხუცებულობის პენსიაზე გავლენ, მაშინ, როცა ეს მოხუცებულობა შეიძლება საუკუნის დასასრულამდე გაგრძელდეს და არც მისი და არც მათი დასასრული არასოდეს დადგეს, რაც მათი რიცხვის არითმეტიკული თუ გეომეტრიული პროგრესიით გარდაუვალ ზრდას გამოიწვევს, ეს კი ქვეყანაში კატასტროფის, დაბნეულობის, არნახული ქაოსის გარანტია

იქნება, რასაც ასეთი განწირული შეძახილით გამოხატავენ: „ვისაც შეგიძლიათ, თავს უშველეთ“, თუმცა ვერავინ უშველის. ასეთი შემაძრწუნებელი პერსპექტივის შემდეგ ფილოსოფოსებს აღარაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ, ძველი იგავის არ იყოს, გიტარები ტომრებში დაემალათ, ხოლო ეკლესია კრიალოსნის მარცვლას დაბრუნებოდა და მეორედ მოსვლას დალოდებოდა, რომელიც, მათი ესქატოლოგიური სასოების თანახმად, ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებდა. ეკონომისტის შემაშფოთებელი ანგარიშის თაობაზე შევნიშნავთ, რომ ამ ყველაფრის გამოთვლა ძნელი არ იყო და თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ ადამიანების რიცხვი, რომლებსაც მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო პენსია ეკუთვნით, ქმედუნარიან მოსახლეობასთან შედარებით განუხრელად გაიზრდება, ქმედუნარიანი ადამიანების რიცხვი კი განუწყვეტლივ და სულ უფრო სწრაფად შემცირდება, ისღა დაგვრჩენია, გაგვიკვირდეს: რატომ მაშინვე ვერავინ მიხვდა, სიკვდილის გაქრობა, რაც თავიდან ყველას ნეტარების მწვერვალი, სურვილების ზღვარი და ბედნიერების აპოგეა ეგონა, სინამდვილეში თურმე არც ისეთი კარგი რამ ყოფილა. საჭირო გახდა, ფილოსოფოსები და სხვა აბსტრაქტულად მოაზროვნეები საკუთარი ბრძნული აზრების უღრან ტყეში დაკარგულიყვნენ, რათა ჯანსაღი აზრი პროზაულად კალმითა და ქაღალდით შეიარაღებულიყო და ერთი ხელის მოსმით დაემტკიცებინა, განსახილველად გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხები არსებობსო. იმათ, ვინც ადამიანის ბუნების ბნელ მხარეებს იცნობენ, სულაც არ გაჰკვირვებიათ, რომ ყბადაღებული სტატიის გამოქვეყნებისთანავე მოსახლეობის ჯანმრთელი ნაწილის დამოკიდებულება ავადმყოფი ნაწილისადმი გაუარესდა.

მართალია, ადამიანები აქამდეც თანხმდებოდნენ, რომ ზარალი დიდია და დისკომფორტიც არანაკლები, მაგრამ ყველა დარწმუნებული იყო, რომ მოხუცებისა და უძლურებისადმი პატივისცემა ცივილიზებული საზოგადოების ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა, ამიტომ, თუნდაც ზოგჯერ გულის გამაგრება დასჭირვებოდათ, მათ დახმარებასა და ზრუნვაზე უარს არ ამბობდნენ, ის კი არა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვიდრე სინათლეს ჩააქრობდნენ, ორიოდე ყლუპ სინაზესა და სიყვარულსაც იმეტებდნენ მათთვის. რა თქმა უნდა, როგორც ვიცით, ისეთი გულქვა ოჯახებიც მოიძებნებოდნენ, რომლებიც, განუკურნებელ არაადამიანობას აყოლილები, მაფფიასთან ხელშეკრულების დადებას კადრულობდნენ, რათა თავიდან მოეცილებინათ ადამიანის საცოდავი ნარჩენი, რომელიც ოფლით გაჟღენთილ და ექსკრემენტებით დასვრილ ზეწარზე დაუსრულებელ აგონიაში იკრუნჩხებოდა, მაგრამ ეს ოჯახები ჩვენგან ყველაზე მკაცრ გაკიცხვას იმსახურებენ და იმ სახლობას ჰგვანან, ხის ფიალის შესახებ ძველთაძველ და უკვე ასჯერ მოყოლილ ზღაპარში რომ გვხვდება და რვა წლის ბავშვის სიკეთის წყალობით, საბედნიეროდ, შეჩვენებას უკანასკნელ წამს გადაურჩება. ახლა ამ ზღაპრის არსს ახალი თაობების საყურადღებოდ მოკლედ შეგახსენებთ, იმედი მაქვს, ის მათ გულუბრყვილო და სენტიმენტალური არ მოეჩვენებათ. მოკლედ, ალბათ, ყურადღებით მისმენთ და ყურად იღებთ მორალურ დარიგებებს. უხსოვარ დროში ერთ ზღაპრულ ქვეყანაში ცხოვრობდა ოჯახი - დედა, მამა, ამ მამის მამა, ანუ ბაბუა და ზემოხსენებული რვა წლის ბიჭი. ბაბუა უკვე მოხუცი იყო, ხელები უკანკალებდა, ამიტომ, როდესაც სუფრასთან ისხდნენ, კოვზი პირთან ისე ვერ მიჰქონდა, რომ საჭმელი არ დაეექცია. შვილი და რძალი ამის გამო

ბრაზობდნენ, კიცხავდნენ მას და ლანძღავდნენ, მაგრამ რა ექნა საცოდავ მოხუცს, თუ ხელები ისედაც არ ემორჩილებოდა, ხოლო, როდესაც ლანძღავდნენ, კიდევ უარესი ემართებოდა, ასე რომ, იგი ყოველთვის სვრიდა გადასაფარებელს ან კერძს იატაკზე ღვრიდა, იმაზე აღარაფერს ვამბობთ, მისთვის ხელსახოცის დღეში სამჯერ - საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე - გამოცვლა რომ იყო საჭირო. ყველაფერი ასე გრძელდებოდა და არანაირი სასიკეთო ცვლილება მოსალოდნელი არ იყო, ვიდრე შვილმა არ გადაწყვიტა, ამ უსიამოვნო სიტუაციისთვის ბოლო მოეღო. ხის ჯამი მოიტანა და მამას უთხრა: დღეიდან ამ ჯამიდან შეჭამ და ზღურბლთან დაჯდები, იმიტომ რომ იქ მორეცხვა უფრო იოლია და შენს რძალსაც გადასაფარებლებისა და ხელსახოცების გაუთავებლად რეცხვა აღარ მოუწევსო. და შესრულდა მისი ნათქვამი. დღეში სამჯერ მოხუცი ზღურბლთან ჯდებოდა და როგორც შეეძლო, ისე ჭამდა: საჭმლის ნახევარი ჯამიდან პირამდე გზაში ეკარგებოდა, მეორე ნახევრის ნაწილი ნიკაპზე ეღვრებოდა, ასე რომ, სულ ცოტაღა აღწევდა იმ ადგილამდე, რომელსაც ხალხი წვნიანის გზას უწოდებს. შვილიშვილს თითქოს არც აინტერესებდა, რა უსინდისოდ ექცეოდა დედ-მამა ბაბუას, ჯერ მოხუცს გახედავდა, მერე მშობლებს და ჭამას აგრძელებდა. მაგრამ ერთ საღამოს სამუშაოდან დაბრუნებულმა მამამ დაინახა, ბიჭუნა დანით ხის ნაჭერს როგორ თლიდა და იფიქრა, - ეს იმ შორეულ დროში ნორმალური იყო, - თავისთვის რამე სათამაშოს იკეთებსო, თუმცა, მეორე დღეს შეამჩნია, რომ ნახელავი პატარა ეტლს არ ჰგავდა - ყოველ შემთხვევაში, გაუგებარი იყო, ბორბლები სად უნდა მიმაგრებოდა - და ბიჭს ჰკითხა, რას აკეთებო. ბიჭმა თავი ისე მოაჩვენა, თითქოს არ ესმოდა და დანით ხის თლა განაგრძო: შეგახსენებთ, რომ ეს ამბები

იმ დროში ხდება, როდესაც მშობლები ჯერ კიდევ არ იყვნენ ასეთი მშიშრები და ბავშვისთვის სათამაშოების დასამზადებლად ამ უაღრესად საჭირო ინსტრუმენტის ხელიდან გამოგლეჯას არ ჩქარობდნენ. დაყრუვდი თუ რა გჭირს, უთხრა მამამ, გეკითხები, რას აკეთებ-მეთქი, - და ბავშვმა, ისე, რომ თავი არც აუწევია, უპასუხა: ჯამს ვაკეთებ, რათა, როდესაც მოხუცდებით, ხელები კანკალს დაგიწყებთ და ზღურბლთან დასხდებით, კერძისთვის ჭურჭელი გქონდეთ. ამ წმინდა სიტყვებმა მამას თვალებიდან ლიბრი გადააცალა, მისთვის ჭეშმარიტების ნათელი ამობრწყინდა და სასწრაფოდ მოხუცისთვის პატიების სათხოვნელად გაემართა, ხოლო, როდესაც ვახშმის დრო მოვიდა, გვარის უფროსი საკუთარი ხელით დასვა მაგიდასთან, საკუთარი ხელით აჭამა, პირი და ნიკაპი საკუთარი ხელით მოსწმინდა, იმიტომ, რომ ამისგაკეთების ღონე მას ჯერ კიდევ შერჩენოდა, მამამისს კი - უკვე აღარ. აღარ ვიცით, რა მოხდა შემდეგ, მაგრამ ის კი უსათუოდ მოგვეხსენება: თუ მართალია, რომ ბავშვის საქმიანობა შუა გზაზე შეწყდა და არ დასრულდა, მაშინ მართალია ისიც, რომ ეს ხის ნაჭერი სადღაც აქაა. ის არავის დაუწვავს, სანაგვეზე არ გადაუგდია, იმისთვის, რომ ეს გაკვეთილი დავიწყებას არ მისცემოდა, ან იმიტომ, რომ ოდესმე ვინმეს აზრად მოუვიდოდა სამუშაოს დასრულება, და ეს შეუძლებელი როდი გახლავთ, თუ გავითვალისწინებთ, რა წარმოუდგენელი სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები ადამიანის სულის ბნელი მხარეები. როგორც ვიღაცამ თქვა: მოსახდენი მოხდება, ეს მხოლოდ დროის საკითხია, და თუ ჩვენს მიწიერ გზაზე ის ჯერ კიდევ არ შეგვხვედრია, ესე იგი, ამქვეყნად საკმარისად არ გვიცხოვრია. იმის გამო, რომ ბრალად არ დაგვდონ, თითქოს საღებავებს პალიტრის მხოლოდ მარცხენა

მხრიდან ვიღებთ, მოგვიწევს დავუშვათ, რომ ამ სასიამოვნო ზღაპრის ტელევერსიამ, რომელმაც კოლექტიური მეხსიერების ხაროებსა და განაკაფებში ხშირი აბლაბუდის ჩამოფერთხვა შეძლო, ხელი შეუწყო იმას, რომ ოჯახების დაუძლურებულ ცნობიერებაში უხრწნელი და არანივთიერი სულიერი ღირებულებების დაბრუნება დაიწყო, რის კულტივირებასაც საზოგადოება იმ დროში ახდენდა, როდესაც ამჟამად გაბატონებულ მდაბალ მატერიალიზმს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაპყრობილი ადამიანთა ნება, რომელიც მაშინ ძლიერი ეგონათ, ხოლო სინამდვილეში მტანჯველი სულიერი სისუსტის ზუსტი ანაბეჭდი აღმოჩნდა. ასე რომ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა საჭირო არ არის. იმედი ვიქონიოთ, როდესაც ბიჭუნა ხის ნაჭრით ხელში ეკრანებზე გამოჩნდება, ქვეყნის ნახევარი ცხვირსახოცებს ეცემა, რათა ცრემლები მოიწმინდოს, ხოლო მეორე, ალბათ, სტოიკური ტემპერამენტით დაჯილდოებული ნახევარი მათ, ანუ ცრემლებს, ლოყებზე ჩამოგორების საშუალებას მისცემს, იმის დასტურად, რომ ცუდი საქციელის მონანიება, სულერთია, ჩადენილი იქნება იგი თუ მხოლოდ ჩაფიქრებული, ლიტონი სიტყვები არ არის. ღვთის მადლით, კიდევ შევძლებთ ჩვენი მოხუცების გადარჩენას.

რესპუბლიკის მომხრეებმა, რომლებიც, დასანანია და, თითქოს ვერც კი ხვდებოდნენ, რა იყო დროული და ადეკვატური და რა - არა, მოულოდნელად გადაწყვიტეს დელიკატური მომენტით ესარგებლათ და თავი გამოეჩინათ. მათი რიგები მრავალრიცხოვანი არ იყო და არც პარლამენტში ჰყავდათ წარმომადგენელი, თუმცა თავის დროზე პარტიად ჩამოყალიბება შეძლეს და არჩევნებში რეგულარულად მონაწილეობდნენ. ამაყობდნენ იმით, რომ გავლენა ჰქონდათ არტისტულ და ლიტერატურულ წრეებში,

სადაც დროდადრო მათი მანიფესტები ჩნდებოდა ხოლმე - საკმარისად მჭახე, მაგრამ სრულიად უწყინარი. მას შემდეგ, რაც სიკვდილმა შესვენება გადაწყვიტა, რესპუბლიკელებს სიცოცხლის ნიშანწყალიც არ გამოუმჟღავნებიათ, არადა, ოპოზიციას, რომელიც თავს შეურიგებელს ან სისტემურს უწოდებდა, თავად ღმერთმა მისცა შანსი, უკურნებელი სენით დაავადებულთა საზღვარზე გადაყვანაში მაფფიის სავარაუდო მონაწილეობის საკითხში თუნდაც მეტი სინათლის შეტანა მოეთხოვა. ახლა კი, როდესაც ქვეყანა მთელი სამყაროს წინაშე თავის მოწონების ამაო სურვილსა და თეთრ ყვავად გამოჩენის მორიდებულ შიშს შორის მერყეობდა, არსებული დაბნეულობით ისარგებლეს და მოულოდნელად, არც მეტი, არც ნაკლები, წყობილების შეცვლა მოითხოვეს. და, რა თქმა უნდა, მონარქიის მოწინააღმდეგეები, ტახტის მტრები, დარწმუნებული იყვნენ, რომ რესპუბლიკის დამყარების სასარგებლოდ გამანადგურებელი არგუმენტი იპოვეს. ამტკიცებდნენ, ელემენტარული ლოგიკის ფეხქვეშ გათელვა იქნება, სახელმწიფოს სათავეში იყოს მეფე, რომელიც არასდროს მოკვდება და ხვალაც რომ გადაწყვიტოს ტახტზე უარის თქმა, მაგალითად, სიბერის ან ჭკუასუსტობის გამო, მეფედ მაინც დარჩება - პირველ მეფედ ინაუგურაციებისა და გადადგომის დაუსრულებელ ჯაჭვში, იმ ხელმწიფეთა დაუსრულებელ რიგში, რომლებიც თავიანთ საწოლებში დაელოდებიან გადაკარგულ სიკვდილს, ცოცხალ-მკვდარი მონარქების მარადიულ მწკრივში - იმისთვის, რომ თავიანთი სხეულებით სასახლის დერეფნები არ ჩახერგონ, მათი პანთეონებში დასაწყობება მოგვიწევს, უზრუნველად გარდაცვლილ წინამორბედთა გვერდით, რომლებიც კარგა ხანია ძვლების გროვად, ანდა აქოთებულ მუმიებად იქცნენ. რამდენად უფრო გონივრული იქნება მკაცრად

განსაზღვრული დროით რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევა, რომელიც პოსტზე, ჰა და ჰა, ორი ვადით დარჩება, მერე კი, თავისას რომ მოითავებს, პირად ცხოვრებას დაუბრუნდება: ლექციებს წაიკითხავს, წიგნებს დაწერს, ივლის კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე, დაესწრება მრგვალ მაგიდებს, მსოფლიოს მოივლის, აზრს გამოთქვამს ქვედაბოლოების სიგრძეზე, როდესაც ისინი ხმარებაში ისევ შემოვა, ან ატმოსფეროში არსებულ ოზონის ხვრელზე, თუ იმ დროისთვის ატმოსფერო ისევ იქნება და საერთოდ არ გაქრება. ჩვენ კიდევ არ მოგვიხდება ყოველდღე გაზეთში წავიკითხოთ, ტელევიზიით ვნახოთ, რადიოთი მოვისმინოთ ცნობები სამეფო კარის მედსანნაწილისგან სასახლის საავადმყოფოთა პაციენტების სტაბილურად მძიმე მდგომარეობის შესახებ. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ საავადმყოფოებში საწოლების რაოდენობის ზედიზედ ორჯერ გაზრდის შემდეგ მესამედ გაზრდაც გახდება აუცილებელი. მრავლობითი რიცხვის გამოყენება კი აქ იმისთვის დაგვჭირდა, რომ მიგვეთითებინა - როგორც ეს ყველა სტაციონარშია, ქალები ცალკე განთავსდებიან, კაცები - ცალკე, ანუ მეფეები და უფლისწულები - აქეთ, დედოფლები და მეფის ასულები - იქით. რესპუბლიკელებმა ხალხს შეუფითილეს, არწმუნებდნენ, უფლებამოსილებები საკუთარ თავზე აიღეთ, საკუთარ ბედსაც მტკიცედ ჩაავლეთ ხელი და ასე მკერდით გაიკვლიეთ გზა ახალი უღრუბლო ცხოვრებისაკენ, დაიძარით, ასე ვთქვათ, განთიადის შესახვედრადო. არ ვიცი, ამ თამამმა და მარჯვედ მოფიქრებულმა მხატვრულმა სახემ იმოქმედა თუ რაიმე სხვამ, მაგრამ ფაქტია: მანიფესტმა უკვე არა მხოლოდ მხატვრებისა და ლიტერატორების გულები ააღელვა - სხვა სოციალურმა ფენებმა და წოდებებმაც ისმინეს მოწოდება, ასე რომ, პარტიას მოულოდნელად მეტისმეტად ბევრი

მხარდამჭერი გაუჩნდა, ისინი მზად იყვნენ, მითითებულ გზას დასდგომოდნენ, რომელსაც, იმისი არ იყოს, ცაში მოლივლივე ფრინველს უკვე ნანადირევს რომ უწოდებენ, ისტორიული შეარქვეს, თუმცა ჯერ არავინ იცოდა, სინამდვილეში ასე იყო თუ არა. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, მომდევნო დღეებში სამოქალაქო აღტყინება, რამაც რესპუბლიკის ახალი მომხრეები მოიცვა, რიგ შემთხვევებში უბრალო თავაზიანობისა და დემოკრატიული შემწყნარებლობის ნორმებს გასცდა და ყველაზე უხამსი ლანძღვის ფორმა მიიღო. ყველა, ვისაც გემოვნება ჯერ კიდევ არ ღალატობდა, ერთსულოვნად თანხმდებოდა, რომ სიტყვები: „მუქთახორები“, „პარაზიტები“, „წურბელები“, რომლებსაც უავგუსტესი პერსონების მიმართ იყენებდნენ, არა მარტო დაუშვებელი გახლდათ, არამედ - უპატიებელიც. სავსებით შესაძლებელი იყო გეთქვა, ხაზინა სამეფო კარის შესანახი ხარჯების მუდმივ ზრდას ვერ გაუძლებსო და ყველა ყველაფერს გაიგებდა. სიმართლეც იქნებოდა და საწყენადაც არავინ მიიღებდა. კაცმა არ იცის, რას წერენ.

რესპუბლიკელების მძვინვარე შეტევამ, უფრო მეტად კი სტატიაში მოყვანილმა შემაშფოთებელმა გამოთვლებმა, რომ სულ მალე ყბადაღებული ხაზინა მოხუცებულობისა და ინვალიდობის პენსიებს ვეღარ აუვიდოდა, მეფე აიძულა, თავისი პირველი მინისტრი ერთი ერთზე, პროტოკოლისა და მოწმეების გარეშე, გულახდილი საუბრისთვის დაებარებინა. პრემიერიც მოვიდა და მისი უდიდებულესობისა და სამეფო ოჯახის წევრების ჯანმრთელობით დაინტერესდა, განსაკუთრებით დედა-დედოფლისა, რომელიც წლის მიწურულს მზად იყო, უკანასკნელად ამოესუნთქა, ახლა კი, ბევრი სხვა ადამიანის მსგავსად, ასეთ რამეს წუთში ცამეტჯერ აკეთებდა, თუმცა თავისი საწოლის ბალდახინის ქვეშ გართხმული

სიცოცხლის სხვა ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა. მისმა უდიდებულესობამ მადლობა გადაუხადა და უპასუხა, დედა-დედოფალი თავის ჯვარს ღირსეულად ატარებს, ისე, როგორც მის ძარღვებში ჯერ კიდევ მჩქროლავ კეთილშობილ სისხლს ეკადრებაო, მერე კი უშუალოდ საუბრის საგანზე გადავიდა, რომლის პირველი პუნქტიც რესპუბლიკელების ომის გზაზე შედგომა გახლდათ. არ მესმის, ჩაილაპარაკა მან, ამ ხალხს რა აუხირებია: ქვეყანა ისეთ უმძიმეს კრიზისს ებრძვის, როგორიც მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში არ ყოფილა, ისინი კი წყობილების შეცვლაზე მსჯელობენ. მე, ხელმწიფევ, ეს არ მაღელვებს: ისინი მხოლოდ და მხოლოდ ხელსაყრელი მომენტის გამოყენებას ცდილობენ, რათა თავიანთ ე. წ. წინადადებებს მეტი წონა შესძინონ, მარტივად რომ ვთქვათ, მღვრიე წყალში თევზის დაჭერა უნდათ. თანაც, პატრიოტიზმის სავალალო უქონლობის ფონზე. სწორედ ასეა, ხელმწიფევ, სახელმწიფო წყობაზე რესპუბლიკელების შეხედულებებს მხოლოდ რესპუბლიკელები თუ გაიგებენ, თუმცა ესეც საეჭვოა. მათი შეხედულებები მე არ მაინტერესებს, მე თქვენგან მინდა მოვისმინო, არსებობს თუ არა წყობილების შეცვლის შესაძლებლობა. მათ ხომ პარლამენტშიც კი არ ჰყავთ წარმომადგენელი, თქვენო უდიდებულესობავ. მე სახელმწიფო გადატრიალებას ვგულისხმობ - რევოლუციას. ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელია, თქვენო უდიდებულესობავ: ხალხი ტახტის ირგვლივაა დარაზმული, შეიარაღებული ძალები კანონიერი ხელისუფლების ერთგულია. გამოდის, შემიძლია მშვიდად ვიყო. სავსებით, თქვენო უდიდებულესობავ. მეფემ სიტყვა „რესპუბლიკელების“ გვერდით ჯვარი დასვა და თქვა: მაშ ასე, ეს გავარკვიეთ, - და მომდევნო პუნქტზე გადავიდა: აბა,

რა პრობლემებია გაუცემელ პენსიებთან დაკავშირებით. არა, არა, პენსიები გაიცემა, სხვა საქმეა, რომ მომავალი ძალიან მუქ ფერებში მოჩანს. ეტყობა, მე ვერ გავიგე და ვიფიქრე, პენსიების გაცემა შევაჩერეთ-მეთქი. არა, არა, ხელმწიფევ, მაგრამ ხვალინდელი დღე შიშის მომგვრელია. რა გაშინებთ. ყველაფერი, თქვენო უდიდებულესობავ, შეიძლება სახელმწიფო ბანქოს ხუხულასავით ჩამოიქცეს. და რა - მხოლოდ ჩვენ, მხოლოდ ჩვენ ვდგავართ ამ პრობლემის წინაშე. არა, თქვენო უდიდებულესობავ, ის ადრე თუ გვიან ყველას შეეხება, განსხვავება აქ, მომიტევეთ ბანალურობა, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორისაა. ვერ ვხვდები. სხვა ქვეყნებში ადამიანები ძველი და ჩვეულებრივი წესით იხოცებიან და სიკვდილიანობა შობადობის დონეს აბალანსებს, ჩვენთან კი, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენს სახელმწიფოში არავინ კვდება, გაიხსენეთ თქვენი უავგუსტესი დედა, ისე ჩანდა, რომ იგი სიკვდილის პირას იყო, მაგრამ - ნურას უკაცრავად, რა თქმა უნდა, ეს უფრო ბედნიერებაა, მაგრამ ჩვენ, გადაჭარბებად ნუ ჩამითვლით, ყულფი კისერზე გვაქვს ჩამოცმული, თქვენო უდიდებულესობავ. მაგრამ ჩემამდე ხმამ მოაღწია, რომ ვიღაც მაინც მოკვდა. მართლაც ასეა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია: ყველა ოჯახი ასეთ რამეზე ვერ მიდის. რაზე ვერ მიდის. რომ თავისი უიმედო ავადმყოფი მზრუნველობისთვის იმ ორგანიზაციას გადასცეს, რომელიც თვითმკვლელობებითაა დაკავებული. ვერ ვხვდები, რა აზრი აქვს თვითმკვლელობას, თუსიკვდილი მაინც არ შეუძლიათ. მაგათ შეუძლიათ. და ამას როგორ ახერხებენ. ძალიან რთული საქმეა. მოყევით, არავინ გვისმენს. საზღვრის მეორე მხარეს სიკვდილი შეუფერხებლად მუშაობს. ანუ ამ ორგანიზაციას ხალხი საზღვარზე გადაჰყავს. სწორედ ასეა. ეტყობა, ეს საქველმოქმედო

ორგანიზაციაა. ის ჩვენ უიმედო ავადმყოფების სიჭარბესთან გამკლავებაში გვეხმარება, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ეს ზღვაში წვეთია. და რა ორგანიზაციაა. პრემიერმა ღრმად ჩაისუნთქა და უპასუხა: მაფფია, თქვენო უდიდებულესობავ. მაფფია. დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, მაფფია, ვინაიდან სახელმწიფოს კიდევ ერთხელ უწევს მიმართოს იმათ, ვინც მის მაგივრად შეასრულებს ბინძურ სამუშაოს. თქვენ ჩემთვის ადრე არაფერი გითქვამთ. დამნაშავე ვარ, თქვენო უდიდებულესობავ, არ მინდოდა, თქვენს სახელს ჩრდილი მისდგომოდა. ჯარი, საზღვარზე განლაგებული ჯარი. მათ თავიანთი როლი აქვთ. რა როლი. ისე იქცევიან, თითქოს ავადმყოფების გადაყვანას დაბრკოლებას უქმნიან, სინამდვილეში კი ასე არაა. მე კიდევ მეგონა, შემოჭრის მოსაგერიებლად ემზადებოდნენ. მაგის საშიშროება არ არის და არც არასდროს ყოფილა, ჩვენ მოსაზღვრე სახელმწიფოების ხელისუფლებებთან მოვილაპარაკეთ, ყველაფერი კონტროლს ექვემდებარება. ყველაფერი პენსიის გარდა. ყველაფერი სიკვდილის გარდა, თქვენო უდიდებულესობავ, ვინაიდან, თუ კვლავაც არ დავიხოცეთ, მომავალს დავკარგავთ. მეფემ სიტყვა „პენსიების" გასწვრივ ჯვარი დასვა და თქვა: რაღაც უნდა მოხდეს. დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, რაღაც უნდა მოხდეს.

* * *

ტელეარხის გენერალური დირექტორის კაბინეტში შესულმა მდივანმა მაგიდაზე კონვერტი აღმოაჩინა. კონვერტი უჩვეულოდ ლილისფერი, მკვრივი და ხორკლიანი იყო, ნაჭრისა გეგონებოდათ. ძველისძველის იერი ჰქონდა, თითქოს ერთხელ უკვე ნახმარიაო. მასზე არც

გამომგზავნის მისამართი იყო მითითებული, რაც ზოგჯერ ხდება ხოლმე, და არც მიმღების, რაც არასდროს მომხდარა. კონვერტი ღამით გასაღებით დაკეტილ და წუთის წინ გაღებულ კაბინეტში იდო, სადაც ვერავინ შევიდოდა. მდივანმა კონვერტი ხელში შეატრიალა და დარწმუნდა, არც მეორე მხარეს ეწერა არაფერი. იგრძნო, რომ ფიქრობდა, თან ამ ფიქრისა და ამ გრძნობის აბსურდულობასაც აცნობიერებდა, ფიქრობდა, რომ იმ მომენტში, როდესაც იგი გასაღებს კლიტეს არგებდა და ატრიალებდა, კონვერტი მაგიდაზე ჯერ კიდევ არ იდო. რა სისულელეა, ჩაილაპარაკა ქალმა, ეტყობა, გუშინ, უბრალოდ, ვერ შევამჩნიე. მერე კაბინეტი მოათვალიერა, დარწმუნდა, ყველაფერი ადგილზე იყო და თავისთან გავიდა. მას, როგორც ნდობით აღჭურვილ მდივანს, შეეძლო თავისი უფლებით ესარგებლა და კონვერტი გაეხსნა, მით უმეტეს, რომ ზედ არ ეწერა ისეთი მკაცრი გაფრთხილება, როგორიცაა: „კონფიდენციალურია“, „ხელში ჩაბარდეს“, „პირადად“, მაგრამ ეს არ გააკეთა, თავადაც ვერ გეტყოდათ, რატომ. თავისი სამუშაო სავარძლიდან ორჯერ ადგა და კაბინეტის კარი გამოაღო. კონვერტი თავის ადგილზე იდო. ასე შეიძლება გაგიჟდე, გაიფიქრა მან, დროზე მაინც მოვიდეს და გაარკვიოს, რა ხდება. საკუთარ შეფს, არხის გენერალურ დირექტორს გულისხმობდა, რომელიც იმ დღეს რატომღაც აგვიანებდა. ბოლოს, როგორც იქნა, თერთმეტის თხუთმეტ წუთზე გამოჩნდა. სიტყვაძუნწი კაცი იყო, გამარჯობა თქვა და კაბინეტისკენ გაემართა, სადაც მდივანს შესვლა მხოლოდ ხუთი წუთის შემდეგ ეკუთვნოდა - იგულისხმება, რომ ამ ხნის განმავლობაში უფროსი პიჯაკის გახდას და პირველი სიგარეტის მოკიდებას მოასწრებდა. მაგრამ როდესაც ხუთი წუთის შემდეგ მდივანმა კაბინეტის ზღურბლს გადააბიჯა,

დირექტორი ისევ პიჯაკით დახვდა და არც ეწეოდა. მას ორივე ხელით ფურცელი ეჭირა, რომელიც ზუსტად კონვერტის ფერი იყო და ხელები უკანკალებდა. შემოსულისკენ შემობრუნდა, მაგრამ თითქოს ვერც იცნო. შემდეგ ხელი წინ გამოსწია, თითქოს გზას უღობავსო და - ღმერთი, რჯული - სხვისი ხმით წარმოთქვა: ახლავე გადით, კარი დაკეტეთ და ჩემთან არავინ შემოუშვათ, არავინ, ვინც უნდა იყოს. თავგზააბნეულ მდივანს სურდა ეკითხა, რა მოხდაო, მაგრამ კაცმა პირის გაღების საშუალებაც არ მისცა, ისე დაუყვირა: დაყრუვდით, გადით აქედან. საცოდავმა ქალმა ცრემლმორეულმა დაიხია უკან. იგი ასეთ მოპყრობას მიჩვეული არ გახლდათ: გენერალურს, ისევე, როგორც ყველას, თავისი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ კარგად აღზრდილი ადამიანი იყო და მდივნებთან ყვირილი არ სჩვეოდა. ალბათ, იმ წერილში რაღაც ისეთი წერია, გაიფიქრა ქალმა და ცრემლების მოსაწმენდად ცხვირსახოცის ძებნა დაიწყო. არც შემცდარა. გაბედულება რომ ყოფნოდა და კაბინეტში ისევ შეეხედა, დაინახავდა, მისი შეფი, სრულიად დაბნეული, კუთხიდან კუთხეს როგორ აწყდებოდა. იმ ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა, რომელმაც არ იცის, რა გააკეთოს, მაგრამ ნათლად ხვდება, რომ ამის გამკეთებელი მეტი არავინაა. აი, მან საათს დახედა, მერე - ფურცელს, ძლივს გასაგონად, თითქოს საიდუმლოდ ჩაილაპარაკა: დრო ჯერ კიდევ არის, დრო ჯერ კიდევ არის, შემდეგ სავარძელში ჩაეშვა და იდუმალი წერილი გადაიკითხა, თან ხელს მექანიკურად ისვამდა ქოჩორზე, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, რომ თავი ჯერ კიდევ კისერზე ება და არ დაჰკარგოდა შიშისგან, რომელმაც გულ-ღვიძლი ჩაუწვა. ჩაიკითხა, უაზრო მზერით სივრცეს მიაშტერდა, გაიფიქრა: ვინმეს უნდა დაველაპარაკო, - მერე კი მაშველი რგოლივით ჩაეჭიდა

აზრს იმის შესახებ, რომ შესაძლოა, ეს ყველაფერი ხუმრობა იყო, რომელიმე განაწყენებული და, ამავე დროს, გესლიანი წარმოსახვის უნარით დაჯილდოებული ტელემაყურებლის ბოროტი და უგემოვნო ხუმრობა - განა არხის პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა არ იცოდა, რომ მის დეპარტამენტში ყველაფერი რიგზე არ იყო. მაგრამ, ზოგადად, როცა ბრაზის ამონთხევა უნდათ, მე არ მწერენ ხოლმე. და ამ აზრმა, ბუნებრივია, იგი წააქეზა, სელექტორის ღილაკს თითი დააჭირა და იკითხა, - დიდი ხანია, ეს უნდა გაეკეთებინა, - წერილი ვინ მოიტანა. არ ვიცი, ბატონო დირექტორო, როდესაც მოვედი და, როგორც ყოველთვის, კარი გავაღე, წერილი უკვე მაგიდაზე იდო. მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია, ღამით აქ ვერავინ შემოვიდოდა. მიუხედავად ყველაფრისა, სიმართლეს მოგახსენებთ. ამას როგორ ახსნით. მე ნუ მეკითხებით, ბატონო დირექტორი, მე ვცადე თქვენთვის საქმის არსი ამეხსნა, მაგრამ თქვენ პირის გაღების საშუალებაც კი არ მომეცით. ვაღიარებ, რომ მკვახედ მომივიდა, მაპატიეთ. არა უშავს, ბატონო დირექტორო, მაგრამ გული ძალიან მეტკინა. რომ მეთქვა, ამ წერილში რა წერია, მაშინ გაიგებდით რას ნიშნავს „გულის ტკენა“, ისევ გაცხარდა დირექტორი და გაჩუმდა. ისევ საათს დახედა და საკუთარ თავს უთხრა: ეს ერთადერთი გამოსავალია, სხვა გზას ვერ ვხედავ, ასეთი გადაწყვეტილებების მიღება ჩემი კომპეტენცია არ არის. სატელეფონო ცნობარი გადაშალა, საჭირო ნომერი იპოვა, აკრიფა, უნდა ითქვას, რომ ხელის კანკალი დიდი ძალისხმევის ფასად შეიკავა და კიდევ უფრო მეტ ძალისხმევად დაუჯდა პასუხზე: გისმენთ, - გაუბზარავი ხმით წარმოეთქვა: ტელეარხის დირექტორი ვარ, გენერალური დირექტორი, თუ შეიძლება, პრემიერ-მინისტრთან შემაერთეთ. გამარჯობა, მე სამდივნოს

უფროსი ვარ, მიხარია თქვენი ხმის გაგონება, რით შემიძლია დაგეხმაროთ. ბატონ პრემიერს გადაეცით, რომ უმნიშვნელოვანეს და გადაუდებელ საქმესთან დაკავშირებით სასწრაფოდ მიღებას ვითხოვ. ხომ ვერ მეტყოდით, საქმის არსი რაში მდგომარეობს, რათა პრემიერ-მინისტრს მოვახსენო. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ეს შეუძლებელია: საქმე არა მარტო განსაკუთრებით სასწრაფო და სერიოზულია, არამედ საიდუმლოც. თუნდაც ზოგადად რომ მითხრათ. ინებეთ: ჩემს განკარგულებაშია, აქ, ჩემს თვალთა წინ, რომლებიც ოდესმე სამუდამოდ დაიხუჭება, დევს სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტი, და თუ ეს საკმარისი არ არის იმისთვის, რომ პრემიერ-მინისტრს, სადაც უნდა იყოს, ჩემ შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოთ, მაშინ მე ძალიან მადარდებს თქვენი როგორც პოლიტიკური, ისე პირადი მომავალი. ნუთუ საქმე ასე სერიოზულადაა. მხოლოდ ერთს გეტყვით, ყოველი დაკარგული წამის გამო მკაცრად აგებთ პასუხს. კარგი, ვეცდები, მაგრამ ბატონი პრემიერ-მინისტრი ძალიან დატვირთულია. ჰოდა, თქვენც განტვირთეთ, ჯილდოს მიღება თუ გინდათ. მივდივარ. გელოდებით. ნება მომეცით, ბოლო კითხვა დავსვა. კიდევ რა გნებავთ. რატომ ახსენეთ თვალები, რომლებიც ოდესმე სამუდამოდ დაიხუჭება, ასე ხომ ადრე ხდებოდა. არ ვიცი, ადრე ვინ იყავით, მაგრამ ახლა ნამდვილი იდიოტი ხართ, დაუყოვნებლივ შემაერთეთ პრემიერთან. გამონათქვამების შეურაცხმყოფელი სიმკვახე ცხადს ხდიდა, რამდენად აღელვებული იყო გენერალური დირექტორი, რამდენად აფორიაქებული ჰქონდა სული. რაღაც დაეტაკა, თავადაც ვერ ხვდებოდა, სავსებით კანონიერი კითხვის გამო როგორ აწყენინა ადამიანს. ბოდიში უნდა მოვუხადო, სინანულით ფიქრობდა გენერალური, ხვალ შეიძლება დამჭირდეს.

ტელეფონში პრემიერის ხმა მოუთმენლად ჟღერდა: რა მოხდა, იკითხა მან, ტელევიზიის პრობლემები ჩემი კომპეტენცია არ არის. ტელევიზია არაფერ შუაშია, ბატონო პრემიერ-მინისტრო, საქმე ის გახლავთ, რომ წერილი მივიღე. ჰო, უკვე მომახსენეს, რომ თქვენ რაღაც წერილი გაქვთ და მე რა უნდა გავაკეთო. უნდა წაიკითხოთ, მეტი არაფერი, დანარჩენი, როგორც თავადაც ბრძანეთ, ჩემი კომპეტენცია არ არის. ვხედავ, ძალიან აღელვებული ხართ. „აღელვებული“ რბილად არის ნათქვამი. და რა წერია მაგ თქვენს იდუმალ წერილში. ტელეფონში ვერ გეტყვით. ხაზი არ ისმინება. მაინც არ შემიძლია, ამჯერად ასეთი სიფრთხილე საკმარისი არ იქნება. მაშინ კურიერის მეშვეობით გამომიგზავნეთ. არ შეიძლება, ხელიდან ხელში უნდა გადმოგცეთ. მოდი, თავად გამოვგზავნი ვინმეს წამოსაღებად, აი, თუნდაც ჩემი აპარატის უფროსს, იგი ჩემი სრული ნდობით სარგებლობს. ბატონო პრემიერ-მინისტრო, დამიჯერეთ, არ შეგაწუხებდით, ამის უკიდურესი საჭიროება რომ არ იყოს, აუცილებლად უნდა მიმიღოთ. როდის. დაუყოვნებლივ. დაკავებული ვარ. გემუდარებით. კარგი, რადგან ასე დაჟინებით ითხოვთ, მოდით, იმედი მაქვს, თქვენი საიდუმლო მოლოდინს არ გამიცრუებს. გენერალურმა ყურმილი დადო, წერილი კონვერტში მოათავსა, კონვერტი - პიჯაკის შიდა ჯიბეში და წამოდგა. ხელები აღარ უკანკალებდა, მაგრამ შუბლი ოფლით ჰქონდა დაცვარული. სახე ცხვირსახოცით მოიწმინდა, შიდა ტელეფონით მდივანს მანქანის გამოძახება დაავალა - გავდივარო. აზრი იმის შესახებ, რომ პასუხისმგებლობა სხვა ადამიანზე გადავიდოდა, ხოლო მისი როლი ნახევარ საათში უკვე ნათამაშები იქნებოდა, ცოტათი ამშვიდებდა. მანქანა გელოდებათ, თქვა ოთახში შემოსულმა მდივანმა. მადლობა, დიდიხნით მივდივარ თუ არა, ვერ გეტყვით,

პრემიერს ვხვდები, მაგრამ ამის შესახებ არავინ არ უნდა გაიგოს. არ იდარდოთ, ბატონო დირექტორო, სამარე ვარ. ნახვამდის. ნახვამდის, ღმერთმა ქნას, ყველაფერმა კარგად ჩაიაროს. საქმე ისე მიდის, რომ კაცი ვეღარ გაიგებს, რა არის კარგი და რა - ცუდი. მართალი ხართ. ჰო, სხვათა შორის, მამათქვენი როგორაა. ძველებურად, ბატონო დირექტორო, თითქოს არ იტანჯება, მაგრამ თვალსა და ხელს შუა დნება, უკვე ორი თვეა, ასეთ მდგომარეობაშია, ისღა დამრჩენია, დაველოდო, გვერდით როდის მივუწვები. რა ვიცი, რა ვიცი, და ამ სიტყვებით დირექტორმა კაბინეტი დატოვა.

სამდივნოს უფროსი კართან შეხვდა, ხაზგასმით მშრალად მიესალმა და უთხრა: პრემიერ-მინისტრთან მიგაცილებთ. ერთი წუთით, პირველ რიგში, მინდა ბოდიში მოგიხადოთ, ჩვენი საუბრის დროს თუ ვინმე აბსოლუტური იდიოტივით იქცეოდა, ეს მე ვიყავი. უფრო სავარაუდოა, რომ ასე არც თქვენ იქცეოდით და არც მე, გაუღიმა სამდივნოს უფროსმა. რომ იცოდეთ, ჯიბეში რა მაქვს, ჩემი მდგომარეობა გასაგები გახდებოდა. ნუ იდარდებთ: იქ, სადაც საქმე მე მეხება, თქვენი ბოდიში მიღებულია. დიდი მადლობა, როგორც უნდა იყოს, რამდენიმე საათში ეს ბომბი გასკდება. იმედი მაქვს, არც ისე ძლიერად დაიქუხებს. ჭექა-ქუხილზე მეტად, ერთად აღებულ ყველა ელვაზე უფრო დამაბრმავებლად. დამაბნიეთ. დარწმუნებული ვარ ამასაც მომიტევებთ. კარგი, წამოდით, პრემიერი გელოდებათ. ისინი შევიდნენ ოთახში, რომელსაც ძველ დროში, ალბათ, წინკარი ერქვა და ერთი წუთის შემდეგ დირექტორი გაღიმებული პრემიერ-მინისტრის წინ იდგა: აბა, ვნახოთ ერთი, რა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხმა მოგიყვანათ. დამიჯერეთ, ჯერ ასეთი უდავო ჭეშმარიტება არასდროს გითქვამთ. გენერალურმა ჯიბიდან წერილი ამოიღო და

მაგიდაზე დადო. მიმღები მითითებული არ არის, გაიკვირვა პრემიერმა. არც მიმღები და არც გამომგზავნი, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს წერილი ყველა ჩვენგანს გამოუგზავნეს. ანონიმურია. არა, ხელმოწერილია, თუმცა, ღვთის გულისათვის, წაიკითხეთ, წაიკითხეთ. პრემიერმა კონვერტი აუჩქარებლად გახსნა, ფურცელი ამოიღო, მაგრამ, როგორც კი პირველ სტრიქონებს მოჰკრა თვალი, მაშინვე თავი ასწია: ეს რა, ხუმრობაა. მართლაც ხუმრობას ჰგავს, მაგრამ მე ასე არ მიმაჩნია: წერილი ჩემს მაგიდაზე ისე აღმოჩნდა, რომ ვერავინ იტყვის, როგორ მოხვდა იქ. არა მგონია, ეს საკმარისი მიზეზი იყოს იმისთვის, რომ რაც იქ წერია, დავიჯეროთ. წაიკითხეთ, წაიკითხეთ. როცა გზავნილის ბოლოში გავიდა, პრემიერმა ტუჩების ნელი მოძრაობით, უხმოდ წარმოთქვა სიტყვა, უფრო სწორად, სახელი, რომლითაც წერილი იყო ხელმოწერილი. ფურცელი მაგიდაზე დადო, გენერალურს დაჟინებით მიაცქერდა და თქვა: დავუშვათ, ეს ხუმრობაა. არა, ხუმრობა არ არის. მეც ასე მგონია, მაგრამ როდესაც ვამბობ სიტყვას „დავუშვათ", იმას ვგულისხმობ, რომ მალე ყველაფერი ზუსტად გვეცოდინება. თორმეტ საათში, რადგან ახლა უკვე შუადღეა. თუ წერილში გამოთქმული დანაპირები ასრულდა და ჩვენ მოქალაქეების გაფრთხილება ვერ მოვასწარით, იგივე მოხდება, რაც ახალი წლის ღამეს, ოღონდ - პირიქით. გაფრთხილება რომც მოვასწროთ, ეფექტი იგივე იქნება. ზუსტად იგივე, ხოლო თუ გავაფრთხილეთ და შემდეგ გაირკვა, რომ ეს ხუმრობაა, ადამიანები ტყუილუბრალოდ დაზარალდებიან, თუმცა, რა თქმა უნდა, საკითხავია, საერთოდ დაზარალდებიან თუ არა და ტყუილ-უბრალოდ დაზარალდებიან თუ არა. მაგრამ თავად არ თქვით: არ მჯერა, რომ ეს ხუმრობაა. დიახ, არ მჯერა. მაშინ როგორ მოვიქცეთ - გავაფრთხილოთ თუ არა.

საქმეც ეგ არის, ჩემო ძვირფასო გენერალურო დირექტორო, რომ ყველაფერი კარგად უნდა მოვიფიქროთ და ყოველმხრივ გავიაზროთ. თქვენი გადასაწყვეტია, ბატონო პრემიერ-მინისტრო. ჰო, რა თქმა უნდა, ჩემი გადასაწყვეტია: მე შემიძლია ეს წერილი ნაკუწებად ვაქციო და დაველოდო, რა მოხდება. არ მჯერა, რომ ასე მოიქცევით. მართალიც ხართ და რადგან გადაწყვეტილება მისაღებია, უბრალოდ, იმის თქმა, რომ მოსახლეობა უნდა გავაფრთხილოთ, ცოტაა, ისიც უნდა ვიცოდეთ - როგორ. სწორედ ამისთვის, ბატონო პრემიერ-მინისტრო, არსებობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები - ჩვენ გვაქვს, გაზეთები, რადიო, ტელევიზია. თქვენი აზრით, ეს წერილი უნდა გამოვაქვეყნოთ, თან მთავრობის განცხადება დავურთოთ, რომლითაც ხალხს სიმშვიდისკენ მოვუწოდებთ და რამდენიმე რჩევაც მოვაყოლოთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ამ განსაკუთრებულ ვითარებაში. თქვენ აზრი გაცილებით უკეთ ჩამოაყალიბეთ, ვიდრე ამას მე მოვახერხებდი. მადლობა საქებარი სიტყვებისთვის, მაგრამ ახლა გთხოვთ, გონება დაძაბოთ და წარმოიდგინოთ, რა მოხდება, თუ ასე მოვიქცევით. ვერ ვხვდები. ნაციონალური ტელეკომპანიის გენერალური დირექტორისგან მეტს მოველოდი. თუ ასეა, ძალიან ვწუხვარ, რომ სათანადო სიმაღლეზე ვერ აღმოვჩნდი. არა, უბრალოდ, მოულოდნელად თავსდამტყდარმა პასუხისმგებლობამ, ცოტა არ იყოს, დაგარეტიანათ. თქვენ კი - არა. მეც, მაგრამ დარეტიანება იმას არ ნიშნავს, რომ გავშტერდე. მით უკეთესი ქვეყნისთვის. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, ჩვენ ერთმანეთს სასაუბროდ ხშირად ვერ ვხვდებით, როგორც წესი, ტელევიზიის შესახებ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს ვესაუბრები ხოლმე, მაგრამ ახლა დავასკვენი, რომ დადგა დრო, თქვენ

საერთო-ეროვნული მასშტაბის ფიგურა გახდეთ. აი, ახლა, ბატონო პრემიერო, საერთოდ ვეღარაფერს ვხვდები. ყველაფერი ძალიან მარტივია, ეს საქმე ჩვენ შორის დარჩება, მხოლოდ ჩვენ შორის, გესმით, ვიდრე საღამოს ცხრა საათზე ეთერში მორიგი საინფორმაციო გამოშვება არ გავა, რომელიც მთავრობის განცხადებით გაიხსნება, ხოლო განცხადების საშუალებით მოსახლეობა გაიგებს, რა მოხდება შუაღამით, შემდეგ ამ წერილიდან ნაწყვეტებსაც მოისმენს, ამას ყველაფერს კი არხის გენერალური დირექტორი გააკეთებს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი წერილის ადრესატი თუ არა, მიმღები მაინცაა და მეორეც - თქვენ ხართ ადამიანი, რომელსაც ვენდობი და ვავალებ, ბოლომდე მიიყვანოს მისია, რომლის შესრულების პატივიც, იმ ქალბატონის სურვილით, ვინც ამ წერილს ხელს აწერს, ჩვენ გვერგო. დიქტორი თავს უკეთ გაართმევდა. საჭიროა არა დიქტორი, არამედ დირექტორი, თანაც გენერალური. თუ ასეთია თქვენი სურვილი, მის შესრულებას პატივად მივიჩნევ. მარტო მე და თქვენ ვიცით, რა მოხდება დღეს შუაღამით და საიდუმლოს მანამდე შევინახავთ, სანამ ქვეყანა ამ ინფორმაციას მიიღებს. თუ თქვენს წინადადებას დავთანხმდი და ახლავე გავახმაურე, მაშინ ჩვენ წინ გვექნება დაბნეულობის, პანიკის, მასობრივი ფსიქოზისა და, ღმერთმა იცის, კიდევ რისი თორმეტი საათი, ამიტომ, რადგან ჩვენ - ხელისუფლებას ვგულისხმობ - ვერც ერთ ამ უსიამოვნო შედეგს ვერ გავექცევით, საჭიროა ვადა სამ საათამდე მაინც შევამციროთ. დანარჩენი უკვე ჩვენზე არანაირად აღარ არის დამოკიდებული: იქნება ცრემლები, სასოწარკვეთილება, ცუდად შენიღბული შვება და ასე შემდეგ. მე მგონი, კარგი აზრია. მით უმეტეს, თავში სხვა არაფერი მოგვდის. პრემიერმა ისევ აიღო ფურცელი, თვალი გადაავლო ისე, რომ არ წაუკითხავს და თქვა: ესეც

საინტერესოა, ხელმოწერაზე პირველი ასო მთავრული უნდა იყოს, აქ კი მხედრულია. მეც გამიკვირდა: სახელის პატარა ასოთი დაწერა უჩვეულოა. თქვენ ის მითხარით, მთელ ამ ამბავში რამე თუა ჩვეულებრივი. არ არის. რა ამის პასუხია და, ფოტოასლის გაკეთება შეგიძლიათ. სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ ერთი-ორჯერ გამიკეთებია. შესანიშნავია. პრემიერმა ფურცელი და კონვერტი დოკუმენტებით სავსე საქაღალდეში შეინახა, სამდივნოს უფროსი გამოიძახა და უბრძანა, უცხო პირებისგან სასწრაფოდ გაწმინდეთ ოთახი, სადაც ასლის გადასაღები აპარატი დგასო. მაგრამ იქ ხომ თანამშრომლები სხედან. სხვა კაბინეტებში გადავიდნენ, ან კიბეზე სიგარეტი მოწიონ, ჩვენ სამ წუთზე მეტი არ დაგვჭირდება, ასე არაა. უფრო ნაკლებიც. მე შემიძლია ასლი ისე გადავიღო, რომ ვერავინ შეამჩნიოს, თუ ეს არის პრობლემა, შესთავაზა უფროსმა. პრობლემა სწორედ ეგ არის, მაგრამ ამჯერად მას, აქ დამსწრე გენერალური დირექტორის, ასე ვთქვათ, ტექნიკური მხარდაჭერით პირადად მოვაგვარებ. მესმის, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ახლა ვუბრძანებ, რომ ოთახი, სადაც აპარატი დგას, ყველამ დატოვოს. უფროსი ერთ წუთში დაბრუნდა და მოახსენა, ოთახი ცარიელიაო: თქვენის ნებართვით, ჩემს კაბინეტში ვიქნები. მიხარია, რომ მე არ მომიხდა ამის თხოვნა და გთხოვთ, მთელ ამ იდუმალებას უნდობლობაში ნუ ჩამომართმევთ, თქვენ დღესვე გაიგებთ ასეთი სიფრთხილის მიზეზს, თან - ჩემგან არა. რა თქმა უნდა, ბატონო პრემიერ-მინისტრო, არასოდეს მივცემდი თავს იმის უფლებას, ასეთი გასაიდუმლოების საჭიროებაში ეჭვი შემეტანა. როდესაც სამდივნოს უფროსი გავიდა, პრემიერმა საქაღალდე აიღო და თქვა: წავედით. ოთახი მართლაც ცარიელი დახვდათ. წუთიც არ იყო გასული, რომ ასლი უკვე მზად ჰქონდათ - ასო ასოში იჯდა,

სიტყვა - სიტყვაში, და მაინც ეს ის წერილი არ გახლდათ: შემაშფოთებელი ლილისფერი დაჰკარგოდა და არაფრით გამორჩეულ, ბანალურ გზავნილად ქცეულიყო, თითქოს ამ ბარათით ვიღაცას სამსახურსა და პირად ცხოვრებაში წარმატების მიღწევა უსურვესო. პრემიერმა დირექტორს ასლი გაუწოდა: ინებეთ, ორიგინალი კი ჩემთან დარჩება. და მთავრობის განცხადება. ჩამოჯექით, ერთ წამში გავაშანშალებ, ძალიან მარტივია: ძვირფასო თანამემამულენო, მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია, დღეს მიღებული წერილის შესახებ გაცნობოთ, გაცნობოთ დოკუმენტის შესახებ, რომლის მნიშვნელობის გადაფასებაც შეუძლებელია და თუმცაღა ამ მომენტისთვის ჩვენ არ შეგვიძლია მისი უტყუარობის გარანტია მოგცეთ, მაინც ვუშვებთ, თუმცა გარკვეულ დრომდე მის შინაარსს არ ვამხელთ, რომ იქ მოთხრობილი ამბავი არ მოხდება, და სწორედ იმის გამო, რომ ჩვენი ხალხი ფაქტის წინაშე არ აღმოჩნდეს, ფაქტისა, რომელსაც უდავოდ მოჰყვება დაძაბულობა და სხვადასხვა სახის კრიზისი, ვაპირებთ, ზემოხსენებული წერილი დაუყოვნებლივ გავახმაუროთ, რასაც მთავრობის დავალებით ნაციონალური ტელეარხის გენერალური დირექტორი გააკეთებს, და დასასრულ, კიდევ რამდენიმე სიტყვა: იმის აუცილებლობა არ არის, ძვირფასო თანამოქალაქენო, დაგარწმუნოთ, რომ მთავრობა ხალხის ინტერესების სადარაჯოზე დარჩება, ხალხისა, რომელსაც, მას შემდეგ რაც თავი ერად იგრძნო და სახელმწიფოებრიობა შექმნა, ალბათ, ყველაზე რთული წუთების გადატანა მოუწევს, ამიტომაც ყველას მოგიწოდებთ, შეინარჩუნოთ სიმშვიდედა თავშეკავება, რისი ბრწყინვალე მაგალითიც თქვენ წლის დასაწყისში მოვლენილი განსაცდელის დროს აჩვენეთ და ამასთან ერთად დარწმუნებულები ვართ, რომ მოვლენების

ხელსაყრელი განვითარება დაგვიბრუნებს აგრერიგად დამსახურებულ მშვიდობასა და ბედნიერებას, რითაც ადრე ვტკბებოდით. ასევე გვინდა შეგახსენოთ, რომ ძალა ერთობაშია, აი, ეს არის ჩვენი დევიზი, გავერთიანდეთ და მომავალი ჩვენი იქნება. მზადაა, როგორც ხედავთ, რამდენიმე წუთის საქმეა, სამთავრობო განცხადებები წარმოსახვის დაძაბვას არ მოითხოვს, შეიძლება ითქვას, რომ ისინი თავისით იწერება, ეს გადაწერეთ, ასლი გააკეთეთ, ცხრა საათამდე წერილთან ერთად გქონდეთ და ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს ორი ქაღალდი ერთმანეთს არ დაშორდეს. მშვიდად ბრძანდებოდეთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ჩემს პასუხისმგებლობას სავსებით ვაცნობიერებ და დარწმუნებული ვარ, იმედს არ გაგიცრუებთ. მშვენიერია, მეტად აღარ დაგაკავებთ. ნება მომეცით, ვიდრე წავალ, კიდევ ორი კითხვა დაგისვათ. ბრძანეთ. თქვენ ახლახან თქვით, რომ ცხრა საათამდე საქმის არსი მხოლოდ ორ ადამიანს ეცოდინება. ჰო, მე და თქვენ და არავის სხვას, მთავრობიდანაც კი. და მეფე, მაპატიეთ და, ისე ნუ ჩამომართმევთ, თითქოს სხვის საქმეში ვერეოდე, მისი უდიდებულესობა, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი, ყველაფერს თავის დროზე გაიგებს, რა თქმა უნდა, თუ ტელევიზორს უყურებს. საქმის კურსში ადრე რომ არ ჩააყენეს, ალბათ, აღფრთოვანებული არ დარჩება. ნუ იღელვებთ, მონარქის - თავისთავად, კონსტიტუციურ მონარქს ვგულისხმობ - უპირველესი სიქველე მიხვედრილობის უმაღლესი საფეხურია. ა-ა. და მეორე კითხვა რა არის. ეს მთლად კითხვაც არ არის. მაინც, მაინც. იცით, ძალიან მაკვირვებს თქვენი ცივსისხლიანობა, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ის, რაც ქვეყანას შუაღამისას დაემართება, კატასტროფაა, კატაკლიზმია, ისეთი, როგორიც ჯერ არ ყოფილა, ლამის მეორედ მოსვლაა,

თქვენ კი კაცი რომ შემოგხედავთ, იფიქრებს, რუტინული საქმეებითაა დაკავებულიო, წყნარად გასცემთ ბრძანებებს, ცოტა ხნის წინ ისიც კი მომეჩვენა, რომ გაიღიმეთ. დარწმუნებული ვარ, ჩემო ძვირფასო და გენერალურო დირექტორო, რომ თქვენც გაიღიმებდით, რომ გაგეგოთ, ეს წერილი რა დაუჯერებლად ბევრი პრობლემისგან მათავისუფლებს. ისინი თავისთავად, ჩემი მცირედი ჩარევის გარეშე გვარდება, ახლა კი, ნება მომეცით, სამუშაოს დავუბრუნდე, შინაგან საქმეთა მინისტრი უნდა გავაფრთხილო, პოლიცია ფხიზლად იყოს, ამისთვის კი რამე მიზეზის გამოგონებაა საჭირო, ვთქვათ, არსებული წყობის ძალადობრივი დამხობის მცდელობა - ჩვენი მთავარი სამართალდამცველი, საბედნიეროდ, იმ ადამიანების რიცხვს არ მიეკუთვნება, დროს ფიქრში რომ კარგავენ: ის მოქმედებას ამჯობინებს. გინდათ, იგი გააბედნიეროთ - მიეცით დავალება. ბატონო პრემიერ-მინისტრო, ნება მომეცით დაგარწმუნოთ, რომ ასეთ ავბედით წუთს თქვენ გვერდით ყოფნა ჩემთვის უდიდესი პატივია. სასიამოვნოა ამის მოსმენა, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, აზრს უმალვე შეიცვლით, თუ ამ კაბინეტში ნათქვამი თუნდაც ერთი სიტყვა - მნიშვნელობა არა აქვს, თქვენი თუ ჩემი - მის კედლებს მიღმა გავა. ყველაფერს ვხვდები. როგორც კონსტიტუციური მონარქი. დიახ, ბატონო პრემიერ-მინისტრო.

ცხრის ნახევარზე გენერალურმა დირექტორმა საინფორმაციო პროგრამის რედაქტორი გამოიძახა და აცნობა, რომ დღევანდელი გამოშვება მთავრობის განცხადებით გაიხსნებოდა, რომელსაც, როგორც ყოველთვის, დიქტორი წაიკითხავდა, ხოლო შემდეგ უკვე დამატების სახით თავად გენერალური გაახმოვანებდა ერთ დოკუმენტს. თუ ეს ყველაფერი გამომშვებს კიდეც მოეჩვენა ცოტა უჩვეულოდ, არანორმალურად და უცნაურად, - არ შესტყობია, მხოლოდ ითხოვა, ორივე დოკუმენტი მისთვის გადაეცათ, რათა ისინი ტელესუფლიორზე აეკრიფა. ეს ეშმაკური მოწყობილობაა, რომელიც ტელევიზიას საშუალებას აძლევს, ყველაფერი ისე წარმოადგინოს, თითქოს ადამიანი ეკრანიდან თითოეულ მაყურებელს პირდაპირ და უშუალოდ, პერსონალურად მიმართავს. ამაზე გენერალურმა უპასუხა, ამ შემთხვევაში ტელესუფლიორის გამოყენება შეუძლებელიაო. ძველებური მეთოდით წავიკითხავთ, თქვა მან და დაამატა, რომ სტუდიაში ზუსტად ცხრას რომ ხუთი დააკლდება, მაშინ შემოვალ და განცხადებას გადავცემ დიქტორს, რომელსაც ინსტრუქტაჟი უნდა ჩაუტარდეს, რომ საქაღალდე უშუალოდ კითხვის დაწყების წინ გახსნასო. გამომშვებმა მიიჩნია, რომ უკვე დადგა დრო, საკითხისადმი თუნდაც ოდნავი ინტერესი გამოემჟღავნებინა და იკითხა: ნუთუ ასე მნიშვნელოვანია. ნახევარ საათში გაიგებთ. მესმის, და სახელმწიფო დროშა თქვენი სავარძლის უკან უნდა დავამაგროთ. არა, არა, არავითარი დროშა, მე ხომ კაბინეტის ხელმძღვანელი არ ვარ, არც მინისტრი. და არც მეფე, მლიქვნელურად აიტაცა გამომშვებმა, რომელმაც თავისი ტონით მიახვედრა, სწორედ რომ მეფე ხართ - სამამულო ტელევიზიის მეფეო. გენერალურმა ყური მოიყრუა: შეგიძლიათ წახვიდეთ, ოც წუთში სტუდიაში ვიქნები. გრიმის გაკეთებას ვერ მოვასწრებთ. არც არის საჭირო: კითხვა ცოტა დროს წაიღებს, ხოლო მაყურებელს, გარწმუნებთ, სხვა საფიქრალიც ექნება იმის გარდა, პუდრი შემაყარეს თუ არა. როგორც იტყვით. მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, ოპერატორებს უთხარით, განათება სწორად დააყენონ: არ მინდა, ეკრანზე საფლავიდან წამომდგარს ვგავდე. დღეს ეს ყველაზე ნაკლებად მინდა. და ოც საათსა და

ორმოცდათხუთმეტ წუთზე დირექტორი სტუდიაში შევიდა, დიქტორს საქაღალდე გადასცადა მისთვის გამოყოფილ ადგილზე დაჯდა. ცნობამ იმის შესახებ, რომ რაღაც განსაკუთრებული მზადდებოდა, ტელეცენტრი თვალის დახამხამებაში მოიარა, ამიტომაც სააპარატოში იმაზე მეტი ადამიანი შეიყარა, ვიდრე ჩვეულებრივ იკრიბებოდა ხოლმე. რეჟისორმა სიჩუმე მოითხოვა. ზუსტად ოცდაერთ საათზე ეკრანზე დამახასიათებელი მუსიკის თანხლებით გამოჩნდა გადაცემის ქუდი, რომელიც ახალ ამბებს წინ უსწრებს და რომელიც კადრების ელვისებურ მონაცვლეობას წარმოადგენს, რასაც ერთი დანიშნულება აქვს: მაყურებლებს შთააგონოს, რომ ეს სადღეღამისო არხი, როგორც ძველ დროში ღვთაება, ერთდროულად ყველგან არის და ყოველი მხრიდან ახალ ამბებს გზავნის. როგორც კი დიქტორმა სამთავრობო განცხადება ჩაიკითხა, რეჟისორმა გამოსახულება ნომერ მეორე კამერაზე გადართო და ეკრანზე გენერალური დირექტორი გაჩნდა. ჩანდა, რომ ძალიან ღელავდა და ისმოდა, ყელში როგორ ჰქონდა გაჩხერილი ბურთი. ხმის ჩასაწმენდად ერთი ჩაახველა და კითხვა დაიწყო: ღრმად პატივცემულო ბატონო დირექტორო, ყველა დაინტერესებულ პირს ვატყობინებ, რომ დღეს, ნული საათის შემდეგ, ადამიანები ისევე დაიხოცებიან, როგორც ეს, რამდენადმე შესამჩნევი უკმაყოფილების გარეშე, დასაბამიდან გასული წლის ოცდათერთმეტ დეკემბრამდე ხდებოდა, და საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო, რომ, როდესაც დროებით შევწყვიტე ჩემი საქმიანობა და გვერდზე გადავდე ის ემბლემატური სასოფლო-სამეურნეო ინსტრუმენტი, რომელიც ძველ დროში ფერმწერებისა და გრავიორების უგუნურმა წარმოსახვამ ხელში მომაჩეჩა, მიზნად დავისახე, ადამიანთა მოდგმისთვის, რომელიც ასე ვერ მიტანს,

მეჩვენებინა, რას ნიშნავს იცოცხლო მარად, ანუ სამუდამოდ, თუმცა საიდუმლოდ გეტყვით, ღრმად პატივცემულო ბატონო დირექტორო, ამ ორ განსაზღვრებას შორის სხვაობას ვერ ვხედავ, და ჩემი გაგებით, მათ ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ, ხოლო ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც სავსებით იმსახურებს „გამოსაცდელად“ იწოდებოდეს და ამ ექსპერიმენტის სავალალო შედეგების გათვალისწინებით, როგორც მორალის თვალსაზრისით, ანუ ფილოსოფიურ ასპექტში, ისე პრაგმატიზმის კუთხით, ანუ სოციალურ ასპექტში, მე ოჯახებისა და საზოგადოებისთვის სიკეთედ მივიჩნიე, საჯაროდ მეღიარებინა, რომ შეცდომა დავუშვი და გამომეცხადებინა, რომ სასწრაფოდ ნორმალურ, შეუფერხებელ საქმიანობას ვუბრუნდები, ეს კი ყველასთვის, ვინც უნდა მომკვდარიყო, მაგრამ ჯანმრთელობის დაკარგვის მიუხედავად ამქვეყნად დარჩა, ნიშნავს, რომ მათი სიცოცხლის სანთელი იმ წამს ჩაქრება, როგორც კი ჰაერში შუაღამის მაუწყებელი უკანასკნელი ზარის ხმა მიწყდება, ამასთან სიტყვა „ზარი“ აქ მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლური დატვირთვითაა გამოყენებული, რამდენადაც, იმედი მაქვს, არავის მოუვა იდიოტური აზრი, ეკლესიის ზარს ენა აუკრას, ან კურანტების მექანიზმი გააფუჭოს, რათა ამ გზით დროის მდინარება შეაჩეროს და წინ აღუდგეს ჩემს მტკიცე გადაწყვეტილებას, ადამიანთა გულებში უმაღლესი შიში დავაბრუნო. სააპარატოში შეკრებილი ადამიანების დიდი ნაწილი უკვე გამქრალიყო იქიდან, ხოლო დარჩენილები ერთმანეთს ჩუმად ელაპარაკებოდნენ და მოგუდულ გუგუნს გამოსცემდნენ, რომლის აკრძალვაც თავად სულის სიღრმემდე შეძრულ რეჟისორს დავიწყებოდა. არადა, მას არსენალში მოეპოვებოდა ხელის მრისხანე მოძრაობა, რომლითაც სხვა, ნაკლებდრამატულ

ვითარებაში ყოველგვარ ხმაურს ახშობდა. ამიტომაც შეეგუეთ და ამიერიდან დაიხოცეთ ყოველგვარი უკმაყოფილებისა და დავის გარეშე, ვინაიდან ეს არც არაფერს მოგცემთ და ვერც ვერაფრით დაგეხმარებათ, თუმცა არის პუნქტი, რომელშიც, მივიჩნევ, რომ შემწყნარებლობა უნდა გამოვიჩინო: საქმე ეხება უსამართლო და სასტიკ ჩვევას, რაც გულისხმობს წაართვა ადამიანს სიცოცხლე უეცრად, ასე ვთქვათ, სიტყვის უთქმელად, გაუფრთხილებლად, ისე, რომ არც კი დაუყვირო „ფრთხილად!" და, ვაღიარებ, ეს ნამდვილი და გაუმართლებელი სიმხეცეა: ის კი არა, რამდენჯერ ადამიანებისთვის ანდერძის შედგენის დროც კი არ მიმიცია, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ, ჩვეულებრივ, წინასწარ ვგზავნიდი ავადმყოფობებს, სნეულებებს, ტკივილებს, რომლებიც, სხვათა შორის, ერთგვარი თავშესაქცევი თვისებით გამოირჩევიან - ადამიანებს ყოველთვის მათგან გათავისუფლების იმედი აქვთ და ძალიან გვიან ხვდებიან, რომ ეს ავადმყოფობა უკანასკნელია, ამიერიდან კი ძველებურად აღარ იქნება, დღეიდან ყველა წინასწარ შეტყობინებას და ერთი კვირის ვადას მიიღებს, რათა დარჩენილი ამქვეყნიური ცხოვრება მოაწესრიგოს, ანდერძი დაწეროს, დაემშვიდობოს ახლობლებს, ოდესმე ჩადენილი ბოროტებისთვის პატიება სთხოვოს, აღადგინოს, მაგალითად, ბიძაშვილთან ოცი წლის წინ გაწყვეტილი ურთიერთობა და ბოლოს, ღრმად პატივცემულო ბატონო გენერალურო დირექტორო, ისღა დამრჩენია გთხოვოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა სახლში დღესვე მივიდეს ჩემი ხელით დაწერილი და იმ სახელით ხელმოწერილი წერილი, რომლითაც ყველა მიცნობს. ღრმა პატივისცემით, სიკვდილი. როგორც კი დაინახა, რომ მონიტორზე აღარ იყო, დირექტორი სავარძლიდან ადგა,

ქაღალდი ორად დაკეცა და შიდა ჯიბეში შეინახა. გაფითრებული და სახეარეული რეჟისორი უკვე მისკენ მიემართებოდა. აი, თურმე რა, ბურტყუნებდა იგი ძლივს გასაგონად, აი, თურმე რა ყოფილა. დირექტორმა თავი მდუმარედ დაუქნია და სტუდიიდან გავიდა. მას უკვე აღარ ესმოდა, როგორ ტიტინებდა დიქტორი: თქვენ მოისმინეთ, - შემდეგ კი დაიწყო ახალი ამბები, რომლებსაც უკვე ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა, რადგან მთელ ქვეყანაში მათთვის აღარავის ეცალა: იმ ოჯახებში, სადაც უკურნებელი სენით დაავადებული ჰყავდათ, ნათესავები მის საწოლთან იკრიბებოდნენ, თუმცაღა არ შეეძლოთ გაეფრთხილებინათ იგი, რომ სამ საათში მოკვდებოდა, არ შეეძლოთ ეთქვათ, დარჩენილი დრო ანდერძის შედგენას ან, მაგალითად, ბიძაშვილთან შერიგებას მოახმარეო, ასევე არ შეეძლოთ ყოველდღიური თვალთმაქცური თამაში გაეგრძელებინათ და გულაჩვილებულებს ეკითხათ, თავს ახლა როგორ გრძნობო. არა, ისინი მზერას დროდადრო მისი ჩავარდნილი ლოყებისკენ, შემდეგ კი მალულად საათისკენ გააპარებენ და დაელოდებიან, როდის მოვა დრო და სამყაროს მატარებელი თავის ჩვეულ რელსებზე დაუსრულებელ მოგზაურობას განაგრძობს. არცთუ ცოტა იყო ისეთი ოჯახიც, რომლებმაც მაფფიას უკვე გადაუხადეს, რათა მათი ნახევრად მკვდარი ნათესავები, სადაც საჭირო იყო, იქ მიეყვანათ, ახლა კი, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ფული ტყუილად გადაყარეს და, საუკეთესო შემთხვევაში, ამას შეეგუენ, ხვდებოდნენ, მეტი გულმოწყალება და მოთმინება რომ გამოეჩინათ, დანახარჯიც აღარ ექნებოდათ. ქუჩებში სრული დაბნეულობა სუფევდა: ყველგან ჩანდნენ გაოგნებული, დარეტიანებული და გაშტერებული ადამიანები, რომლებმაც არ იცოდნენ, საით

ნასულიყვნენ და რა ექნათ: ზოგი უნუგეშოდ ტიროდა, ზოგნი ერთმანეთს ეხვეოდნენ, თითქოს ახლა და აქვე გამომშვიდობება გადაწყვიტესო, სხვები კამათობდნენ, ვინ იყო დამნაშავე - მთავრობა, მედიცინა თუ რომის პაპი. რომელიღაცა სკეპტიკოსი ამტკიცებდა, ჯერ ისტორიაში არ მომხდარა, რომ სიკვდილს წერილები ეწეროს და ამიტომ უსტარი დაუყოვნებლივ გრაფოლოგიურ ექსპერტიზაზე უნდა გაიგზავნოსო, ვინაიდან, ცხარობდა იგი, ხელი, რომელიც მხოლოდ ძვლებისგან შედგება, ვერ დაწერს ისე, როგორც სრულყოფილი, ნამდვილი, ცოცხალი ხელი, რომელიც ხორცისგან, ნერვებისგან, სისხლისა და მყესებისგანაა შემდგარი, ხოლო თუ ძვლები დაქტილოსკოპიურ ანაბეჭდებს არ ტოვებს და, შესაბამისად, არც წერილის ავტორის დადგენის საშუალებას იძლევა, სამაგიეროდ, დნმ-ს ანალიზს შეუძლია ნათელი მოჰფინოს იმ ეპისტოლურ ჟინს, რომელმაც შეიპყრო არსება, ვინც ყოველთვის და უცვლელად დუმილს ინარჩუნებდაო. სწორედ იმ დროს პრემიერი ტელეფონით მეფეს ელაპარაკებოდა და უხსნიდა, რა მიზეზით გადაწყვიტა, მისი უდიდებულესობა საქმის კურსში არ ჩაეყენებინა, ის კი პასუხობდა, ყველაფერი მესმისო. პრემიერმა უთხრა, რომ ძალიან წუხდა ამ ამბის სამწუხარო დასასრულის გამო, რომელიც შუაღამისას, ზარის უკანასკნელი დარტყმისთანავე დადგებოდა, რაზეც მეფემ მხრები აიჩეჩა, ვითომდა ასე ცხოვრებას სიკვდილი სჯობიაო და მერე უთხრა: დღეს - შენ, ხვალ - მე, მით უმეტეს, მემკვიდრე პრინცი უკვე მოუთმენლობის ნიშნებს ამჟღავნებს და კითხულობს, როდის მოვა მისი რიგი. ამ გულითადი, უჩვეულო გულწრფელობით გამსჭვალული საუბრის შემდეგ პრემიერმა სამდივნოს უფროსს უბრძანა, კაბინეტის ყველა ნევრი სასწრაფოდ თათბირზე დაებარებინა. ორმოცდახუთ

წუთში, ზუსტად ათზე, ყველა ადგილზე იყოს, უნდა ვიმსჯელოთ და აუცილებელი ზომები მივიღოთ, რომ ყოველგვარი უწესრიგობა და არეულობა, რასაც შეცვლილი ვითარება უახლოეს დღეებში უთუოდ წარმოშობს, თავიდან ავიცილოთ. თქვენ უმოკლეს ვადებში გასატანი გარდაცვლილების რაოდენობას გულისხმობთ. ეგ რა არის, ჩემო ძვირფასო, ამ სახის პრობლემებს დამკრძალავი ბიუროებიც გაუმკლავდებიან, მათთვის სწორედ რომ დასრულდა კრიზისი, სიხარულით მეცხრე ცაზე უნდა იყვნენ და მომავალ მოგებას ითვლიდნენ, ჰოდა, დაე, მარხონ გარდაცვლილები, ანუ თავიანთი საქმე აკეთონ, ჩვენ კი ცოცხლებზე ზრუნვა მოგვიწევს - მაგალითად, უნდა შევკრიბოთ ფსიქოლოგთა ჯგუფები, რათა ადამიანებს ტრავმის გადატანაში დაეხმარონ: განა ადვილია, სიკვდილის გარდაუვალობას თავიდან შეეჩვიო, როდესაც მარადიულ სიცოცხლეში ხარ დარწმუნებული. ჰო, ამის შესახებ მეც მიფიქრია, ძალიან მძიმე უნდა იყოს. დროს ნუ კარგავთ, მინისტრებს დაუძახეთ, თან მდივნები წამოიყვანონ, მათ ათისთვის ველოდები, არც ერთმა არ დაიგვიანოს, თუ გკითხავენ, ყველას უთხარით, რომ პირველ რიგში მას ველოდები, ხომ იცით, ისინი ბავშვებივით თავმოყვარეები არიან, შაქარყინულის გარეშე არ შეუძლიათ. ტელეფონმა დარეკა და: თქვენო უდიდებულესობავ, თქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა, გაზეთებმა ამიკლეს, საღამოს გამოშვებაში წაკითხული წერილის ასლს ითხოვენ, მე კი ამ წერილის შესახებ, სამწუხაროდ, არაფერი ვიცოდი. საწუხარი აქ არაფერია, საიდუმლოს შენახვის პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ავიღე, წინააღმდეგ შემთხვევაში თორმეტსაათიან ორომტრიალს, პანიკასა და ალიაქოთს მივიღებდით. მე რა ვქნა. არც არაფერი, ჩემი აპარატი წერილის ტექსტს ყველა

საინფორმაციო საშუალებას დაუგზავნის. მშვენიერია. ზუსტად ათზე კაბინეტის სხდომა იწყება, ყველას პირველ მოადგილეებთან ერთად გელოდებით. სხვა მოადგილეები საჭირო არ არიან. არა, ეგენი დატოვეთ, სახლს უდარაჯონ, ტყუილად კი არ ამბობენ: მთავარია არა რაოდენობა, არამედ - ხარისხი. გასაგებია. გთხოვთ, არ დააგვიანოთ, სხდომა ზუსტად ათ საათსა და ერთ წუთზე დაიწყება. დარწმუნებული ვარ, ჩვენ პირველები მოვალთ. მედალსაც ჩამოგკიდებთ. რომელ მედალს. ისე, სიტყვის მასალად ვთქვი, ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

დამკრძალავი ბიუროების წარმომადგენლები, დამარხვისა და კრემაციის ოსტატები, გვამებისა და ნეშტების სპეციალისტებიც იმავე საათს სათათბიროდ შეიკრიბნენ. უმაგალითო, არნახულ და გაუგონარ გამოწვევას, რომლის წინაშეც ჩვენი პროფესიული საზოგადოება აღმოჩნდა - მთელს ქვეყანაში ათასობით ადამიანი ერთდროულად უნდა გარდაიცვალოსდა ამასთან ერთად, უკანასკნელ გზაზე გაემგზავროს - პასუხი მხოლოდ მეგობრული, შეთანხმებული და შეწყობილი მუშაობით, ყველა ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსის მობილიზებით, ზედმეტი ხარჯის შემცირებით, პროდუქციის თვითღირებულების გაიაფებით და თითოეული მონაწილის წვლილის პროპორციული კვოტების შემოღებით შეიძლება გაეცეს, თქვა ასოციაციის პრეზიდენტმა და აპლოდისმენტებიც დაიმსახურა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კუბოების, საფლავის ქვების, ქანდაკებების, სუდარებისა და გადასაფარებლების წარმოება იმ დღიდანაა შეჩერებული, რაც ადამიანებმა გარდაცვალება შეწყვიტეს და იმ ძალიან, ძალიან ნაკლებსავარაუდო შემთხვევაშიც კი, თუ შორეულ და განცალკევებულ საამქროებში, რომელთა მეპატრონეებიც

ძალიან კონსერვატიულები აღმოჩნდნენ, სიცოცხლე ჯერ კიდევ ბჟუტავს, მისი ხანგრძლივობა თავისუფლად შეგვიძლია მალერბის კოკორს შევადაროთ. მართალია, პოეტური შედარება ცოტა უადგილო იყო, მაგრამ ტაში მაინც გამოიწვია, ხოლო პრეზიდენტმა განაგრძო: თუმცა, როგორც უნდა იყოს, სამუდამოდ დასრულდა ეს კოშმარი, სამარცხვინო საშინელება, როდესაც ჩვენ ძაღლებს, კატებსა და საყვარელ იადონებს ვმარხავდით. და თუთიყუშებს, იყვირეს დარბაზიდან. დიახ, და თუთიყუშებს, დაეთანხმა პრეზიდენტი. და ტროპიკულ თევზებს, კიდევ გაიხსენა ვიღაცამ. ეს მხოლოდ იმის შემდეგ იყო, რაც აკვარიუმის თავზე მქროლავი სულის წამოწყებული დისკუსია გახურდა, დღეიდან მკვდარ თევზებს საჭმელად ყოველთვის კატებს გადაუყრიან, მატერიის შენახვის კანონის დასამტკიცებლად, რომელიც ბატონმა ლავუაზიემ აღმოაჩინა. იმის გაგება, თუ სადამდე მიდიოდა დამკრძალავი აგენტების მიერ კალენდრებიდან მიღებული ცოდნის სიღრმე, ვერ მოხერხდა, იმიტომ რომ ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც დროის სწრაფმა მდინარებამ შეაშფოთა - ოცდაორი საათი და ორმოცდახუთი წუთი იყო - ხელი ასწია და მოითხოვა: სასწრაფოდ მეკუბოეთა ასოციაციაში დავრეკოთ და ვიკითხოთ, როგორ აქვთ საქმე: ხომ უნდა ვიცოდეთ, ხვალ რისი იმედი შეიძლება გვქონდეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ იდეასაც ოვაციებით შეხვდნენ, მაგრამ პრეზიდენტმა, იმით გულდაწყვეტილმა, რომ იგი მას არ ეკუთვნოდა, შენიშნა: ალბათ, ამ დროს საამქროებში აღარავინ იქნება, რაზეც ასეთი პასუხი მიიღო: მე ვფიქრობ, ბატონო პრეზიდენტო, რომ ის მიზეზი, რამაც ჩვენ აქ მოგვიყვანა, შეკრებას მეკუბოეებსაც აიძულებდა. ასეც აღმოჩნდა. შესაბამისი კორპორაციის შტაბბინაში თქვეს, ჩვენი წევრები ცნობილი წერილის

გახმაურებისთანავე საქმის კურსში ჩავაყენეთო და მათი ყურადღება იმ ფაქტზე შეაჩერეს, რომ უმოკლეს ვადებში, ასე ვთქვათ, სამგლოვიარო ტარას გამოშვება უნდა განეახლებინათ და რომ, შემოსული ცნობების თანახმად, ბევრ საწარმოში სასწრაფოდ არა მარტო მუშები დააბრუნეს, არამედ მუშაობა, უკვე სრული დატვირთვით, სამ ცვლაში განაახლეს. ეს, რა თქმა უნდა, შრომის კანონის დარღვევაა, შენიშნა თავმჯდომარემ, მაგრამ, რამდენადაც სიტუაცია საგანგებოა, ჩვენი იურისტები დარწმუნებული არიან, რომ მთავრობა ამაზე არა მარტო თვალს დახუჭავს, არამედ ასეთი ოპერატიულობის გამო მადლობელიც დარჩება, თუმცა ჩვენ იმის გარანტიის მიცემა არ შეგვიძლია, რომ ჩვენი ნაკეთობები - განსაკუთრებით, პირველ ეტაპზე - შესრულებისა და მოპირკეთების ისეთივე უმაღლესი ხარისხით იქნება გამორჩეული, როგორსაც კლიენტები შევაჩვიეთ: გაპრიალება, ლაკი და სახურავზე რელიეფური ჯვარცმა უკეთესი დროისთვის უნდა გადავდოთ, როდესაც მოთხოვნების რაოდენობა ცოტათი დაიკლებს, მაგრამ, ასეა თუ ისე, ჩვენს პასუხისმგებლობას ვაცნობიერებთ და გვესმის, ამ პროცესში რა მნიშვნელოვანი როლი გვაკისრია. აქ ისევ გაისმა დამკრძალავი ბიუროების წარმომადგენელთა კიდევ უფრო მხურვალე აპლოდისმენტები, მათ ახლა უკვე მართლაც შეეძლოთ ერთმანეთისთვის მიელოცათ: არც ერთი მკვდარი არ დარჩება დაუმარხავი, არც ერთი ანგარიში - დაუფარავი. და მესაფლავეები, დაინტერესდა ვიღაც. მესაფლავეები იმას გააკეთებენ, რასაც ეტყვიან, წამოისროლა გაღიზიანებულმა პრეზიდენტმა. იგი ოდნავ შეცდა. კიდევ ერთი სატელეფონო ზარის შემდეგ გაირკვა, რომ მესაფლავეები ხელფასზე მნიშვნელოვან დანამატს და ზეგანაკვეთურის სამმაგი ოდენობით გადახდას ითხოვდნენ. ეს ჩვენ არ გვეხება, ამის

გამო თავი მუნიციპალიტეტმა იმტვრიოს, თქვა პრეზიდენტმა. და რა ვქნათ, თუ სასაფლაოებზე მივალთ და იქ არავინ დაგვხვდა, არავინ აღმოჩნდა საფლავის გამთხრელი, იკითხა მდივანმა. მწვავე დისკუსია გაჩაღდა. ოცდასამ საათსა და თხუთმეტ წუთზე პრეზიდენტს მიოკარდის ინფარქტი დაემართა, რისგანაც იგი საათის სამი მეოთხედის შემდეგ, როდესაც მეთორმეტე ზარის ხმა მიწყდა, გარდაიცვალა კიდეც.

* * *

ეს ყველანაირ ჰეკატომბაზე უფრო წმინდა იყო. ექვსი თვის განმავლობაში - ზუსტად ამდენ ხანს გაგრძელდა სიკვდილის მიერ ცალმხრივად გამოცხადებული მშვიდობა - ჯერ არნახულ რიგში ჩადგა სამოცი, თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, სამოცდაორი ათას ხუთას ოთხმოცი ადამიანი, რომლებმაც ერთდროულად, ერთ წამში, რაღაც მომაკვდინებელი ძალის ნებით, რასაც მხოლოდ თავად ადამიანთა ჯალათური ქმედებები თუ შეედრება, სული განუტევეს. სხვათა შორის, საკუთარ თავს სიამოვნებას ვერ მოვაკლებ და შეგახსენებთ, რომ სიკვდილი - თავად, სხვისი დახმარების გარეშე - იმქვეყნად ყოველთვის უფრო ნაკლებ ადამიანს ისტუმრებს, ვიდრე ადამიანი. ალბათ, უკვე ვინმე ზომიერად ცნობისმოყვარე კითხულობს, როგორ მოვახერხეთ ასეთი სიზუსტით იმ ადამიანების რიცხვის დადგენა, - სამოცდაორი ათას ხუთას ოთხმოცი, - ვინც იმ ქვეყნად გაემგზავრა. უმარტივესია. რამდენადაც იმ ქვეყნის მოსახლეობა, სადაც ეს ყველაფერი ხდება, დაახლოებით ათ მილიონ ადამიანს შეადგენს, ორი არითმეტიკული მოქმედება - გამრავლება და გაყოფა - თვიურ და წლიურ

შუალედურ პროპორციებზე, თუ გულმოდგინედაც დავფიქრდებით, საშუალებას გვაძლევს რიცხვების ვიწრო მწკრივი მივიღოთ, რომელშიც დასახელებული რაოდენობა აწონ-დაწონილად და შესაფერისად გვეჩვენება, ხოლო, როდესაც სიტყვა „შესაფერისს“ ვიყენებთ, მხედველობაში გვაქვს, რომ ასეთივე წარმატებით შეგვეძლო სამოცდაორი ათას ხუთას სამოცდაცხრამეტი, ან სამოცდაორი ათას ხუთას ოთხმოცდაერთი მიგვეღო, ჩვენი გამოთვლების მწყობრ სისტემაში დამკრძალავი ბიუროების ასოციაციის პრეზიდენტის დაღუპვას, რაც მოულოდნელად, ბოლო მომენტში მოხდა, არევ-დარევა რომ არ შემოეტანა. მიუხედავად ამისა, ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ, რომ უკვე ხვალ დილიდან დაწყებული დასაფლავებების სტატისტიკა ჩვენი გამოთვლების სისწორეს დაადასტურებს. ვინმე სხვა, არანაკლებ გამობრძმედილი და დაუცხრომელი, ისეთი, ვისაც შეუძლია არ ჭამოს, ოღონდ საშუალება ჰქონდეს, თხრობის მდორე მდინარება გაგაწყვეტინოს, უკვე მზადაა დაინტერესდეს: ექიმებმა როგორ გაიგეს, თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად საით უნდა წასულიყვნენ, იმ მოვალეობის, რომლის გარეშეც არც ერთ მკვდარს კანონიერ მკვდრად არ აღიარებენ, უსიკვდილოდ მკვდარიც რომ იყოს. ალბათ, ზედმეტია იმის თქმა, რომ გარკვეულ შემთხვევებში გარდაცვლილის ნათესავები ოჯახის ექიმის გამოძახებას წარმატებით ახერხებდნენ, მაგრამ, თავადაც ხვდებით, ასეთი შემთხვევების რაოდენობა შეზღუდული იყო, რამეთუ ამოცანას ანომალიური სიტუაციის ოფიციალურ კალაპოტში მოქცევა წარმოადგენდა, რათა კიდევ ერთხელ არ დადასტურებულიყო სამართლიანობა გამონათქვამისა „უბედურება გეწვია, კარი გააღე“, რაც მოცემულ შემთხვევასთან შეფარდებით შემდეგს ნიშნავს: თითქოს ის

არ კმარა, რომ სახლში უეცარი სიკვდილია, ამას კიდევ ხრწნადი გვამიც ემატება. სხვათა შორის, სწორედ აქ გაირკვა, რომ პრემიერ-მინისტრს ასეთი მაღალი თანამდებობა ბედნიერი შემთხვევის წყალობით არ დაუკავებია და რომ, როგორც დაუღალავად ამტკიცებს ხალხური სიბრძნე, რომელიც მიზანს ერთხელაც არ სცდება და პირდაპირ ცხვირში ურტყამს, ყველა ხალხი იმ ხელისუფლების ღირსია, რომელიც ჰყავს, თუმცა ამავე დროს საკითხის ბოლომდე გასარკვევად აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ყველა ერი ერთნაირი არაა. მოკლედ, ვითარებას გააჩნია. ვითარება კი ისეთი აღმოჩნდა, რომ ნებისმიერი დამკვირვებელი, ისეთიც კი, რომელიც მიუკერძოებელი და მოზომილი მსჯელობით დიდად არ გამოირჩევა, წამითაც არ იჭოჭმანებდა, ისე იტყოდა, ხელისუფლება მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა - რთული და მძიმე მოწოდებისო. ყველას გვახსოვს, პირველ, ნეტარ დღეებში, როდესაც ხალხი გულუბრყვილოდ ტკბებოდა მოულოდნელად თავს დამტყდარი უკვდავებით, რაც ასე წარმავალი აღმოჩნდა, ერთმა ახლად დაქვრივებულმა ქალმა ამ ახალი ბედნიერების აღნიშვნა და ქუჩაზე გამავალი სასადილო ოთახის ყვავილებით მორთულ აივანზე სახელმწიფო დროშის გადმოფენა გადაწყვიტა. არც ის დაგავიწყდათ, ალბათ, ორი დღე-ღამის განმავლობაში დროშის ჭირმა ეპიდემიის მსგავსად მთელი ქვეყანა როგორ მოიცვა იმ ცეცხლის სიჩქარით, რომელიც ბიკფორდის ზონარს მიუყვება. მუდმივი და უმწარესი იმედგაცრუების შვიდი თვის შემდეგ დროშები მხოლოდ ალაგ-ალაგ მოჩანდა, ისინიც უკვე უბადრუკ ნაჭრებად ქცეულიყო, მზეს მათთვის ფერი დაეკარგა, წვიმას გაეხუნებინა და გერბებიც ისე გადღაბნილიყო, რომ ვეღარავინ იცნობდა. ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ

წინასწარგანჭვრეტის ბრწყინვალე ნიჭი ჯერ არ დაუკარგავს, როდესაც სიკვდილის მოულოდნელი დაბრუნებისგან გამოწვეული გვერდითი მოვლენების შერბილების მიზნით სხვა გადაუდებელ ზომებთან ერთად დაადგინა: ამას იქით სახელმწიფო დროშა იმის მანიშნებელი იქნება, რომ აი, აქ, სადმე, ვთქვათ, მესამე სართულზე, მარცხენა მხარეს გარდაცვლილი ასვენია და თავის რიგს ელოდება. დამწუხრებული ოჯახებიც ვინმე შინაურს სახელმწიფოებრიობის სიმბოლოს საყიდლად გზავნიდნენ, მას ფანჯრიდან კიდებდნენ, გარდაცვლილის შუბლიდან ბუზებს აფრთხობდნენ და ელოდებოდნენ ექიმს, რომელიც სიკვდილს დაადასტურებდა. უნდა ვაღიაროთ, რომ იდეა არა მარტო ჯანსაღი და გონივრული, არამედ საოცრად დახვეწილიც გახლდათ. ქალაქის თუ სოფლის ექიმებს ისღა დარჩენოდათ, რომ მანქანებით, ველოსიპედებით, ფეხით ქუჩებში ევლოთ, რათა, როგორც კი სადმე დროშას თვალს მოჰკრავდნენ, მონიშნულ საცხოვრებელში შესულიყვნენ, გვამი შეუიარაღებელი თვალით, ზერელედ - რამეთუ ყველანაირი ინსტრუმენტული გამოკვლევა უკიდურესი სიჩქარის გამო შეუძლებელი იყო - დაეთვალიერებინათ და დაეტოვებინათ ხელმოწერილი დოკუმენტი, რასაც ამ ნედლეულის სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, დამკრძალავი ბიუროები უნდა დაეწყნარებინა, ანუ სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, დოკუმენტი იმის გარანტია იქნებოდა, რომ მწუხარებით მოცულ სახლში მათ კურდღლის მაგივრად კატას არ შეატყუებდნენ, ხოლო კატას, შესაბამისად, კურდღლად არ გაასაღებდნენ. მკითხველი, ალბათ, უკვე თავადაც მიხვდა, რომ სახელმწიფო დროშის ამგვარ გამოყენებას ორმაგი მიზანი ჰქონდა და, შესაბამისად, თან ორმაგი სარგებელიც ახლდა. თუ თავიდან ის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავივით

ექიმებისთვის კაშკაშებდა, შემდეგ უკვე, საზღვაო შუქურის მსგავსად, მიზნამდე, ასე ვთქვათ, მფუთავები მიიყვანა. თუ მსხვილ ქალაქებზე ვილაპარაკებთ და პირველ რიგში – დედაქალაქზე, რომელიც ასეთი პატარა ქვეყნისთვის უზომოდ დიდი იყო, მაშინ სივრცის ერთგვარ ნაკვეთებად დაყოფამ, რაც წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად კვოტების დადგენის საშუალებას იძლეოდა, ანუ შესაძლებელს ხდიდა, როგორც მახვილგონივრულად შენიშნა დამკრძალავი ბიუროების ასოციაციის უფროოდ წასულმა პრეზიდენტმა, გაგეგო, ვის რამხელა ტორტის ნაჭერი ერგებოდა, ადამიანის სხეულის გადამზიდავთა შრომა წარმოუდგენლად შეამსუბუქა. დროშების გადმოკიდების კიდევ ერთი შედეგი, - მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი შედეგი, რომელიც ნათლად აჩვენებს, როგორ შეიძლება შევცდეთ, როდესაც სისტემაში მოყვანილი სკეპტიციზმის კულტივირებას ვახდენთ - გახდა მოწიწების გამომხატველი ჟესტი იმ ზოგიერთი კეთილშობილი მოქალაქისა, რომლებიც მაღალი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი დახვეწილი ქცევის ფესვგადგმული სტერეოტიპების მიმდევარნი იყვნენ და ამიტომაც ჯერ კიდევ ატარებდნენ ქუდებს და იხდიდნენ კიდეც მათ, როდესაც დროშებით დამშვენებულ ფანჯრებთან ჩაივლიდნენ, რითაც გამვლელებს საგონებელში აგდებდნენ - გარდაცვლილის პატივსაცემად იშიშვლებდნენ ისინი თავს თუ სახელმწიფოს მარადჟამ ცოცხალ და წმინდა სიმბოლოს ესალმებოდნენ.

რასაკვირველია, გაზეთებზე მოთხოვნილება, იმ დროსთან შედარებითაც კი, როდესაც ყველას ეჩვენებოდა, რომ აღარავინ მოკვდებოდა, საგრძნობლად გაიზარდა. რა თქმა უნდა, ხალხის უდიდესმა ნაწილმა ტელევიზიის დახმარებით უკვე გაიგო თავსდამტყდარი კატაკლიზმის

შესახებ, ბევრს სახლში ცხედარიც ესვენა და აივანზე დროშა ჰქონდა გადმოკიდებული, მაგრამ ძნელი მისახვედრი არაა, რომ ერთია, პატარა ეკრანზე გენერალური დირექტორის აღელვებისგან მოღრეცილი სახის დანახვა და სრულიად სხვა - ეს კრუნჩხვებში ჩავარდნილი, მყვირალა-აპოკალიფსური სათაურებით აჭრელებული საგაზეთო ფურცლები, რომლებიც შეგიძლია დაკეცო, ჯიბეში ჩაიდო და შინ სათანადო ყურადღებით გადაიკითხო. აი, ასეთი სათაურების რამდენიმე მეტყველი მაგალითი: „სამოთხიდან ჯოჯოხეთში“, „სიკვდილი მეჯლისს მართავს“, „ხანმოკლე უკვდავება“, „ისევ სიკვდილი მოგვისაჯეს“, „შამათი“, „გასაჩივრებას არ ექვემდებარება“, „უარი შეწყალებაზე“, „ვერდიქტი ლილისფერ ქაღალდზე“, „სამოცდაორი ათასი სიკვდილი ერთ წამში“, „სიკვდილი შეტევაზე შუაღამით გადმოდის“, „ბედისწერას ვერსად წაუხვალ“, „ჯადოსნური სიზმარი მძიმე კოშმარით იცვლება“, „ნორმალურ სიკვდილთან დაბრუნება“, „რითი დავიმსახურეთ“ და ასე შემდეგ და ამის მსგავსი. ყველა გაზეთმა სიკვდილის წერილის ასლი პირველ გვერდზე დაბეჭდა, მაგრამ ერთმა გაზეთმა იმისთვის, რომ კითხვა გაეიოლებინა, პირდაპირ ხელნაწერი კი არ გადმოიტანა, არამედ თოთხმეტიანი შრიფტით აკრეფილი ტექსტი დაბეჭდა, თან გაზეთის მესვეურებმა პუნქტუაცია და სინტაქსიც გაასწორეს, მხედრული ასოები ყველგან, სადაც საჭირო იყო, მთავრულით შეცვალეს, მათ შორის - ხელმოწერაშიც, და სიკვდილი სიკვდილად იქცა, ამასთან, შევნიშნავთ, რომ ამ ცვლილებამ იმავე დღეს გამომგზავნის მრისხანე პროტესტი გამოიწვია, რაც იმავე ლილისფერ ქაღალდზე ასევე ხელით იყო დაწერილი. ლინგვისტ-კონსულტანტის ავტორიტეტული მოსაზრებით, სიკვდილს წერის ელემენტარული უნარ-ჩვევები არ ჰქონდა. კალიგრაფიას რაც შეეხება,

ამტკიცებდა იგი, ის ძალიან უცნაურია - იფიქრებ, აქ ლათინური ანბანის ასოების ყველა არსებული, შესაძლებელი და არც მთლად შესაძლებელი დაწერილობა ერთად შეიყარაო, ამასთან შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თითოეული ასო სხვადასხვა ადამიანის დაწერილია, თუმცა ამას კიდევ რა უშავს იმასთან შედარებით, რასაც ჰქვია სინტაქსის სრული ქაოსი, წერტილების არარსებობა, აბსოლუტურად საჭირო ფრჩხილების არგამოყენება, ჰაიჰარად დასმული მძიმეები და - ეს უკვე ყველა საზღვარს სცილდება - მთავრული ასოების მიზანმიმართული და ეშმაკისეული შეუპოვრობით იგნორირება, თქვენ წარმოიდგინეთ, ხელმოწერაშიც კი. ეს სირცხვილია, გაიძახოდა ლინგვისტი, ეს სამარცხვინოა, ეს პროვოკაციაა, და დაინტერესდა: თუ სიკვდილიც კი, რომელსაც ძველად სიტყვიერების უდიდესი გენიოსების წაყვანის ფასდაუდებელი პრივილეგია არაერთხელ რგებია, ამგვარად წერს, მაშინ განა ჩვენს შვილებს შეუძლიათ მის საზარელ უწიგნურობის მაგალითს არ მიჰბაძონ და ეს მიბაძვა იმით არ გაამართლონ, რომ სიკვდილი, რომელიც ამ მხარეში ამდენი ხანია დახეტიალობს, უბრალოდ, ვალდებულია, ყველა სფეროში ერთნაირად ერკვეოდეს. და თავისი ფილიპიკა ასე დაასრულა: იმ სინტაქსური შეუსაბამობების შემყურე, რაც ამ ყბადაღებული წერილიდან იფრქვევა, ვიფიქრებდი, ჩვენს წინაშე ყველაზე უღირსი და უხამსი ტონის მსხვილმასშტაბიანი პროვოკაციაა-მეთქი, მწარე სინამდვილე საწინააღმდეგოს რომ არ ამტკიცებდეს; ყველა საშინელი მუქარა სისრულეშია მოყვანილი. იმავე დღეს, საღამო ხანს, როგორც უკვე გაკვრით ვახსენეთ, სიკვდილისგან კიდევ ერთი წერილი მოვიდა, სადაც იგი ძალიან ენერგიულად შეცდომის გასწორებასა და საკუთარი სახელის სწორად დაწერას ითხოვდა: მე, პატივცემულო

ბატონო რედაქტორო, სიკვდილი კი არა, უბრალოდ, სიკვდილი ვარ, სიკვდილი ეს ისეთი რამეა, ბატონებო, რომ გონებით მის კიდესაც კი ვერ მიწვდებით, ვინაიდან თქვენ, ადამიანები მხოლოდ პატარა, ყოველდღიურ სიკვდილს იცნობთ, ანუ მე, რომელსაც ყველაზე შემზარავი უბედურების დროსაც კი არ შეუძლია ცხოვრების მდინარება შეაჩეროს, გაგრძელების უფლება არ მისცეს, მაგრამ ოდესმე, დადგება დრო და თქვენ გაიგებთ, რა არის ნამდვილი სიკვდილი, და მაშინ, თუ, რა თქმა უნდა, მოასწრებთ და იგი ამის ნებას მოგცემთ, რაშიც ეჭვი ძალიან მეპარება, გაიგებთ ჭეშმარიტ განსხვავებას ფარდობითსა და აბსოლუტურს, სავსესა და ცარიელს, „კიდევ არის“ და „არ არის და არც არასდროს იქნება“-ს შორის, ხოლო, როდესაც ჭეშმარიტ განსხვავებაზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს შესაძლებლის, ფარდობითის, აბსოლუტურის, სავსესადა ცარიელის, „კიდევ არის“, „არა, არ არის და არც არასდროს იქნება“-ს ენით გამოუთქმელი შეხამება - რას ნიშნავს ეს ყველაფერი, ბატონო რედაქტორო, თუ თავად არ იცით, გეტყვით, მომისმინეთ: სიტყვები ძალიან მოძრავი და დენადია, ისინი დღიდან დღემდე იცვლებიან, სიტყვები ბუნდოვანია, როგორც ჩრდილები, თავადაც ჩრდილები არიან და არსებობენ იმავე დოზით, რა დოზითაც არ არსებობენ, ეს საპნის ბუშტებია, ეს ზღვის ყრუ გრგვინვაა ხვეულ ნიჟარაში, ეს მოჭრილი ხეებია, მთელს ამ ცნობებს სრულიად უფასოდ გაწვდით, ანუ უანგაროდ, რათა თქვენი გაზეთის ძვირფას მკითხველებს გასაგებად ავუხსნა სიცოცხლისა და სიკვდილის ყველა „როგორ“ და „რატომ“, ხოლო, თუ ამ წერილის მიზანს დავუბრუნდები, რომელიც, ისევე როგორც ტელევიზიით წაკითხული, საკუთარი ხელით დავწერე, მაშინ გეტყვით, რომ დაჟინებით ვითხოვ, პრესის კანონის შესაბამისად დაბეჭდოთ უარყოფა ზუსტად იქ და

იმგვარადვე, სადაც და როგორც განათავსეთ ცნობა, რომელშიც უყურადღებობით თუ განზრახ დაშვებული იყო შეცდომები და ბატონო რედაქტორო, თქვენს ყურადღებას განსაკუთრებით იმ გარემოებას მივაქცევ, რომ, თუ ეს წერილი სასწრაფოდ არ გამოქვეყნდება, თან ყოველგვარი კუპიურების გარეშე, მაშინ ხვალვე გამოგიგზავნით წინმსწრებ გაფრთხილებას, რისი გამოგზავნისგან თავის შეკავებას კიდევ რამდენიმე წელი ვაპირებდი, ხოლო ზუსტად რამდენი, არ გეტყვით, დარჩენილი სიცოცხლე რომ არ მოგიწამლოთ; დასასრულ, გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ხელმოწერას სიკვდილი. წერილი რედაქტორის უხვსიტყვიანი მობოდიშების თანხლებით მეორე დღესვე დაბეჭდეს, ჩვეულებრივად კი არა, არამედ ორგვარად - ხელნაწერის სახით და თოთხმეტიანი შრიფტით. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაზეთი გასაყიდად გავიდა, რედაქტორმა გაბედა და გამოძვრა თავისი, შვიდ ურდულზე დაკეტილი ბუნკერიდან, სადაც მუქარის მიღებისთანავე შეძვრა. შიში იმდენად დიდი იყო, რომ მან თავისი გამოცემის გვერდებზე იმ გრაფოლოგიური ექსპერტიზის გამოქვეყნებაზეც კი უარი თქვა, რომელიც მას ამ დარგის უთვალსაჩინოესმა სპეციალისტმა პირადად მოუტანა. დიდი მადლობა, ყელში მაქვს უკვე ეს ხელმოწერის ამბავი, თქვენი დასკვნა სხვა გაზეთს შესთავაზეთ, ცოტა იქაც იხტუნონ, ყველაფრისთვის ვარ მზად, ოღონდ ეს შიში კიდევ ერთხელ არ გადავიტანო, რადგან შეიძლება ის საერთოდაც ვერ გადავიტანო. გრაფოლოგი მითითებულ მისამართზე გაემართა, შემდეგ სხვა რედაქციას ეწვია, შემდეგ კიდევ სხვას და როდესაც უკვე მზად იყო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილიყო, მხოლოდ მეოთხეში მოახერხა შეეჩეჩებინა საკუთარი ნაშრომი - რამდენიმე მომქანცველი და უძილო ღამის ნაყოფი. საფუძვლიანი და შინაარსიანი მოხსენება

იმის შეხსენებით იწყებოდა, რომ კალიგრაფიის თავისებურებების კვლევა თავდაპირველად ფიზიოგნომიკის ერთ-ერთი დარგი იყო, რომელიც თავის თავში - იმათთვის განვმარტავთ, ვინც ამ მეცნიერებას არ იცნობს - მიმიკას, მოტორიკას, მეტყველებას მოიცავდა და თითოეულ ამ სფეროში, თავის დროზე და თავის ქვეყანაში დაფნის გვირგვინებს იხვეჭდნენ ისეთი ნათელი თავები, როგორებიც იყვნენ: კამილო ბალდი, იოჰან კასპარ ლაფატერი, ედუარდ ოგიუსტ პატრის ოკარი, ადოლფ ჰენცე, ჟან იპოლიტ მიშონი, უილიამ ტერი პრეიერი, ჩეზარე ლომბრობო, ჟიულ კრეპიო-ჟამენი, რუდოლფ პოპ-გალი, ლუდვიგ კლიაგესი, ვილჰელმ ჰელმუტ მიულერი, ელის ენსკატი, რობერტ ჰაისი, რომელთა ძალისხმევის შედეგად გრაფოლოგიამ თავისი ფსიქოლოგიური ასპექტი განიმტკიცა და გამოყენებითი დისციპლინის და ფუნდამენტური მეცნიერების ამბივალენტურობა შეიძინა, ამის შემდეგ ჩვენმა გრაფოლოგმა ისტორიული და სხვა ცნობების მთელი გროვა დაახვავა და დამქანცველი ყოვლისმცოდნეობით სუბჯუდიცე მასალის, ძირითადი მახასიათებლები, ანუ ზომა, დაწოლა, დახრილობა, ასოების გადაბმულობა და ტექსტის სივრცეში მათი ურთიერთგანლაგება ექსპერტიზას დაუქვემდებარა, თან კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ მისი გამოკვლევის მიზანი არც კლინიკური დიაგნოზის დასმა იყო, არც ხასიათის ანალიზი, არც გამოსაცდელის პროფესიონალიზმის დადგენა, მთელი ყურადღება კრიმინალურ ასპექტზე ჰქონდა გადატანილი, გამოკვლეულ ტექსტში კი პიროვნების დანაშაულებრივი ზნის დამადასტურებელი უამრავი მაგალითი იყო. ამის მიუხედავად, წერდა იგი დაუფარავი და მწარე იმედგაცრუებით, მე აღმოვჩნდი არა მარტო ამოუხსნელის წინააღმდეგობათა წინაშე, არამედ,

ვშიშობ, პრინციპში, ამოხსნის შესაძლებლობის არარსებობის წინაშეც, ვინაიდან, მართალია, არსებული მეთოდიკის სრული დაცვით ჩატარებული ძირეული გრაფოლოგიური ანალიზის ყველა შედეგი აჩვენებს, რომ ტექსტის ავტორი ე.წ. სერიული მკვლელია, მაგრამ ამის პარალელურად ასევე უდავო ფაქტებით, რომლებიც წინა თეზისს მცირედითაც არ ცვლის, მტკიცდება, რომ არსება, რომელმაც გამოსაკვლევი წერილები დაწერა, მკვდარია. სინამდვილეში ეს ასეც იყო და თავად სიკვდილს სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ეს დაედასტურებინა. თქვენ მართალი ხართ, ბატონო გრაფოლოგო, გამოთქვა მან თავისი აზრი, როდესაც მაღალმეცნიერული მოხსენება წაიკითხა. გაურკვეველი მხოლოდ ერთი დარჩა: თუ სიკვდილი გვამია და მხოლოდ ძვლებისგან შედგება, როგორ ახერხებს, სხვის მოკვლას, ან წერილების წერას. საიდუმლო, რომელიც არასოდეს ამოიხსნება.

რადგან აქამდე იმის მოყოლით ვიყავით დაკავებული, თუ რა მოხდა, როდესაც გადადებული სიკვდილის მდგომარეობაში მყოფი სამოცდაორი ათას ხუთას ოთხმოცი ადამიანის საათმა დაჰკრა, ჩვენ უკეთეს დრომდე გადავდეთ - და, აი, ეს დროც დადგა - სრულიად საჭირო მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ იქცეოდნენ ამ სიტუაციაში მოხუცებულთა სახლები, საავადმყოფოები, სადაზღვევო კომპანიები, მაფფია და ეკლესია - პირველ რიგში კათოლიკური, რომელიც ჩვენს აღწერილ ქვეყანაში ისე მძლავრად ბატონობდა, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეებს შორის არსებობდა ურყევი რწმენა, მყარი შეხედულება: იესო ქრისტეს თავისი პირველი და - როგორც ჩვენთვის ცნობილია - ჯერჯერობით ერთადერთი მიწიერი ცხოვრების გამეორება რომ მოუხდეს, იგი შობისთვის სხვა ქვეყანას არ

აირჩევსო. ნეტარი დაისის თავშესაფრებში - მათგან დავიწყოთ - ისეთივე გრძნობები დაეუფლათ, როგორიც მოსალოდნელი იყო. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მობინადრეების შეუფერხებელი როტაცია, როგორც ეს ამ საკვირველი ამბის დასაწყისში ამომწურავად ავხსენით, ამ დაწესებულებების ეკონომიკური აყვავების უმთავრეს პირობას წარმოადგენდა, მაშინ სიკვდილის დაბრუნება არ შეიძლებოდა არ გამხდარიყო და, რა თქმა უნდა, გახდა კიდეც, ზეიმის და ახალი იმედის მიზეზი, რომელმაც ხელმძღვანელებს ფრთები შეასხა. ტელევიზიით წაკითხული წერილით გამოწვეულ თავდაპირველ გაოგნებასთან გამკლავების შემდეგ მათ სასწრაფოდ იმის დაანგარიშება და წარმოდგენა დაიწყეს, როგორ გაგრძელდებოდა ცხოვრება და იმედი არ გაუცრუვდათ. ასე ყველასთვის მოულოდნელად, ნორმის ფარგლებში დაბრუნების აღსანიშნავად, შუაღამეს საკმაო რაოდენობის შამპანური შეისვა, და ის, რაც უცხო თვალს შეიძლება გულგრილობდა და სხვისი სიცოცხლის არად ჩაგდებად მოეჩვენოს, სინამდვილეში მხოლოდ შვების და კანონიერი სიხარულის ბუნებრივი გამოხატულება იყო, რაც შეგვიძლია იმ შეგრძნებას შევადაროთ, რომელიც ადამიანის სულს მაშინ ეუფლება, როცა იგი დაკეტილი კარის წინ გასაღების გარეშე დგას და მოულოდნელად ხედავს, კარი ფართოდ როგორ იღება და იქითა მხრიდან შუქი იფრქვევა. მიზეზიანი ადამიანები, ალბათ, იტყვიან: ყოველ შემთხვევაში, შეიძლებოდა ეს ყველაფერი ზარ-ზეიმის, შამპანურის საცობების ბათქაბუთქისა და თავაშვებული ქეიფის სხვა ნიშნების გარეშე გაკეთებულიყოო, რამეთუ ასეთი მოვლენის აღსანიშნავად პორტვეინის ან მადერას მოკრძალებული ბოთლი, ჭიქა კონიაკი ან ყავა ლიქიორით სრულიად საკმარისი იქნებოდა, თუმცა ჩვენ, ვინც ვიცით,

სიხარულით მოცული სული როგორ იოლად წყვეტს ხორცის ბორკილებს, ვხვდებით, რომ ასეთი რამის გამართლება, ალბათ, არ შეიძლება, მაგრამ პატიება აუცილებელია. მეორე დილით ადმინისტრაციამ აქტიური მუშაობა გააჩაღა: ცხედრები გაატანინა, ოთახები დაალაგებინა და ლოგინებში თეთრეული გამოაცვლევინა, პერსონალი შეკრიბა და გამოუცხადა, რომ ღვთის მადლით ცხოვრება გრძელდება, მხოლოდ შემდეგ დაიწყო მოხუცებულთა თავშესაფარში მიღების შუამდგომლობების შესწავლა, რათა პრეტენდენტთა რიგებიდან შეერჩია ისეთები, ვისგანაც ბევრს მოელოდნენ. არცთუ მთლად მსგავსი, მაგრამ არანაკლებ წონადი მიზეზების გამო დილამდე იმ ადამიანების სულიერი განწყობაც შესამჩნევად გაუმჯობესდა, ვინც სამკურნალო დაწესებულებებს მართავდნენ. თუმცა, როგორც უკვე მოგიყევით, განუკურნებელი სენით დაავადებულთა დიდი ნაწილი, ვისი ავადმყოფობაც უკიდურეს და უკანასკნელ სტადიებს აღწევდა, თუ, რა თქმა უნდა, დასაშვებია ასე ლაპარაკი ნოზოლოგიურ მდგომარეობაზე, რომელიც სამუდამოდ უნდა გაგრძელდეს, მოსავლელად ნათესავებს გადაულოცეს, თან ფარისევლურად ეუბნებოდნენ: საცოდავს თქვენზე უკეთ ვინ მოუვლისო, - თუმცა კიდევ ბევრი იყო ისეთი, ვისაც არც ნათესავები და არც ფული აღმოაჩნდა ბედნიერი დაისის უზრუნველსაყოფად, ისინი უკვე არა მარტო დერეფნებში, რასაც ამ ღირსსაპატივცემულო დაწესებულებებში უხსოვარი დროიდან ასეთი დანიშნულებითაც იყენებენ, არამედ ყველა კუთხეში, სხვენსა და სარდაფში ლამის ერთმანეთზე იწვნენ, სრულიად მიგდებულნი და მოუვლელნი, ვინაიდან ზოგჯერ მათთან რამდენიმე დღის განმავლობაში არავინ მოდიოდა, ამასთან ეს არც ექიმებს, არც ექთნებს არანაირად არ

აღელვებდათ, ისინი თავს იმით იმშვიდებდნენ, რომ ავადმყოფები როგორ ცუდადაც უნდა იყვნენ, მაინც არ დაიხოცებიანო. ახლა, როდესაც ისინი მშვიდობიანად მიიცვალნენ, გამოიყვანეს და დამარხეს, საავადმყოფოს ჰაერი, რამაც თავისი თავდაპირველი და განუმეორებელი არომატი - ეთერის, იოდისა და კარბოლის მჟავის ერთობლიობა - დაიბრუნა, კრისტალური სისუფთავით მაღალ მთათა ატმოსფეროს დაემსგავსა. თუ შამპანური მდინარეებად არ იღვრებოდა, სამაგიეროდ, დირექტორების და მთავარი ექიმების ბედნიერი ღიმილი სულში ბალზამად იღვენთებოდა, ხოლო ორდინატორებზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ, როგორც ეს ოდითგანვე მოდის, კვლავ დაიწყეს უმცროსი სამედიცინო პერსონალის მტაცებლური მზერით გაცილება. ერთი სიტყვით, ყველაფერი ნორმის ფარგლებს დაუბრუნდა. რაც შეეხება სადაზღვევო კომპანიებს, ჩამონათვალს რომ არ გადავუხვიოთ, სადაც ისინი მესამე ნომრადაა შეტანილი, მათზე სათქმელიც არაფერია, რამდენადაც მათ ჯერ ბოლომდე ვერც გაიაზრეს, შეცვლილი სიტუაცია მოახდენდა თუ არა რაიმე გავლენას პოლისებში შეტანილ იმ ცვლილებებზე, რაზეც ჩვენ თავის დროზე ასე წარმოუდგენლად დაწვრილებით გიამბეთ და სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლებოდა თუ - პირიქით. მზღვეველები ნაბიჯსაც არ გადადგამენ, ვიდრე ბოლომდე არ დარწმუნდებიან, რომ წინ მყარი ნიადაგია, ხოლო, როდესაც მაინც გადადგამენ, მაშინვე შიგ ახალ-ახალ მარცვლებს ჩაყრიან, ანუ კონტრაქტებს, რომელთა ახალი ფორმაც მათ სასიცოცხლო ინტერესებს საუკეთესოდ უპასუხებს. და რამდენადაც მომავალი ღმერთისხელშია და ჩვენ შორის არავინ იცის, რას გვიმზადებს მომდევნო დღე, ისინი, ანუ მზღვეველები, ყველა დაზღვეულს, ვინც ოთხმოც

წელს მიაღწია, კვლავაც გარდაცვლილებს მიათვლიდნენ, ვინაიდან სწორედ ისინი წარმოადგენდნენ დღევანდელ კვერცხს და ახლა მხოლოდ ხვალინდელი ქათმის დასაჭერი საშუალება უნდა გამოენახათ. საქმის ოსტატთაგან რამდენიმემ ისარგებლა იმ ქვეყანაში არსებული დაბნეულობით, რომელიც ურთოსა და გრდემლს, სცილასა და ქარიბდას, ვაის და ვუის და კიდევ რაც გვაქვს იმათ შორის, როგორც არასდროს, ისე გაჩხერილიყო, და უკვე დაიწყო ფიქრი იმის შესახებ, რომ ცუდი არ იქნებოდა, თუ ასაკობრივ ზღვარს ოთხმოცდახუთ, ან სულაც ოთხმოცდაათ წლამდე ასწევდნენ. ამ პოზიციის დამცველთა არგუმენტები დღესავით ნათელი და წყალივით გამჭვირვალე იყო: ადამიანებს, ვინც ასეთ ასაკს მიაღწიეს, როგორც წესი, უკვე აღარც ნათესავები ჰყავთ, ვისი დახმარებითაც საჭიროების შემთხვევაში ისარგებლებენ და, თუ ჰყავთ, ისინიც მათსავით მიხრწნილები არიან, ხოლო მათი პენსია ინფლაციის დონისა და ცხოვრების გაძვირების გამო უფასურდება და მოხუცები ხშირად იძულებულნი ხდებიან, სადაზღვევო გადასახადის გადახდა შეწყვიტონ, რითაც კომპანიებს კარგ მიზეზს აძლევენ კონტრაქტი ისე გაუწყვიტონ, რომ არანაირი ზარალი არ ნახონ. ეს არაადამიანურია, წამოიძახებენ ერთნი. ეს ბიზნესია, მხოლოდ ბიზნესი, უპასუხებენ მეორენი. ვნახოთ, საქმე როგორ იქნება.

იმ დროს საქმეზე ყველაზე მეტს მაფფიის წრეებში საუბრობდნენ. იმის გამო, რომ შავი ხვრელების აღწერა, რითაც დანაშაულებრივი დაჯგუფება დაკრძალვის ბიზნესში შეძვრა, ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, გადაჭარბებული სიზუსტით გამოირჩეოდა, მკითხველს შეიძლებოდა მაფფიის შესახებ მცდარი შთაბეჭდილება შეჰქმნოდა: აქაოდა რა უბადრუკი ხალხია, არ შეუძლიათ მეტი ფული ნაკლები ძალისხმევით იშოვონო. არა, რა თქმა

უნდა, მაფფიას, ისევე როგორც ყველა ასეთ ორგანიზაციას მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, სხვა საშუალებებიც მრავლად მოეპოვებოდათ, მაგრამ ადგილობრივი კრიმინალური სინდიკატი ორი „ფ"-თი, რომელიც პერსპექტიულ სტრატეგიულ ზრახვებსა და ამწუთიერ ტაქტიკურ ამოცანებს შორის წონასწორობას უჩვეულო ოსტატობით ინარჩუნებდა, მარტო სწრაფი მოგებით არ იფარგლებოდა და უფრო შორეულ გეგმებს აწყობდა - პირდაპირ მარადისობაში მიმავალ გეგმებს: ჩვენს მაფფიას - იმ ოჯახების დუმილით, რომლებიც ევთანაზიის სიკეთეში დარწმუნდნენ და მთავრობის წაყრუებით, რომელიც თავს ისე აჩვენებდა, თითქოს სხვა მხარეს იყურებაო - სიკვდილსა და ადამიანთა მოდგმის ყველა წარმომადგენლის იმქვეყნად გაცილებაზე აბსოლუტური მონოპოლიის დამყარება სწადდა, სურდა, აეღო პასუხისმგებლობა, რომ დემოგრაფიული სიტუაცია ისეთი გამხდარიყო, როგორიც ქვეყანას სჭირდებოდა, ანუ თუ ერთხელ უკვე გამოყენებულ შედარებას მოვიშველიებთ - ონკანი თავისი შეხედულებისამებრ ან მოეშვა ან დაეკეტა. და თუ მას შობადობის გაზრდა ან შემცირება - ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით - არ ხელეწიფებოდა, სამაგიეროდ, ამქვეყნიური ცხოვრების საზღვრის იქით - უფრო სწორად, მიჯნის მიღმა - მოგზაურობის დაჩქარება ან შენელება მშვენივრად შეეძლო. იმ დროს, როდესაც ჩვენ მოწყალე მკითხველი ოთახში შევიყვანეთ, იქ უკვე გაცხოველებული დისკუსია მიმდინარეობდა იმის შესახებ, თუ საქმეში - სასურველია, მომგებიანში - როგორ გამოეყენებინათ შრომითი რეზერვი, რომელიც სიკვდილის დაბრუნების დროიდან უქმად იდგა, და როდესაც მრგვალი მაგიდის ირგვლივ მრავალფეროვანი, მეტ-ნაკლებად რადიკალური წინადადებები წამოაყენეს, მათგან ისეთი ამოირჩიეს, რომელიც ხანგრძლივი და სახელოვანი ტრადიციით ნაკარნახევი და მარტივად შესასრულებელი იყო. საქმე, როგორც თავად ხვდებით, ე. წ. „დაკრიშვას" ეხებოდა. და აი, უკვე მეორე დღეს მთელ ქვეყანაში, ჩრდილოეთიდან სამხრეთით და დასავლეთიდან აღმოსავლეთით, დამკრძალავ ბიუროებში მიდიოდნენ სტუმრები - როგორც წესი, ორი მამაკაცი, ხანდახან მამაკაცი და ქალი და ძალიან იშვიათად, ორი ქალი - თავაზიანად კითხულობდნენ მმართველს, ხოლო შემდეგ მას თავაზიანად უხსნიდნენ, რომ მის საწარმოს მიტაცების, აფეთქების ან დაწვის საფრთხე ემუქრებოდა, ვინაიდან გარკვეული უკანონო ორგანიზაციების აქტივისტებმა, რომლებიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში უკვდავების უფლების შეტანას ითხოვენ, ახლა შურისგების მახვილი ამაო მრისხანებით დამკრძალავი ბიუროებისკენ მომართეს, იმ ბიუროებისკენ, რომელთაც ბრალი მხოლოდ იმაში მიუძღვით, რომ გარდაცვლილებს საბოლოო თავშესაფარს აძლევენ. ჩვენ ზუსტად ვიცით, აგრძელებდა ერთ-ერთი სტუმარი, რომ ეს აქცია, რაც წინააღმდეგობის შემთხვევაში შეიძლება ბიუროს მეპატრონის, მისი დირექტორის, ორი-სამი თანამშრომლის, ისევე როგორც მათი ოჯახების წევრების მკვლელობაში გადაიზარდოს, ხვალიდან დაიწყება და, გამორიცხული არ არის - ამ უბნიდან. რა უნდა ვქნა, კითხულობდა აკანკალებული, დამფრთხალი თანამოსაუბრე. თქვენ არაფერიც არ უნდა ქნათ, თქვენ სწორედაც რომ არაფერი არ უნდა გააკეთოთ, ხოლო ჩვენ შეგვიძლია თქვენ დაგიცვათ, თუ, რა თქმა უნდა, გინდათ. რა თქმა უნდა, მინდა, დამიცავით, გთხოვთ. საამისოდ რამდენიმე პირობის შესრულება მოგიწევთ. რაც გნებავთ, ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ დამიცავით. პირველ რიგში, არავის, თქვენს ცოლსაც კი, ამის შესახებ არაფერი

უთხრათ. ცოლი არ მყავს. მნიშვნელობა არ აქვს, არც დედას, არც ბებიას, არც დეიდას, - არავისუთხრათ. პირსაც არ გავაღებ. სწორადაც მოიქცევით, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი შანსია, სამუდამოდ პირდამუწული დარჩეთ. კიდევ რა პირობებია. მხოლოდ ერთი - იმდენი უნდა გადაიხადოთ, რამდენსაც გეტყვით. უნდა გადავიხადო. აბა, როგორ გინდათ, ჩვენ ხომ თქვენი უსაფრთხოების დაცვა მოგვიწევს, ეს კი, ჩემო ძვირფასო, ხარჯს მოითხოვს. გასაგებია. ჩვენ მთელ კაცობრიობასაც დავიცავდით, მას საჭირო თანხის გადახდის შესაძლებლობა რომ ჰქონდეს, თუმცა ნათქვამია - დრო წავა და სხვა დრო მოვაო, ასე რომ ჩვენ იმედს არ ვკარგავთ. გასაგებია. რა კარგია, რომ თქვენ ყველაფერს ასე სწრაფად იგებთ. და რამდენი უნდა გადავიხადო. თანხა აქ წერია. რამდენი, რამდენი. ფასი სამართლიანია, ჰაერიდან მოტანილი არ არის. ეს ყოველწლიური გადასახადია, თუ ყოველთვიური. ყოველკვირეული. ამდენი ფული სად ვიშოვო, დაკრძალვის ბიზნესს ოქროს ზოდები არ მოაქვს. თქვენ კიდევ გაგიმართლათ, იმდენი რომ არ მოგთხოვეთ, რამდენსაც საკუთარ სიცოცხლეს აფასებთ. ეს გასაგებია, სიცოცხლე ერთია და მეორე აღარ იქნება. ჰოდა, ესეც რომ არ დაკარგო, ჩემი რჩევაა, მოუფრთხილდი მას. უნდა მოვიფიქრო და კომპანიონებთან ერთად გადავწყვიტო. თქვენ ზუსტად ოცდაოთხი საათი გაქვთ და არც ერთი წუთით მეტი, ერთი დღე-ღამის გასვლის შემდეგ ჩვენ ხელებს დავიბანთ და მთელი პასუხისმგებლობა იმაზე, რაც დაგემართებათ, თქვენ დაგეკისრებათ და ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ დაგემართებათ, თუმცა დარწმუნებული ვარ, პირველ ჯერზე სიკვდილის გარეშე გადარჩებით, ჰოდა, ამ საუბარსაც შემდეგ გავაგრძელებთ, მაგრამ ფასი გაორმაგდება და იძულებული გახდებით, გადაიხადოთ,

თქვენ წარმოდგენაც კი არ გაქვთ, როგორი დაუნდობლები არიან იმ მოქალაქეთა გაერთიანებების წევრები, რომლებიც უკვდავების უფლებას იცავენ. კარგი, თანახმა ვარ. ოთხი კვირის წინასწარ უნდა გადაიხადოთ, თუ თქვენთვის ეს ძნელი არ იქნება. ოთხი. რა გაყვირებთ: თქვენი შემთხვევა განსაკუთრებულია, ხომ აგიხსენით, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფა იაფი არ არის. ხელზე გადაგიხადოთ, თუ ჩეკი გამოვწერო. ხელზე, თუ შეიძლება, ჩეკებს მხოლოდ სხვა ვითარებაში ვიღებთ, როდესაც საქმე ისეთ თანხას ეხება, რასაც ხელში ვერ დაიჭერ. მმართველმა სეიფი გააღო, კუპიურები გადათვალა, სტუმრებს გადასცა და ჰკითხა: უკაცრავად, რაიმე ხელწერილს მაინც ვერ მომცემთ, რომ ჩემი უსაფრთხოება გარანტირებულია. არც ხელწერილი და არც გარანტიები, მოგიწევთ, ჩვენი პატიოსანი სიტყვით დაკმაყოფილდეთ. თქვენ თქვით, პატიოსანიო. სწორედ პატიოსანი, თავად ნახავთ, ჩვენთან პატიოსანი სიტყვა როგორ ფასობს და როგორი პატივცემულია. და საჭიროების შემთხვევაში სად გიპოვოთ. არ იდარდოთ, თავად გიპოვით. გაგაცილებთ. იჯექით, იჯექით, ჩვენ გზა ვიცით: დერეფანს მარცხნივ უნდა გავყვეთ, უნდა გავცდეთ სავაჭრო დარბაზს, სადაც გასაყიდად კუბოებია გამოტანილი, შემდეგ გავიაროთ ოთახი, სადაც კოსმეტიკით ვაჭრობენ და იქიდან უკვე ქუჩაში მოვხვდებით. როგორც ჩანს, გზა არ აგებნევათ. არავითარ შემთხვევაში, ჩვენ ბრწყინვალე ორიენტაცია გვაქვს. არც დაიკარგებით. ჩვენ არასდროს ვიკარგებით, სწორედ ამის დადასტურება იქნება, როდესაც ერთ თვეში თქვენთან ჩვენი კაცი მომდევნო შესატანისთვის მოვა. და როგორ უნდა ვიცნო, რომ იგი სწორედ ისაა. შეხედავთ და მაშინვე მიხვდებით, ოდნავი ეჭვიც კი არ შეგეპარებათ. კარგი, ნახვამდის. ნახვამდის, რას ბრძანებთ, არაფრის.

დასასრულ, last but not least - კათოლიკური, სამოციქულო და, რა თქმა უნდა, რომის ეკლესიის შესახებ, რომელმაც თვითკმაყოფილებისთვის ბევრი მიზეზი იპოვა. თავიდანვე დარწმუნებულმა, რომ სიკვდილი შეიძლება მხოლოდ სატანის ხრიკებით გაუქმდეს და რომ თავაუღებელი ლოცვის გარდა მასთან ბრძოლის სხვა მეთოდი არ არსებობს, ეკლესიამ თავმდაბლობის მადლი, რის კულტივირებასაც დიდი შრომა შეალია, გვერდზე გადადო და თავშეუკავებლად მოჰყვა საკუთარი თავის ქება-დიდებას იმ წარმატებული საერთო-ეროვნული კამპანიისთვის, რისი მიზანიც ღვთისთვის სიკვდილის სასწრაფოდ დაბრუნების თხოვნა იყო, რათა საცოდავი კაცობრიობისთვის კიდევ უფრო მეტი უბედურება აეცილებინათ. ციტატის დასასრული. ლოცვებს ცამდე მისაღწევად მთელი რვა თვე დასჭირდა, რაც გასაკვირი არცაა, თუ გავიხსენებთ, რომ მარსამდე ფრენას ნახევარი წელი სჭირდება, ხოლო სასუფეველი კიდევ უფრო შორსაა: ცამეტი ტრილიონი სინათლის წელიწადის მანძილზე, თუ ციფრებს დავამრგვალებთ. ეკლესიის კანონიერი კმაყოფილების თაფლივით სიტკბოებას კუპრის წვეთი მაინც შეერია. ღვთისმეტყველნი კამათობდნენ და ვერ თანხმდებოდნენ: მაინც რა მიზეზებმა აიძულა ღმერთი და ყოვლის მპყრობელი, სასწრაფოდ დაებრუნებინა სიკვდილი, ისე, რომ ზეთის კურთხევის საშუალებაც არ იყო იმ სამოცდაორი ათასი გარდაცვლილისთვის, რომლებიც უკანასკნელი ზიარების გარეშე დარჩნენ და სული იმაზე სწრაფად განუტევეს, ვიდრე ჩვენ ამის შესახებ გითხარით. და ეჭვის ჭია - სიკვდილი ღმერთს ემორჩილება, თუ მასზე უფროსობს - აგრძელებდა ეკლესიის მამების ტვინის ღრღნას, მამების, რომელთა წრეშიც თავხედური მოსაზრება - ღმერთი და სიკვდილი ერთი და იმავე მედლის

ორი სხვადასხვა მხარეა - აქამდე არა მარტო მწვალებლობად, არამედ ყველაზე მძიმე მკრეხელობად მიიჩნეოდა. მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, საქმის შიდა მხარეა. მოსახლეობის დიდ ნაწილს ეჩვენებოდა, რომ ეკლესია პირველ რიგში დედა-დედოფლის დაკრძალვით იყო დაკავებული. მას შემდეგ, რაც სამოცდაორმა ათასმა ადამიანმა სამუდამო განსასვენებელი პოვა და მათი კატაფალკები ქუჩებში მოძრაობას აღარ აფერხებდა, განსვენებული დედოფლის ტყვიის, როგორც წესი მოითხოვდა, კუბოთი სამეფო აკლდამაში გადასვენების დრო დადგა. და გაზეთებმაც არ დააყოვნეს დაეწერათ, რომ ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი გადაიშალა.

* * *

უნდა ვივარაუდოთ, რომ მხოლოდ კარგმა აღზრდამ, რისი ნიშნებიც ჩვენს დროში სულ უფრო იშვიათად გვხვდება, და ასევე ბეჭდური სიტყვის მიმართ მეტად ან ნაკლებად არსებულმა ცრურწმენამ, რითაც სავსეა გაუბედავი სულები, ჩვენს მკითხველებს, რომლებიც, სხვათა შორის, მოუთმენლობის აშკარა ნიშნებს ამჟღავნებდნენ, უფლება არ მისცა სიტყვების ამ უხვ ნიაღვარში თუ ღვარცოფში არ დანთქმულიყვნენ და არ დაინტერესებულიყვნენ: და მაინც, რას აკეთებდა სიკვდილი იმ საბედისწერო ღამის შემდეგ, როცა დაბრუნების შესახებ განაცხადა. თუ გაიხსენებ, რამდენად დიდია ამ აქამდე არნახულ მოვლენებში ქვემოთ დასახელებული ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების როლი, იძულებული გახდები, შეიძლება ზედმეტი დაწვრილმანებითაც ახსნა სიტუაციის უეცარ ცვლილებას როგორ უპასუხეს: მოხუცებულთა სახლებმა, საავადმყოფოებმა, სადაზღვევო კომპანიებმა, კათოლიკურმა ეკლესიამ, მაგრამ საქმე სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ანუ სიკვდილს, ცხედრების

უდიდესი რაოდენობის გათვალისწინებით, რომლებიც სასწრაფოდ მიწისთვის უნდა მიებარებინათ, სულის აბსოლუტურად მოულოდნელი და დიდებული მოძრაობის კარნახით, გადაწყვეტილება მიეღო, თავისი არარსებობა კიდევ რამდენიმე დღით გაეგრძელებინა, იმისთვის რომ სიცოცხლე ისევ ძველ, გატკეპნილ გზას დაბრუნებოდა, ცოტა ხნის წინ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ - აღდგენილი რეჟიმის პირველ დღეებში - გარდაცვლილი ადამიანები, ნებსით თუ უნებლიეთ, იმ უბედურებს შეუერთდებოდნენ, რომლებიც მრავალი თვის განმავლობაში, პირდაპირი და არა გადატანითი მნიშვნელობით, არც ცოცხლები იყვნენ და არც მკვდრები და, როგორც ლოგიკა დაჟინებით გვკარნახობს, სწორედ ამ ახალი ცხედრების შესახებ უნდა გველაპარაკა. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მოხდა, სიკვდილმა ასეთი დიდსულოვნება არ გამოიჩინა. იმის მიზეზი, რომ რვა დღის განმავლობაში არავინ მოკვდა, - ამასთან დაკავშირებით გაჩნდა და შემდეგ სასწრაფოდ გავრცელდა ილუზია, რომ არსებითად არაფერი შეცვლილა - სიკვდილსა და მოკვდავთა შორის ჩვეულებრივი ურთიერთობა აღმოჩნდა: თითოეულ მათგანს ადრევე უნდა მიეღო წინასწარი უწყება იმის შესახებ, რომ კიდევ ერთი კვირის სიცოცხლე დარჩა, რაც აზრიანად უნდა განეკარგათ, კერძოდ კი - ყველა ამქვეყნიური საქმე დაესრულებინათ, ანდერძი დაეწერათ, გადაეხადათ, რაც გადასახდელი ჰქონდათ, ნათესავებსა და ახლობლებს დამშვიდობებოდნენ. თეორიულად ეს ყველაფერი ბრწყინვალედ გამოიყურებოდა, პრაქტიკულად კი ასე სულაც არ აღმოჩნდა. წარმოიდგინეთ, შესაშური ჯანმრთელობის მქონე ადამიანი, ისეთი, ვისაც თავიც კი არასდროს ასტკივებია, ნათელი და ობიექტური მიზეზების გამო პრინციპულად ოპტიმისტი, ერთ მშვენიერ დილით

სახლიდან გამოდის, მიემართება სამსახურისკენ და გზად თავაზიან ფოსტალიონს ხვდება, ის კი ეუბნება: რა კარგია, რომ შეგხვდით, ბატონო ესა და ეს, თქვენს სახელზე წერილია და შემდეგ სასწრაფოდ გადასცემს ლილისფერ კონვერტს, რასაც წერილის მიმღები შეიძლება ყურადღებასაც არ მიაქცევდა. რადგან მიიჩნევდა, რომ ეს რეკლამისა და ქსელური მარკეტინგის ოსტატების მორიგი მომაბეზრებელი აქციაა. ვამბობ ყურადღებას არ მიაქცევდა მეთქი, რომ არა კონვერტზე არსებული უცნაური ხელწერა - ზუსტად ასეთივე ხელით იყო დაწერილი ცნობილი გზავნილი, რომლის ასლიც ცოტა ხნის წინ გაზეთში გამოქვეყნდა. თუ ამ დროს მას შიშისგან ძარღვებში სისხლი გაეყინება, თუ გამოუსწორებელი უბედურების წინათგრძნობით შეპყრობილი წერილის აღებას არ მოისურვებს, ამას მაინც ვერ გააკეთებს, ვინაიდან იმავ წუთს გაუჩნდება დაახლოებით ისეთი შეგრძნება, როგორიც ჩნდება მაშინ, როდესაც ვიღაც, ბანანის ქერქზე რომ არ დასრიალდე, იდაყვში რბილად ხელს გკიდებს და კიბეზე ჩასვლაში გეხმარება, ხოლო შემდეგ მოსახვევშიც მიგყვება, რომ ფეხი ფეხზე არ წამოიკრა. ზუსტად ასევე არ ღირს, ალბათ, სცადოს წერილის ნაკუწებად ქცევა, ვინაიდან ცნობილია, რომ სიკვდილისგან გამოგზავნილი წერილების განადგურება, როგორც წესი, არ შეიძლება და მთელ სიმძლავრეზე ჩართული აცეტილენის ქურაც კი მათ ვერანაირ ზიანს ვერ მიაყენებს და ვერც გულუბრყვილო მცდელობა თავი ისე მოაჩვენოს, თითქოს წერილი ხელიდან გაუვარდა, შედეგს ვერ მოუტანს, უნაყოფო აღმოჩნდება, რადგან წერილი არ დავარდება, თითქოს თითებს მიეწებაო, ხოლო თუ რაღაც სასწაულით მაინც დავარდა, შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ საიდანღაც გამოჩენილი გამვლელი მას სასწრაფოდ აიღებს, ცრუ

დაბდურას დაეწევა და ეტყვის: მგონი, ეს თქვენია, შეიძლება რამე მნიშვნელოვანია, - და მას მხოლოდ ისღა დარჩება, რომ მელანქოლიურად უპასუხოს: კი, კი მნიშვნელოვანია, დიდი მადლობა. თუმცაღა, ასეთი მცდელობა ალბათ, თავიდან იქნებოდა, როდესაც ჯერ კიდევ ძალიან ცოტამ იცოდა, რომ სიკვდილი თავისი საბედისწერო შეტყობინებების გამოსაგზავნად სახელმწიფო საფოსტო სამსახურს იყენებდა. შემდეგ კი, ლილისფერი ყველაზესაძულველი ფერი გახდა, - შავზე უფრო საძულველიც კი, მიუხედავად იმისა, რომ შავი სამგლოვიარო ფერია, თუმცა ეს სავსებით გასაგებია - გავიხსენოთ, რომ სამგლოვიარო ტანსაცმელს ცოცხლები ატარებენ და არა მკვდრები, და ამ მსჯელობას სავსებით არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელთ შავ კოსტიუმებში მარხავენ. და აი, წარმოიდგინეთ იმათი განცვიფრება, დაბნეულობა, ვისაც სამსახურის გზაზე მოულოდნელად ფოსტალიონის სახით გამოუხტება სიკვდილი, რომელიც ორჯერ არასოდეს აკაკუნებს, ვინაიდან მისთვის, თუ მიმღებს ვერ შეხვდა, წერილის საფოსტო ყუთში ჩაგდება ან კარის ქვეშ შეცურებაც სავსებით საკმარისი იქნება. და გაშეშებული ადამიანი დგას შუა ქუჩაში, ძველებურად ხარივით ჯანმრთელია, თავი მას შემდეგაც კი არ სტკივა, რაც ასეთი ამბავი უროსავით ჩასცხეს და გრძნობს, რომ სამყარო მას აღარ ეკუთვნის, ან პირიქით, იგი - სამყაროს. ახლა უკვე ისინი ერთმანეთთან მხოლოდ დროებითი, რვადღიანი ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი და არანაირად რვა დღეზე მეტით, ამის შესახებ იმ ლილისფერ კონვერტში მოთავსებული წერილი იუწყება, რომელიც მან ახლახან მოწიწებით გახსნა, მაგრამ თვალები ცრემლებითაა დაბინდული, ამიტომაც უცებ ვერც წაიკითხავს გადღაბნილ სტრიქონებს: პატივცემულო

ბატონო მავანო, წრფელი მწუხარებით გატყობინებთ, რომ თქვენი სიცოცხლის ვადა საბოლოოდ და უკანმოუხედავად ერთი კვირის შემდეგ იწურება, ამიტომ გირჩევთ დარჩენილი დრო რაც შეიძლება უკეთ გამოიყენოთ, ღრმა პატივისცემით სიკვდილი. ხელმოწერაში სახელი ისევ პატარა ასოთია, რაც, როგორც ვიცით, გარკვეული გაგებით, უტყუარობის სერტიფიკატის ფუნქციას ასრულებს. ადამიანს - წერილის მომტანმა მას ბატონი უწოდა, რაც ნიშნავს, რომ იგი მამრობითი სქესისაა, რასაც ახლავე ვადასტურებთ - ვერ გაუგია, რა გააკეთოს: სახლში დაბრუნდეს და ეს გარდაუვალი უბედურება ახლობლებს თავს დაატეხოს, თუ პირიქით - ცრემლები გადაყლაპოს და გზა განაგრძოს, სამსახურში წავიდეს, სწორედ სამუშაოთი შეავსოს დარჩენილი დღეები, რათა უფლება ჰქონდეს, იკითხოს: სიკვდილო, მაშ, რა იყო შენი გამარჯვება, მიუხედავად იმისა, რომ იცის, პასუხს ვერ მიიღებს, რადგან სიკვდილი არასოდეს პასუხობს - არა იმიტომ, რომ არ უნდა, უბრალოდ, არ იცის, რა უნდა თქვას, როდესაც ყველაზე დიდ ადამიანურ ტანჯვას პირისპირ ეჩეხება.

ეს ქუჩის ეპიზოდი, რაც მხოლოდ და მხოლოდ პატარა ქვეყანაში შეიძლება მოხდეს, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს, ნათლად აჩვენებს, კავშირის რაოდენ შეუსაბამო სისტემა დანერგა სიკვდილმა სიცოცხლესთან დროებითი კონტრაქტის გასაწყვეტად. შეიძლებოდა ეს სისასტიკის მორიგ გამოვლინებად მიგვეჩნია, რისი მაგალითიც ყოველდღიურად უამრავი გვხვდება, მაგრამ, შევთანხმდეთ, რომ სიკვდილს არ სჭირდება სისასტიკე: მისთვის საკმარისია, ადამიანებს სიცოცხლე წაართვას. მას, დამიჯერეთ, ამაზე არც უფიქრია. ახლა კი, შვიდთვიანი უქმობის შემდეგ, როცა, როგორც მოსალოდნელი იყო, თავისი დამხმარე სამსახურების რეორგანიზაცია დაიწყო,

არც კი შეისმენს სასოწარკვეთილებისა და კაეშნის ხმას, რაც იმ მამაკაცთა და ქალთა ბაგეებს სწყდება, ვისაც თავიანთი სასწრაფო აღსასრულის შესახებ აცნობეს. სასოწარკვეთილება და კაეშანი კი ზოგჯერ სავარაუდოს და დაგეგმილის საწინააღმდეგო ეფექტს იძლევა: გაქრობამისჯილები თავიანთ, ასე ვთქვათ, მიწიერ საქმეებს არ აწესრიგებენ, არ ადგენენ ანდერძებს, არ ფარავენ სხვადასხვა დავალიანებას, ნათესავებსა და ახლობლებთან გამოთხოვებასაც ბოლო წუთისთვის გადადებენ, რაც - თავისთავად ცხადია - როდესაც სამუდამო განშორება გელის, ძალიან მცირე დროა. ისე, რომ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ სიკვდილის ბუნებაზე, რომელიც, სხვათა შორის, რეაგირებს სახელზეც - „ბედისწერა“, გაზეთები ცოფებს ყრიდნენ, გამძვინვარებულები ესხმოდნენ თავს, უწოდებდნენ: შეუბრალებელს, სასტიკს, ტირანს, ვერაგს, დრაკულას სამოსში გამოწყობილ ბოროტების დედოფალს, ადამიანთა მოდგმის მტერს, მკვლელს, სისხლისმსმელს, მოღალატეს, კიდევ მკვლელს - ოღონდ ამჯერად სერიულს, ხოლო ერთმა, უფრო იუმორისტული ხასიათის ყოველკვირეულმა გამოცემამ, რომლის თანამშრომელთა შემოქმედებითი წარმოსახვა ამოიწურა, მას, უბრალოდ, მურტალი უწოდა. კიდევ კარგი, რომ ზოგიერთ რედაქციაში საღმა აზრმა გაიმარჯვა. ერთმა უძვ... - შემთხვევით უძვირესი ხომ არ იფიქრეთ, - უძველესმა და სამეფოს ყველაზე რესპექტაბელურმა გაზეთმა სარედაქციო სტატიაში ყველას სიკვდილთან ღია და გულწრფელი დიალოგის დაწყებისკენ მოუწოდა, რაც ძმური გრძნობებით იქნებოდა სავსე, იქნებოდა გულითადი და თბილი, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ მისი ადგილსამყოფლის დადგენა მოხერხდებოდა, თუ მოხერხდებოდა იმის გარკვევა, სად არის მისი ბუნაგი და სორო, რეზიდენცია და სათავო ოფისი ან, თუ გნებავთ, შტაბბინა. სხვა პატივსაცემი გამოცემა სამართალდამცავებს საკანცელარიო ნივთების მაღაზიებითა და ქაღალდის ფაბრიკებით დაინტერესებას ურჩევდა, ვინაიდან ლილისფერი კონვერტებისა და ქაღალდების მომხმარებლებმა - ასეთი მომხმარებლების რაოდენობა კი თითზე ჩამოსათვლელი უნდა იყოს - ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, ალბათ, საფოსტო ნივთებთან დაკავშირებით გემოვნება შეიცვალეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ავბედითი კლიენტის ჩავლება, როდესაც იგი მარაგის შესავსებად მოვა, რთული არ იქნება. მესამე გაზეთმა, რომელიც მეორის უმოწყალო მეტოქე იყო, ეს იდეა სასწრაფოდ გამოაცხადა ხორცშესხმულ სისულელედ, რადგან მხოლოდ იდიოტს თუ მოუვა ასეთი აზრი: სიკვდილი, როგორიც ჩვენ წარმოგვიდგენია - სუდარაში გახვეული ჩონჩხი - წერილის გასაგზავნად თავისი ფეხით, ქვაფენილზე ძვლების ბაკაბუკით წაჩხაკუნდება. პრესას რომ არ ჩამორჩენოდა, ტელევიზიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს ურჩია, საფოსტო ყუთებისთვის ეთვალთვალა - როგორც ჩანს, მათ დაავიწყდათ, რომ სულ პირველი წერილი გენერალური დირექტორის მაგიდაზე რაღაც ჯადოქრობით მოხვდა მაშინ, როცა კაბინეტის კარი გასაღების ორ გადატრიალებაზე იყო დაკეტილი, ხოლო ფანჯრის მინები - მთელი. არც იატაკში და არც ჭერში, ისევე როგორც კედლებში, უმცირესი ჭუჭრუტანაც კი არ იყო, სადაც თუნდაც სამართებლის პირი გაეტეოდა. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა სიკვდილი დაგვერწმუნებინა, რომ ყველა უბედური და განწირული ადამიანის მიმართ თანაგრძნობა გამოეჩინა, მაგრამ ამისთვის ჯერ მისი პოვნაა საჭირო, თუმცა არავინ იცის ეს როგორ გააკეთოს და სად ეძებოს.

სწორედ ამ დროს ერთ სასამართლო ექსპერტს,

რომელიც ყველაფერში კარგად ერკვეოდა, რასაც მის საქმიანობასთან პირდაპირი ან ირიბი კავშირი ჰქონდა, გონება გაუნათდა - საჭიროა საზღვარგარეთიდან სპეციალისტის მოწვევა, რომელსაც თავის ქალის ფრაგმენტების მიხედვით სახის აღდგენა შეუძლია და იგი ძველ ტილოებსა და გრავიურებზე სიკვდილის გამოსახულებას შეისწავლის, შეეცდება, მას ხორცი შეასხას, ცარიელ ფოსოებში თვალები ჩაუსვას, საჭირო რაოდენობით და პროპორციით თმა, წარბები და წამწამები დაამატოს, კანს საჭირო ფერი მისცეს, რის შე(მ)დეგადაც მალე ადამიანის სრულყოფილ თავს მიიღებს, მას სურათს გადაუღებენ, სურათებს გადაამრავლებენ და გამომძიებლებს დაურიგებენ, რათა მათ ის მდედრობითი სქესის საეჭვო პირებს შეადარონ. სპეციალისტი მართლაც ჩამოვიდა, მაგრამ ცუდი ის იყო, რომ მხოლოდ გამოუცდელ თვალს შეიძლებოდა სამი შერჩეული თავის ქალა ერთნაირი მოსჩვენებოდა, ასე რომ, არა ერთ, არამედ სამ სხვადასხვა ფოტოზე მუშაობა გახდა საჭირო, რაც, რა თქმა უნდა, ართულებდა სიკვდილზე ნადირობას, როგორც ოპერაციას მაღალფარდოვნად დაარქვეს. თუმცა ერთი უთუოდ და უდავოდ გაირკვა: ყველაზე პრიმიტიული იკონოგრაფია, ყველაზე ჩახლართული ნომენკლატურა, ყველაზე ბუნდოვანი სიმბოლიკაც კი არ ცდებოდა - სიკვდილი მართლაც ქალი აღმოჩნდა. მისი ყველა ნაკვთით, თვისებებითა და თავისებურებებით. საინტერესოა, რომ, როგორც გახსოვთ, ასეთივე დასკვნამდე მივიდა ის სახელგანთქმული გრაფოლოგი, რომელმაც სიკვდილის პირველი წერილი გამოიკვლია, ვინაიდან ყველა ზმნა მდედრობით სქესში იყო, რაც, სხვათა შორის, შეიძლებოდა ფესვგადგმული ჩვეულება აღმოჩენილიყო: ყველა ენაში, მხოლოდ რამდენიმეს გამოკლებით, რომლებიც არჩევანს, უცნობია რატომ, მამრობითი ან საშუალო სქესის სასარგებლოდ აკეთებენ, სიკვდილი ყოველთვის მდედრობითი სქესის არსებაა. მაშ ასე, რომ არ დაგვავიწყდეს ის, რაც ცოტა ზემოთ ვახსენეთ, საჭიროა დაჟინებით გავიმეოროთ: ქალის სამი სახე ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებოდა, თუმცა ამასთან, აშკარა, იოლად საცნობი და უდავო მსგავსებითაც გამოირჩეოდა. რადგან სამი სხვადასხვა სიკვდილის არსებობა, რომლებიც მონაცვლეობით მუშაობენ, ცოტა ძნელად დასაჯერებელია, ამიტომ ორი უთუოდ უნდა გამოერიცხათ, თუმცა, თითქოს იმისთვის, საქმე კიდევ უფრო ჩაიხლართოსო, შეიძლებოდა ისე მომხდარიყო, რომ ჭეშმარიტი და ნამდვილი სიკვდილის ჩონჩხისებრი მოდელი ამ სამიდან არც ერთს არ დამთხვეოდა. და ეს ყველაფერი თამამად შეიძლება შეადარო გასროლას, რომელიც უკუნეთ სიბნელეში განხორციელდა იმის იმედად, რომ ბედნიერი შემთხვევა მოასწრებს და სამიზნეს ტყვიას დაუხვედრებს.

ვინაიდან სხვანაირად არც შეიძლებოდა, გამოძიება დაიწყო პიროვნების დადგენის სპეციალური სახელმწიფო სამსახურის არქივებში, სადაც ქვეყნის ყველა მცხოვრების, როგორც ადგილობრივის, ისე - ჩამოსულის, ფოტოები იყო თავმოყრილი, ძირითადი ნიშნების მიხედვით დალაგებული და განაწილებული, ანუ დოლიქოცეფალები - მარცხნივ, ბრაქიცეფალები - მარჯვნივ. შედეგები გამაოგნებელი აღმოჩნდა. გასაგებია, არავის ჰქონდა იმის იმედი, რომ რესტავრაციის მიზნით ძველი გრავიურებიდან და ფერწერული ტილოებიდან არჩეული მოდელები სიკვდილის გაადამიანურებულ სახეს პიროვნების იდენტიფიკაციის თანამედროვე, მე-20 საუკუნეში დანერგილი სისტემის საფუძველზე დაემთხვეოდა, თუმცა, მეორე მხრივ, საჭირო იყო იმის გათვალისწინებაც, რომ

სიკვდილს, რომელიც ყოველთვის, უხსოვარი დროიდან არსებობდა, შეიძლებოდა ამ დროის განმავლობაში საკუთარი გარეგნობის შეცვლა მოეწადინებინა, ამიტომ, თუ არ დავივიწყებთ, რომ მას იატაკქვეშეთში თავისი მოვალეობის სრულყოფილად შესრულება ძალიან გაუჭირდებოდა, მივიღებთ სრულიად ლოგიკურ ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ იგი, სავარაუდოდ, გამოგონილი სახელით დარეგისტრირდა, ვინაიდან - ჩვენ თუ არა, სხვამ ვინ იცის - სიკვდილისათვის შეუძლებელი არაფერია. რაც უნდა იყოს, ერთი რამ ცხადია: გამომძიებლებმა, რომლებმაც დასახმარებლად ინფორმაციული ტექნოლოგიების სიახლეებსაც კი მოუხმეს, სიკვდილის სამ ვირტუალურ სახესთან მონაცემთა ბაზაში არსებული ვერც ერთი ფოტოს იდენტიფიცირება ვერ შეძლეს. არ ემთხვეოდა. სხვა არაფერი დარჩენოდათ - თუმცა ესეც გათვალისწინებული იყო - და ძიების კლასიკური მეთოდების გამოყენება დაიწყეს, ანუ მთელ ქვეყანაში აგენტების გუნდები თუ ხროვები დაგზავნეს, რომლებიც სახლიდან სახლში, მაღაზიიდან მაღაზიაში, კანტორიდან კანტორაში, ფაბრიკიდან ფაბრიკაში, რესტორნიდან რესტორანში, ბარიდან ბარში დაეხეტებოდნენ,ძვირად ღირებულ ბორდელებშიც შედიოდნენ, მდედრობითი სქესის ყველა პირს ამოწმებდნენ, გარდა მოზარდი გოგონებისა და ზრდასრულ ასაკს კარგა გადაცილებული ქალბატონებისა, ვინაიდან ამ აგენტების ჯიბეებში მიმალული ფოტოების მიხედვით, უეჭველი იყო, რომ სიკვდილი, თუ, რა თქმა უნდა, როდისმე მოახერხე და ნახე, ოცდათექვსმეტ წლამდე ასაკის ძალიან ლამაზი ქალია. ყველა, ვინც მათი ნიმუშის კრიტერიუმებს პასუხობდა, შეიძლებოდა სიკვდილი ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში არც ერთი მათგანი მსგავსიც კი არ იყო. ძალისხმევა იყო უზომო, ხოლო შედეგი

– უმნიშვნელო: აგენტებმა ქუჩებზე, გზებსა თუ შარებზე არაერთი მილი გატკეპნეს, აძვრნენ კიბეებზე, რომელთა ერთობლივი სიგრძეც საკმარისი იქნებოდა, რომ ცამდე ასულიყავი და ორი ქალის იდენტიფიცირება ძლივს მოახერხეს, რომლებიც არქივებში აღმოჩენილი გამოსახულებისგან მხოლოდ პლასტიკური ქირურგიის სასიკეთო ჩარევის წყალობით განსხვავდებოდნენ, რამაც საოცარი დამთხვევით ან უცნაური შემთხვევითობით მათი სახეების აღდგენილ ნიმუშთან მსგავსება თვალსაჩინოდ წარმოაჩინა. თუმცაღა მათი ბიოგრაფიის შესწავლამ გამომძიებლებს საშუალება მისცა, აბსოლუტურად გამოერიცხათ იმის მცირე შესაძლებლობაც კი, რომ ისინი ოდესღაც პროფესიონალურ ან სამოყვარულო დონეზე, თუნდაც მხოლოდ თავისუფალ დროს, პარკას სასიკვდილო ხელობას ეუფლებოდნენ. რაც შეეხება მესამე ქალს, ვისი პიროვნების დადგენაც საოჯახო ალბომის დახმარებით მოხერხდა, გაირკვა, რომ იგი გასულ წელს გარდაიცვალა. გამორიცხვის მარტივი მეთოდით დადგინდა, რომ სიკვდილი ის არსება ვერ იქნებოდა, რომელიც ცოტა ხნით ადრე მისი მსხვერპლი გახდა და ზედმეტია იმის თქმა, რომ, ვიდრე გამოძიება მიმდინარეობდა, ხოლო გამოძიება რამდენიმე კვირა მიმდინარეობდა, ლილისფერი კონვერტები ადრესატებს ისევ მისდიოდათ. ნათელი იყო, რომ სიკვდილს კაცობრიობის წინაშე თავისი მოვალეობების შესრულებაზე უარი ერთი წუთითაც არ უთქვამს.

თავისთავად ჩნდება კითხვა: ნუთუ ხელისუფლება მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ გულგრილად უჭვრეტდა დრამას, რომელიც ყოველდღე ქვეყნის ათი მილიონი მოქალაქის ცხოვრებაში თამაშდებოდა. ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა არ შეიძლება. იტყვი

„კი“ - და მართალი იქნები, იმიტომ, რომ სიკვდილი, ბოლოს და ბოლოს, ცხოვრების ყველაზე ნორმალური და ყოველდღიური თვისებაა, სუფთა რუტინა, მამებისა და შვილების დაუსრულებელი მონაცვლეობა, რაც ჯერ კიდევ ადამ და ევასგან მოდის და მსოფლიოს ხელისუფლებები ისედაც მყიფე საზოგადოებრივ სიმშვიდეს დათვურ სამსახურს გაუწევდნენ, ყოველ ჯერზე, როცა რომელიმე თავშესაფარში ღატაკი მოხუცი მოკვდებოდა, სამდღიან გლოვას თუ გამოაცხადებდნენ. იტყვი „არა“ - ასევე არ შეცდები, იმიტომ რომ ყველაზე გულქვა გულიც კი შედრკებოდა, როცა დაინახავდა, სიკვდილის დაწესებული ერთკვირიანი ლოდინი საერთო-სახალხო უბედურების შტრიხებს როგორ იძენდა, თანაც არა მარტო იმ სამასი ადამიანისთვის, ვის კარზეც ბოროტი ბედისწერა ყოველდღიურად აკაკუნებდა, არამედ მთელი მოსახლეობისთვის, არც მეტი, არც ნაკლები - ცხრა მილიონ ცხრაას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათასი ყველა ასაკისა და მდგომარეობის ადამიანისგან რომ შედგებოდა, რომლებიც ყოველ დილით, მტანჯველი ღამის კოშმარების შემდეგ იღვიძებდნენ და საკუთარ თავზე დაკიდებულ დამოკლეს მახვილს ხედავდნენ. რაც შეეხება იმ სამას ადამიანს, რომლებიც სასიკვდილო ლილისფერ წერილებს იღებდნენ, ყოველი მათგანი თავისი ხასიათის შესაბამისად ულმობელ განაჩენზე სხვადასხვაგვარად რეაგირებდა. ზემოთ უკვე მოხსენიებული პერსონაჟების გარდა, რომლებსაც შურისძიების უკულმართი იდეა ამოძრავებდათ, რასაც სრული უფლება გვაქვს მჟღერი ნეოლოგიზმი „სიკვდილისწინაშემდგომი“ ვუწოდოთ, და რომლებმაც გადაწყვიტეს, საკუთარი მოქალაქეობრივი და ოჯახური მოვალეობებისთვის მიეფურთხებინათ, არც ანდერძები დაეტოვებინათ და არც ხაზინის ვალი დაეფარათ, ისეთიც

ბევრი გამოჩნდა, ვინც კლასიკური მონოდება Carpe diem ძალიან თავისებურად გაიგო და მისთვის განკუთვნილ მოკლე დროს საძრახის ორგიებში ატარებდა, სპირტიან სასმელებში იხრჩობოდა, ნარკოტიკებში იძირებოდა, ყოველგვარი თავშეკავების გარეშე ყველაზე საზიზღარ გარყვნილებას ეძლეოდა, ალბათ, იმედი ჰქონდა, რომ ასეთი საქციელით დარტყმას - ან სამედიცინო გაგებით, ან კიდევ დამსჯელი მეხის სახით - თავს დაიტეხდა, რაც ადგილზე გაათავებდა და ამით სიკვდილს ბრჭყალებიდან დაუსხლტებოდა, შედეგად მას – მერე რა, რომ უპიროა - პირში ჩალაგამოვლებულს დატოვებდა. მესამენი - მამაცები, საკუთარი უდრეკობის გრძნობით აღსავსენი - აბსოლუტურად რადიკალურ გზას, თვითმკვლელობას ირჩევდნენ და ასევე ფიქრობდნენ, რომ ამით თანატოსს კარგი მანერების გაკვეთილს ჩაუტარებდნენ, ანუ, როგორც ძველად ეძახდნენ, მორალურ სილას გააწნავდნენ, რაც გარდასულ დროთა მაღალი გაქანების შესაბამისად ყველა ფიზიკურ ზემოქმედებაზე მტკივნეული იყო. ზედმეტია იმის თქმა, რომ სუიციდის ყველა მცდელობა უიღბლო გამოდგა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცალკეული ჯიუტი ადამიანები თავს ვადის ბოლო დღეს იკლავდნენ. ამ ოსტატურ სვლაზე სიკვდილს პასუხი არ აღმოაჩნდა.

სათანადო პატივი უნდა მივაგოთ რომის კათოლიკურ სამოციქულო ეკლესიას, რომელმაც გააცნობიერა, რომ აბრევიატურების ეპოქაში ვცხოვრობთ, რამაც ფართო მოხმარება არა მარტო კერძო, არამედ საჯარო ურთიერთობებშიც პოვა და სულაც არ ბრაზდებოდა მარტივ შემოკლებაზე რკსე: მან პირველმა სრულად იგრძნო ხალხის სულიერი მდგომარეობა. თუმცაღა, ალბათ, მარტო ბრმა ვერ შეამჩნევდა, ყოველდღიურად როგორ ივსებოდა ტაძრები აღელვებული ხალხის მასებით, რომლებიც იქ

იმედისა და ნუგეშის მიღების წყურვილით მოედინებოდნენ, სწყუროდათ ერთი წვეთი სამკურნალო ბალზამი, სურდათ ერთი პეშვი სულიერი ანალგეტიკები და ტრანკვილიზატორები. ადამიანები, რომლებიც აქამდე იმ შეგნებით ცხოვრობდნენ, რომ სიკვდილი ეს გარდაუვალი მოცემულობაა, რომ მას ვერსად გაექცევი, თუმცა იმავე დროს დარწმუნებული იყვნენ, რომ როდესაც არარსებობის ზღურბლთან ამდენი ხალხი დგას, მათი რიგი ჯერ არ მოვა, ახლა ფარდების უკან იმალებოდნენ და ფანჯრებიდან იხედებოდნენ, სადმე ფოსტალიონი ხომ არ გამოჩნდაო, ან როდესაც შინ ბრუნდებოდნენ, კანკალებდნენ, სადმე კარს უკნიდან პირდაღებული სისხლისმსმელი ურჩხულის მსგავსად, ასჯერ მეტად საშიში ლილისფერი კონვერტი არ გამოხტესო. ტაძრებში ცენტრალურ ნავს ორ წრედ შემორტყმოდა მონანიე ცოდვილთა გრძელი მწკრივი, რომელიც სულ მუდამ ახლდებოდა, რის გამოც კონვეიერს მოგაგონებდათ. მოძღვრები აღსარებებს შეუსვენებლად იბარებდნენ, ზოგჯერ დაღლილობისგან ყურადღებაც კი ეფანტებოდათ, ხანდახან რომელიმე ცხარე პიკანტური დეტალის გაგონებაზე ყურებს დაცქვეტდნენ, შემდეგ კი მორწმუნეებს ფორმალურ ეპიტიმიას უწესებდნენ - ამდენჯერ წაიკითხავ „მამაო ჩვენოს“, ამდენჯერ - მრწამსს - და ცოდვებს ნაჩქარევად მიუტევებდნენ. როგორც კი წუთს მოიხელთებდნენ, როდესაც ერთი მორწმუნე მიდიოდა, ხოლო მეორეს ჯერ კიდევ მუხლი არ მოეყარა, მაშინვე კბილებს ქათმის სენდვიჩში არჭობდნენ - ესეც თქვენ მთელი სადილი - და ოცნებობდნენ, რომ საკუთარ თავს ვახშამზე დააჯილდოებდნენ. ქადაგებების თემა უცვლელად და აუცილებლად სიკვდილი იყო - სასუფევლის ერთადერთი ბჭე, სადაც ცოცხლად შესვლა ჯერ ვერავინ, ვერასდროს მოახერხა და ნუგეშისმცემელნი, ისე რომ ყველაზე მაღალი რიტორიკის ილეთებსაც არ თაკილობდნენ, მაგრამ არც ყველაზე პრიმიტიული კატეხიზმოს ხრიკებს უკადრისობდნენ, ამბიონიდან დამფრთხალ მრევლს შთააგონებდნენ, რომ მათ, ბოლოს და ბოლოს, შეუძლიათ თავი წინაპრებზე ბედნიერად იგრძნონ, ვინაიდან სიკვდილი საკმარის დროს აძლევს იმისთვის, რათა სული ედემში გასამგზავრებლად მოამზადონ. თუმცა მღვდლებს შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც სააღმსარებლოს შმორიან ნახევრად სიბნელეში იკეტებოდნენ და თავს ძლივს იკავებდნენ, რომ შიშისგან არ აკანკალებულიყვნენ, ერთმა ღმერთმა იცის ეს მათ რა უჯდებოდათ, ვინაიდან დილით თავადაც მიიღეს ლილისფერი კონვერტი და ამიტომაც ჭარბად ჰქონდათ მიზეზი, საკუთარი დამამშვიდებელი ლათაიების დამაჯერებლობაში ეჭვი შეჰპაროდათ.

ზოგჯერ იგივე ხდებოდა ფსიქიატრების თავს, რომელთაც ჯანმრთელობის სამინისტრო, სულების მკურნალი ეკლესიის მაგალითზე, ყველაზე სასოწარკვეთილების დასახმარებლად გზავნიდა. არც ისე იშვიათად რომელიმე ფსიქოთერაპევტს, იმ დროს, როდესაც პაციენტს ურჩევდა, ცრემლი არ შეეკავებინა, რადგან სულიერი ტკივილის შესამსუბუქებლად ტირილზე უკეთესი საშუალება არ არსებობს, მოულოდნელად თავად ამოუჯდებოდა გული და ღრიალს იწყებდა, რადგანაც აცნობიერებდა, რომ ხვალ დილით, როდესაც ფოსტის დარიგება დაიწყებოდა, ლილისფერი კონვერტი შეიძლებოდა თავად მიეღო. სეანსი კი იმით მთავრდებოდა, რომ ერთ ბედქვეშ მყოფი ექიმი და პაციენტი ჩახუტებულები მწარედ ტიროდნენ, მაგრამ პირველი ამასთან ერთად იმაზეც ფიქრობდა, რომ, თუ მას ასეთი უბედურება მართლაც ეწვეოდა, მარაგში კიდევ რვა დღე, სიცოცხლის ას ოთხმოცდათორმეტი საათი ექნებოდა. მას გაგონილი

ჰქონდა, რომ სხვა სამყაროში გადასვლის შესამსუბუქებლად მხიარული საღამოები ეწყობოდა, სადაც ნარკოტიკებით, სპირტიანი სასმელებითა და მრუშობით გაერთობოდი, თუმცა ამ ყველაფერს თან გარკვეული რისკიც ახლდა - ასეთი გაცილების შემდეგ იმ ქვეყნად გამგზავრებულს, შეიძლებოდა ეს ყველაფერი კიდევ მეტად მოგნატრებოდა.

* * *

ყველა წესს აქვს გამონაკლისი, ამბობს ხალხური სიბრძნე და, ალბათ, მართლაც ასეა, რადგან იმ სფეროშიც კი, რომლის კანონებიც ჩვენ, ყველას, ერთსულოვნად გვგონია ურყევი, - მაგალითად, სიკვდილის უზენაესი მეუფება, სადაც გამონაკლისი უბრალოდ შეუსაბამო და შეუძლებელია, ისე მოხდა, რომ ლილისფერი კონვერტი ადრესატს არ მიუვიდა და კუთვნილებისამებრ დაბრუნდა, ანუ გამომგზავნთან. შეგვეწინააღმდეგებიან, აქაოდა ეს შეუძლებელიაო, სწორედ იმიტომ რომ სიკვდილი ყველგან იმყოფება, აბსოლუტურად შეუძლებელია ერთ განსაზღვრულ ადგილზე იყოს, საიდანაც გამომდინარეობს - ადგილიდან კი არა, თეზისიდან გამომდინარეობს - სწორედ ეს აბსოლუტური შეუძლებლობა, როგორც მატერიალური, ისე მეტაფიზიკური შეუძლებლობა იმისა, რომ განსაზღვრო და დაადგინო ყბადაღებული კუთვნილება ან, ჩვენთვის საინტერესო საგანს რომ არ დავშორდეთ, უკანა მისამართი. და კიდევ გვეტყვიან, თუმცა, შეიძლება, უკვე არც ასეთი დარწმუნებით, რომ მიუხედავად ათასობით აგენტის ძალისხმევისა, რომლებიც გამადიდებელი შუშით ამოწმებენ ყველა სახლს, მთელ ტერიტორიას, სიკვდილს მთელ

ქვეყანაში კვირაობით ეძებენ, როგორც მოუხელთებელ ტილს, ან, თუ გნებავთ, რწყილს, მისი, ანუ სიკვდილის კვალიც კი არ გამოჩნდა და აბსოლუტურად ნათელია, რომ თუ აქამდე არავითარი ახსნა-განმარტება არ წარმოგვიდგინეს, თუ როგორ ხვდება ფოსტაში სიკვდილის წერილები, მაშინ მით უმეტეს არავინ გვეტყვის, როგორი იდუმალი გზებით შეიძლება არმიღებული წერილი გამომგზავნთან, ანუ სიკვდილთან დაბრუნდეს. მორჩილად ვაღიარებთ, რომ არც ამას და კიდევ ძალიან ბევრ რამეს, ახსნა მართლაც არა აქვს, რომ ჩვენ არ ძალგვიძს ის იმათ წარვუდგინოთ, ვინც მას ითხოვს, თუ, რა თქმა უნდა, მკითხველის ნდობით ბოროტად არ ვისარგებლებთ, არ დავკარგავთ მოვლენათა ლოგიკისადმი პატივისცემას და სიუჟეტის თავდაპირველ ირეალურობას ახალ ზღაპრებს არ დავუმატებთ, მიუხედავად იმისა, რომ სრული სიცხადით ვაცნობიერებთ - ეს მის დამაჯერებლობას ძალიან დაასუსტებს, თუმცა ზემოთ თქმული სულაც არ ნიშნავს, ვიმეორებ: სულაც არ ნიშნავს, რომ ნახსენები ლილისფერი წერილი გამომგზავნს მშვიდობით არ დაუბრუნდა. ფაქტი, როგორც ვიცით, ჯიუტი რამეა, ხოლო ეს ფაქტი უდავოთა რიცხვსაც მიეკუთვნება. და ამის უკეთესი მტკიცებულება არ არსებობს, ვიდრე ჩვენ თვალწინ არსებული თავად სიკვდილის გამოსახულება - თავის ზეწარში გახვეული, სკამზე ზის და, თუ მისი თავის ქალის ძვლების განლაგებით ვიმსჯელებთ, მთლად თავგზააბნეულია. იგი ლილისფერ კონვერტს უნდობლად ათვალიერებს, ხელში ატრიალებს, ეძებს აღნიშვნებს, რომლებსაც ასეთ დროს ფოსტალიონები აკეთებენ: უარი თქვა მიღებაზე, საცხოვრებელი გამოიცვალა, გაემგზავრა გაურკვეველი მიმართულებით და გაურკვეველი ვადით, არ ჩაბარდა ადრესატის სიკვდილის გამო - და ბურტყუნებს: რა სისულელეა, რა სიკვდილი, თუ

წერილი, რომელსაც ის უნდა მოეკლა, უკან, ჩემთან დაბრუნდა. ბოლო სიტყვებმა გონებაში დაუფიქრებლად გაურბინა, მაგრამ იგი მათ მაშინვე ჩაეჭიდა, დააბრუნა და უკვე ხმამაღლა, მეოცნებე ინტონაციით წარმოთქვა: ჩემთან დაბრუნდა. ფოსტალიონობა არაა საჭირო, რომ მიხვდე, რა განსხვავებაა „უკან დაბრუნდასა“ და „დააბრუნეს“ შორის, ვინაიდან ეს მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ლილისფერ წერილს მიზნამდე არ მიუღწევია, რომ მისი გზის რომელიღაც წერტილში ისეთი რამ მოხდა, რამაც მას უკან დახევა და საწყის წერტილში დაბრუნება აიძულა. თუმცაღა, წერილები ვიღაცას დააქვს, თავად არ დადიან - გარდა იმისა, რომ ფეხები და ფრთები არ აქვთ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საკუთარ ინიციატივასაც მოკლებულნი არიან, წინააღმდეგ შემთხვევაში შეეძლოთ იმ საშინელი ცნობების გადაცემაზე, რომელთა გადამტანებიც ასე ხშირად და უნებლიეთ არიან, უარი ეთქვათ. აი, მაგალითად, როგორიც ესაა, იძულებული გახდა სიკვდილი პირუთვნელად ეღიარებინა, რამეთუ ცნობა იმის შესახებ, ვიღაც ამა და ამ დროს, ამა და ამ დღეს და საათს მოკვდება, შევთანხმდეთ, ყველა შესაძლებლობიდან უარესია, ეს იგივეა, რომ, ვინ იცის, რამდენი წელი სიკვდილმისჯილთა კამერაში გაატარო, შემდეგ კი თავზე ზედამხედველი წამოგადგეს და გითხრას: წერილი მოგივიდა, ასე რომ, წამოდი. საყურადღებოა, რომ ბოლო პარტიიდან ყველა სხვა წერილი ადრესატს ჩაბარდა, ხოლო თუ ერთ შემთხვევაში ასე არ მოხდა, მხოლოდ და მხოლოდ რაღაც გაუთვალისწინებელი შემთხვევითობის გამო, ზუსტად ისე, როგორც ეს ერთი სასიყვარულო წერილის შემთხვევაში იყო, რომელიც - ერთმა ღმერთმა იცის, ამას რა შედეგი მოჰყვა - ხუთი წელი მიდიოდა ადრესატამდე, ის კი ორ კვარტალში ცხოვრობდა, ანუ საათის მეოთხედის სავალზე, შეიძლება ის ერთი ტრანსპორტერის ხაზიდან მეორეზე მოხვდა და ეს ვერავინ შენიშნა, შემდეგ საწყის პუნქტში დაბრუნდა, უდაბნოში დაკარგულსაც ხომ მხოლოდ მისივე დატოვებული ნაკვალევის იმედი შეიძლება ჰქონდეს. რა გაეწყობა, გამოსავალი ერთია - მეორედ უნდა გავგზავნო, უთხრა სიკვდილმა საკუთარ ცელს, რომელიც იქვე კედელზე იყო მიყუდებული. ცელისგან პასუხს არ უნდა ელოდო - აქ ყველაფერი ნორმის ფარგლებში აღმოჩნდა. მე რომ შენ გამეგზავნე, განაგრძობდა სიკვდილი, ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისადმი შენი მიდრეკილების გათვალისწინებით, საქმე უკვე მოკვარახჭინებული იქნებოდა, მაგრამ იცი რა, ბოლო დროს დრო ძალიან შეიცვალა და ჩვენც უახლეს დინებებსა და ქროლას უნდა მივყვეთ, ახალი ტექნოლოგიური მიღწევების კურსში უნდა ვიყოთ, უნდა ვისარგებლოთ, მაგალითად, ელექტრონული ფოსტით, გამიგია, რომ ეს კავშირის ყველაზე ჰიგიენური საშუალებაა, მელანი არ დაგეღვრება და თითებს არ დაისვრი, თან როგორი სწრაფია - ადამიანი თავისი outlook express-ის გახსნას ვერც მოასწრებს, რომ წერილი უკვე მასთანაა, შეიძლება ითქვას, ხელში აქვს, ცუდი მხოლოდ ისაა, რომ ასეთ შემთხვევაში ორი არქივის წარმოება მომიწევდა: ერთი მათთვის, ვინც კომპიუტერით სარგებლობა იცის და მეორე მათთვის, ვინც არ იცის, მაგრამ დრო კიდევ გვაქვს, მუდმივად ჩნდება სულ ახალ-ახალი და სრულყოფილი მოდელები, ასე რომ, შეიძლება ოდესღაც ვსინჯო კიდეც, მანამდე კი ძველებურად ქაღალდი და მელანში ჩაწებული ფრთა იქნება, ამაში არის ტრადიციის ხიბლი, ხოლო სიკვდილის საქმეში ტრადიცია ძვირად ფასობს და ბევრს იწონის. სიკვდილი ლილისფერ კონვერტს დაჟინებით დააცქერდა, მარჯვენა ხელი აამოძრავა და წერილი გაქრა. მაშ ასე, ახლა უკვე ვიცით,

რომ გაბატონებული და გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, სიკვდილს თავისი წერილები ფოსტაში არ დააქვს.

მაგიდაზე ორას ოთხმოცდათვრამეტი სახელისგან შემდგარი სია დევს, ანუ ის ცოტათი მოკლეა, ვიდრე საშუალოდ არის ხოლმე, ას ორმოცდათორმეტი მამაკაცი და ას ორმოცდაექვსი ქალი, კონვერტებისა და ლილისფერი საფოსტო ქაღალდის თანაბარი რაოდენობა განკუთვნილია მოსალოდნელი საფოსტო ოპერაციისთვის, სახელად: „აღსასრული- ფოსტით". სიკვდილმა სიას იმ ადამიანის სახელი დაამატა, რომელსაც დაბრუნებული წერილი გაეგზავნა, სიტყვას ხაზი გაუსვა და კალამი უჯრაში შეინახა. მას ნერვები რომ ჰქონოდა, შეგვეძლო გვეთქვა, რომ იგი მსუბუქად აფორიაქებული იყო - და არცთუ უსაფუძვლოდ. ძალიან დიდი ხანი ცხოვრობს ამქვეყნად საიმისოდ, რომ წერილის დაბრუნება ნაკლებმნიშვნელოვან ეპიზოდად მიიჩნიოს. წარმოსახვის მცირე დოზით არსებობის შემთხვევაშიც, მარტივი გასაგებია, რომ ყველა სამუშაოდან, რაც არსებობს მას შემდეგ, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ მამა ღმერთის მიზეზით კაენმა აბელი მოკლა, სიკვდილის საქმე ყველაზე ერთფეროვანია. და მოყოლებული იმ სამწუხარო შემთხვევიდან, რომელმაც ჯერ კიდევ ისტორიის დასაწყისში გამოაჩინა, რამდენად რთულია ოჯახში ცხოვრება, ჩვენი დროის ჩათვლით, საუკუნიდან საუკუნემდე, წლიდან წლამდე, დღიდან დღემდე ამოსუნთქვის გარეშე, უწყვეტად და შეუფერხებლად იგი ერთსა და იმავეს აკეთებს, დაუსრულებლად ცვლის, რა თქმა უნდა, არსებობიდან არარსებობაში გადაყვანის საშუალებებს, მაგრამ არსი ერთი და იგივეა, მისივე მსგავსი, ვინაიდან ერთსა და იმავე შედეგს ვიღებთ. სიმართლე გითხრათ, ჯერ არასდროს მომხდარა, რომ ის, ვინც უნდა მომკვდარიყო, არ მომკვდარიყოს. ახლა კი, სიკვდილის გაგზავნილი, მისივე ხელით დაწერილი და მისი სახელით ხელმოწერილი უწყება, რომელიც შეუბრალებლად იტყობინებოდა, რომ დასასრული დადგა და არ გადაიდება, პირველწყაროს თავხედურად დაუბრუნდა, დაბრუნდა ამ ცივ ოთახში, სადაც თავიდან ფეხებამდე მელანქოლიურ სუდარაში - საუკუნეებით დაკანონებულ თავის სპეცსამოსში - გახვეული ზის გამომგზავნი, ფიქრობს მომხდარის შესახებ და მისი ძვლის თითები - ან თითის ძვლები - მაგიდაზე რაკუნობს. ცოტა უცნაურია, რომ მას უნდა, მეორედ გაგზავნილი წერილი ისევ უკან დაბრუნდეს და კონვერტზე გაჩნდეს, მაგალითად, ასეთი აღნიშვნა - ადრესატი გავიდა გაურკვეველი მიმართულებით, - აი, ეს ნამდვილად განაცვიფრებდა იმას, ვისაც ყოველთვის შეეძლო განესაზღვრა, სად დავიმალეთ, თუ როდისმე ჩვენ ასეთი ბავშვური საშუალებით ვიფიქრებდით მისგან თავის დაღწევას. თუმცაღა, სიკვდილს არ სჯერა, რომ კონვერტის მეორე მხარეს ადრესატის გამგზავრება იქნება აღნიშნული, ვინაიდან მისი მონაცემთა ბაზა ჩვენი ყოველი მოძრაობის დროს ავტომატურად ახლდება, ადამიანის ყველა ნაბიჯს აღნიშნავს, არეგისტრირებს: ბინის, ქვეყნის, პროფესიის, ზნე-ჩვეულებების და მიდრეკილებების შეცვლას, - ეწევა თუ არა, ბევრს ჭამს თუ ცოტას, ან საერთოდ არ ჭამს, საქმიანია თუ უყვარს განცხრომა, თავის ტკივილით იტანჯება თუ კუჭის წყლულით, მიდრეკილია ყაბზობისკენ თუ პირიქით, კუჭის აშლილობისკენ ან გამელოტებისკენ, ხომ არ შეხებია უკვე კიბოს მარწუხები, ყველა ამ „კისთვის", „არასთვის", „შესაძლებელიასთვის" - საკმარისია კარტოთეკის ყუთის გამოწევა და საჭირო ფორმულარის პოვნა, სულ ეს არის. და ნუ გაგვიკვირდება, თუ ამ ჩვენი დოსიეს კითხვას დავიწყებთ და იმავ წამს, იქ გაჩნდება ჩანაწერი იმის

შესახებ, რომ მოულოდნელად უმწვავესი სევდისგან მთელი სხეული ქვავდება. სიკვდილმა ჩვენ შესახებ ყველაფერი იცის და ალბათ, ამიტომაცაა ასე ნაღვლიანი. და თუ იგი მართლაც არასდროს იღიმის, ნამდვილად არა იმის გამო, რომ არაფერი აქვს, რითაც ამას გააკეთებს, და ანატომიის ეს გაკვეთილი გვასწავლის, რომ ცოცხლების აზრის საწინააღმდეგოდ, ღიმილი არ არის დამოკიდებული კბილების არსებობაზე ან არარსებობაზე. სხვები იტყვიან - იუმორით, არა იმდენად შავით, რამდენადაც უბრალოდ საეჭვო გემოვნების - რომ მას სახეზე მუდმივი, თითქოს მიწებებული ღიმილი აქვს, მაგრამ ეს ასე არ არის: ეს ღიმილი არაა, ტანჯვის გრიმასაა, ვინაიდან მას მუდმივად დევნის მოგონება იმ დროზე, როდესაც პირი ჰქონდა, პირში - ენა, ენაზე კი - ნერწყვი. აი, ცოტა ამოიოხრა, ქაღალდის ფურცელი მოიჩოჩა და დღეისთვის პირველი წერილის წერა დაიწყო: დიდად პატივცემულო ქალბატონო ესა და ეს, ღრმა მწუხარებით გაცნობებთ, რომ თქვენი სიცოცხლის ვადა ერთ კვირაში იწურება და გისურვებთ დარჩენილი დრო რაც შეიძლება უკეთ განკარგოთ, სრული პატივისცემით, სიკვდილი. ორას ოთხმოცდათვრამეტი ფურცელი, ორას ოთხმოცდათვრამეტი კონვერტი, სიაში ორას ოთხმოცდათვრამეტი გადახაზვა - ვერ იტყვი, რომ სამუშაო ქანცის გაწყვეტამდეა, თუმცა მისი დასრულების შემდეგ სიკვდილი ღონემიხდილია. მარჯვენა ხელის უკვე ჩვენთვის ნაცნობი მოძრაობით იგი ორას ოთხმოცდათვრამეტ წერილს აქრობს, შემდეგ მაგიდაზე უხორცო ხელებს აწყობს, მათზე თავს დებს, მაგრამ არა იმისთვის, რომ დაიძინოს, რამეთუ სიკვდილს არასდროს სძინავს, არამედ იმისთვის, რომ დაისვენოს. როდესაც ნახევარ საათში დაღლილობა მოეხსნა და თავი ასწია, დაბრუნებული და მეორედ გაგზავნილი წერილი ისევ აქ,

მისი გაკვირვებული, ცარიელი თვალების წინ აღმოჩნდა.

თუ სიკვდილი რაიმე სიურპრიზის იმედით სულდგმულობდა, რაც ამ გულისამრევ რუტინას გაუმრავალფეროვნებდა, მაშინ სასურველი მიიღო კიდეც. აი, სიურპრიზიც, თანაც საუკეთესო საუკეთესოთა შორის. პირველი დაბრუნება შეიძლებოდა ტექნიკური გაუმართაობის ან ცუდი საგზავის შედეგი ყოფილიყო, ან კიდევ რომელიმე მოცისფრო წერილი ადრესატამდე მისვლას ისე ჩქარობდა, რომ წინ გაიჭრა, ბოლოს და ბოლოს, ვინ იცის, რა მოხდა მანქანის შიგნით, რომელიც - ზუსტად ისევე როგორც ადამიანის სხეული - ხშირად თავდაყირა აყენებს ყველა გათვლას. აი, სისტემის მეორეჯერ არევა - უკვე სხვა საქმეა: ის ნათლად აჩვენებს, რომ მიმღების სახლისკენ მიმავალი გზის რომელიღაც მონაკვეთზე რაღაც დაბრკოლება არსებობს და მასთან შეჯახების შედეგად წერილი ასხლეტით უკან ბრუნდება. პირველ შემთხვევაში, თუ იმას გავიხსენებდით, რომ წერილი გაგზავნიდან ერთი დღის შემდეგ დაბრუნდა, კიდევ შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ფოსტალიონმა, რომელიც მიმღებს ვერ შეხვდა, იმის მაგივრად, რომ წერილი საფოსტო ყუთში ჩაეგდო ან კარის ქვეშ შეეცურებინა, ის გამომგზავნს დაუბრუნა და მიზეზების მითითება დაავიწყდა. რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი რამის წარმოდგენა შეიძლება, თუმცა იქნებ, ეს იყოს მომხდარის ახსნა. ამჯერად ასე აღარაა. გაგზავნიდან დაბრუნებამდე მხოლოდ ნახევარი საათი გავიდა, თუ გავიხსენებთ, რომ წერილი მაგიდაზე უკვე იდო, როდესაც სიკვდილმა გადაჯვარედინებული წინამხრების, ესე იგი, სხივისა და იდაყვის ძვლების უხეში ბალიშიდან თავი ასწია. არა, არა, თითქოს ამ ადამიანის სიკვდილს რაღაც გარე, იდუმალი, მიუწვდომელი ძალა ეწინააღმდეგება, თუმცაღა

გარდაცვალების თარიღი, ისევე როგორც ადამიანის გვარის ყველა წარმომადგენლის შემთხვევაში, მისი დაბადებიდანვეა განსაზღვრული. მაგრამ ეს წარმოუდგენელია, სიკვდილი უტყვ ცელს მიუბრუნდა, არავის მთელ სამყაროში და მის ფარგლებს გარეთ ჩემზე მეტი ძალაუფლება არ აქვს, მე სიკვდილი ვარ, სხვა ყველაფერი არაფერია. იგი წამოდგა, კარტოთეკასთან მივიდა და საეჭვო ფორმულარით დაბრუნდა. კი, ზუსტად ეს იყო: სახელი ემთხვეოდა იმას, რაც კონვერტზე იყო მითითებული, მისამართიც, პროფესია - ვიოლონჩელისტი, ოჯახური მდგომარეობა - მხოლოდ ხაზი, რაც ნიშნავს, არ არის დაქორწინებული, არ არის ქვრივი, არ არის გაცილებული, ვინაიდან სიკვდილის ფორმულარებში „უცოლო“ არ იწერება, ბავშვის დაბადების დროს, როდესაც მისი ანკეტა ივსება, სრული სისულელე იქნებოდა მასში არა პროფესიის მითითება, თუმცა ჯერ თავადაც არ იცის, გული საით გაუწევს, არამედ - ჩანაწერი: ახალდაბადებულის ოჯახური მდგომარეობა - უცოლო. რაც შეეხება ასაკს, სიკვდილის ხელში ჩაბღუჯულ ფორმულარში წერია - ორმოცდაცხრა წლის. და თუ კიდევ საარქივო სამსახურის უზადო მუშაობის დასადასტურებლად მტკიცებულებებია საჭირო, მათ ახლავე მივიღებთ, როდესაც წამის მეათედზე უფრო სწრაფად, პირდაპირ ჩვენი თვალების წინ, გაკვირვებისგან დაჭყეტილი თვალების წინ, ციფრები ოთხი და ცხრა ხუთით და ნულით შეიცვლება. როგორც ჩანს, ამ ვიოლონჩელისტს დღეს დაბადების დღე აქვს და ასეთ დროს მას ყვავილები უნდა გაუგზავნო და არა შეტყობინება აღსასრულის შესახებ, ერთ კვირაში რომ დადგება. სიკვდილი ისევ წამოდგა, ოთახში წრიალს მოჰყვა, ორჯერ გაჩერდა ცელის გვერდით, ორჯერვე პირი დააღო, თითქოს მასთან დალაპარაკებას, მისი აზრის გაგებას ან ბრძანების

გაცემას, ან უბრალოდ იმის თქმას აპირებდა, რომ ცოტათი დაბნეულია, რაშიც გასაკვირი არაფერია, თუ გავიხსენებთ, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც იგი თავის საქმიანობას ეწევა, დღემდე არასდროს უგრძნია უპატივცემულობის მცირე ნიშანწყალიც კი ადამიანების ჯოგისგან, რომლის სრულუფლებიანი მწყემსიც ის იყო, არის და იქნება. და ამ დროს მას ნაღვლიანი წინათგრძნობა ეწვია - ეს შემთხვევა შეიძლება იმაზე მეტად სერიოზული აღმოჩნდეს, ვიდრე თავიდან მოეჩვენა. ისევ მაგიდას მიუჯდა და ბოლო რვა დღის სასიკვდილო სიების ფურცვლას მოჰყვა. პირველივე - ანუ გუშინდელ - ჩამონათვალში ნახა, რომ ვიოლონჩელისტის სახელი არ იყო. ფურცვლა განაგრძო - ერთი, მეორე, კიდევ ერთი, კიდევ და აი, როგორც იქნა, მერვე სიაში იპოვა. როგორც ჩანს, გუშინდელ სიაში მას სულ ტყუილად ეძებდა და ახლა გაუგონარი სკანდალის პირისპირ აღმოჩნდა: იგი, ვინც უკვე ორი დღის მკვდარი უნდა ყოფილიყო, ისევ ცოცხალი იყო. ასეც არაა მთავარი. წყეულმა ვიოლონჩელისტმა, რომელსაც ეწერა, რომ შუახნის ასაკში უნდა მომკვდარიყო, სულ ორმოცდაცხრა წლისა, ადგა და უტიფრად ორმოცდაათამდე მიაღწია, რითაც ბედიც, ბედისწერაც, ხვედრიც, ეტლიც, ჰოროსკოპიც და ყველა სხვა ძალა, რომელიც მოწოდებულია, ყველა შესაძლებელი და შეუძლებელი საშუალებით სიცოცხლის ჩვენს ესოდენ ადამიანურ სურვილს წინ აღუდგეს, ფეხქვეშ გათელა და სასაცილო გახადა. ეს მართლაც სრული დისკრედიტაცია იყო. საინტერესოა, როგორ გავასწორო ეს ამოვარდნა, რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო, არ შეიძლებოდა, რადგან პრეცედენტები არ ყოფილა, ვინაიდან წესდებებსა და სწავლებებში არაფერი ამის მსგავსი გათვალისწინებული არ არის, საკუთარ თავს ეკითხებოდა

სიკვდილი, ძირითადად იმიტომ, რომ ვიოლონჩელისტი ორმოცდაცხრა წლის ასაკში უნდა მომკვდარიყო და არანაირად ორმოცდაათის. კარგად ჩანდა და ნათელი იყო, რომ უბადრუკი სიკვდილი სრულიად დაბნეული გახლდათ, ისე ჰქონდა თავგზა აბნეული, რომ ცოტაც და, თავს კედელს მიარტყამდა. მისი ამდენათასწლიანი შეუფერხებელი საქმიანობის განმავლობაში ასეთი ოპერატიული ჩავარდნა არასდროს ჰქონია -თან მაინცდამაინც ახლა, როდესაც მოკვდავებსა და ერთადერთ და განუმეორებელ ცაუსა მორფტის-ს შორის არსებული ურთიერთობის კლასიკურ სქემაში მან გარკვეული სიახლეები დანერგა, მის ასე მძიმე შრომით მოპოვებულ რეპუტაციას ასეთი სასტიკი დარტყმა მიაყენეს. ახლა რა უნდა ვქნა, კითხულობდა იგი, ვინაიდან, თუ წარმოვიდგენთ, რომ ის კაცი არ მოკვდა, როცა უნდა მომკვდარიყო და ამგვარად ჩემი დაფარვის ზონის გარეთ აღმოჩნდა, როგორღა გავიგო, სად არის ძაღლის თავი დამარხული. სიკვდილმა ცელს, თავის ერთგულ თანამგზავრს, უამრავი სისხლიანი ანგარიშსწორების უცვლელ მონაწილეს შეხედა, მაგრამ მან თავი ისე მოაჩვენა, თითქოს არაფერი ესმის - ის ზოგადად ენაზე კბილის დაჭერას ამჯობინებს ხოლმე, ახლა კი საერთოდ ისე დგას, თითქოს მისთვის ყველაფერი სულერთია და მთელი სამყარო ეზიზღება, მისი გალესილი და ჟანგმოკიდებული პირი კი თეთრ კედელზე მისვენებულა. და მოულოდნელად სიკვდილს გონება გაუნათდა: ნათქვამია, სადაც ერთი - იქ მეორეც, სადაც მეორე - იქ მესამეცო, იმიტომ რომ ღმერთს სამება უყვარსო, ჰოდა, ვნახოთ, ასეა თუ არა ეს სინამდვილეში. მან მარჯვენა ხელი აიქნია, თითქოს ემშვიდობებაო და ორჯერ დაბრუნებული წერილი გაქრა. მაგრამ ორი წუთიც არ იყო გასული, რომ ის ისევ მაგიდაზე აღმოჩნდა. ფოსტალიონს ქვემოდან ზარი არ

დაურეკავს, კარის ქვეშ არ შემოუცურებია, თუმცაღა ის აქ იყო.

სიკვდილი, ცხადია, სიბრალულს არ იმსახურებს. ჩვენი საყვედურები ძალიან მრავალრიცხოვანი და გამართლებული იყო საიმისოდ, რომ ახლა თანაგრძნობამდე დავეშვათ, რომელსაც თავად ჩვენს მიმართ არასდროს იჩენდა, რამეთუ იგი არ გველოლიავებოდა, თუმცა კი ყველაზე უკეთ იცოდა, როგორი დამღუპველი და მომაკვდინებელი შეუპოვრობით, ყველა საშუალების გამოყენებით აღწევდა მიზანს. და მაინც, და მაინც, თუნდაც მხოლოდ ერთი წამით, ჩვენ თვალწინ აღმოჩენილი ფიგურა სასოწარკვეთილების ალეგორიულ ქანდაკებას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ავბედით არსებას, რომელიც - თუ იმ მომაკვდავებს დავუჯერებთ, ვისაც მახვილი მზერა აქვთ - ვადის ამოწურვის ჟამს ჩვენი საწოლის თავთან ჩნდება და ხელის მსუბუქი მოძრაობით, იმის მსგავსით, როგორითაც წერილებს გზავნის, ნიშანს გვაძლევს, ოღონდ ეს ნიშანი, ასე ვთქვათ, საწინააღმდეგო ნიშნითაა აღბეჭდილი: არა წადი აქედან, არამედ მოდი აქ. რომელიღაცა იდუმალი ოპტიკური ეფექტის წყალობით, სიკვდილი გაცილებით დაბალი და უფრო მოკუნტული ჩანს, თითქოს ჩონჩხი დაუპატარავდაო, თუმცა შეიძლება ის ყოველთვის ასეთი იყო და უფრო დიდი მხოლოდ შიშის გადმოკარკლულ თვალებში ჩანდა, რომლებიც, როგორც ცნობილია, უზარმაზარია. საცოდავი სიკვდილი. ის კი არა, როგორღაც სურვილი გიჩნდება, უხეშ ძვლის მხარზე ხელი დაადო და ყურში - უფრო სწორად თხემის ძვლის დაბლა, იმ ადგილზე, სადაც ყური ადრე იყო განლაგებული - ჩასჩურჩულო რაღაც საალერსო: დარდს ნუ მოეკვლევინები, ქალბატონო სიკვდილო, ყველაფერი ხდება, ჩვენ, აქაურებს, ანუ ადამიანებს, მარცხის,

წარუმატებლობის, იმედგაცრუების დიდი გამოცდილება გვაქვს, თუმცა - აბა, შემოგვხედეთ - ფარ-ხმალს არ ვყრით და ჯობს, ძველი დრო გაიხსენოთ, როდესაც ჩვენ გაფურჩქვნის ასაკში გვცელავდით, ასევე - არც ისე ძველი, შეიძლება ითქვას ახლანდელი დრო, როდესაც თქვენ ასეთივე დაუნდობელი გულქვაობით ექცევით ადამიანებს, რომლებიც სავსებით მოკლებულნი არიან ყველაფერს, რაც სიცოცხლისთვისაა საჭირო და გამორიცხული არაა, რომ დრო მოვიდა, ვნახოთ, ღონე ვის უფრო ადრე გამოეცლება - თქვენ, ქალბატონო, თუ ჩვენ - და ჩვენ გვესმის, გვესმის როგორ გიმძიმთ, პირველი მარცხი ყველაფერზე მტკივნეულია და ღმერთმა ქნას, საწყენად არ გეუბნებით, არ იყოს უკანასკნელი, თანდათან შეეჩვევით, შეეგუებით და, დამიჯერეთ, ამას ჯიბრით არ ვამბობ, ვინაიდან ძალიან უბადრუკი შურისძიება გამოვიდოდა, დაახლოებით ისეთი, ჯალათს, რომელიც თავის მოჭრას გიპირებს, ენა რომ გამოუყო, და ალბათ ამიტომაც ცნობისმოყვარეობა მკლავს, როგორ შეძლებთ გამოძვრეთ ამ ჩახლართული სიტუაციიდან, რაც წინ და უკან მოსიარულე წერილს და იმ ვიოლონჩელისტს უკავშირდება, რომელიც ორმოცდაცხრა წლის ასაკში ვერ კვდება, იმიტომ, რომ მას უკვე შეუსრულდა ორმოცდაათი. სიკვდილმა აუჩქარებლად გაიქნია მხარი, თანაგრძნობის ხელი მოიცილა და წამოდგა. ახლა იგი ისევ მაღალი და დიდი ჩანს, რა გინდათ - ძალაუფლებისმოყვარე ტიპია და როდესაც წავა და სუდარის კიდით მტვერს წახვეტს, მისი ნაბიჯებისგან მიწა შეგანზარდება. სიკვდილი გაბრაზებულია. ახლა ზუსტად ის დროა, ენა გამოუყო.

გარდა ზემოთ უკვე ნახსენები უიშვიათესი შემთხვევებისა, როდესაც განსაკუთრებული მახვილი მზერით დაჯილდოებულ ადამიანებს შეეძლოთ, თავიანთი სარეცლის ფერხთით თეთრებში გახვეული კლასიკური აჩრდილი გაერჩიათ ან, როგორც პრუსტს დაემართა, ენახათ გათქვირებული ქალი შავებში, სიკვდილი დიდი თავმდაბლობით გამოირჩევა და ცდილობს, შეუმჩნეველი იყოს, განსაკუთრებით მაშინ, თუ გარემოებები აიძულებს, ქუჩაში გავიდეს. საერთოდ, არსებობს წარმოდგენა, რომ სიკვდილი, რომელიც იმ მონეტის ავერსია, რომლის რევერსიც ღმერთია, უჩინარია, როგორც ის. ეს მთლად ასე არაა. ჩვენ ვართ ნდობის ღირსი მოწმეები იმისა, რომ სიკვდილი თეთრ ზეწარში გახვეული ჩონჩხია, რომ იგი ცივ ოთახში ცხოვრობს ძველ, დაჟანგულ ცელთან ერთად, რომელიც კითხვებზე პასუხებს არ იძლევა, ხოლო ოთახში შეთეთრებული კედლების გასწვრივ ფორმულარებით გატენილი უზარმაზარი გამოსაწევი ყუთებით სავსე, აბლაბუდით დაფარული ათობით სტელაჟი დგას. ალბათ, გასაგებია, რომ სიკვდილს ასეთი არაპრეზენტაბელური სახით ხალხში გამოჩენა არ სურს - პირველ რიგში, ესთეტიკური მიზეზით, მეორე რიგში კი, იმიტომ, რომ საცოდავი გამვლელი, რომელიც კუთხეში შეუხვევს, შიშისგან არ გაქვავდეს, როდესაც თვალის უზარმაზარ ცარიელ ფოსოებს დაინახავს. ასე რომ, სიკვდილი უჩინარი მხოლოდ ხალხმრავლობის დროს ხდება და ამ ფაქტის დადასტურება მწერალმა მარსელ პრუსტმა და მახვილი მზერის სხვა ადამიანებმა კრიტიკულ მომენტში შეძლეს. ღმერთის შემთხვევაში სხვანაირადაა. იგი რამდენსაც არ ეცადა, მაინც ვერასოდეს წარდგა ადამიანთა წინაშე და არა იმიტომ, რომ არ შეეძლო, რამეთუ როგორც ცნობილია, ღმერთისთვის შეუძლებელი არაფერია, არამედ იმიტომ, რომ უბრალოდ არ იცოდა, როგორი სახით გამოცხადებოდა მათ, ვინც, როგორც მიიჩნევა, თავად შექმნა, რამდენადაც დიდია იმის ალბათობა, რომ იგი მათ

ვერ იცნობს ან - ეს კიდევ უარესი იქნება - ისინი ვერ იცნობენ მას. ვიღაც-ვიღაცები მიიჩნევენ, რომ ძალიან გაგვიმართლა, რადგან ღმერთს არ სურს, აქ გამოგვეცხადოს, რამეთუ ბავშვურ თამაშად მოგვეჩვენება სიკვდილის შიში იმ ძრწოლასთან, რომელიც ასეთ შემთხვევაში მოგვიცავს. ასეა თუ ისე, ყველაფერი, რასაც ღმერთსა და სიკვდილზე ამბობენ, ლაზღანდარობაა და მეტი არაფერი, მათ შორის - ჩვენი ისტორიაც.

ამასობაში სიკვდილმა ქალაქში წასვლა გადაწყვიტა. ზეწარი, თავისი ერთადერთი სამოსი, შემოიხსნა, ფაქიზად დაკეცა და იმ სკამის საზურგეზე გადაკიდა, რომელზეც, როგორც ვნახეთ, ცოტა ხნის წინ იჯდა. თუ ამ სკამსა და მაგიდას არ ჩავთვლით და, რა თქმა უნდა, სტელაჟებსა და ცელს, ოთახში არაფერი იყო ვიწრო კარის გარდა, რომელიც უცნობია, საით გადიოდა. რამდენადაც ეს ერთადერთი გასასვლელია, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ სიკვდილი ქალაქში სწორედ აქედან წავა. ვერ მოგართვით. ზეწრის გარეშე სიკვდილი ზომებში თითქოს ისევ პატარავდება: სიმაღლეში იგი, თუ ადამიანურ გაბარიტებს მივუსადაგებთ, ისედაც ას სამოცდაექვსი, თუ ას სამოცდაშვიდი სანტიმეტრი იყო, ხოლო შიშველი, შესამოსლის გარეშე, კიდევ უფრო პატარა გეჩვენება და მოზარდის ჩონჩხს ჰგავს. ვინ იფიქრებდა, რომ ეს ის სიკვდილია, რომელმაც ჩვენი ხელი მხრიდან მრისხანედ მოიშორა, როდესაც ჩვენ აბსოლუტურად დაუმსახურებელი თანაგრძნობით გამსჭვალულები მის ნუგეშისცემას შევეცადეთ. და მართლაც - არაფერია უფრო შიშველი, ვიდრე ჩონჩხი. ის ხომ სიცოცხლეში არა მარტო ხორცით და კანითაა დაფარული, არამედ კიდევ, თუ ბანაობის ან სხვა უფრო საამო პროცედურების დროს მას არ იხდის, - ტანსაცმლითაც, რითაც ზემოთ ხსენებულ ხორცს შემოსვა

უყვარს. თავის არსამდე დაყვანილი, ანუ გადაქცეული რაღაც ნახევრად დაშლილ კარკასად არსებისა, რომელმაც არსებობა დიდი ხნის წინ შეწყვიტა, გეჩვენება, რომ ეს-ესაა გაქრება. ახლა ზუსტად ეს მოხდება. ჩვენი განცვიფრებისგან დამრგვალებულ თვალთა წინ ძვლები არა მარტო ფაქტურის სიმკვრივეს კარგავენ, არამედ მათი მოხაზულობის სიმკვეთრეც იდღაბნება, ისინი მყარი სხეულებიდან აიროვან მდგომარეობაში გადადიან და რაღაც ნისლის მაგვარი წარმოიქმნება, თითქოს ჩონჩხი ორთქლდება და გადაიქცევა ბუნდოვან ნახაზად, რომლის მიღმაც ყველაფრისადმი გულგრილი ცელი მოჩანს, და აი, უკვე სიკვდილი გაქრა, იყო და აღარ არის, ან შეიძლება არის, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ, ანდაც შეიძლება უბრალოდ სარდაფის იატაკი ჩახვრიტა, ასევე მის ქვეშ არსებული დედამიწის ფენები და როგორც თავად ვიოლონჩელისტისთვის გაგზავნილი წერილის მესამედ დაბრუნების შემდეგ გადაწყვიტა, წავიდა. ჩვენ ისიც ვიცით - სად. მას ვიოლონჩელისტის მოკვლა არ შეუძლია, მაგრამ სურს ნახოს იგი, მის წინ დადგეს, ხელით შეეხოს, თუმცა შეუმჩნეველი დარჩეს. დარწმუნებულია, როგორმე ამ დღეებში იპოვის საშუალებას, როგორ გაანადგუროს ის ისე, რომ წესები ძალიანაც არ დაარღვიოს, იქამდე კი სურს გაიგოს, რას წარმოადგენს ადამიანი, რომლამდეც ვერ აღწევს მისი წინასწარი შეტყობინებები, რა ნიჭითაა დაჯილდოებული, თუ, რა თქმა უნდა, საქმე ეს არის და არა ის, რომ იგი თავისი გულუბრყვილობითა და მოუსაზრებლობით ისე აგრძელებს ცხოვრებას, ეჭვიც არა აქვს, რომ უკვე მკვდარი უნდა იყოს. და ჩვენ, ამ უფანჯრებო და ვიწროკარიან, ცივ ოთახში გამომწყდეულები, სადაც გაუგებარია, ამ კარს რა დანიშნულება აქვს, ვერც კი ვამჩნევთ, რა სწრაფად გარბის დრო - დილის სამი საათია

და, წესით, სიკვდილი, უკვე დიდი ხანია, ვიოლონჩელისტთან უნდა იყოს.

ასეც არის. მათ შორის, რაც სიკვდილს ყველაზე მეტად ქანცავს, პირველ, საპატიო ადგილს იკავებს ძალისხმევა, რომელიც მან საკუთარი თავისკენ უნდა მიმართოს, როდესაც არ სურს დაინახოს ყველაფერი,რაც ერთდროულად და ყველგან თვალთა წინ წარმოუდგება. აი, ამაშიც იგი ღმერთს ჰგავს. მოდით, საკითხი უფრო დეტალურად განვიხილოთ. თუმცაღა ეს გარემოება არ შედის იმ მონაცემთა ნუსხაში, რომლებიც ადამიანური ხორციელი გამოცდილებით შემოწმებას ექვემდებარება, ჩვენ მაინც ბავშვობიდან შევეჩვიეთ, რომ ღმერთი და სიკვდილი ორი უზენაესი მწვერვალია, რომლებიც ერთდროულად ყველგან არიან, ანუ ყველგანმყოფებია. სინამდვილეში, როდესაც ჩვენ ვფიქრობთ ან, მით უმეტეს, როდესაც ვლაპარაკობთ ამის შესახებ, თუ გავიხსენებთ, როგორ მარტივად წყდებიან სიტყვები ჩვენს ბაგეებს, სრულიად შესაძლებელია, რომ წარმოთქმულის აზრსა და მნიშვნელობას არცთუ ნათლად ვაცნობიერებთ. სათქმელად ადვილია: ღმერთი ყველგანმყოფია და ყველგანმყოფია სიკვდილიც, მაგრამ როდესაც ასე ვამბობთ, თავადაც ვერ ვამჩნევთ, რომ თუ ისინი ერთდროულად ყველგან არიან, თავისდაუნებურად სამყაროს ყველა უთვალავ ნაწილაკში ყველაფერს უნდა ხედავდნენ, რაც თითოეულ მათგანს შეუძლია წარმოადგინოს. და თუ უაზრო თავდაჯერებულობა იქნებოდა, მოელოდე, რომ ღმერთს, რომელიც უბრალოდ თანამდებობრივადაა ვალდებული მთელ სამყაროში სუფევდეს, - წინააღმდეგ შემთხვევაში მის შექმნას აზრი არ ექნებოდა, - მის მიერ შექმნილ პატარა პლანეტა დედამიწაზე მიმდინარე მოვლენებისადმი რაიმე განსაკუთრებული ინტერესი ექნება, მით უფრო, რომ - და ეს

რატომღაც არავის აზრად არ მოსდის - ამ პლანეტას იგი სულ სხვა სახელით იცნობს, სამაგიეროდ, სიკვდილი, სწორედ ის სიკვდილი, რომლის შესახებაც რამდენიმე გვერდით ზევით ითქვა, რომ ადამიანთა მოდგმასთან ექსკლუზიური პირობებითაა დაკავშირებული, ჩვენ თვალს ერთი წამითაც არ გვაცილებს, ასე რომ, ისიც კი, ვისაც ჯერ სიკვდილის ჟამი არ დასდგომია, გრძნობს ამ დაჟინებულ მზერას. მოკლედ, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, სიკვდილს როგორი ტიტანური ძალისხმევის გამოვლენა სჭირდებოდა იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც იგი, რაღაც მიზეზებით, იძულებული იყო, თავისი მძლავრი პერცეფცია ადამიანურ არსებობამდე დაეწია, ანუ თუ მარტივად ვიტყვით, ყველაფერი რიგრიგობით დაენახა, ყოველ ცალკეულ წუთს მხოლოდ ერთ ადგილზე ყოფილიყო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ იმის ახსნა გვაღელვებს, რატომ გაიჭედა იგი ვიოლონჩელისტის სახლის კართან. აი, რატომ: ყოველ ნაბიჯზე - ხოლო ამ სიტყვას ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის ვიყენებთ, რომ ჩვენი მკითხველების წარმოსახვას დავეხმაროთ და არა იმის გამო, რომ თითქოს სიკვდილი მართლაც ქვედა კიდურების მონაცვლეობით მოძრაობდეს - ჰოდა, ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი იძულებულია, დათრგუნოს მისი ბუნებისთვის დამახასიათებელი ექსპანსიური, მეცნიერულად რომ ვთქვათ, ტენდენცია, რომელიც, საშუალება რომ მისცე, სივრცეში მკვეთრი ტკაცუნით გაფანტავს არამტკიცე და არამყარ, ასეთი ძალისხმევით შეგროვილ და შეკავშირებულ ნაერთს. საცხოვრებელი ვიოლონჩელისტისა, რომელსაც ლილისფერ ქაღალდზე დაწერილი უწყება არ მიუვიდა, ეკონომკლასის კატეგორიას განეკუთვნებოდა, თუმცა, ამასთან, უპერსპექტივო წვრილ ბურჟუას უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ევტერპეს

აღსაზრდელს. ნახევრად ბნელ დერეფანში ძლივს მოჩანს ხუთი კარი: ერთი სიღრმეში - ბარემ გეტყვით, ამ საკითხს რომ აღარ დავუბრუნდეთ - ის აბაზანისაა, და კიდევ ორ-ორი ორივე მხარეს. მარცხნივ პირველი - სწორედ მისგან დაიწყო სიკვდილმა დათვალიერება - გადის პატარა სასადილოში, რომელსაც ეტყობა, რომ თითქმის არასაცხოვრებელია და ებჯინება კიდევ უფრო პატარა სამზარეულოს, რომელიც მხოლოდ ყველაზე აუცილებელითაა აღჭურვილი. შემდეგ - ისევ დერეფანში და - აი, კარი, რომელსაც არ იყენებენ, ანუ არც აღებენ და არც ხურავენ, რაც რეალობას ეწინააღმდეგება, რამეთუ კარი, რომლის შესახებაც ამბობენ, ის არც იღება და არც იხურებაო, მაინც არის კარი, რომელიც დაკეტილია და გაღებული ვერ იქნება. ცხადია, სიკვდილს შეეძლო, გაეპო ის და ისიც, რაც მის მიღმაა, მაგრამ ამდენი შრომა ტყუილად ხომ არ გასწია საკუთარი თავის ერთად თავმოყრისთვის და გარკვეული, თუნდაც სხვებისთვის უხილავი, ფორმის მისაღებად, რომელიც მეტ-ნაკლებად ადამიანურია, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, არა ისე, რომ ქვედა კიდურების ფლობა იყოს გათვალისწინებული; ჰოდა, ტყუილად ხომ არ გასწია, რომ მერე საკუთარი თავი მოდუნებისა და გაფანტვის საშიშროების წინაშე დაეყენებინა, გაფანტვისა კარის ან იმ კარადის მერქნის ბოჭკოებს შორის, რომელიც უეჭველია, ამ კარის იქით დგას. ამიტომაც სიკვდილმა დერეფანში შეაბიჯა, მარჯვნივ პირველ კარს მიადგა და მისი გავლით შევიდა მუსიკალურ სალონში - სხვა რა უნდა უწოდო ოთახს, სადაც არის: ღია როიალი და ვიოლონჩელი, პიუპიტრი რობერტ შუმანის სამი ფანტაზიით, ოპუსი სამოცდაცამეტი, როგორც წაიკითხა ქუჩის განათების შუქზე, რომელიც მკრთალი იყო, ნარინჯისფერი დაჰკრავდა და ორივე ფანჯრიდან

იღვრებოდა და კიდევ აქა-იქ ნოტების რამდენიმე შეკვრა, წიგნის თაროები, სადაც ლიტერატურა, როგორც ჩანდა, ჰარმონიულად თანაარსებობდა მუსიკასთან, რომელიც ოდესღაც არისისა და აფროდიტეს ქალიშვილი იყო, დღეს კი გახდა მეცნიერება აკორდების შეხამების შესახებ. სიკვდილი სიმებს მოეფერა, თითის წვერები კლავიშებს რბილად გადაუსვა, მაგრამ გამოცემული ხმები - გაბმული და დაბალი კვნესა ვიოლონჩელის, ჩიტის მოკლე სტვენა როიალისა - მხოლოდ მან ერთმა გაარჩია, ვინაიდან, რასაც ადამიანის ყური ვერ აღიქვამს, მას, ვინც ამდენი წლის განმავლობაში უკანასკნელ ამოსუნთქვათა მნიშვნელობის განმარტებას სწავლობდა, ის მკაფიოდ და გარკვევით ესმის. აი, აქეთ, მეზობელ ოთახში, ალბათ, საძინებელია. კარი ღიაა და სიბნელე, მართალია, იქ უფრო მეტია, თუმცა მაინც იძლევა საშუალებას საწოლისა და მასზე გართხმული სხეულის მოხაზულობა გაარჩიო. სიკვდილი უფრო ახლოს მიდის, ზღურბლს აბიჯებს, მაგრამ მაშინვე დაეჭვებული ირინდება, რადგან ოთახში არა ერთი, არამედ ორი ცოცხალი არსების ყოფნას გრძნობს. მართალია, არა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, თუმცა ცხოვრების გარკვეულ მხარეებს მაინც იცნობს და ლამისაა იფიქროს, რომ ვიოლონჩელისტი სარეცელს იყოფს, ღამეს ატარებს ადამიანთან, რომელსაც ჯერ ლილისფერი წერილი არ მისვლია და რომელიც ამ სახლში იმავე ზეწრების მყუდროებით და იმავე საბნის სითბოთი სარგებლობს. სიკვდილი კიდევ უფრო ახლოს მიდის, ისე ახლოს, შესაძლებელი რომ იყოს, საწოლთან მდგარ პატარა მაგიდას წამოედებოდა, და ხედავს, რომ საწოლში ერთი ადამიანია. მაგრამ მოპირდაპირე მხარეს, ხალიჩაზე გორგალივით დახვეულ, საშუალო ზომის, მუქბეწვიან, ანუ, სავარაუდოდ, შავი ფერის ძაღლს სძინავს. მახსოვს,

სიკვდილი პირველად გაოცდა, როდესაც გაიფიქრა: იგი მარტო ადამიანებისთვის რომ არ ყოფილიყო განკუთვნილი, არც ისე დიდი ხნის წინ ეს ცხოველიც მისი სიმბოლური ცელისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდებოდა, მასთან თუნდაც ოდნავ მიკარება მის ძალაუფლებაში აღარ იქნებოდა და ამიტომაც მძინარე ძაღლიც უკვდავებას მოიპოვებდა, თუ, რა თქმა უნდა, მისი საკუთარი სიკვდილი - სხვა, რომელსაც იმ ცოცხალი არსებების მეურვეობა ევალება, რომლებიც მცენარეებისა და ცხოველების სამყაროს განეკუთვნებიან, პირველ სიკვდილს დაემსგავსებოდა, და მაშინ მავანს მშვენიერი საფუძველი გაუჩნდებოდა, ახალი წიგნი დაეწყო სიტყვებით: „ხოლო მომდევნო დღეს არავინ მოკვდა“. მწოლიარე შეირხა: შეიძლება ის ძილშიც შუმანის სამი პიესის შესრულებას აგრძელებდა და ყალბი ნოტი გაეპარა, ვიოლონჩელი ხომ როიალი არ არის, რომელსაც ყველა ნოტი ყოველთვის თავის ადგილზე აქვს, - თითო საკუთარი კლავიშის ქვეშ, მაშინ როდესაც ვიოლონჩელზე ისინი სიმების მთელ გაყოლებაზეა გაფანტული, ისინი უნდა მოძებნო, დააფიქსირო, ხემი საჭირო მომენტში, საჭირო დაწოლით და საჭირო დახრილობით უნდა დაძრა, ასე რომ, არაფერია იმაზე მარტივი, ვიდრე ერთი-ორი არასწორი ნოტის აღება, განსაკუთრებით, როდესაც ძილში უკრავ. სწორედ იმ წამს, როდესაც სიკვდილი ოდნავ დაიხარა, რათა მუსიკოსის სახე უკეთ შეეთვალიერებინა, თავში ჭეშმარიტად გენიალური იდეა დაებადა: მის კარტოთეკაში, თითოეულ ფორმულარს ფოტოც უნდა მიამაგროს - არა ის, რომელიც ხელში მოხვდება, არამედ ისეთი, რომ ამ პერსონაჟის პირადი მონაცემების მსგავსად, ისიც დროის მსვლელობასთან ერთად ავტომატურად ახლდებოდეს და მასში მომხდარ ცვლილებებს ასახავდეს: დედის ხელებში მოქცეული

წითელი, დანაოჭებული ახალშობილიდან, ამჟამინდელ მის შესახედაობამდე, როდესაც ჩვენ საკუთარ თავს სულ ვეკითხებით: ნუთუ ჩვენ ისევ ის ვართ, ვინც ოდესღაც ვიყავით, თუ ვიღაც გრძნეული ყოველ საათში სხვა ვიღაცით გვცვლის. მძინარე ისევ შეინძრა, თითქოს იღვიძებსო, მაგრამ არა: სუნთქვა გასწორდა, ძველი რიტმი დაიბრუნა - ცამეტი ამოსუნთქვა-ჩასუნთქვა წუთში, მარცხენა ხელი მკერდზე, გულთან ასვენია, თითქოს პულსაციას, სისტოლასა და დიასტოლას მონაცვლეობას იჭერსო, ხოლო მარჯვენა ხელი ხელისგულით ზევით და ოდნავ მოხრილი თითებით, თითქოს ელოდება, მარცხენასთან როდის გადაჯვარედინდება. მძინარე თავის ორმოცდაათ, უკვე შესრულებულ წელთან შედარებით უფრო ხანდაზმულად გამოიყურება, თუმცა კი სულ ცოტათი, ან იქნებ იგი, უბრალოდ, დაიღალა, ანდაც სევდიანია, მაგრამ ამ ყველაფერს მაშინ გავიგებთ, როდესაც თვალს გაახელს. თმა ბევრი აღარ აქვს, რაც დარჩა, ისიც ჭაღარაა. არც ლამაზია და არც მახინჯი, ჩვეულებრივი მამაკაცია. როდესაც ამ ზურგზე დაწოლილ კაცს უყურებ, რომელსაც ზოლიანი პიჟამა აცვია, არც კი იფიქრებ, რომ ეს ქალაქის სიმფონიური ორკესტრის პირველი ვიოლონჩელია, რომ მისი ცხოვრება სანოტო რვეულის ხუთ მაგიურ ხაზს შორის და შეიძლება მუსიკის გულის ძებნაშიც - პაუზა, ხმა, სისტოლა, დიასტოლა - მიედინება. სიკვდილი, რომელიც კავშირის სახელმწიფო სისტემაში მომხდარი შეფერხების გამო ჯერ კიდევ ჯავრობს, მაგრამ ის სიბრაზე, რასაც აქეთკენ მომავალი განიცდიდა, უკვე გაუნელდა, მძინარე სახეს აკვირდება და თავში შფოთიანი ფიქრები უჩნდება იმის შესახებ, რომ ეს კაცი უკვე აღარ უნდა იყოს, რომ ეს თანაბარი სუნთქვა, ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის მონაცვლეობა, უკვე შეწყვეტილი უნდა იყოს, ხოლო გული,

რომელსაც მარცხენა ხელი იცავს, - უკვე სისხლისგან დაცლილი და გაჩერებული, ის ბოლოჯერ უნდა შეკუმშულიყო და სამუდამოდ დადუმებულიყო. სიკვდილი აქ იმისთვის მოვიდა, რომ ეს ადამიანი ენახა და აი, იგი ხედავს მას და მასში არაფერია ისეთი, რაც ლილისფერი კონვერტის სამგზის დაბრუნებას ახსნიდა და ყველაზე კარგი იქნება, იგი თავის ცივი სარდაფის ოთახში დაბრუნდეს,რათა ისეთი საშუალება მოიგონოს, რითაც წერტილს დაუსვამს ამ დაწყევლილ შემთხვევითობას, რისი წყალობითაც ამ მხერხავმა, ვიოლონჩელების მხერხავმა, საკუთარ თავზე დიდხანს იცოცხლა. ეს ჯავრით შეფერილი სიტყვების ორი წყვილი - დაწყევლილი შემთხვევითობა და ვიოლონჩელების მხერხავი - იმისთვის წარმოითქვა, რათა მათ უკვე თითქმის მიმქრალი მტრობა გაეღვივებინათ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. მძინარე ადამიანი ოდნავადაც არ არის დამნაშავე იმაში, რაც ლილისფერ წერილს დაემართა და ბუნდოვნადაც კი არ შეუძლია წარმოიდგინოს, რომ იმ სიცოცხლით ცოცხლობს, რომელიც უკვე მას აღარ ეკუთვნის და საქმეები ისე რომ წასულიყო, როგორც საჭიროა, იგი სამარეში ერთი კვირის ჩაწოლილი იქნებოდა, ხოლო მისი ძაღლი პატრონის ძებნაში ქალაქში გაცოფებული ირბენდა, ან არ შეჭამდა, არც დალევდა და სადარბაზოსთან მის დაბრუნებას დაელოდებოდა. სიკვდილი წამით დაიშალა, გაიბნა და კედლებამდე გავრცელდა, მთელი ოთახი შეავსო და გვერდითაშიც გადაედინა, სადაც მისმა ერთმა ნაწილმა სკამზე დადებულ რვეულში ჩაიხედა, რომელშიც იყო ნოტები იოჰან სებასტიან ბახის სიუიტისა ნომერი ექვსი, ოპუსი ათას მეთორმეტე რე მაჟორი და აუცილებელი არ არის მუსიკა გქონდეს ნასწავლი, რომ იცოდე - ის, როგორც ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია ერთობაზე, მეგობრობასა და სიყვარულზე, მხიარულ ტონებშია დაწერილი. აქ მოხდა რაღაც ჯერარნახული და წარმოუდგენელი, იმიტომ რომ სიკვდილი მუხლებზე დაეცა, ისევ დაიბრუნა ყველაფერი, რაც საჭიროა - მუხლები, ფეხები, ხელები, ხელისგულები და მათში ჩამალული სახეც, მხრებიც, რომლებიც უცნობი მიზეზით ცახცახებდნენ, რაც, წესით, ტირილით არ უნდა იყოს გამოწვეული, ამდენს არ უნდა ელოდო იმისგან, ვინც თავის შემდეგ ცრემლის მდინარეს ტოვებს და მასში არცერთი წვეთი მისი დაღვრილი არაა. ის დარჩა ისეთივე, როგორიც იყო - არც უხილავი და არც ხილული, არც ჩონჩხი და არც ქალი - როგორც ამოსუნთქვა. იატაკიდან წამოდგა და საძინებელში დაბრუნდა. მძინარე ისევ არ ინძრეოდა. აქ მე აღარაფერი მესაქმება, გაიფიქრა სიკვდილმა, წავალ აქედან, ან ღირდა კი აქ მოსვლა იმისთვის, რომ ადამიანი და ძაღლი მენახა, შეიძლება მათ ერთმანეთი ესიზმრებათ, ადამიანი ძილში ძაღლს ხედავს ძაღლი - ადამიანს. ძაღლს ესიზმრება, რომ უკვე დილაა და მან თავი ადამიანის თავის გვერდზე ჩამოდო, ხოლო ადამიანს ესიზმრება, რომ უკვე დილაა და რომ მარცხენა ხელით ძაღლის თბილსა და რბილ სხეულს ეხვევა და გულში იკრავს. კარის გვერდით, რომელსაც ტანსაცმლის კარადა ფარავს, პატარა დივანი დგას, სწორედ მასზე ჩამოჯდა სიკვდილი - ჩამოჯდა ყოველგვარი წინასწარ მოფიქრებული განზრახვის გარეშე და, ალბათ, თავისთვისაც მოულოდნელად ის ცივი სარდაფი გაახსენდა, სადაც არქივი ინახება. მისი თვალები ზუსტად ვიოლონჩელისტის თავის სიმაღლეზეა, ვისი პროფილიც ფანჯრიდან შემოსულ ნარინჯისფერ შუქზე მკაფიოდ იკვეთება. სიკვდილი საკუთარ თავს უმეორებს, რომ აქ კიდევ დარჩენის არანაირი გონივრული მიზეზი არ არსებობს და მაშინვე პასუხობს, რომ არა, ერთი მიზეზი და თან საკმაოდ საფუძვლიანი მაინც არის: ამ სახლში -

ერთადერთში მთელ ქალაქში, ქვეყანაში, მსოფლიოში - არის ადამიანი, რომელიც ბუნების ყველაზე მკაცრ კანონს, სიკვდილ-სიცოცხლის კანონს არღვევს, კანონს, რომელსაც შენთვის არ უკითხავს, გინდოდა თუ არა სიცოცხლე და არ გკითხავს, გინდა თუ არა სიკვდილი. ეს ადამიანი მკვდარია, გაიფიქრა სიკვდილმა, ყველა, ვინც უნდა მომკვდარიყო, მოკვდა, მხოლოდ საჭიროა, რომ მე ოდნავ, ერთი თითით ვუბიძგო, ან ლილისფერ ქაღალდზე დაწერილი წერილი გამოვუგზავნო. ეს ადამიანი მკვდარი არაა, გაიფიქრა სიკვდილმა, რამდენიმე საათში გამოიღვიძებს, საწოლიდან ადგება, როგორც ამას ყოველ დილით აკეთებს, ბაღის კარს გააღებს, რათა ძაღლმა გაისეირნოს, ისაუზმებს, აბაზანაში შევა და გარკვეული დროის შემდეგ იქიდან დაბანილი და გაპარსული გამოვა, შეიძლება ძაღლს გაიყოლებს და გაზეთის საყიდლად გავა, ანაც შეიძლება პიუპიტრის წინ დაჯდება და შუმანის სამ პიესას დაუკრავს, შემდეგ კი, შეიძლება სიკვდილზეც დაფიქრდეს, როგორც ეს ყველა მოკვდავს სჩვევია, მაგრამ არ ეცოდინება, რომ ახლა გარკვეულწილად უკვდავი გახდა, რამეთუ სწორედ ამ სიკვდილს, რომელიც მას უყურებს, არანაირი წარმოდგენა არა აქვს, იგი როგორ მოკლას. მძინარემ პოზა იცვალა, ზურგით შებრუნდა კარადისკენ, რომელიც უმოქმედო კარს ფარავდა და მარჯვენა ხელი იქითკენ გადმოკიდა, სადაც ძაღლს ეძინა. ერთი წუთის შემდეგ გაიღვიძა. მოსწყურდა. ტუმბოზე სანათი აანთო, ადგა, ფეხები წაყო ფლოსტებში, რომლებიც, როგორც ყოველთვის, ძაღლის თავის ქვეშ იყო გაჭყლეტილი, სამზარეულოში გავიდა. სიკვდილიც გაჰყვა. მან ჭიქაში წყალი დაისხა და დალია. იმავ წამს სამზარეულოში ძაღლიც გამოჩნდა, წყურვილი ბაღში გამავალ კართან დადგმული თავისი ჯამიდან მოიკლა და თვალები პატრონს მიაშტერა. გასაგებია, რომ გარეთ

გინდა, წარმოთქვა მან. კარი გააღო, გაჩერდა, ძაღლის დაბრუნებას ელოდებოდა. ჭიქაში ცოტა წყალი კიდევ რჩებოდა. სიკვდილმა მას შეხედა, დაძაბული ცდილობდა წარმოედგინა, რას ნიშნავს, გწყუროდეს, მაგრამ ეს ვერ შეძლო. სწორედ ასევე არ გამოსდიოდა მას ეს, როდესაც სადმე უდაბნოში ადამიანების წყურვილით დახოცვა უწევდა, მაგრამ მაშინ არც ცდილობდა გაეგო. ძაღლი კუდის ქიცინით დაბრუნდა. წამოდი, დავიძინოთ, უთხრა ადამიანმა. ისინი საძინებელში დაბრუნდნენ, ძაღლი ადგილზე ორჯერ დაბზრიალდა, იატაკზე ხმაურით დაენარცხა და დაიგორგლა. ადამიანმა თავზე ხელი მოუთათუნა, ორჯერ დაახველა და დაიძინა. სიკვდილი ამას ყველაფერს კუთხეში მიმჯდარი უყურებდა. უკვე მოგვიანებით ძაღლი ხალიჩიდან ადგა და დივანზე აძვრა. ცხოვრებაში პირველად გაიგო სიკვდილმა, რას ნიშნავს, მუხლებზე გესვას ძაღლი.

* * *

ცხოვრებაში ყველას აქვს სისუსტის მომენტი და თუ მათ დღეს გადავურჩით, ხვალ აუცილებლად გავუგებთ გემოს. და როგორც ის შეიძლება, რომ აქილევსის ბრინჯაოს სამკერდულის ქვეშ მგრძნობიარე გული ცემდეს - გავიხსენოთ თუნდაც ის ეჭვიანობა, რომელიც სახელგანთქმულ აქაველ ვაჟკაცს ათ წელიწადს ტანჯავდა, როდესაც აგამემნონმა მას საყვარელი, ტყვე ქალი ბრისეიდა წაჰგვარა, ასევე საშინელი რისხვა, რომელმაც პელევსის ძე მოიცვა და ომში დაბრუნება აიძულა, როდესაც მისი მეგობარი პატროკლე ჰექტორის ხელით დაიღუპა - ასევე ერთ მშვენიერ დღეს ყველაზე გაუმტარი ჯავშნის

მიღმაც, რომელიც კი ოდესმე გამოუჭედავთ და სამყაროს ბოლო და უცილობელ დასასრულამდე გამოჭედავენ - თქვენ, ალბათ, უკვე მიხვდით, რომ სიკვდილს ვგულისხმობთ - შეიძლება გააღწიოს ვიოლონჩელის ნაზმა აკორდმა ან როიალის უბრალო ხმოვანებამ, ან შეიძლება მხოლოდ სკამზე გაშლილი სანოტო რვეულის ხილვამ გაიძულოს, ისეთი რამ გაიხსენო, რაზეც ფიქრიც არ გინდა, ისეთი რამ, რაც არასდროს განგიცდია და კედელს თავიც რომ ურტყა, ვერასოდეს განიცდი. შენ ცივი გონებით აკვირდებოდი მძინარე ვიოლონჩელისტს, ადამიანს, რომლის მოკვდინებაც ვერ შეძელი, რადგან მასთან - ან მის წასაყვანად - ძალიან გვიან მოხვედი, შენ გორგალივით მოკეცილ ძაღლს უყურებდი და აცნობიერებდი, რომ მისი მიკარების უფლებაც არ გაქვს, რამეთუ ის შენს განმგებლობაში არ შედის და ეს ორი ცოცხალი არსება, რომლებიც საძინებლის თბილ ბინდბუნდში ტკბილ ძილს მისცემიან და შენ შესახებ წარმოდგენაც არ აქვთ, მხოლოდ იმისთვის თუ გამოდგება, რომ წარუმატებლობის ლოდი გულზე უფრო მეტად დაგაწვეს. შენ, ვისაც ჩვევად გექცა ძლევამოსილება, რომლის მსგავსითაც ვერავინ დაიტრაბახებს, მოულოდნელად უძლური და უმწეო, ხელფეხშეკრული აღმოჩნდი, ხოლო ნოლ-ნოლ-შვიდის მოკვლაზე გაცემული შენი ლიცენზია ამ სახლში არ მოქმედებს და ჯერ არასდროს, აღიარე, მას შემდეგ, რაც სიკვდილად იწოდები, არასდროს მომხდარა, რომ ასეთი დამცირება გეწვნიოს. იმ წამს, როდესაც შენ საძინებლიდან მეზობელ ოთახში გამოხვედი, როდესაც იოჰან სებასტიან ბახის ვიოლონჩელისთვის დაწერილი მეექვსე სიუიტის წინ მუხლი მოიყარე და შენმა მხრებმა იმ სწრაფი მოძრაობების კეთება დაიწყო, რომლებიც ადამიანთა წარმოდგენაში თავშეუკავებელ ქვითინს ახლავს, დიახ, იმ წამს, როდესაც

შენი მუხლები მყარ იატაკს დაებჯინა, შენი მძვინვარება გაიფანტა, როგორც ნისლის ღრუბელი, რომლადაც შენ ხანდახან, როდესაც არ გინდა ბოლომდე უჩინარი იყო, გადაიქცევი ხოლმე. ოთახში დაბრუნდი, ვიოლონჩელისტს გაჰყევი, როდესაც იგი სამზარეულოში წყლის დასალევად და ძაღლის ბაღში გასაშვებად გავიდა; თავიდან ეს ადამიანი მძინარე ნახე, ახლა მან გაიღვიძა, ადგა და, ალბათ, პიჟამის ვერტიკალური ზოლები ქმნის ასეთ ოპტიკურ ეფექტს - იგი შენზე ბევრად მაღალი მოჩანს, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია, ეს მხედველობის ცდომილებაა, პერსპექტივის გადაადგილება, - აი, როგორია ფაქტების ლოგიკა, რომელიც ამტკიცებს, რომ შენ, სიკვდილი, დიდი, დიდი ხარ ყველა ჩვენგანსა და ყველაფერზე. მაგრამ გამორიცხული არაა, რომ ყოველთვის ასე არ იყო, გამორიცხული არაა, რომ მოვლენები, მსოფლიოში რომ ხდება, შემთხვევითობით აიხსნება. მაგალითად, მთვარის თვალისმომჭრელი შუქი, რომელიც მუსიკოსს ბავშვობიდან დაამახსოვრდა, ტყუილუბრალოდ დაიკარგებოდა, მას რომ სძინებოდა, დიახ, შემთხვევითობით, რამეთუ შენ, სიკვდილი, ისევ დაპატარავდი, როდესაც ოთახში დაბრუნდი და დივანზე დაჯექი და კიდევ უფრო დაპატარავდი, როდესაც ძაღლი წამოდგა, შენთან დივანზე ამოძვრა და მიეკრო შენს თითქოსდა ქალწულებრივ მკერდს. და მაშინ შენ მშვენიერი აზრი გეწვია - შენ გაიფიქრე: ცუდი, უსამართლო იქნება, თუ სიკვდილი - შენ არა, სხვა - გააცივებს და ყინულად აქცევს ამ რბილ, ცხოველურ სითბოს, დიახ, შენ ასეთი აზრი გაგიჩნდა, და ვინ იფიქრებდა, რომ შენ, ასე მიჩვეული არქტიკულ და ანტარქტიდულ ყინვას, რომელიც მეფობს ოთახში, სადაც ბინადრობ და სადაც მოგიხმობს შენი ავბედითი მოვალეობა, რომელიც იმაში მდგომარეობს,

რომ მოკლა ეს ადამიანი, ვის შუბლზეც ახლა, ძილში, მოულოდნელად გაჩნდა მწარე ნაოჭი, როგორიც აქვთ მათ, ვისაც ცხოვრებაში არასდროს გაუყვია სარეცელი რაიმე ნამდვილად ადამიანურთან და ვინც კავშირი შეკრა თავის ძაღლთან იმის შესახებ, რომ სიზმრად ერთი მეორეს ნახავს: ადამიანი - ძაღლს, ძაღლი- ადამიანს, რომელიც შუაღამისას თავისი ზოლიანი პიჟამით დგება და სამზარეულოში მიდის, რომ წყურვილი მოიკლას, არადა თითქოს უფრო მარტივი იქნებოდა, ჭიქა წყალი საწოლთან ტუმბაზე დაედგა, თუმცა იგი ასე არ იქცევა, უპირატესობას ანიჭებს დერეფანში, ღამის დამამშვიდებელ მდუმარებაში ძაღლის თანხლებით სამზარეულომდე გასეირნებას, ძაღლი კი აუცილებლად უკან მიჰყვება თავის პატრონს და ზოგჯერ გარეთ გასვლას ითხოვს, ზოგჯერ - არა. ეს ადამიანი უნდა მოკვდეს, ამბობ შენ.

და ახლა სიკვდილი კვლავ ჩონჩხი ხდება, ქლამიდში გახვეულა, კაპიუშონი წამოუხურავს, თითქოს იმისთვის, რომ ეს შემზარავი თავის ქალა დაფაროს, თუმცა შეუძლია, თავი არც შეიწუხოს, რადგან აქ არავინაა ისეთი, ვისაც ავბედითი სანახაობით შეაშინებ, მით უმეტეს, რომ მხოლოდ კიდურების ბოლოები ჩანს: ქვედა კიდურები იატაკის ქვის ფილებს დაყრდნობია, კიდევ კარგი, არ შეუძლიათ, მათი ყინულივით გამჭოლი სიცივე შეიგრძნონ, ხოლო ზედა კიდურები სქელი ტომის გვერდებს ფურცლავენ, სადაც სიკვდილის მიერ ოდესმე გაცემული ყველა ბრძანებაა თავმოყრილი, სულ პირველით დაწყებული - ის ერთი სიტყვისგან შედგებოდა და ეს სიტყვა იყო „მოკალი“ - და უახლესი დამატებებითა და დანართებით დამთავრებული, სადაც სიკვდილის ყველა შესაძლო საშუალება, ყველა შესაძლო ვარიანტი იყო გათვალისწინებული, თუმცა აქ უკვე შეიძლება ითქვას, რომ მათი ჩამონათვალი არასოდეს

ამოიწურება. სიკვდილი მისი ძიების უარყოფითმა შედეგმა არ გააკვირვა: მართლა არაფერში ეწერებოდა და, რაც მთავარია, სრულიად ზედმეტი იქნებოდა, თუ წიგნში, სადაც ადამიანური მოდგმის ყველა და თითოეული წარმომადგენლისთვის განსაზღვრულია მისი წერტილი, ფინალი, განაჩენი, სიკვდილი, უცებ საიდანღაც ისეთი სიტყვები გაჩნდებოდა, როგორიცაა „ცხოვრება“ და „სიცოცხლე“, როგორიცაა „ვცოცხლობ“ და „ვიცოცხლებ“. ამ წიგნში ადგილი მხოლოდ სიკვდილისთვისაა და ნახსენებიც კი არ არის რაღაც უაზრო ვარაუდები, თითქოს ვიღაცამ ოდესღაც სიკვდილისგან თავის დაღწევა მოახერხა. ეს რაღაც გაუგონარი ამბავია. თუმცაღა, თუ კარგად მოჩხრეკ, შეიძლება იპოვო ზმნის ფორმა „ვიცოცხლე“, რომელიც მხოლოდ ერთხელ წასაკითხად სქოლიოში გამოიყენეს, მაგრამ სერიოზულად ასეთ სიბეჯითეს არავინ იჩენდა, რაც გაიძულებს ივარაუდო არსებობა საფუძვლიანი მოსაზრებებისა იმის შესახებ, რომ თავად ცხოვრების ეს ფაქტი სიკვდილის წიგნში ხსენებას არ იმსახურებს. და სასარგებლო იქნება იმის გაგება, რომ მისი მეორე სახელწოდებაა „არაფრის წიგნი“. ჩონჩხმა დებულებათა კრებული განზე გასწია და ადგა. როგორც ყოველთვის, როდესაც არსში უფრო ღრმად ჩაწვდომაა საჭირო, მან ოთახს ორჯერ შემოუარა, შემდეგ კატალოგის ყუთი გამოსწია, სადაც ვიოლონჩელისტის ფორმულარი იდო და ეს ფორმულარი ამოიღო. ამ მოძრაობამ შეგვახსენა, რომ დადგა და - გაიხსენეთ, რომ ჩვენ შემთხვევის შესახებ ვსაუბრობდით - მალე აღარ იარსებებს მომენტი, როდესაც საჭიროა მნიშვნელოვანი ასპექტის გამორკვევა, რომელიც არქივების ფუნქციობას უკავშირდება, ასპექტისა, რომელიც უკვე გახდა ჩვენი ყურადღების საგანი, მაგრამ რომლის შესახებაც ჩვენ ყველანაირი გაკიცხვის ღირსი

დაუდევრობის გამო აქამდე არ გვილაპარაკია. უპირველესად უნდა აღინიშნოს - იმის უარსაყოფად, რაც, შესაძლოა, უკვე დაიხატა თქვენს წარმოსახვაში - რომ ათი მილიონი ბარათი, რითაც ეს ყუთებია სავსე, სიკვდილს საკუთარი ხელით არ შეუვსია. ესღა აკლდა: იგი სიკვდილია და არა - კანცელარიის ვირთხა. ყველა ფორმულარი თავის ადგილზე, ანუ მკაცრად ანბანის მიხედვით, იმავ წამს ჩნდება, როდესაც ადამიანები იბადებიან, ხოლო ქრება, როდესაც ადამიანები კვდებიან. ადრე, ლილისფერი წერილების დანერგვამდე, სიკვდილი თავს ყუთების გახსნითაც კი არ იწუხებდა, ფორმულარების გაჩენა და გაქრობა შეუფერხებლად და დარღვევის გარეშე ხდებოდა და არ შემონახულა მოგონებები იმ სცენების შესახებ, როდესაც ერთნი ამბობდნენ, დაბადება არ გვინდაო, ხოლო მეორენი - სიკვდილის წინააღმდეგნი ვართო. ამ უკანასკნელთა ბარათები თავისთავად, ყველანაირი დახმარების გარეშე, ხვდება ოთახში, რომელიც ამ ოთახის დაბლა მდებარეობს, ან უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით - თავის ადგილს იკავებენ მიწისქვეშა შენობაში, რომელიც იარუსებად მიდის ქვევით და ქვევით, სულ უფრო ახლოს და ახლოს დედამიწის მოგიზგიზე ცენტრთან, სადაც მთელი ეს ქაღალდების უზარმაზარი გროვა, ბოლოს და ბოლოს, იწვება. ხოლო აქ, ოთახში, სადაც სიკვდილი და მისი ცელი იმყოფებიან, შეუძლებელი იქნებოდა კრიტერიუმების დადგენა, რომლებიც სამოქალაქო მდგომარეობის ჩანაწერების განყოფილების საქმეთა მწარმოებელმა მიიღო, ვინც გადაწყვიტა, ერთ არქივში გაეერთიანებინა სახელები და დოკუმენტები - ყველა, ყველა სახელი და დოკუმენტი, რომლებიც ეკუთვნოდათ მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფთ, ცოცხლებს და მკვდრებს, - იმ აზრით, რომ ისინი მხოლოდ ერთად შეძლებენ წარმოადგინონ

კაცობრიობა ისე, როგორც მისი გაგება ჯერ არს, ანუ ერთგვარი აბსოლუტური „ყველაფერი“, რომელიც არც დროზეა დამოკიდებული და არც ადგილზე, ვინაიდან მათი გაყოფა სულზე თავდასხმა იქნებოდა. აქაურ სიკვდილსა და იქაურ დოკუმენტების წინდახედულ მცველს შორის უზარმაზარი განსხვავებაა: ვიდრე ქალბატონი მედიდურობს ოლიმპიური ზიზღით, რითაც მიცვალებულებს უყურებს, - და აქ უპრიანი იქნება, სასტიკი, ამდენჯერ გამეორებული ფრაზა გავიხსენოთ: ვინც წარსულზე ლაპარაკობს, თვითონაც ჩაივლის - იგი, ჩვენი არქივარიუსი, იმის წყალობით, რასაც თანამედროვე ენაში „ისტორიული სინდისი“ ეწოდება, მყარად დგას აზრზე, რომ ცოცხლები არც ერთ შემთხვევაში მკვდრებისგან არ უნდა გავაცალკეოთ, ვინაიდან ამ შემთხვევაში არა მხოლოდ მკვდრები გახდებიან სამარადისოდ მკვდრები, არამედ ცოცხლებიც მხოლოდ ნახევარ ცხოვრებას იცხოვრებენ, მაშინაც კი, თუ მათ მათუსალას დღეგრძელობა უწერიათ, რის შესახებაც სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: ძველი აღთქმის მასორეტული ტექსტები ამტკიცებს, რომ მან ცხრაას სამოცდაცხრა წელი იცოცხლა, სამარიტული ხუთთავი კი მისთვის მხოლოდ შვიდას ოც წელს იმეტებს.

სიკვდილი ფორმულარს იკვლევს და მასში ისეთს ვერაფერს პოულობს, რაც ადრე არ უნახავს, ანუ ესაა ბიოგრაფია მუსიკოსისა, რომელიც უკვე ერთი კვირის მკვდარი უნდა იყოს, მაგრამ, ამის მიუხედავად, თავის არტისტულ ბუნაგში მშვიდად ცხოვრებას აგრძელებს შავ ძაღლთან ერთად, რომელსაც დივანზე აცოცება და ქალებისთვის კალთაში თავის ჩადება უყვარს, ასევე ვიოლონჩელსა და როიალთან ერთად, თავისი ღამეული წყურვილით და ზოლიანი პიჟამით. ამ თავსატეხის ამოხსნის საშუალება უნდა არსებობდეს, გაიფიქრა სიკვდილმა, რა

თქმა უნდა, ყველაზე კარგი იქნებოდა პრობლემის ისე მოგვარება, რომ მას ყურადღება არ მიექცია, მაგრამ თუ უმაღლესი ინსტანციები მხოლოდ იმისთვის არ არსებობს, რომ მოწყალედ მოისმინონ ხოტბა და პატივით დატკბნენ, მაშინ აი, მშვენიერი მიზეზი გამოჩნდა, აჩვენონ, რომ გულგრილნი არ არიან მათ მიმართ, ვინც ქვემოთ, დედამიწაზე, ასე ვთქვათ, მძიმედ შრომობს ოფლითა პირსა ზედა, - შეცვალონ თავიანთი დებულება, ნებართვა გასცენ განსაკუთრებული ზომების გამოყენებაზე და, თუ ამას საქმე მოითხოვს, არცთუ მთლად კანონიერი ქმედების ჩადენაზე: ყველაფერი ჯობია, ვიდრე დაუშვა, ასეთ სკანდალურ შემთხვევას გაგრძელება ჰქონდეს. ყველაზე თავშესაქცევი ისაა, რომ სიკვდილს არცთუ ნათლად წარმოუდგენია, რომელმა უმაღლესმა ინსტანციებმა უნდა ამოხსნან ეს თავსატეხი. კი, რა თქმა უნდა, გაზეთში გამოქვეყნებულ თავის ერთ-ერთ წერილში მან საყოველთაო სიკვდილი ახსენა, რომელიც, მართალია, უცნობია, როდის გაანადგურებს სიცოცხლის ყველა - ყველას, უკანასკნელ მიკრობამდე - გამოვლინებას, თუმცაღა იმის გარდა, რომ ეს ფილოსოფიური სიცხადის კატეგორიას განეკუთვნება, რამეთუ არაფერი, მათ შორის სიკვდილიც, მუდმივად ვერ გაგრძელდება, ის, ეს ხსენება ანუ, დავიდა პრაქტიკულად თუ ვიტყვით, დასკვნამდე, რომელიც, მართალია, გამყარებული არ არის ცდებით მიღებული შედეგებით, მაგრამ საღ აზრს ეფუძნება და უკვე დიდი ხანია, ტრიალებს უბნების რწმუნებულ სიკვდილებს შორის. დიახ, მათ ბევრი გააკეთეს, უნივერსალური სიკვდილის რწმენა რომ შენარჩუნებულიყო, რომელსაც ამ დრომდე თავისი ამ წარმოსახვითი ძლევამოსილების ნიშანწყალიც კი არ გამოუვლენია. ეს ჩვენ, უბნების რწმუნებულები, ფიქრს განაგრძობდა სიკვდილი, ვმუშაობთ რეალურად, ჩვენ ვწმენდთ დედამიწას ყველანაირი ხორცმეტისგან და, გულწრფელად რომ ვთქვათ, სრულიად არ გამიკვირდებოდა, თავად კოსმოსი რომ გამქრალიყო, და არა საყოველთაო სიკვდილის საზეიმო გამოცხადებისგან, რაც გალაქტიკებსა და შავ ხვრელებს შორის დაიქუხებდა, არამედ უმნიშვნელო, კერძო, ცალკეული სიკვდილუკებისა და სიკვდილუნების თავმოყრის შედეგად: აი, ისე, იმ ქათამს, ანდაზიდან, მარცვალ-მარცვალ კი არ აეკენკა და ჩიჩახვი კი არ გაევსო, არამედ პირიქით, ჩიჩახვი მარცვალ-მარცვალ ამოეცალა და რა სულელურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ჩემი წარმოდგენით ზუსტად ასე ემართება სიცოცხლეს, რომელიც თავის დასასრულს უჩვენოდ, თავად აახლოებს, ისე, რომ არ ელოდება, როდის გავუწვდით დახმარების ხელს. ასე რომ, კარგად არის გასაგები სიკვდილის დაბნეულობა. იგი უკვე იმდენი ხნის წინ გამოუშვეს და გაამწესეს ამ სამყაროში, რომ უკვე ვეღარც კი გაიხსენებს, მკაცრი ინსტრუქცია მისთვის დაკისრებული დავალების დაუყოვნებლივ შესრულების შესახებ ვისგან მიიღო. მას ხელში წესდება მიაჩეჩეს, მიუთითეს სიტყვაზე „მოკალი“, როგორც ერთადერთ გზამკვლევ ვარსკვლავზე, სავარაუდოდ, ვერ შენიშნეს, როგორი შავბნელი ირონია იმალება ამ სიტყვებში და უთხრეს, წადი, იცოცხლეო. ისიც წავიდა, იფიქრა, რომ რაღაც ეჭვის ან გაუგებრობის შემთხვევაში მას უეჭველად გაუმაგრებენ ზურგს: ყოველთვის მოიძებნება ვიღაც - ბელადი, ბოსი, უფროსი, სულიერი ხელმძღვანელი, - ვისაც შეგიძლია, რჩევა-დარიგება სთხოვო.[1]

თუმცაღა, ძნელი დასაჯერებელია - და ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, ვიწყებთ სიკვდილისა და ვიოლონჩელისტის ურთიერთობის ცივი გონებით აღწერას - რომ ასეთი სრულყოფილი ინფორმაციული სისტემა, რომლის

წყალობითაც ათასწლეულების განმავლობაში ამ არქივებში სანიმუშო წესრიგი სუფევდა, მონაცემთა ბაზებს მუდმივად აახლებდა, აჩენდა ან აქრობდა ახალდაბადებულების ან გარდაცვლილების ფორმულარებს. მაშ ასე, გავიმეორებთ, ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი სისტემა ისეთი პრიმიტიული აღმოჩნდა, რომ ეს ინფორმაციული ცენტრი, სადაც უნდა იყოს იგი, სიკვდილის საქმიანობის შესახებ ყოველდღიურ ცნობებს არ იღებდა, ხოლო თუ შეუფერხებლად იღებს და არ რეაგირებს საგანგებო ცნობაზე იმის შესახებ, რომ ვიღაც, როცა საჭირო იყო, არ მიიცვალა,მაშინ ან ჩვენი ლოგიკური დასკვნების ჯიბრზე და მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ეს ეპიზოდი საინტერესო არ არის და, როგორც ჩანს, თავს ვალდებულად არავინ თვლის, ჩაერიოს და წესრიგი დაამყაროს, ან იგულისხმება, რომ სიკვდილს, კვლავაც საკუთარი მოსაზრებებისა და ფიქრების საწინააღმდეგოდ, სრული კარტბლანში აქვს, რომ ყველა პრობლემა, რომელიც მის ყოველდღიურ საქმიანობასა და საზრუნავში ჩნდება, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს. საჭირო იყო, რომ სიტყვა „ეჭვი" ამ გვერდებზე არა ერთხელ და ორჯერ გაჩენილიყო, რათა სიკვდილის მეხსიერებაში მოულოდნელად დებულებიდან ერთი პარაგრაფი ამოტივტივებულიყო, რომელიც სტრიქონქვეშა შენიშვნის პატარა შრიფტით იყო დაბეჭდილი, ყურადღებას არ იქცევდა და კარგა ხანს შეუმჩნეველი რჩებოდა. სიკვდილმა ვიოლონჩელისტის ბარათი გვერდზე გადადო და წიგნი აიღო. მან იცოდა, რომ ის, რასაც ეძებდა, სადმე დანართებში კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ დებულების თავდაპირველ, ყველაზე ძველ და ამიტომაც სხვებზე ნაკლებად კითხვად ნაწილში. საეჭვო შემთხვევებში, ჩაიბურტყუნა სიკვდილმა, როდესაც საჭირო ადგილი იპოვა, სიკვდილი ვალდებულია, უმოკლეს

ვადაში და მიღებული გამოცდილების შესაბამისად ყველა საშუალებით ხელი შეუწყოს desideratum-ის აღსრულებას, რაც ყველა და ნებისმიერ გარემოებაში წარმართავს მის ქმედებებს, რომელთა მიზანიც დაბადებისთანავე განსაზღვრული ვადის გასრულების შემდეგ სიცოცხლის შეწყვეტაა, მაშინაც კი, თუ ზემოხსენებულის შესრულების დროს ისეთი მეთოდების გამოყენების აუცილებლობა წარმოიშობა, რომლებიც სცილდება მიღებულ ფარგლებს და დაშვებულია ისეთ სიტუაციებში, როდესაც ფატალური ჩანაფიქრის რეალიზაცია ობიექტის ანომალიურ რეაქციას აწყდება, ან გარემოებების ანომალიურ დამთხვევას, რომლებიც ამ სახელმძღვანელოს შედგენის დროს ვერც გათვალისწინებული იქნებოდა და ვერც მხედველობაში მიღებული. მთელი ამ საკანცელარიო აბდაუბდის აზრი საკმაოდ ნათელია - სიკვდილს ხელ-ფეხი გახსნილი აქვს და შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ იმოქმედოს. და როგორც ის გამოკვლევა აჩვენებს, რომელზეც ახლა გადავალთ, აქ ახალი არაფერია. ხოლო თუ არის, ამასაც ვნახავთ. როდესაც სიკვდილს საკუთარი შიშისა და რისკის ფასად მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან საქმიანობის შეჩერება მოეგუნება, არ იფიქრა თავცარიელმა, რომ რომელიღაც ზემდგომ ინსტანციას ასეთი უმაგალითო სულელური გამოხდომის გამო შეიძლებოდა მისთვის პასუხი მოეთხოვა, ასევე არ იფიქრა, რომ მისი კოლორისტული გადაწყვეტილებისთვისაც - ანუ ლილისფერი წერილებისთვის - იგივე, ან უფრო მაღალ ინსტანციას შეიძლებოდა ალმაცერად შეეხედა. აი, როგორი საფრთხეები გამომდინარეობს ავტომატურობისგან, გამაბრუებელი რუტინულობისგან, დამღუპველი დაჩვეულობისგან. თუ ვინმე - ადამიანი ან სიკვდილი, ამ შემთხვევაში განსხვავება საერთოდ არაა - დღიდან დღემდე

მუყაითად და სკრუპულოზურად, რამეში ეჭვის შეტანის გარეშე, რაიმე კითხვის გაჩენის გარეშე ასრულებს თავის სამუშაოს და მთელ ყურადღებას მხოლოდ იმას უთმობს, რომ მიჰყვეს, რაც ზემოდან წინასწარ დასახეს და თუ ცნობილი ვადის გასვლის შემდეგ ცხვირს არავინ ჩაყოფს და არ დაინტერესდება, ეს ვინმე როგორ ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, მაშინ სრული სიცხადით შეიძლება განჭვრეტა: იგი, კაცი თუ ქალი, ისე, რომ ამას თავადაც ვერ შეამჩნევს, ძალიან მალე დაიწყებს ისე მოქცევას, თითქოს მბრძანებლობს და ყველაფერს, რასაც აკეთებს განუყოფლად ფლობს, ამასთან, განსაზღვრავს არა მარტო იმას, რა გააკეთოს, არამედ იმასაც, როგორ გააკეთოს და როდის. აი, თქვენ ერთადერთი გონივრული ახსნა იმისა, რატომ არ მიიჩნია სიკვდილმა საჭიროდ, ვინმესთვის ნებართვა ეთხოვა, როდესაც მიიღო და მოქმედებაში მოიყვანა ტრანსცედენტური გადაწყვეტილება, რის შესახებაც ჩვენ უკვე ვიცით და რის გარეშეც ჩვენი მონათხრობი - ჩვენი გადასაწყვეტი ნამდვილად არაა, ეს უკეთესი იქნებოდა თუ უარესი - უბრალოდ არ იარსებებდა. მაგრამ მას ამაზე არც უფიქრია. და ახლა, რა უცნაურიც უნდა იყოს, სწორედ იმ წამს, როდესაც თავმომწონედ გაიბერა, რომ მხოლოდ მას აქვს მინიჭებული ძალაუფლება, ადამიანთა სიცოცხლე განკარგოს და რომ იგი ვალდებული არაა - არც დღეს და არც არასოდეს - ვინმეს ანგარიში ჩააბაროს, სწორედ იმ წამს, როდესაც პატივმოყვარეობის ცეცხლმა საბოლოოდ დაახვია თავბრუ, სიკვდილი მიხვდა, რომ ძალა არ შესწევს, თავი დააღწიოს მორცხვ ფიქრს ადამიანზე, რომელმაც რაღაც სასწაულით სულ ბოლო წამს მისგან თავის დაძვრენა მოახერხა.

და მაინც, სიკვდილი თვითმპყრობელი მბრძანებლის იერით სკამიდან დგება. ამ გამოყინულ სარდაფში კი არ უნდა იჯდეს, თითქოს ცოცხლად დაუმარხავთო, არამედ ყველაზე მაღალი მთის წვერზე, ქვეყნიერების ბედს უნდა განაგებდეს, მოწყალე თვალით დაჰყურებდეს ადამიანთა ფარას, რომელიც უაზროდ სლუკუნებს და ღმუის, თითქოს ვერ იგებს, რომ ყველა ერთი ბედისთვისაა განწირული, რომ ნაბიჯი წინ ზუსტად ისევე გაახლოებს სიკვდილთან, როგორც ნაბიჯი უკან, რომ ყველა ყველას თანასწორია, რამეთუ ყველაფერს ერთი ბოლო აქვს - ის, რომლის შესახებაც შენმა რომელიღაც ნაწილმა ყოველთვის უნდა იფიქროს, ვინაიდან ეს ფიქრები შენი, ადამიანთა მოდგმის კუთვნილების ჩამოურეცხავი დაღია. სიკვდილს ხელში მუსიკოსის ფორმულარი უჭირავს. კარგად ესმის, რომ მას რამე უნდა მოუხერხოს, თუმცა ზუსტად ჯერ არ იცის, რა. მაგრამ, უპირველესად, უნდა დაწყნარდეს, იფიქროს, რომ ის ახლა იმაზე მეტად კი არ არის სიკვდილი, ვიდრე ადრე იყო, უბრალოდ, ახლა ამაში უფრო დარწმუნებულია: აი, ერთადერთი განსხვავება ადრინდელსა და ახლანდელს შორის. და მეორეც: ბოლოს და ბოლოს, ვიოლონჩელისტთან ანგარიშის გასწორების შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის საიმისო მიზეზი, რომ წერილების დღიური ნორმა დაივიწყოს. გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ მაგიდაზე თავისით დალაგდა ორას ოთხმოცდაოთხი ბარათი: ნახევარი - ქალები, ნახევარი - კაცები, და ბარათებთან ერთად იქვე აღმოჩნდა ორას ოთხმოცდაოთხი ფურცელი და ორას ოთხმოცდაოთხი კონვერტი. სიკვდილი ისევ სკამზე დაეშვა, ვილონჩელისტის ბარათი თავისკენ მიიჩოჩა და წერა დაიწყო. ქვიშის საათის ყელში ქვიშის ბოლო მარცვალი გაძვრა, როდესაც სიკვდილმა ორას ოთხმოცდამეოთხე წერილზე თავისი ხელმოწერა დასვა. კიდევ ერთი საათიც და დაბეჭდილი

კონვერტები უკვე გასაგზავნად იყო მზად. სიკვდილმა ის კონვერტი აიღო, რომელიც სამჯერ გაგზავნა და სამჯერვე უკან დაუბრუნდა, ლილისფერი კონვერტების შეკვრაზე დადო. ბოლო შანსს მოგცემ, წარმოთქვა მან. მარცხენა ხელი ჩვეულად გაიქნია და წერილები გაქრა. ათი წამიც არ იყო გასული, რომ ვიოლონჩელისტისთვის გაგზავნილი წერილი ისევ და სრულიად უხმოდ მაგიდაზე გაჩნდა. რა გაეწყობა, რაც გინდოდა, იმას მიიღებ, თქვა მაშინ სიკვდილმა. ფორმულარში დაბადების თარიღი გადაშალა, ახალი დაწერა, ერთი წლით გადმოსწია, შემდეგ გრაფაში „ასაკი" ორმოცდაათი ორმოცდაცხრად გადააკეთა. ასე არ შეიძლება, კუთხიდან ცელის ხმა გაისმა. უკვე გაკეთებულია. ამას რაღაც მოჰყვება. მხოლოდ ერთი. რა. სიკვდილი იმ დაწყევლილი ვიოლონჩელისტისა, რომელიც ჩემს ხარჯზე ერთობა. ჰო, მაგრამ იმ საცოდავმა ხომ არ იცის, რომ უკვე მკვდარი უნდა იყოს. ჩემთვის სულერთია, იცის თუ არა. რაც უნდა იყოს, შენ უფლება არ გაქვს, ბარათში ცვლილებები შეიტანო. ცდები, ყველა უფლება მაქვს, ასევე ყველანაირი ძალაუფლებაც და სრული ნება-სურვილიც და დაიმახსოვრე, არასოდეს ასეთი არ ვყოფილვარ, როგორიც დღეის შემდეგ ვიქნები. წარმოდგენაც არ გაქვს, თავი რაში გაყავი, გააფრთხილა ცელმა. მთელ სამყაროში მხოლოდ ერთი ადგილია, სადაც სიკვდილს შესვლა არ შეუძლია. ეს რომელი. მას სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ - ჯურჯელი, კუბო, სასახლე, შესაფუთი, ხის ბუშლატი, აკლდამა, სარკოფაგი და აი, იქ ხელი არ მიმიწვდება, იქ მხოლოდ ცოცხლები შედიან, რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც მათ დავხოცავ. რამდენი სიტყვაა ერთი და სამწუხარო მიზეზის გამო. ეს ჩვენ გვჩვევია: ლაპარაკით გულს ვერ ვიჯერებთ ხოლმე.

* * *

სიკვდილს გეგმა აქვს. დაბადების წლის შეცვლა მხოლოდ და მხოლოდ პირველი სვლა იყო იმ ოპერაციაში, რომელშიც - ახლა უკვე შეგვიძლია ეს ვთქვათ - სრულიად განსაკუთრებული, კაცობრიობის და მისი დაუძინებელი მტრის ურთიერთობის მთელი ისტორიის განმავლობაში ჯერ არნახული მეთოდები იქნება გამოყენებული. და როგორც ჭადრაკის პარტიაშია, სიკვდილმა დედოფლით იარა. კიდევ რამდენიმე სვლა შამათთან მიიყვანს და გამარჯვებას უზრუნველყოფს. აქ ნებადართული იქნება დავინტერესდეთ, სიკვდილმა სტატუს-კვო რატომ არ აღადგინა, რატომ არ დაუბრუნდა იმ მდგომარეობას, როდესაც ადამიანები უბრალოდ იმისგან კვდებოდნენ, რომ უნდა მომკვდარიყვნენ და არ ელოდნენ, როდის მოუტანდათ მათ ფოსტალიონი ლილისფერ კონვერტში ჩადებულ წერილს. კითხვა ლოგიკურია, მაგრამ პასუხიც არანაკლები იქნება. საუბარი მაინც და უპირველესად შებღალულ თავმოყვარეობაზეა, პროფესიულ სიამაყეზე, შელახულ ღირსებაზე, ამიტომაც სიკვდილისთვის ძველი დროების უმწიკვლობასთან დაბრუნება მთელი მსოფლიოს თვალში საკუთარი მარცხის აღიარებას ნიშნავდა. როგორც ჩანს, რადგან უკვე ჩაშვებულია, ვიოლონჩელისტის მოკვდინება ლილისფერი წერილების პროექტის ფარგლებში უნდა მოხდეს. მოდი, სიკვდილის ადგილას საკუთარი თავი დავაყენოთ და მაშინ მისი არგუმენტების საფუძვლიანობას ვაღიარებთ. ჰო, რა თქმა უნდა, როგორც ოთხგზის ვნახეთ, მთავარი ამოცანა - გვარიანად გაცვეთილი წერილის ადრესატამდე მიტანა - გადაუჭრელი რჩება და ამ სასურველი მიზნის - ყბადაღებული

დეზიდერატას - მისაღწევად, როგორც ზემოთ ითქვა, საგანგებო საშუალებები იქნება გამოყენებული. თუმცაღა, არ ღირს მოვლენებს გავასწროთ, უმჯობესია, ვნახოთ, რითია სიკვდილი დაკავებული მოცემულ მომენტში. ხოლო სიკვდილი მოცემულ მომენტში იმითაა დაკავებული, რითაც ყოველთვის, ანუ, თუ გავრცელებულ გამოთქმას გამოვიყენებთ, - თანახმიანობა შეცდომაში ნუ შეგიყვანთ: საიდანმე კი არ გამოვაყენებთ, არამედ გამოვიყენებთ, - ერთდროულად ყველგან იმყოფება. მას იმის აუცილებლობა არ უდგას, რომ იმ ადამიანებს სდიოს, ვისი დაჭერაც სურს: იგი ყოველთვის იქ აღმოჩნდება, სადაც ისინი. ამჟამად ახალი ტექნოლოგიების - ფოსტით შეტყობინების - წყალობით მას შეეძლო, თავის მიწისქვეშეთში წყნარად მჯდარიყო და დალოდებოდა, მის მაგივრად მთელ სამუშაოს ფოსტა როდის შეასრულებდა, მაგრამ მისი საქმიანი და მოუსვენარი ბუნება შეზღუდვას ვერ იტანს და თავისუფლებას ითხოვს. ტყუილად კი არ ამბობს ძველი ანდაზა, მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენოდა ასე შემდეგ. ჰოდა, აი, სიკვდილიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, ტყისკენ იყურება. არა, არა, იგი მეტ სისულელეს აღარ ჩაიდენს, უპატიებელ სისუსტეს აღარ გამოიჩენს, არ დათრგუნავს საუკეთესოს, რაც მასშია, - უკიდეგანო ექსპანსიის შესაძლებლობას - და, როგორც ჩანს, ისე აღარ იმოქმედებს, როგორც ვიოლონჩელისტის სახლში გატარებულ წინა ღამეს, როდესაც ერთმა ღმერთმა იცის, რა ძალისხმევის ფასად შეძლო შეკუმშულიყო, საკუთარი თავისთვის თავი მოეყარა, ხილვადობის ბოლო ზღვარზე დარჩენილიყო და მას არ გადასცდენოდა. ათას მეერთედ გავიმეორებთ: სიკვდილი ყველგანმყოფია, ესე იგი მუსიკოსის სახლშიც არის. ძაღლს ეზოში მზეზე სძინავს და პატრონის დაბრუნებას ელოდება. მან არ იცის, იგი სად

წავიდა და რისთვის, და თუ ძაღლურ სულს ეწვია კიდეც მის კვალზე გაყოლის ცდუნება, მაშინვე უკუაგდო, ვინაიდან დედაქალაქი თავგზის ამბნევად ბევრ ცუდ და კარგ სუნს აფრქვევს. ნუ ვიფიქრებთ, თითქოს ძაღლებმა ჩვენ შესახებ რამე იციან - რეალურად არც არაფერი. აი, სიკვდილი სხვა საქმეა: სიკვდილმა იცის, რომ ვიოლონჩელისტი თეატრის სცენაზე, დირიჟორის მარჯვნივ ზის, ანუ იქ, სადაც მისი ინსტრუმენტის ადგილია, სიკვდილი ხედავს, მის მარჯვენა ხელს ხემი როგორ დაჰყავს, ხოლო მარცხენა მარჯვედ - თუმცა კი მარცხენაა - სიმებზე დათამაშობს, ზუსტად ისე, როგორც სულ ცოტა ხნის წინ ნახევრად სიბნელეში თავად სიკვდილი აკეთებდა, მიუხედავად იმისა, რომ არასდროს არაფერზე დაუკრავს და მუსიკის ანაბანაც კი არ იცის. დირიჟორმა პიუპიტრის კიდეზე ჯოხის დაკაკუნებით რეპეტიცია შეწყვიტა, რათა შენიშვნა მიეცა და გამოეთქვა სურვილი: აქ ვიოლონჩელები - დიახ, დიახ, სწორედ ვიოლონჩელები - ისე უნდა ჟღერდეს, რომ არც ისმოდეს, და მუსიკოსები გვაჩვენებენ, რომ დიდი ძალისხმევის გარეშე გაშიფრეს ეს აკუსტიკური შარადა - ასეთია ეს ხელოვნება: მასში ბევრი ისეთი რამეა, რაც გაუთვითცნობიერებელ ადამიანს შეუძლებელი ჰგონია, სინამდვილეში კი ასე არ არის. ზედმეტია იმის თქმა, რომ სიკვდილი თეატრს მთლიანად ავსებს, ვრცელდება ჭერამდე, რომელიც ალეგორიული კომპოზიციებითაა მოხატული და ვეებერთელა, ამჟამად ჩამქრალ ჭაღამდე, მაგრამ მოვლენებისთვის თვალის დევნებას ლოჟიდან ამჯობინებს, რომელიც სცენასთან ოდნავ ირიბადაა განლაგებული, მისი დონიდან ოდნავ მაღლაა და ახლოს არის სიმებიან საკრავებთან, რომელთაც დაბალი ტონალობა აქვთ - ანუ ალტებთან, ვიოლინოს ოჯახობაში კონტრალტოს რომ მღერიან, ვიოლონჩელიებთან,

ბარიტონებს რომ მიესადაგებიან და კონტრაბასებთან, ყველაზე უხეში ხმის პატრონებთან. აი, იქ, ვიწრო, ალისფერ ხავერდგადაკრულ სკამზე, სიკვდილი ზის და ვიოლონჩელისტს თვალს არ აშორებს - სწორედ იმას, რომელიც მძინარე ნახა, რომელიც ზოლებიან პიჟამას ატარებს, რომელსაც ძაღლი ჰყავს, ახლა ეზოში მზეზე რომ თვლემს და პატრონის დაბრუნებას ელოდება. აი, ის - მისი ადამიანი: ვიოლონჩელისტი, მუსიკოსი და მეტი არაფერი, ისეთივე, როგორიც არის თითქმის ასამდე მამაკაცი და ქალი, ნახევარწრედ რომ დამსხდარან საკუთარი შამანის, მაესტროს წინ და ამ დღეებში, მომავალ კვირას, მომავალ თვეს, დამდეგ წელს ლილისფერ წერილს მიიღებენ და გათავისუფლებულ ადგილს სხვა მევიოლინე დაიკავებს, სხვა ფლეიტისტი, მესაყვირე, შეიძლება სხვა შამანმაც აიქნიოს ჯოხი და ხმებს შეულოცოს: ცხოვრება ორკესტრს ჰგავს, რომელიც მუდამ უკრავს, ხან - შეთანხმებულად, ხან კიდევ - უწესრიგოდ, ან კიდევ - „ტიტანიკს", რომელიც ხან მორევში ინთქმება, ხან ზედაპირზე ამოდის და სწორედ ამ წამს სიკვდილი ფიქრობს, რომ ვეღარაფერს იღონებს, თუ დანთქმული გემი აღარასოდეს ამოტივტივდება წყლის ზედაპირზე მომაჯადოებელი სიმღერის თანხლებით, წყლისა, რომელიც გემბანზე გადადის და იმ რბილ შხაპუნს ჰგავს, რითაც მან ოდესღაც, მისი დაბადების ჟამს, ამფიტრიტეს ბორცვები და ღრმულები განბანა და ღმერთქალად აქცია, ვინც არწევს წყალს - ასე ითარგმნება მისი სახელი. სიკვდილი საკუთარ თავს ეკითხება, სად არის ახლა ის ამფიტრიტე, ნერსევსისა და დორიდას ქალიშვილი, სად არის ის, ვისაც სინამდვილეში არასდროს უარსებია, თუმცა ადამიანის სულში მოკლე ვადით ბინა მაინც დაიდო, რათა მასში - ასევე არა დიდი ხნით - სამყაროს გააზრების, ამ რეალობაში აზრის პოვნის სწორი

და განსაკუთრებული საშუალება შეექმნა. და მაინც ვერც გაიაზრებენ და ვერც იპოვიან, გაიფიქრა სიკვდილმა, და, როგორც უნდა ეცადონ, ვერასდროს ვერაფერს გაიგებენ, იმიტომ, რომ ყველაფერი მათ ცხოვრებაში დროებითი, მერყევი, არამყარია, ყველაფერი შეუჩერებლად სრულდება და რაც იყო, ღმერთებიც და ადამიანებიც, - უკვე გათავდა, რაც არის - სამუდამო არაა და თავად მეც არარად ვიქცევი, როდესაც კლასიკური მანერით ან ფოსტით მოსაკლავი აღარავინ იქნება. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ასეთი აზრები სხვა აზრთა მდინარებაში, როგორიც უნდა ყოფილიყო ისინი, ბევრჯერ ჩარეულა, მაგრამ ჯერ არასდროს ასეთი შვება არ მოუგვრია, იმის მსგავსი, რომელსაც მხოლოდ მაშინ განიცდი, როდესაც მომქანცველი შრომის შემდეგ დასასვენებლად წამოწვები. მოულოდნელად ორკესტრი დადუმდა და მხოლოდ ვიოლონჩელის ხმა ისმოდა, - ამას სოლო ეწოდება, მოკრძალებული სოლო, ორ წუთზე მეტხანს რომ არ გაგრძელდება და თითქოს შამანის მიერ გამოხმობილი ძალებით ამოიჭრა ერთი ხმა, რომელიც ყველას სახელით საუბრობს, ვინც ჩუმადაა, ის კი არა, თავად დირიჟორიც გაქვავდა და მისჩერებია მუსიკოსს, რომელმაც სახლში სკამზე გადაშლილი დატოვა სანოტო რვეული, სადაც მოჩანს ბახის მიერ შეთხზული სიუიტა ნომერი ექვსი, ოპუსი ათას თორმეტი რე მაჟორი, მოჩანს სიუიტა, რომლის დაკვრასაც იგი ამ თეატრში ვერასდროს ეღირსება იმიტომ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ვიოლონჩელისტია, თუნდაც ყველაზე მთავარი თავის ჯგუფში, და არ მიეკუთვნება ცნობილი შემსრულებლების რიცხვს, რომლებიც მთელ მსოფლიოში მოგზაურობენ, კონცერტებს მართავენ და ინტერვიუებს აძლევენ, ყვავილებსა და ოვაციებს, პატივისცემას და ჯილდოებს იღებენ, და ბედნიერებაა, თუ დროდადრო იმის შანსი მიეცა,

რამდენიმე ტაქტი სოლო მაინც შეასრულოს, ისიც რომელიმე დიდსულოვანი კომპოზიტორის წყალობით, ვისაც ორკესტრის მარჯვენა მხარე გაახსენდა, სადაც იშვიათად, რომ რუტინის ჩარჩოებს რამე გასცდეს. დასრულდება რეპეტიცია, იგი ინსტრუმენტს ბუდეში დამალავს, სახლში დაბრუნდება და ალბათ ამავე საღამოს, ვახშმის შემდეგ, ბახის სიუიტას პიუპიტრზე დადებს, ღრმად ჩაისუნთქავს და ხემით სიმებს შეეხება, რათა იქიდან წამოსულმა პირველმა ნოტმა იგი ცხოვრებისეულ განუშორებელ ბანალურობასთან შეარიგოს, ხოლო მეორემ დაავიწყოს ის. სოლო კი ამასობაში დასრულდა და ბოლო აკორდის გამოძახილი ორკესტრის tutti-მ შთანთქა, შამანმა კი მბრძანებლურად აიქნია ჯოხი და თავის საქმიანობას, ხმათა სულების შემლოცველისა და გამტარის საქმიანობას დაუბრუნდა. სიკვდილი ამაყია იმით, რა კარგად დაუკრა მისმა ვიოლონჩელისტმა. ამაყია, როგორც დედა და საცოლე, კინაღამ „ცოლი“ წამოგვცდა, მაგრამ იგი ხომ დაქორწინებული არასდროს ყოფილა.

მომდევნო სამი დღე სიკვდილი, რომელიც მუსიკოსს მხოლოდ იმისთვის ტოვებდა, რომ თავის მიწისქვეშეთში შეერბინა, საჩქაროდ წერილები დაეწერა და ფოსტაში გაეგზავნა, ვიოლონჩელისტის ჩრდილად კი არ იქცა, არამედ - ჰაერად, რომლითაც იგი სუნთქავდა. ჩრდილს, დამეთანხმეთ, დიდი ნაკლი აქვს: ის შუქის წყაროს გარეშე შეუმჩნეველია. სიკვდილი კი, ვიოლონჩელისტის გვერდით იჯდა ტაქსიში, რომლითაც იგი სახლში ბრუნდებოდა, მოწყალე თვალით უყურებდა, როგორ გიჟობდა სიხარულისგან გადარეული ძაღლი, მერე კი, თითქოს სტუმრად დაპატიჟესო, სახლში იკალათებდა. იმისთვის, ვისაც მოძრაობის საჭიროება არა აქვს, ეს იოლია: სიკვდილისთვის სულერთია, იატაკზე დაჯდება თუ კარადაზე აძვრება. რეპეტიცია დიდხანს გაგრძელდა, უკვე მალე მოსაღამოვდება. ვიოლონჩელისტმა ძაღლს აჭამა, შემდეგ თავისთვის მოიმზადა ვახშამი, ორი რკინის ქილა ამოაცარიელა და გააცხელა ის, რაც გაცხელებას ექვემდებარებოდა, შემდეგ სამზარეულოს მაგიდაზე პირსახოცი გაფინა, თეფშები დააწყო, დაალაგა ხელსახოცები, ჭიქაში ღვინო დაისხა და აუჩქარებლად, თითქოს რაღაცაზე ფიქრობსო, ჩანგალი პირთან მიიტანა. ძაღლი მაგიდის სიახლოვეს იჯდა, რადგან იცოდა, პატრონს შეიძლებოდა საკუთარი თეფშიდან მისი გამასპინძლება მოენდომებინა - დესერტივით იქნებოდა. სიკვდილი ვიოლონჩელისტს უყურებს. არსებითად იგი სილამაზეს სიმახინჯისგან ვერ განასხვავებს და შეიძლება ამიტომაც სახის მაგივრად აქვს თავის ქალა, თვალებისა და ცხვირის გარეშე, შეპყრობილია დაუძლეველი სურვილით, ჩვენი არსი გამოავლინოს და ის გარეგნობის ვიტრინიდან გამოაძვრინოს. სინამდვილეში კი, სინამდვილეში - ამ ჭეშმარიტებას ვერ დამალავ - სიკვდილის თვალში ჩვენ ყველანი ერთნაირად უშნო ვართ, მაშინაც კი, როდესაც სილამაზის დედოფლები ვართ, ან ამ ტიტულის მამაკაცურ ეკვივალენტს ვატარებთ. მას შეუძლია შეაფასოს, რა ძლიერი თითები აქვს ვიოლონჩელისტს, ხოლო მარცხენა ხელზე თითის წვერები, ალბათ, გაუხეშებულია, შესაძლოა, დაკოჟრილიც. ცხოვრება უსამართლოა - მარცხენა ხელს უფრო მძიმე ჯაფა აწევს, ხოლო მაყურებლის ტაში იმას ხვდება, რომელიც ხემს ამოძრავებს. ვიოლონჩელისტმა ივახშმა და ჭურჭელი დარეცხა, პირსახოცი და ხელსახოცი ფაქიზად, ნაკეცების მიხედვით დაკეცა, ბუფეტის უჯრაში შეინახა და ვიდრე სამზარეულოდან გავიდოდა, მზერა მოავლო - ყველაფერი რიგზეა თუ არაო. ძაღლი მას მუსიკალურ სალონში გაჰყვა, სადაც მათ სიკვდილი

ელოდათ. ჩვენი ვარაუდების საწინააღმდეგოდ, ვიოლონჩელისტს ბახის სიუიტა არ დაუკრავს. ერთხელ, როდესაც სხვა ორკესტრანტებთან ნახევრად ხუმრობით საკუთარი მუსიკალური პორტრეტის შექმნის შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი, მან თქვა, რომ მისი პორტრეტი, თუ ასეთი მუსიკაში მართლაც არსებობს, ვიოლონჩელისთვის დაწერილ ნაწარმოებებში კი არ უნდა ვეძებოთ, რამეთუ ის იქ არაა, არამედ შოპენის მოკლე ეტიუდში, ოპუსი ოცდახუთი, ნომერი ცხრა, სოლ ბემოლ მაჟორი. მას ჰკითხეს, რატომო და მან უპასუხა, რომ საკუთარი თავი ვერსად დაინახა, გარდა სანოტო ქაღალდის ხაზებისა და ეს მას ყველაზე დამაჯერებელი მიზეზი ჰგონია. და კიდევ დაამატა, რომ ორმოცდათვრამეტ წამში შოპენმა ყველაფრის თქმა მოახერხა, რისი თქმაც შეიძლება ადამიანზე, ვისაც საერთოდ არ იცნობ. და კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში ხუმარები მას სხვანაირად არ მიმართავდნენ, თუ არა „ორმოცდათვრამეტი წამი“, მაგრამ მეტსახელი არდამკვიდრდა, რადგან ძალიან გრძელი იყო, ასევე იმის გამო, რომ შეუძლებელია დიალოგი იმასთან, ვინც აპირებს, კითხვაზე პასუხი ორმოცდათვრამეტ წამში გაგცეს. და ახლა ვიოლონჩელისტი, თითქოს სახლში ვიღაც მესამის ყოფნა იგრძნოო, ვისთანაც, არავინ იცის, რატომ, საკუთარ თავზე უნდა ელაპარაკა, თან არ სურდა ლაყბობის დაწყება, რომელიც აუცილებელია თუნდაც ყველაზე პრიმიტიულ ცხოვრებაზე მეტ-ნაკლებად მკაფიო წარმოდგენის შესაქმნელად, როიალთან დაჯდა, ცოტა ხანი შეიცადა, რათა პუბლიკა მოშინაურებულიყო და ეტიუდს შეუტია. ძაღლს, რომელიც მძინარე, პიუპიტრის გვერდით გაშხლართულიყო, თავსდამტყდარი ხმების ქარიშხლისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია - ან იმიტომ, რომ ეს კომპოზიცია ადრეც მოესმინა, ან იმიტომ,

რომ თავისი პატრონის შესახებ მის ცოდნას არაფერს მატებდა. სიკვდილმა კი, რომელსაც, სამსახურიდან გამომდინარე, სხვა ბევრი მუსიკაც მოესმინა, სადაც საპატიო ადგილი ეჭირა იმავე შოპენის სამგლოვიარო მარშს ან ადაჯიო ასაის, ბეთჰოვენის მესამე სიმფონიიდან, პირველად თავისი უსასრულოდ გრძელი ცხოვრების განმავლობაში გააცნობიერა, რომ შეიძლება წარმოიშვას იდეალური თანაარსებობა იმასთან, რაც ითქმის, იმისა, როგორც ითქმის. რას დავეძებთ, არის თუ არა ეს ვიოლონჩელისტის მუსიკალური პორტრეტი, მით უფრო, რომ თავისი შორეული მსგავსება, სავარაუდოდ, თავად მოიგონა და წარმოიდგინა: სიკვდილი ყველაზე მეტად იმან შეძრა, რომ მან ამ ორმოცდათვრამეტ წამში ყველა და თითოეული ადამიანის ცხოვრების, როგორც არაფრით გამორჩეულის, ისე არაჩვეულებრივის, რიტმული და მელოდიური ტრანსპონირების ჟღერადობა გაიგონა - საქმე ტრაგიკულ სიმოკლეში იყო, სასოწარკვეთით გაჯერებაში, და კიდევ იმაში, რომ ვითომც პაუზის ნიშნით აღბეჭდილი ფინალური აკორდი ჰაერში დაეკიდა, სადღაც სიცარიელეში, თითქოს კიდევ რამე დარჩა გამოუთქმელი. ვიოლონჩელისტი ჩავარდა ერთ-ერთ ყველაზე მიუტევებელ ცოდვაში, რომელსაც ამპარტავნება ჰქვია - მან წარმოიდგინა თავისი გამორჩეული ფიგურა პორტრეტში, რომელმაც ყველა აღბეჭდა და ეს ამპარტავნება, თუ კარგად დავაკვირდებით, არსში ჩავწვდებით და ზედაპირზე არ გავიჩხირებით, შეიძლება გაგებული იყოს როგორც ამპარტავნების საწინააღმდეგო გრძნობის გამოვლენა, ანუ თავმდაბლობა, ვინაიდან, თუ ამ პორტრეტზე ყველანი ვართ გამოსახული, მაშინ იქ ჩემი ადგილიც უნდა მოიძებნოს. სიკვდილი ყოყმანობს, რამეთუ ჯერ ვერ გადაუწყვეტია, ეს ამპარტავნებაა თუ თავმდაბლობა, მერე კი, ეჭვებს რომ

თავი დააღწიოს, ვიოლონჩელისტის თვალიერებას იწყებს იმ იმედით, რომ განსაზღვროს, რა არ ჰყოფნის და აკვირდება სახესა და ხელებზე, რადგან ხელისგულზე შეიძლება წაიკითხო, როგორც გადაშლილ წიგნში და აქ არაფერია ქირომანტიის ჭეშმარიტი ან ყალბი სიბრძნე, რომელიც სიყვარულის ხაზებს, სიცოცხლის ხაზებს, დიახ, დიახ, არ მოგესმათ, სიცოცხლის ხაზებს იკვლევს, მაშ ასე, მათში არაა საქმე: უბრალოდ, ხელებს მეტყველების უნარი აქვთ, როდესაც მოიკრუნჩხებიან და იშლებიან, როდესაც ეფერებიან ან ურტყამენ, როდესაც ცრემლს სწმენდენ, პირს ეფარებიან და ღიმილს ფარავენ, როდესაც მხარზე ეშვებიან, ან დამშვიდობების ნიშნად იქნევენ მათ, როდესაც მუშაობენ ან ისვენებენ, როდესაც სძინავთ ან იღვიძებენ, და აქ სიკვდილი, რომელმაც დაკვირვება დაასრულა, მივიდა დასკვნამდე, რომ ამპარტავნების ანტონიმი თავმდაბლობა სულაც არაა, თუნდაც ამას ყველა არსებული ლექსიკონი სულმოუთქმელად ჩაგვჩიჩინებდეს და იფიცებოდეს, ღმერთს იმოწმებდნენ ეს საცოდავი ქმნილებები, რომლებმაც უნდა იხელმძღვანელონ და ჩვენც გვიხელმძღვანელონ მხოლოდ არსებული სიტყვებით, თუმცა კი არსებობს უამრავი არსადჩაწერილი სიტყვა, მაგალითად, ავიღოთ თუნდაც სიტყვა, რომელიც მოწოდებულია, ამპარტავნებას დაუპირისპირდეს, მაგრამ მცირედი კავშირიც არ აქვს თავმდაბლობის დახრილ თავთან და თუმცაღა ვიოლონჩელისტის სახესა და ხელებზე მკაფიოდაა გამოსახული, ჩვენთვის თავისი სახელის თქმა არ შეუძლია.

მეორე დღეს კვირა მოუწია. როდესაც კარგი ამინდია - აი, როგორც დღეს - ვიოლონჩელისტს ჩვევად აქვს, დილის საათები ქალაქის ერთ-ერთ პარკში გაატაროს, თან ძაღლიც მიჰყავს და ერთი-ორი წიგნი მიაქვს. ძაღლი შორს არასდროს გარბის, მაშინაც კი, თუ ინსტინქტი აიძულებს, ერთი ხიდან მეორემდე ირბინოს და თავისი მოდგმის წარმომადგენელთა დატოვებული ნიშნები შეამოწმოს. დროდადრო ის ფეხსაც სწევს, მაგრამ ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას ამით იფარგლება. სხვა უფრო მნიშვნელოვან საჭიროებას სახლთან რომ ბაღია, იქ ითავებს, შესაბამისად, თავის პატრონს იძულებულს არ ხდის, უკან სპეციალური, ძაღლის განავლისთვის განკუთვნილი პლასტიკატის ტომრითა და ნიჩბით სდიოს. შეიძლებოდა აღვფრთოვანებულიყავით აღზრდის ასეთი ბრწყინვალე შედეგით, რომ არა ერთი არაჩვეულებრივი გარემოება - ეს თავად ძაღლის კეთილი ნებაა, იგი თვლის, რომ მუსიკოსი, არტისტი, ვიოლონჩელისტი, ვინც წელებზე ფეხს იდგამს, რათა ღირსეულად შეასრულოს ბახის სიუიტა ოპუსი ათას თორმეტი რე მაჟორი, ამქვეყნად იმისთვის არ გაჩენილა, რომ მიწიდან საკუთარი ან რომელიმე სხვა ძაღლის ჯერ კიდევ ოხშივარადენილი ფეკალიები კრიფოს. ეს რა საკადრისია, თქვა მან ერთხელ პატრონთან საუბრის დროს, აი, ბახს, მაგალითად, ასეთი რამ არასდროს გაუკეთებია. მუსიკოსმა ამაზე უპასუხა, რომ მას შემდეგ დრო ძალიან შეიცვალა, მაგრამ იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ აი, ბახს, მაგალითად, ასეთი რამ მართლაც არასდროს გაუკეთებია. მართალია, მას ყველანაირი ლიტერატურა უყვარს - საკმარისია მის თაროებს თვალი შეავლო - მაგრამ განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს წიგნებს ასტრონომიისა და სხვა მეცნიერებათა შესახებ, დღეს კი თან ენტომოლოგიის სახელმძღვანელო წამოიღო. ვიოლონჩელისტის მომზადების დონე მაინცდამაინც მაღალი არ არის, მაგრამ ერთობა ცნობებით იმის შესახებ, რომ დედამიწაზე მწერების მილიონამდე სახეობა

არსებობს, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფიან ფრთიანებისა და პირველად უფრთოების რიგებად, ისინი კი, თავის მხრივ - ტარაკნისებურებად, სწორფრთიანებად, ბადეფრთიანებად, სიფრიფანფრთიანებად, ორფრთიანებად, ხორთუმიანებად, თივის მჭამელებად. აი, სურათზე გამოსახულია ლეპიდოპტერების ქვერიგის, იმავე ხეშეშფრთიანების წარმომადგენელი, რომელიც ცნობილია სახელით „მკვდარი თავი" და თუ სურათს დავუჯერებთ, ეს არის პეპელა, რომელსაც ლათინურად მჟღერი სახელი, აქერონიტა ათროპოსი ეწოდება. ღამის პეპელაა, ზურგზე თეთრი ლაქა აქვს, რომელიც ადამიანის თავის ქალას ჰგავს, სიგრძით თორმეტ სანტიმეტრს აღწევს, მისი ზოგადი შეფერილობა მუქია, უკანა ფრთები შავ-ყვითელი ფერისაა. და მას ათროპოსი ჰქვია, რაც სიკვდილს ნიშნავს. ვიოლონჩელისტმა არ იცის და ვერც ვერასოდეს წარმოიდგენს, რომ სიკვდილი მის მხარს ზემოდან პეპლის სურათს ინტერესით აკვირდება. ინტერესით, მაგრამ დაბნეული. გავიხსენოთ, რომ მწერების არსებობიდან არარსებობაში გადასვლაზე პასუხს აგებს ანუ კლავს მათ არა ის, არამედ სხვა პარკა და, მართალია, modusoperandiy ორივეს ერთნაირი აქვს, მაგრამ განსხვავებაც საკმაოდ ბევრია: საკმარისია ვთქვათ, რომ მწერები ადამიანებში ასე გავრცელებული მიზეზებით არ იღუპებიან, როგორიცაა, მაგალითად, ფილტვების ანთება, ტუბერკულოზი, კიბო, შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი, სასაუბრო ენაში - აივ-ინფექცია, ავიაკატასტროფა ან გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა. ეს ხომ ყველასთვის გასაგებია. გაცილებით ძნელია გააზრება იმისა, რამაც დააბნია ჩვენი სიკვდილი, რომელიც მუსიკოსის მხარს ზემოდან ყურებას აგრძელებს და ხედავს წარმოუდგენლად ზუსტ გამოსახულებას ადამიანის თავის ქალისა, რომელმაც, ვინ იცის, სამყაროს

რომელ ეტაპზე შეამკო ამ მოფარფატეს ბუსუსებიანი ზურგი. გასაგებია, რომ ზოგჯერ ადამიანის ტანზეც შეიძლება პეპლის გამოსახულებას შეხვდე, მაგრამ ადამიანი ხომ ამით არ იბადება - ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი სვირინგია. შესაძლოა, მსჯელობს სიკვდილი, იყო დრო, როდესაც ყველა ცოცხალი არსება ერთ მთლიანს წარმოადგენდა და მერეღა დაიყო თანდათან ხუთ სამეფოდ, სახელდობრ - მონერებად ანუ ერთუჯრედიანებად, უმარტივესებად, სოკოებად, მცენარეებად და ცხოველებად, რომელთა შიგნითაც - ჩვენ, რა თქმა უნდა, სამეფოებს ვგულისხმობთ - მრავალი ეპოქის განმავლობაში დაიწყო და გაგრძელდა მაკრო და მიკროსპეციალიზაციების დაუსრულებელი რიგი, ასე რომ, გასაკვირი არ არის, თუ ამ ბიოლოგიურ აურზაურსა და ალიაქოთში ერთი სახეობის რაღაც თავისებურებები მეორეში გამოვლინდა. შესაძლოა, სწორედ ეს ხსნის არა მხოლოდ პეპლის, აქერონიტა ათროპოსის ზურგზე თეთრი თავის ქალას შემაშფოთებელ არსებობას, რომლის სახელშიც მიწისქვეშა სამეფოს მდინარის სახელწოდება წინ უსწრებს სიტყვას „სიკვდილი", არამედ არანაკლებ შემაშფოთებელ მსგავსებას მანდრაგორას ფესვსა და ადამიანის სხეულს შორის. პირდაპირ არ იცი, რა იფიქრო, როდესაც ბუნების ასეთ სასწაულს, ასეთ საოცარ მოვლენას აწყდები. თუმცაღა, სიკვდილის, რომელიც ისევ ვიოლონჩელისტის მხარს ზემოდან იყურება, ფიქრმა უკვე სხვა მიმართულება მიიღო - მან მოიწყინა იმის გამო, რომ ვერ მოიფიქრა, თავის ქალას ნიშნით დაღდასმული პეპლები გამოეყენებინა იმ სულელური ლილისფერი წერილების მაგივრად, რომლებიც თავდაპირველად ასეთ არაჩვეულებრივ იდეად ეჩვენებოდა. პეპელას არასდროს მოუვიდოდა აზრად, უკან ხელცარიელი დაბრუნებულიყო, თავის დანიშნულებას ის

ზურგით ეზიდება და ამისთვისაა დაბადებული. დიახ, და ზემოქმედება, უნდა ითქვას, უფრო ძლიერი იქნებოდა, როდესაც ჩვეულებრივი ფოსტალიონის მაგივრად ჩვენს თავს ზემოთ პეპლის თორმეტი სანტიმეტრი აფარფატდებოდა, სიბნელის ანგელოზი თავის შავ-ყვითელ ფრთებს გაშლიდა, შემოხაზავდა ნრეს, რომლის ფარგლებს გარეთ ჩვენ უკვე ვეღარ გავაღწევდით, პირდაპირ ჩვენ წინ ვერტიკალურად აფრინდებოდა და საკუთარ თავის ქალას ზუსტად ჩვენი თავის ქალას წინ გააჩერებდა. ცხადზე უცხადესია, რომ ასეთი აკრობატული სიმარჯვის ნახვის შემდეგ აპლოდისმენტებს არ დავიშურებდით. ზემოთქმულიდან ჩანს, რომ სიკვდილს, ვისაც მთელი კაცობრიობა აბარია, ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი. ვინაიდან, როგორც ყველამ ვიცით, პეპლები მის იურისდიქციაში არ შედის, არც პეპლები და არც ცხოველური სამყაროს რომელიმე სხვა წარმომადგენელი, ისინი კი უთვალავია, ამიტომ ჩვენს სიკვდილს თავის კოლეგასთან - ზოოლოგიური დეპარტამენტიდან - ხელშეკრულების გაფორმება და რამდენიმე პეპლის, აქერონიტა ათროპოსის სესხება მოუწევდა, ამასთან, შეგვიძლია წინასწარ ვთქვათ, ისე რომ შეცდომისა არ შეგვეშინდეს, თან გავითვალისწინოთ, როგორ ეფარდება ერთმანეთს პოპულაციების საცხოვრებელი არეალი და რაოდენობა, რომ კოლეგა ქედმაღლური, არცთუ თავაზიანი უარით გაისტუმრებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მეგობრულ საქციელს სიკვდილის უწყებაშიც იშვიათად შეხვდები. დაუკვირდით ენტომოლოგიის დაწყებითი კურსიდან ამოკრებილ ცნობებს იმის შესახებ, რომ მწერების მილიონზე მეტი სახეობა არსებობს, მხოლოდ შეეცადეთ, წარმოიდგინოთ, თითოეულ მათგანში რამდენიერთეულია და თქვით, განა მიწაზე ეს ქმნილება უფრო მეტი არაა,

ვიდრე ვარსკვლავი ცაში, თუ ამ პოეტური ცნებით სამყაროს კრუნჩხვებით ათრთოლებულ რეალობას ჩავანაცვლებთ, სადაც ჩვენ მხოლოდ საცოდავი ბოჭკოები ვართ, უსასრულოდ მცირე სიდიდე, რომელიც ნულისკენ მიისწრაფის. სიკვდილი, რომელიც ადამიანებს განაგებს, ვისი რაოდენობაც ამ დროისთვის ხუთ კონტინენტზე გადღაბნილი რაღაც საცოდავი შვიდი მილიარდია, მესამეხარისხოვანი სიკვდილია, ხელქვეითი, უფრო მეტიც - კარგად იცის, რა საცოდავი ადგილიც უჭირავს თანატოსის იერარქიაში, რის შესახებაც ეყო ვაჟკაცობა და თავად პატიოსნად განაცხადა იმ გაზეთისთვის გაგზავნილ წერილში, რომელმაც მისი სახელი მთავრული ასოთი დაწერა. და მაინც, რადგან ფეხი ოცნების ზღურბლს იქით გადადგა, სიკვდილი, რომელმაც ვიოლონჩელისტის მხარს ზემოდან ყურება უკვე შეწყვიტა, ტკბილ ფიქრებს მიეცა იმის შესახებ, როგორ მოიქცეოდა, თავის განკარგულებაში პეპლების ესკადრილია რომ ჰყოლოდა - აი, ისინი მის წინაშე მაგიდის ზედაპირზე დაეწყვნენ, ის კი მათ სათითაოდ იძახებს და ბრძანებას აძლევს: გაფრინდი აქა და აქ, იპოვე ესა და ეს, აჩვენე თავის ქალა და დაბრუნდი. და როდესაც მუსიკოსი იფიქრებდა, რომ სურათზე გამოსახული აქერონიტა ათროპოსი გაცოცხლდა და ფურცლიდან აფრინდა, ეს მისი უკანასკნელი ფიქრი და თვალის ბადურაზე უკანასკნელი ანაბეჭდი იქნებოდა და მასთან სიკვდილის მაცნედ არც შავებში ჩაცმული მსუქანი ქალი მოვიდოდა, როგორც ეს, გადმოცემით, მარსელ პრუსტს შეემთხვა და არც სუდარაში გახვეული ჩონჩხი, რომელიც სხვა მომაკვდავების მახვილ მზერას წარმოუდგა. პეპელა, პეპელა და არაფერი, გარდა ნაზი აბრეშუმის შრიალისა, რასაც იმ პეპლის ფრთები გამოსცემს, რომელსაც ზურგზე თავის ქალას მოხაზულობის თეთრი ლაქა აქვს.

ვიოლონჩელისტმა საათს დახედა - სადილის დრო დიდი ხანია გავიდა. ძაღლი, რომელიც უკვე ათი წუთი იყო, რაც ამ თემაზე თავადაც ფიქრობდა, პატრონის გვერდით იჯდა, თავი მის მუხლზე ჩამოედო და მოთმინებით ელოდა, როდის დაუბრუნდებოდა იგი ამ ქვეყანას. აქვე ახლოს რესტორანია, სადაც შეგიძლია იშოვო სენდვიჩი და მისი მსგავსი უბრალო და მარტივი საჭმელი. როდესაც დილაობით ამ პარკში მოდის, ვიალონჩელისტი ამ დაწესებულების კლიენტი ხდება და ყოველთვის ერთსა და იმავეს უკვეთს. ორი სენდვიჩი თევზითა და მაიონეზით, ასევე ჭიქა ღვინო თავისთვის, ხოლო ძაღლისთვის - სენდვიჩი ხორცით. თუ ამინდი მოწყალეა, როგორც დღეს - ისინი მიწაზე სხდებიან, ხეების ჩრდილში, ჭამენ და საუბრობენ. ძაღლი სენდვიჩს ანაწევრებს, ყველაზე გემრიელს ინახავს, ჯერ პურის ნაჭრებს ყლაპავს და მხოლოდ მერეღა ფიქრიანად და აუჩქარებლად ღეჭავს ხორცს. ვიოლონჩელისტი კი დაბნეულად ჭამს, ბახის სიუიტაზე ფიქრობს, პრელუდიაზე, სადაც ერთი წყეული პასაჟია, რომელმაც იგი რამდენჯერმე ეჭვსა და ყოყმანში ჩააგდო, ხოლო ეს ყველაზე ცუდი რამაა, რაც შეიძლება მუსიკოსის ცხოვრებაში მოხდეს. ჭამას რომ მორჩებიან, ბალახზე იშხლართებიან: ვიოლონჩელისტი ცოტა ხნით თვალს ხუჭავს, ხოლო ძაღლმა წუთით ადრე დაიძინა. შემდეგ გაიღვიძეს, სახლში დაბრუნდნენ. მათთან ერთად - სიკვდილიც. სანამ ძაღლი ეზოში ძაღლური დიდი საქმეების მოსაგვარებლად დარბოდა, ვიოლონჩელისტმა სიუიტა პიუპიტრზე დადო, იმ მოჯადოებულ ადგილზე გადაშალა - უბრალოდ, ეშმაკისეული პიანისიმოა - და ისევ ულმობელმა ეჭვებმა შეიპყრო. სიკვდილს შეეცოდა იგი: საცოდავი, მაინც ვერ მოასწრებს სასურველის მიღწევას, ზუსტად ისევე, როგორც სხვა ადამიანები: როდესაც ისინი სულ ახლოს

მიდიან, მაინც შორს რჩებიან. და მან პირველად მიაქცია ყურადღება იმას, რომ მთელ სახლში ქალის ერთი ფოტოც არ არის, თუ მოხუცის პორტრეტს არ ჩავთვლით, რომელიც, ყველა მონაცემით, ვიოლონჩელისტს დედად უნდა რგებოდა და გადაღებული იყო ბატონთან ერთად, რომელიც, ალბათ, მისი მამა უნდა ყოფილიყო.[P SEP]

* * *[P SEP]

შენთან დიდი სათხოვარი მაქვს, - თქვა სიკვდილმა. ცელმა, როგორც სჩვეოდა, არ უპასუხა, ხოლო იმას, რომ მისი მისამართით წარმოთქმული სიტყვები გაიგონა, მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი შერხევით თუ მიხვდებოდით, რაც მისი საერთო დაბნეულობის ფიზიკური გამოხატულება იყო, ვინაიდან პატრონის ბაგეებს აქამდე არასოდეს დასცდენოდა ისეთი სიტყვა, როგორიცაა „სათხოვარი“, თან დიდი. ერთი კვირა არ ვიქნები, განაგრძობდა სიკვდილი, და მინდა, ჩემი წერილები შენ გაგზავნო. რა თქმა უნდა, დაწერას არ გთხოვ, მხოლოდ უნდა გაგზავნო, ამისთვის კი მოგიწევს, აზრით გასცე ბრძანება, მერე კი რომელიმე გრძნობით ან ფიქრით. სულერთია, რით, მთავარია ჩანდეს, რომ ცოცხალი ხარ - შენი მჭრელი პირი შეარხიო და ეს საკმარისი იქნება, რათა წერილები დანიშნულებისამებრ გაიგზავნოს. ცელი დუმდა, თუმცა მის დუმილს კითხვის ელფერი დაჰკრავდა. მე აქეთ-იქით ვერ ვივლი და საფოსტო საქმეებზე ვერ მოვცდები, მთელი ყურადღება ვიოლონჩელისტის პრობლემის მოგვარებას უნდა მივაპყრო და ვიპოვო საშუალება, როგორმე მაინც გადავცე მას ეს დაწყვეტილი წერილი. ცელი დუმდა, ახლა უკვე მომლოდინეს იერით. სიკვდილი განაგრძობდა: ჰოდა,

მოვიფიქრე - დავჯდები და ერთბაშად დავწერ ერთი კვირის წერილებს, სწორედ ამდენ ხანს არ ვიქნები, და ამის უფლებას თავს მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო ვაძლევ, ხოლო შენი საქმე, როგორც უკვე ვთქვი, მხოლოდ მათი გაგზავნა იქნება, წასვლაც კი არსად მოგიხდება, და ყურადღება მიაქციე - მეგობრულად გთხოვ, არადა შემეძლო - და სულ ადვილადაც - მებრძანებინა, ვინაიდან, თუ ბოლო დროს შენი მომსახურებით არ მისარგებლია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩემს სამსახურში აღარ ხარ. ცელის დუმილმა, ამჯერად მორჩილების გამომხატველმა, ბოლო თეზისი დაადასტურა. როგორც ჩანს, შევთანხმდით, დაასკვნა სიკვდილმა, დღეს მთელი დღის განმავლობაში წერილებს დავწერ, ჩემი დათვლით, ორი ათასზე მეტი უნდა გამოვიდეს - წარმოგიდგენია, სამუშაოს დასრულების შემდეგ რა წელმოწყვეტილი ვიქნები? - და ამ წერილებს მაგიდაზე რვა სვეტად დავაწყობ დღეების მიხედვით, მარცხნიდან მარჯვნივ, იცოდე, არ აგერიოს, ღმერთმა ნუ ქნას, ადრესატმა მისაღები მეტისმეტად ადრე ან მეტისმეტად გვიან მიიღოს. მიჩნეულია, რომ დუმილი თანხმობის ნიშანია. ცელი დუმდა და, როგორც ჩანს, საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. თავისი ზეწარი შემოიხვია, კაპიუშონი კეფაზე გადაიწია, რათა ხელი არ შეშლოდა და სიკვდილი სამუშაოდ დაჯდა. ზედიზედ მრავალი საათი წერდა, წერდა, წერდა: წერილებს წერდა, კონვერტებს მისამართებს აწერდა, მერე კეცავდა და აწყობდა და აწებებდა და მავანი, ალბათ, უფლებამოსილია, იკითხოს, ამას როგორ ახერხებდა, თუ ენა არ აქვს და ნერწყვიც ვერსაიდან წამოუვა, მაგრამ ასე ძველ, კუსტარულ დროში იქცეოდნენ, როდესაც გამოქვაბულებში ვცხოვრობდით და მოდერნიზაცია ის-ის იყო, ფეხს იკიდებდა, ახლა კი

კონვერტები ეშმაკური ქაღალდის ზოლითაა აღჭურვილი: ააძრობ და საქმეც გაკეთებულია, ასე რომ, შეიძლება ითქვას, ენის უთვალავი ფუნქციიდან ერთ-ერთი ისტორიას ჩაჰბარდა. ამ მომქანცველმა სამუშაომ სიკვდილს წელი მხოლოდ იმიტომ არ მოსწყვიტა, რომ ის თავიდანვე არ ჰქონია. თუმცა ეს ხომ უბრალოდ გამოთქმაა და მას შემდეგაც კი, რაც ამგვარმა გამოთქმებმა დიდი ხანია პირვანდელი აზრი დაკარგა, ჩვენ მათ გამოყენებას მაინც ვაგრძელებთ. სიკვდილმა კი გამოსათხოვარი ჟესტით ორას ოთხმოცდარაღაც წერილი გააქრო, რამეთუ მხოლოდ ხვალიდან უწევდა ცელს მუშაობის დაწყება ფოსტის ექსპედიტორის თანამდებობაზე, ვისი მოვალეობებიც მას არც ისე დიდი ხნის წინ განემარტა. ისე, რომ გამოთხოვებისას სიტყვაც არ უთქვამს, სიკვდილი წამოდგა, ამ შენობაში არსებული ერთადერთი კარისკენ გაემართა, - იმ ვიწრო კარისკენ, ამდენჯერ რომ ვახსენეთ, თუმცა მის დანიშნულებაზე წარმოდგენაც კი არ გვქონდა, - გააღო ის, ზღურბლს გადააბიჯა და მოხურა. ცელის მიერ განცდილი გრძნობა ისეთი ძლიერი იყო, რომ ჟრუანტელმა მთელ მის მჭრელ პირს წვეტამდე დაუარა. ჯერ არასდროს, რაც ცელს თავი ახსოვდა, ამ კარით არ უსარგებლიათ.

დრო კი გადიოდა და საკმარისად გავიდა საიმისოდ, რომ მზე დაბადებულიყო - სადღაც იქ, გარეთ, ამ თეთრი, ცივი ოთახის კედლებს მიღმა, ოთახისა, სადაც არასდროს ქრება მბჟუტავი ნათურები, რომლებიც თითქოს იმისთვისაა განკუთვნილი, რომ აჩრდილები განდევნოს განსვენებულისგან, ვისაც სიბნელეში დარჩენისა შეეშინდებოდა. თუმცა სიკვდილის სურვილის შესრულებისა და დღევანდელი წერილების გათავისუფლების დრო ჯერ არ დამდგარა - ცოტა წაძინება კიდევ შეიძლება. ამ სიტყვებს, როგორც წესი, უძილობით გატანჯული

ადამიანები წარმოთქვამენ, მთელი ღამეები რომ არ სძინავთ, მაგრამ ჰგონიათ, თითქოს შეუძლიათ ძილი მხოლოდ იმით მოატყუონ, რომ მას კიდევ სულ ცოტა ხნით მოსვლას სთხოვენ. ცელი, რომელიც ამ საათებს სრულ მარტოობაში ატარებდა, ცდილობდა აეხსნა უმაგალითო ფაქტი - სიკვდილმა იმ კარით ისარგებლა, რომელსაც თითქოს იმ წამიდან, რაც ის გაჭრეს, სამყაროს დასასრულამდე დეკორაციად დარჩენა ეწერა. და, ბოლოს და ბოლოს, შეეშვა თავის მტვრევას, რადგან დაასკვნა, რომ ადრე თუ გვიან მაინც გაირკვეოდა, რა ხდებოდა ამ კარის მიღმა, რამეთუ პრაქტიკულად შეუძლებელია იყოს საიდუმლო ცელსა და სიკვდილს შორის, ისევე როგორც ნამგალსა და იმ ხელს შორის, რომელსაც ის უჭირავს. და დიდხანს ცდამ არ მოუწია. წუთების ისარმა წრის ნახევარი მოხაზა და კარიც გაიღო, კარის ჭრილში კი ქალი გაჩნდა. ცელს გაეგონა, რომ ასეთი რამ ხდებოდა - სიკვდილი ზოგჯერ ადამიანის სახეს იღებდა, როგორც წესი, ქალისას, მაგრამ ეს ყოველთვის გამონაგონი ეგონა, ლეგენდა, ასე ვთქვათ, და მითი, იმ ფენიქსის მსგავსი, რომელიც საკუთარი ფერფლიდან ხელახლა იბადება, ან ბარონ მიუნჰაუზენისა, რომელმაც ჭაობიდან საკუთარი თავი ცხენიანად ამოათრია, ან დრაკულა ტრანსილვანიელისა, რომელსაც, რამდენიც უნდა მოკლა, ვერ მოკლავ, ვიდრე გულში ვერხვის სარს არ გაურჭობ და ამბობენ, ყოველთვის ესეც არ შველისო, ან ირლანდიური თქმულებიდან ცნობილი ქვისა, რომელიც ყვიროდა, როდესაც მას ნამდვილი და არა ცრუ მეფე შეეხებოდა, ანაც იმ ეპირის წყაროსი, რომელიცანთებულ ჩირაღდნებს აქრობდა და ჩამქრალს ანთებდა, ან იმ ქალებისა, რომლებიც მენსტრუაციის სისხლს აპკურებდნენ დამუშავებულ მიწებს - მოსავალი უხვი იქნებაო, ან ძაღლისოდენა ჭიანჭველებისა

და ჭიანჭველისოდენა ძაღლებისა, ან მესამე დღეს აღდგომისა, რამეთუ მეორე დღეს ეს ვერ მოხდებოდა. ძალიან ლამაზი ხარ, შენიშნა ცელმა და ეს შენიშვნა სამართლიანზე მეტი იყო: სიკვდილი მართლაც ძალიან ლამაზი იყო და არამც და არამც - ოცდათექვსმეტ-ოცდაჩვიდმეტ წელზე ხნიერი, როგორც სწორად გამოთვალეს ანთროპოლოგებმა. ა-ა, ბოლოს და ბოლოს, განახვნე ბაგენი, არა, წამოიძახა სიკვდილმა. საბაბი გაჩნდა: ყოველდღე ვერ ნახავ, როგორ იღებს სიკვდილი თავისთვის მტრული მოდგმის წარმომადგენლის სახეს. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, არა იმიტომ, რომ ჩემმა სილამაზემ დაგატყვევა. ნაწილობრივ ამიტომაც, მაგრამ მე მაშინაც ავლაპარაკდებოდი, ჩემ წინაშე, ისევე როგორც მესიე მარსელ პრუსტისა, შავებში გამოწყობილი ფაშფაშა ქალის სახით რომ წარმომდგარიყავი. მე არც ფაშფაშა ვარ და არც შავებით დავდივარ, ხოლო შენ წარმოდგენაც კი არ გაქვს, ვინ არის მარსელ პრუსტი. სავსებით გასაგები მიზეზის გამო ცელებს - იმათაც, რომლებიც ადამიანების მოსაცელადაა განკუთვნილი და იმათაც, რომლებიც ბალახის საცელად - კითხვის სწავლა არ შეუძლიათ, სამაგიეროდ, ჩვენ ყველანი, ზოგიერთი - ბალახის წვენისგან, აი, მე კიდევ - სისხლისგან, დაჯილდოებულნი ვართ ბრწყინვალე მეხსიერებით და მე ბევრჯერ მომიწია ამ სახელის გაგონებამ, ასე რომ, ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირება და იმის მიხვედრა, რომ ეს დიდი მწერალია, იქნებ, ყველაზე დიდიც კი მათ შორის, ვისაც ოდესმე დედამიწაზე უცხოვრია, ძნელი არ იყო და მისი ფორმულარი სადღაც არქივში უნდა იყოს. ოღონდ არა ჩემსაში, ის მე არ მომიკლავს. რა, ის აქაური არ არის, ეს მესიე მარსელ პრუსტი, გაიკვირვა ცელმა. არა, იგი იმ ქვეყნიდანაა, რომელსაც საფრანგეთი ჰქვია, უპასუხა სიკვდილმა, და მის ხმაში აშკარად გაკრთა სევდა. მერე რა,

რომ შენ არ მოგიკლავს, მიეშველა ცელი, გული ნუ დაგწყდება, სამაგიეროდ, შენ, აი, როგორი ლამაზი ხარ. ყოველთვის ვიცოდი, რომ შენ ნამდვილი მეგობარი იყავი, მაგრამ გული ამის გამო არ მწყდება. აბა, რის გამო. ახსნა არ შემიძლია. ცელმა მას ცოტა გაკვირვებულმა შეხედა და საჭიროდ მიიჩნია საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა. და სად იპოვე ის ყველაფერი, რაც გაცვია. ამ კარს მიღმა დიდი არჩევანია: იქ რაღაც მაღაზიის მაგვარია, თუ დიდი გარდერობი, ასობით კარადაა, ასობით მანეკენი, ათასი საკიდი. შემიყვანე როგორმე, სთხოვა ცელმა. რა აზრი აქვს - შენ არც მოდისა და არც სტილისა არაფერი გაგეგება. სიმართლე ითქვას, დიდად ვერც შენ ერკვევი, ერთი შეგახედა, რა უგემოვნოდაა შერჩეული შენი მორთულობის სხვადასხვა ნაწილი. შენ ამ ოთახიდან არ გადიხარ და შეუძლებელია იცოდე, დღეს რას იცვამენ. მიუხედავად ამისა, ვხედავ, რომ ეს ბლუზა იმას ჰგავს, რასაც ჩემს დროს იცვამდნენ. მოდა მოძრავი რამაა, წრეზე დადის, წავა და დაბრუნდება, ხოლო, რასაც ქუჩაში ვხედავ, ამაზე რომ მოგიყვე, არ დაიჯერებ. მოყოლის გარეშეც დავიჯერებ. და რა, მიგაჩნია, რომ ეს ბლუზა ამ შარვალს და ფეხსაცმელს არ უხდება. უხდება, ცელი იძულებული გახდა, ეღიარებინა. და ამ ბერეტს, რომელიც თავზე მახურავს. მაგასაც. და ამ ტყავის ჟაკეტს, ჩანთას, რომელიც მხარზე მკიდია. დიახ, მე მხოლოდ ის ვთქვი. საყურეებს, რომლებიც ყურზე მიკეთია. კარგი, გნებდები. აღიარე, რომ შეუდარებელი ვარ. ეს იმ მამაკაცის ტიპზეა დამოკიდებული, ვის მოხიბვლასაც აპირებ. ყოველი შემთხვევისთვის, შენ ფიქრობ, რომ კარგი ვარ. მე ხომ ამით დავიწყე. მაშინ, თუ ასეა, ნახვამდის, კვირას დავბრუნდები, ყველაზე გვიან, ორშაბათს, არ დაგავიწყდეს წერილების ყოველდღე გაგზავნა, არა მგონია, ეს ასეთი მძიმე სამუშაო იყოს იმისთვის, ვინც მთელი დღე

და ღამე კედელზე მიყუდებული დგას. წერილი ხომ არ დაგავიწყდა, ჰკითხა ცელმა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს დაცინვას ვერ მიუხვდა. ის აქ არის, - უპასუხა სიკვდილმა და ჩანთას შეეხო თხელი სათუთი თითებით, რომელთა ტუჩებთან მიტანაც ყველას მოუნდებოდა.

და სიკვდილი დღის სინათლეზე ქალაქის განაპირას, მარჯვნიდან და მარცხნიდან კედლებით დავიწროებულ ქუჩაზე გაჩნდა. არც კარი ჩანს და არც ჭიშკარი, საიდანაც სიკვდილს შეეძლო გამოსულიყო. არ არის არავითარი ნიშანი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა იმ გზის აღდგენა, რომელმაც იგი აქ ცივი მიწისქვეშეთიდან მოიყვანა. მზე ცარიელ თვალის ბუდეებს არ აბრმავებს და ამ მიზეზით არქეოლოგების მიერ ამოთხრილ თავის ქალებს არ სჭირდებათ თვალების მოჭუტვა, როდესაც შუქი მოულოდნელად სახეზე ეცემათ, ხოლო ბედნიერი მეცნიერი ყვირის, რომ, ყველა ნიშნით, ნეანდერტალელი იპოვა, თუმცა შემდგომი გამოკვლევა უცილობლად აჩვენებს, რომ ეს ძვლების ფრაგმენტები ოდესღაც ჩვეულებრივი ჰომო საპიენსის თავის ქალას ქმნიდა. მაგრამ ქალად გადაქცეული სიკვდილი ჩანთიდან მუქ სათვალეს იღებს და თავის ადამიანურ თვალებს ოფთალმიისგან იცავს, რაც ძალიანაც შესაძლებელია დაემართოს მას, ვინც ზაფხულის დილის დამაბრმავებელ კაშკაშს ჯერ არ შესჩვევია. სიკვდილი ქუჩას მიუყვება იმ ადგილამდე, სადაც კედლები მთავრდება და პირველი სახლები ცაში იჭრება. აქ მას ყველაფერი ეცნობა: ერთი სახლიც კი არ არის - რამდენიც უნდა წამოიჭიმოს მის თვალთა წინ, რამდენიც უნდა გაიჭიმოს ქალაქის კიდემდე და სახელმწიფოს საზღვრამდე - სადაც ის ერთხელ მაინც არ იყოს ნამყოფი და, აი, იმ მშენებლობაზეც კი მოუწევს ორი კვირის შემდეგ მოსვლა, რათა ხარაჩოებიდან უდარდელი კალატოზი გადმოაგდოს,

რომელმაც არ დახედა, ფეხს სად დგამდა. ასეთ დროს, როგორც წესი, ამბობენ: ასეთია ცხოვრება, - თუმცა ჩვენ უფრო ზუსტად და გარკვეულად ვიტყვით: ასეთია სიკვდილი. მაგრამ ამ მუქსათვალიან ქალს, ტაქსიში რომ ჯდება, ამ სახელს არ ვუწოდებთ, პირიქით, ვიფიქრებთ, რომ ეს თავად სიცოცხლეა და ქოშინით გამოვეკიდებით და, თუ სხვა ტაქსის დაჭერა მოვახერხეთ, მძღოლს ვეტყვით: გაჰყევით იმ მანქანას, - მაგრამ ეს არაფერს მოგვცემს, რადგან ტაქსიმ, რომელშიც ქალი ზის, უკვე კუთხეში შეუხვია, ხოლო სიახლოვეს სხვა არ არის, რომლის მძღოლსაც შევძახებდით: იმ მანქანას გაჰყევით. ასე რომ, ახლა სრული უფლება და საფუძველი გვაქვს, ვთქვათ: ასეთია ცხოვრება, - და ბედს შერიგებულებმა მხრები ავიჩეჩოთ. თუმცაღა, დაე, თავი იმ გარემოებით ვინუგეშოთ, რომ წერილზე, რომელიც მას ჩანთაში უდევს, ჩვენი სახელი არაა დაწერილი, ჩვენი მისამართი არაა მითითებული და, როგორც ჩანს, ჯერ არ მოსულა ხარაჩოდან გადმოვარდნის ჩვენი რიგი. ამ დროს სიკვდილმა, იმის საწინააღმდეგოდ, რისი ვარაუდიც შეიძლებოდა, ტაქსისტს ვიოლონჩელისტის სახლისკენ წასვლა კი არ უბრძანა, არამედ თეატრისკენ, სადაც ის მსახურობს. ეჭვს არ იწვევს, რომ ამდენი მარცხის შემდეგ სიკვდილი ნამდვილად მოქმედებას აპირებს, მაგრამ წმინდა წყლის დამთხვევად ნუ მიიჩნევთ, რომ მან ქალად გადაქცევით დაიწყო. და მიუხედავად ცხოვრებისეული გამოცდილების არქონისა, განსაკუთრებით - იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკი გრძნობებზე, ლტოლვასა და ვნებებზეა, ცელმა პირდაპირ ათიანში მოარტყა, როდესაც ჩათვალა - გამოცდა კი არა, საჭიროდ ჩათვალა სიკვდილისთვის ეკითხა, მამაკაცების რომელ ტიპს მიეკუთვნება ის, ვის მოხიბვლასაც აპირებო. აი, ისიც, მთავარი სიტყვა - მოხიბვლა. დიახ, სიკვდილს შეეძლო პირდაპირ

ვიოლონჩელისტის სახლისკენ წასულიყო, ზარი დაერეკა და როდესაც იგი კარს გააღებდა, სათვალე მოეხსნა, გაეღიმა და ეთქვა, რომ ენციკლოპედიაზე ხელმოწერებს აგროვებს, რამეთუ ეს ძველი და მუდამ უბერებელი ფანდი თითქმის ყოველთვის მუშაობს, მერე კი ორიდან ერთი მოხდება: იგი მას ან შეიპატიჟებს, რათა ფინჯან ჩაიზე პირობები განიხილონ, ან იტყვის რამეს იმ გაგებით, რომ გმადლობთ, საჭირო არაა და ეცდება კარი მოხუროს, თან უარს დელიკატური და მორცხვი ღიმილით შეარბილებს: აი, მუსიკალური რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო. ყოველი შემთხვევისთვის, წერილის გადაცემა იოლზე იოლი იქნებოდა, მაგრამ სწორედ ეს შეურაცხმყოფელი სიიოლე არ მოსწონს სიკვდილს. დიახ, ამ ადამიანისთვის იგი უცხოა, მაგრამ იგი ხომ მას ბრწყინვალედ იცნობს - მან მის საცხოვრებელში მთელი ღამე გაატარა, მან მისი დაკრული მოისმინა, ხოლო ეს, გინდა-არ გინდა, გარკვეული კავშირის დამყარებას უწყობს ხელს, საფუძველს უყრის ჰარმონიულ ურთიერთობებს, ასე რომ, პირდაპირ პარმაღიდან მიხლა: მალე მოკვდები, ერთი კვირა გაქვს იმისთვის, რომ ვიოლონჩელი გაყიდო და ძაღლს ახალი პატრონი მოუძებნოო, - ლამაზი ქალისგან უტაქტობა იქნებოდა. არა, მას სხვა ჩანაფიქრი აქვს. თეატრის შესასვლელთან გამოკრული აფიშა პატივცემულ პუბლიკას ატყობინებს, რომ ამ კვირას ნაციონალური სიმფონიური ორკესტრის ორი კონცერტი გაიმართება: ერთი - ხუთშაბათს, ანუ ზეგ, ხოლო მეორე - შაბათს. სავსებით ბუნებრივი იქნება, თუ კანონიერი ცნობისმოყვარეობა, რომელიც აუცილებლად გაუჩნდებოდა მკითხველს, ვინც ჩვენს თხრობას მოუდუნებელი ყურადღებით ადევნებს თვალს, მხედველობიდან უმცირეს დეტალებსაც კი არ უშვებს და წინააღმდეგობებში, დაუდევრობებში, შეუთანხმებლობებსა და სხვა ცოდვებში

გვიჭერს, წააქეზებს მას, დაჟინებით დაინტერესდეს, რა ჯანდაბით აპირებს სიკვდილი ბილეთის ყიდვას, თუ ჯერ ორი საათიც არ გასულა, რაც მან თავისი მიწისქვეშეთი დატოვა, სადაც რაღაც არც ბანკომატები ჩანდა და არც ბანკების განყოფილებები. და რაკი ცნობისმოყვარე მკითხველმა კითხვების ზღვაში ამოყვინთა, აუცილებლად იკითხავს, როდის მერეა, ტაქსისტები ქალებს, ვისაც კარგი ფიგურა და სასიამოვნო ღიმილი აქვს, ფულს არ ართმევენო. ჩვენ კი, ვიდრე ბოროტი ვარაუდი ფესვს გაიდგამს, საჩქაროდ განვმარტავთ, რომ სიკვდილმა არა მარტო მრიცხველის მიხედვით გადაიხადა, არამედ ხურდის დატოვებაც არ დავიწყებია. თუ კითხვა ფულის წარმომავლობის შესახებ მკითხველის წარმოსახვას ისევ აფორიაქებს, საკმარისი იქნება ვთქვათ, რომ ფული იქიდან გაჩნდა, საიდანაცმუქი სათვალე, ანუ ჩანთიდან, რამეთუ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს ისეთი კანონი, რომელიც ამბობდეს: რაკი გაჩნდა ერთი, მეორე ვერ გაჩნდება. სამაგიეროდ, ძალიანაც შეიძლება მოხდეს ისე, რომ ფული, რომელიც სიკვდილმა ტაქსიში გადაიხადა და რომლითაც კონცერტის ორი ბილეთის ყიდვას აპირებდა, ისევე როგორც უახლოეს დღეებში სასტუმროს ნომრის აღებას, უკვე ხმარებიდან გამოსული იყოს. პირველად როდი ხდება, რომ ვიძინებთ ერთი მონეტით და ვიღვიძებთ მეორით. ყველამ იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ფული ნამდვილია და მას მოქმედი კანონი იცავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაკი ისიც ვიცით, როგორ უყვარს სიკვდილს მისტიფიკაცია, შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ტაქსისტმა, რომელმაც სიყალბე ვერ შეამჩნია, მუქსათვალიანი ქალისგან აიღო ბანკნოტი, რომელიც ჩვენს სამყაროში ან ჩვენს დროში აღარ მოქმედებს, აიღო კუპიურა, მაგალითად, რესპუბლიკის პრეზიდენტის პორტრეტით, მისი აღმატებულების ნაცნობი გამოსახულების ნაცვლად.

თეატრის სალაროები ეს წუთია გაიღო, სიკვდილი შედის, ესალმება და ორ ბილეთს ითხოვს - ხუთშაბათისა და შაბათის კონცერტებზე, ლოჟაში, პირველ რიგში. სიკვდილი დაჟინებით ითხოვს, ადგილები ორივე კონცერტზე ერთი და იგივე იყოს, და მთავარი, აუცილებელი პირობა - სცენიდან მარჯვნივ და მასთან რაც შეიძლება ახლოს. შემდეგ ჩანთაში ხელს ალალბედზე ყოფს, იღებს საფულეს, ხოლო იქიდან - ფულს და ფანჯარაში აწვდის, იმ იმედით, რომ ეყოფა. მოლარემ ხურდა გადათვალა. აი, თქვენი ბილეთები, თქვა მან, იმედი მაქვს, ჩვენი კონცერტები მოგეწონებათ, თქვენ ხომ ადრე არასდროს ყოფილხართ ჩვენთან, ყოველ შემთხვევაში, ვერ ვიხსენებ, ოდესმე მენახეთ, მე კი იშვიათი მეხსიერება მაქვს, ადამიანი ერთხელ თუ ვნახე, არასდროს მავიწყდება, თუმცა, რა თქმა უნდა, სათვალე გარეგნობას ძალიან ცვლის, განსაკუთებით, თუ მუქია, როგორიც თქვენ გაქვთ. სიკვდილმა სათვალე მოიხსნა: ახლა რას იტყვით. არა, დარწმუნებული ვარ, არასდროს მინახავხართ. იქნებ, იმიტომ, რომ ადამიანს, რომელიც თქვენ წინაშე დგას, ადამიანს, რომელიც მე გავხდი, სიმფონიური მუსიკის კონცერტის ბილეთების შეძენის საჭიროება არასდროს უგრძნია, ხოლო რამდენიმე დღის წინ მქონდა ბედნიერება, ორკესტრის რეპეტიციას დავსწრებოდი და ჩემი იქ ყოფნა ვერავინ შენიშნა. არ მესმის. შემახსენეთ და ამ დღეებში როგორმე აგიხსნით. როდის. ოდესმე ეს დღე აუცილებლად დადგება. ნუ მაშინებთ. სიკვდილმა მომნუსხველად გაიღიმა და ჰკითხა: გულწრფელად მითხარით, ფიქრობთ, რომ შემაშინებელი გარეგნობა მაქვს. რას ამბობთ, ამის თქმა სულაც არ მინდოდა. მაშინ ჩემს მაგალითს მიჰბაძეთ - გაიღიმეთ და სასიამოვნოზე იფიქრეთ. სეზონი კიდევ ერთი

თვე გაგრძელდება. რა სასიამოვნო ცნობაა, რაკი ასეა მომავალ კვირას ჩვენ, ალბათ, კიდევ შევხვდებით. ჩემი პოვნა აქ ყოველთვის შეიძლება, ჩვენს თეატრში მე უკვე ავეჯივით ვარ. არ ინაღვლოთ, გიპოვით, ადგილზე რომც არ დამხვდეთ. დაგელოდებით. გიპოვით აუცილებლად, და ხანმოკლე დუმილის შემდეგ დაინტერესდა: ჰო, მართლა, თქვენ ან თქვენი ოჯახის რომელიმე წევრს ლილისფერი წერილი ხომ არ მიგიღიათ. სიკვდილის წერილი. დიახ, სიკვდილის. მადლობა ღმერთს, ჩვენ არა, აი, ჩვენს მეზობელს კი ვადა ხვალ გასდის, ისე იტანჯება, რომ საცოდაობაა მისი ყურება. რას იზამ, ასეთია ცხოვრება. მართალია, ამოიოხრა მოლარემ, ასეთია ცხოვრება. საბედნიეროდ, ფანჯარასთან ხალხი გამოჩნდა, თორემ არავინ იცის, საით და სადამდე წაიყვანდა მათ ეს საუბარი.

ახლა კი მუსიკოსის სახლთან ახლოს სასტუმროს პოვნა იყო საჭირო. სიკვდილი სეირნობით ცენტრამდე მივიდა, ტურისტულ სააგენტოში შევიდა, ქალაქის გეგმა მოითხოვა, მასზე სწრაფად მოძებნა თეატრი, ხოლო იქიდან მისმა საჩვენებელმა თითმა იმ კვარტლისკენ იმოგზაურა, სადაც ვიოლონჩელისტის სახლი ეგულებოდა. შორია, მაგრამ შემოგარენში რამდენიმე სასტუმრო მოიძებნება. ერთ-ერთი მათგანი შესთავაზეს, - მართალია, არა ფეშენებელური, მაგრამ კეთილმოწყობილი. იმავე კლერკმა გამოთქვა მზადყოფნა, მისთვის ტელეფონით ნომერი დაეჯავშნა, ხოლო სიკვდილის კითხვაზე: გადასახდელი რამდენია, - ღიმილით უპასუხა: მოვრიგდებით. ასეა, ადამიანები ყველაფერს წამოაყრანტალებენ ხოლმე, რაც თავში მოუვათ, სიტყვებს ჰაერზე ისვრიან და თავს არ იწუხებენ, რომ ერთი წუთი მოითმინონ, რათა შედეგებზე დაფიქრდნენ. მოვრიგდებით, თქვა ტურსააგენტოს მოხელემ

განუშორებელი მამაკაცური თვითკმაყოფილებით და ახლო მომავალში მისთვის სასიამოვნო შეხვედრა წარმოიდგინა. არადა, დიდი იყო შანსი, სიკვდილს მისთვის ცივი მზერა ეტყორცნა და ეთქვა: ფრთხილად იყავით, თქვენ არ იცით, ვის ელაპარაკებით, თუმცა გადარჩა: ქალმა მხოლოდ დაბნეულად გაუღიმა, მადლობა გადაუხადა და წავიდა ისე, რომ სავიზიტო ბარათი არ დაუტოვებია. ჰაერში მსუბუქი არომატი ტრიალებდა - ვარდისა და ქრიზანთემის ნარევი. მართლაც, მგონი, თანაბრადაა ვარდი და ქრიზანთემა, ჩაიბურტყუნა მოხელემ და ნელა დაკეცა ქალაქის გეგმა. ქუჩაში სიკვდილმა ტაქსი გააჩერა და მძღოლს სასტუმროს მისამართი უთხრა. იგი საკუთარი თავით უკმაყოფილო იყო. თავაზიანი და ყურადღებიანი მოლარე შეაშინა და ამით გაერთო, ეს კი ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ადამიანებს ისედაც საკმარისად ეშინიათ სიკვდილის, ისღა აკლიათ, ახლა გაღიმებულიც გამოეცხადოს და წამოიძახოს: აი, მეც მოვედი, - შინაურული ეკვივალენტი ლათინური ფრაზისა: Memento, homo, qui pubis es et in pulverem revertis, მერე კი, თითქოს ეს ცოტა ყოფილიყო, ლამის ამ სათნო ქალს დაუსვა კითხვა, რომელსაც საზოგადოების ე. წ. ზედა ფენის ადამიანები ურცხვი ქედმაღლობით უსვამენ მათ, ვისაც დაბლა მდგომებად მიიჩნევენ: იცით კი, ვის ელაპარაკებით. არა, სიკვდილი უკმაყოფილოა თავისი საქციელით. იგი დარწმუნებულია, ჩონჩხის სახე რომ შეენარჩუნებინა, ასე არასოდეს მოიქცეოდა. ამ სიბინძურით მხოლოდ იმიტომ გავისვარე, რომ გავადამიანდი, ფიქრობს იგი. ავტომობილის ფანჯრიდან გაიხედა და ქუჩა იცნო - აქ ცხოვრობს ვიოლონჩელისტი, აი, მისი ფანჯრებიც ქვედა სართულზე. მოულოდნელად შუასაყრის ან, როგორც ეძახიან, გულის კოვზის ქვეშ სიცივე იგრძნო და თითქოს რაღაცამ დაქაჩა -

იქნებ, ეს იმ მონადირის თრთოლა იყო, რომელმაც ნადირი სამიზნეში მოაქცია, ან იქნებ რამე აუხსნელი, ბუნდოვანი ძრწოლის მსგავსი, როდესაც საკუთარი თავის გეშინია. ტაქსი ჩერდება და, აი, თქვენი ოტელიც, ეუბნება მძღოლი. სიკვდილმა მას ფული გაუწოდა და დაამატა: ხურდა არ მინდა, - ვერ მიხვდა, რომ ხურდა აჭარბებდა იმ თანხას, რაც მრიცხველმა დაწერა. რას ვიზამთ, ეს ეპატიება არსებას, რომელიც ახლა სწავლობს, როგორ სარგებლობენ ამ ტრანსპორტით.

სიკვდილს პორტიეს დახლთან გაახსენდა, რომ ტუროპერატორმა სახელი არ ჰკითხა და მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ ყურმილში თქვა: გიგზავნით კლიენტს, კი-კი, მალე მოვა, - აი, ეს კლიენტიც მოვიდა, ვისაც არ შეუძლია თქვას, რომ მას სიკვდილი ჰქვია და არც იცის, რა დაირქვას. ჰო, ჩანთა, მხარზე გადაკიდებული ჩანთა, საიდანაც უკვე ამოაძვრინა სათვალე და ფული, ჩანთა, საიდანაც რაიმე დოკუმენტსაც ამოაძვრენს. დღე მშვიდობისა, რით შემიძლია გემსახუროთ, დაინტერესდა პორტიე. თხუთმეტი წუთის წინ თქვენ სამოგზაურო ბიუროდან დაგირეკეს და ნომრის დაჯავშნა გთხოვეს. დიახ, დიახ, მე ველაპარაკე მათ. ჰოდა, მეც მოვედი. ეს ბარათი შეავსეთ. სიკვდილმა უკვე იცის თავისი ახალი სახელი - ის მას დახლზე გადაშლილმა პირადობის მოწმობამ უკარნახა - და მუქი სათვალის წყალობით შეუძლია პორტიესგან შეუმჩნევლად გადაიწეროს გვარი, დაბადების წელი, მოქალაქეობა, ოჯახური მდგომარეობა, პროფესია. ინებეთ, თქვა მან. რამდენ ხანს აპირებთ ჩვენს ოტელში დარჩენას. სავარაუდოდ, ორშაბათამდე. ნება მომეცით, თქვენი საკრედიტო ბარათის ასლი გადავიღო. თან არ მაქვს, მაგრამ შემიძლია წინასწარ ხელზე გადაგიხადოთ. ოჰ, არა, არა, ეს აუცილებელი არ არის, წამოიძახა პორტიემ. მან

პირადობის მოწმობა აიღო, რათა ფორმულარისთვის შეედარებინა და გაკვირვებულმა შემოხედა. ფოტოზე აღბეჭდილი ქალი ოტელის ახალ მობინადრეზე გაცილებით უფროსი იყო. სიკვდილმა მუქი სათვალე მოიხსნა და გაიღიმა. სულ მთლად დაბნეულმა პორტიემ დოკუმენტს ისევ ჩახედა - ახლა უკვე მასზე გამოსახული ქალი და დახლის წინ მდგომი კლიენტი ორი წვეთი წყალივით ჰგავდნენ ერთმანეთს. თქვენი ბარგი სადღაა, ჰკითხა მან და ხელი დანამულ შუბლზე გადაისვა. ბარგის გარეშე ვარ, საყიდლებზე ჩამოვედი.

ქალმა ნომერში მთელი დღე გაატარა, სასტუმროს რესტორანში ისადილა და ივახშმა. ტელევიზორს უყურა. შემდეგ საწოლში ჩაწვა და შუქი ჩააქრო, მაგრამ არ დაუძინია. სიკვდილს არასდროს სძინავს.

* * *

ახალ კაბაში, რომელიც გუშინ ერთ-ერთ ყველაზე ფეშენებელურ მაღაზიაში იყიდა, გამოწყობილი სიკვდილი კონცერტს ესწრება. მარტო ზის ლოჟის პირველ რიგში და, როგორც ეს რეპეტიციაზე იყო, ვიოლონჩელისტს უყურებს. იმან კი, რადგან დარბაზში შუქი არ ჩაუქრიათ და მაესტრო ჯერ არ გამოსულა, ამ ქალის შემჩნევა მოასწრო. და არა მარტო მან. უპირველესად იმიტომ, რომ მას ერთს უკავია მთელი ლოჟა, რაც, მართალია, არც ისეთი იშვიათობაა, მაგრამ ხშირადაც არ ხდება. მეორეც იმიტომ, რომ ლამაზია: იქნებ დარბაზში ყველა ქალზე ლამაზი არა, მაგრამ მის სილამაზეში არის რაღაც განსაკუთრებული, განუსაზღვრელი, სიტყვებით აუხსნელი, თითქოს ლექსია, რომლის იდუმალი აზრიც - თუ, რა თქმა უნდა, ასეთი რამ

შეიძლება ლექსში იყოს - მთარგმნელს მუდამ ხელიდან უსხლტება. დაბოლოს, იმიტომ, რომ მისი ფიგურა ყველასგან და ყველა მხრიდან სიცარიელითაა გამოყოფილი და თითქოს არსად არსებობს, სრული მარტოობის გამოხატულება გეგონება. სიკვდილი კი, რომელიც იმ წამიდან, რაც თავისი გაყინული მიწისქვეშეთი დატოვა, ასე ბევრს და ასე საშიშად იღიმოდა, ახლა არ იცინის. მამაკაცები მას ორაზროვანი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ, ქალები - ეჭვნარევი მღელვარებით, ხოლო იგი, როგორც დედალი არწივი, რომელიც ციდან ბატკანს ქვასავით ეცემა, მხოლოდ ვიოლონჩელისტს ხედავს. თუმცა განსხვავებაც არის. თუ ფრთოსანი მტაცებლები ვალდებულები არიან მოკლან, რადგან ბუნების მიერ ამისთვის არიან შექმნილნი, ამ დედალი არწივის მზერა, რომელიც მსხვერპლს არასდროს უშვებს ხელიდან, ძლივს შესამჩნევად ინისლება სიბრალულის რაღაც უმსუბუქესი ჩრდილითდა იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სურს, თავისი ბრჭყალები კი არ ჩაარჭოს სხეულში უმწეო მსხვერპლს, არამედ მძლავრი ფრთები გაშალოს და კვლავ ცაში აიჭრას - გაუხშოებულ ჰაერის სტიქიაში, მუდმივად მიუღწეველი ღრუბლების ჯოგებისკენ. ორკესტრი დადუმდა. ვიოლონჩელისტი თავის სოლოს ასრულებს, თითქოს მხოლოდ ამისთვის მოვლენოდეს ქვეყანას. მან არ იცის, რომ მარტოხელა ქალს ლოჟაში სულ ახლახან განახლებულ ჩანთაში მისთვის განკუთვნილი ლილისფერი კონვერტი უდევს, - არ იცის და არც შეიძლება იცოდეს, მაგრამ ისე უკრავს, თითქოს ამ ქვეყანას ემშვიდობება და სურს, ბოლოს და ბოლოს, ამოთქვას ყველაფერი, რაზეც ამდენ ხანს დუმდა: ამოღვაროს დამსხვრეული ოცნებებიც და აუხდენელი სურვილებიც, მოკლედ რომ ვთქვათ, მთელი თავისი ცხოვრება. ორკესტრანტები მას გაკვირვებულები მისჩერებიან, დირიჟორი - მოწიწებითა და გაოგნებით, პუბლიკა ოხრავს და თრთის, ხოლო არწივის მახვილი, დანისლული თვალი ცრემლად იღვრება. აი, სოლო დასრულდა და ახმიანებული ორკესტრის უზარმაზარ, ნელა მოტრიალე ზღვაში იძირება ვიოლონჩელის სიმღერა, რომელიც მის წიაღს შეერთო, მასში გაითქვიფა და გაიბნა, გაიტაცა იმ საზღვრებთან, სადაც მუსიკა სიჩუმის სიმაღლეებს აღწევს, ქროლის ჩრდილად იქცევა, რომელიც კანზე გადაგივლის ბოლო, უკვე მიმქრალი ბგერიდან და წაგავს ხმას, რასაც სპილენძის თეფშზე დაფრენილი პეპელა თუ გამოსცემდა. გონებაში გაკრთა აქერონიტა ათროპოსის აბრეშუმისებრი, ავბედითი ფრენა, მაგრამ სიკვდილმა ის ხელის აქნევით მოიშორა, რაც იმდენადვე ჰგავდა იმ მოძრაობას, რომლითაც იგი ლილისფერ წერილებს აქრობდა, რამდენადაც ვიოლონჩელისტისადმი მიმართულ მადლიერების გამომხატველ ნიშანს, ვიოლონჩელისტისადმი, ვინც მას დარბაზის თბილ სიბნელეში თვალებით ეძებდა და ახლა თავი ლოჟის მხარეს მოაბრუნა. სიკვდილმა მოძრაობა გაიმეორა და მისი თხელი თითები თითქოს იმ ხელზე დაეშვა, რომელსაც ხემი ეჭირა. ვიოლონჩელისტს ყალბი ბგერა არ გაჰპარვია, თუმცა მისმა გულმა ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, რომ ეს მომხდარიყო. და თითები მეტად აღარ შეხებია მის ხელს - სიკვდილი მიხვდა, რომ არ შეიძლება ხელი შეუშალო მხატვარს, რომელიც თავისი საქმითაა დაკავებული. როდესაც კონცერტი დასრულდა და დარბაზში ოვაციებმა იფეთქა, როდესაც შუქი აინთო და დირიჟორმა ორკესტრი ააყენა, ხოლო შემდეგ - ცალკე ვიოლონჩელისტი, რათა მას აპლოდისმენტების კუთვნილი წილი მიეღო, ფეხზე წამომდგარმა და, ბოლოს და ბოლოს, გაღიმებულმა სიკვდილმა ხელები მკერდზე

გადაიჯვარედინა და მიაჩერდა - უბრალოდ მიაჩერდა - იმათ, ვინც ტაშს უკრავდა, ვინც ყვიროდა „ბრავო", ვინც მეათეჯერ ყვიროდა დირიჟორის სახელს. უბრალოდ მისჩერებოდა. შემდეგ პუბლიკა ნელა და უხალისოდ გასასვლელისკენ დაიძრა, ორკესტრი კი კულისებში გავიდა. ვიოლონჩელისტი ლოჟისკენ შემობრუნდა, მაგრამ იქ უკვე აღარავინ იყო. ასეთია ცხოვრება, - ჩაიბურტყუნა მან.

მაგრამ ის შეცდა - ცხოვრება ყოველთვის ასეთი არ არის და ქალი ლოჟიდან მას თანამშრომლების სადარბაზოსთან ელოდება. გამოსული ორკესტრანტები მას გულდაგულ ჭვრეტენ, მაგრამ აცნობიერებენ, უცნობია რატომ, რომ ამ ქალს მაღალვოლტიანი მავთულის უხილავი ზღუდე იცავს და მასთან შეხების შემთხვევაში ფარვანასავით დაიწვებიან. მაგრამ აი, ვიოლონჩელისტი გამოჩნდა. ქალი რომ დაინახა, გაქვავდა და თითქოს ნაბიჯის უკან გადადგმასაც აპირებდა, თითქოს ეს ქალი ახლოდან ქალი კი არ აღმოჩნდებოდა, არამედ რაღაც სხვა არსება, სხვა სფეროებიდან, არაამქვეყნიური, მთვარის ბნელი მხარიდან მოვლენილი. მან თავი ჩაღუნა, შეეცადა, მიმავალ კოლეგებს დასწეოდა, დამალულიყო, თუმცა მძიმე ფუტლიარმა თავისი ვიოლონჩელით, რომელიც მხარზე ღვედით ეკიდა, მანევრი შეუფერხა. ქალი კი უკვე მის წინ იდგა და ლაპარაკობდა: ჩემგან ნუ გაიქცევით, მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ თქვენმა დაკრულმა ჭეშმარიტი სიამოვნება მომანიჭა. გმადლობთ, რა თქმა უნდა, მაგრამ მე ხომ ჩვეულებრივი ორკესტრანტი ვარ და არა ცნობილი შემსრულებელი, ვისაც თაყვანისმცემლები საათობით ელოდებიან, რათა ავტოგრაფი მოიპოვონ, ან შეეხონ. თუ საქმე ეგ არის, მეც შემიძლია ავტოგრაფი გთხოვოთ, ხელი მოაწერეთ, თუნდაც აი, ამ კონვერტზე, შემთხვევით თან

წამომიღია. არა, არა, თქვენ არასწორად გამიგეთ, მე მხოლოდ მინდოდა მეთქვა, რომ, მართალია, ეს ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ ღირსი არ ვარ. აი, პუბლიკა კი სხვა აზრისაა. ერთი დღე მეორეს არ ჰგავს. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ დღეს სწორედ ის დღეა, როდესაც მე მოვედი. არ მინდა თქვენს თვალში უმადურ უზრდელად გამოვჩნდე, მაგრამ, ალბათ, ხვალვე დაგავიწყდებათ დღეს განცდილი გრძნობა და ისევე მოულოდნელად გაქრებით, როგორც გამოჩნდით. არა, თქვენ მე არ მიცნობთ, მე მტკიცე ზრახვები მაქვს ხოლმე. და როგორია ისინი. განზრახვა ერთი მაქვს - თქვენი გაცნობა. ჰო, მაგრამ რაკი ის უკვე აღსრულებულია, შეგვიძლია ერთმანეთს დავემშვიდობოთ. თქვენ რა, ჩემი გეშინიათ, ჰკითხა სიკვდილმა. არა, ეს შიში არ არის, მხოლოდ მსუბუქი შფოთვა, მეტი არაფერი. შეშფოთდეთ ჩემს გამოჩენაზე - ცოტა გგონიათ. აღელვება შეიძლება ნიშანი იყოს, რომელსაც კეთილგონიერება გვაძლევს. კეთილგონიერებას შეუძლია მხოლოდ გადაავადოს გარდაუვალი, მაგრამ ადრე თუ გვიან, ის დანებდება. იმედი მაქვს, ამჯერად ასე არ მოხდება. მე კიდევ ისეთი დარწმუნებული ვარ საპირისპიროში. ვიოლონჩელისტმა ღვედი მეორე მხარზე გადაიტანა. დაიღალეთ,ჰკითხა სიკვდილმა. არა, თავად ინსტრუმენტი მძიმე არაა, ფუტლიარი მეტს იწონის, განსაკუთრებით ეს, ძველებური. უნდა დაგელაპარაკოთ. კი მაგრამ, როგორ - უკვე შუაღამეა, ყველა სახლში წავიდა. არა, აი, იქ კიდევ რამდენიმე ადამიანი დგას. ისინი დირიჟორის გამოსვლას ელოდებიან. მოდი, რომელიმე ბარში შევიდეთ და დავილაპარაკოთ. კარგი სანახავი ვიქნები ასეთი ტვირთით გადავსებულ ბარში, გაიღიმა მუსიკოსმა, წარმოიდგინეთ, რა იქნება, ყველა ჩემი კოლეგა თავ-თავიანთი ინსტრუმენტებით იქ რომ ჩამოსხდეს. ჩვენ შეგვეძლო

კონცერტი ჩაგვეტარებინა. ჩვენ, ჩაეკითხა პირველი - და ძალიან მომხიბვლელი - პირის მრავლობითი რიცხვით გაკვირვებული ვიოლონჩელისტი. დიახ, თავადაც ოდესღაც ვიოლინოზე ვუკრავდი, პორტრეტებიც კი შემორჩა, სადაც მე ამ ინსტრუმენტთან ერთად ვარ აღბეჭდილი. თქვენ ალბათ მიზნად დაისახეთ, ყოველი სიტყვის შემდეგ სულ უფრო გამაკვირვოთ. თქვენი გადასაწყვეტია, რამდენად შორს შემიძლია წავიდე ამ საქმეში. უფრო გასაგებად რომ თქვათ, არ შეიძლება. თქვენ ცდებით, მე ის არ მიგულისხმია, რაზეც თქვენ გაიფიქრეთ. და, ნება მომეცით, დავინტერესდე, რაზე გავიფიქრე. საწოლზე და ჩემზე საწოლში. დამნაშავე ვარ. დანაშაული მთლიანად ჩემზეა: კაცი რომ ვყოფილიყავი და ის ყველაფერი გამეგო, რაც აქ ჩემს ბაგეთაგან გაჟღერდა, უეჭველად იმავეს გავიფიქრებდი, რაც თქვენ, ასე რომ, ორაზროვნებისთვის ვზღე. მე კიდევ მადლობას გიხდით გულახდილობისთვის. ქალმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და თქვა: წავიდეთ, ბარემ. სად, ჰკითხა ვიოლონჩელისტმა. მე - სასტუმროში, სადაც გავჩერდი, ხოლო თქვენ, ალბათ, შინ. და მე თქვენ მეტად ვეღარ გნახავთ. თქვენ შეშფოთებამ უკვე გაგიარათ. მე არც შევშფოთებულვარ. ტყუილია. გეთანხმებით, მაგრამ გამიარა. სიკვდილის სახეზე ღიმილისმაგვარი რამ აღიბეჭდა, რომელშიც, სხვათა შორის, მხიარულების ჩრდილიც არ იყო. და სწორედ მაშინ გაგიარათ, როდესაც შეშფოთების საფუძველი გაჩნდა. გავბედავ და კითხვას გავიმეორებ. რომელს. ერთმანეთს ვეღარ ვნახავთ. შაბათს კონცერტზე მოვალ და ისევ იმ ლოჟაში დავჯდები. იმ პროგრამაში სოლო არ მექნება. ვიცი. როგორც ჩანს, ყველაფერი გაითვალისწინეთ. ყველაფერი. და რა მიზნით. მიზანი ბოლოშია, ჩვენ კი მხოლოდ დასაწყისში ვართ. თავისუფალი ტაქსი გამოჩნდა. სიკვდილმა გააჩერა და

ვიოლონჩელისტისკენ შებრუნდა: მიგიყვანოთ სახლამდე. არა, მე მიგიყვანთ ოტელში და მერე წავალ შინ. არა კი არა, ჰო, სხვა შემთხვევაში თქვენ სხვა ტაქსის აყვანა მოგიწევთ. ვხედავ, მიჩვეული ხართ, თქვენი გაიტანოთ. ყოველთვის. ეს სადღაც გაწყდება, ღმერთი ღმერთია და სხვას თითქმის არაფერს აკეთებს. მზად ვარ, პირდაპირ აქ გაჩვენოთ, რომ არ გაწყდება. მე კი ჩვენებისთვის ვარ მზად. ნუ სულელობთ, უტაქტოდ უპასუხა სიკვდილმა და მოულოდნელად მის ხმაში მუქარა გაისმა - ფარული, ბუნდოვანი, მაგრამ ამის გამო არანაკლებ საზარელი. ვიოლონჩელი საბარგულში მოთავსდა. მთელი გზა არც ერთ მგზავრს სიტყვაც არ დაუძრავს. როდესაც დანიშნულების პირველ პუნქტში მივიდნენ, მუსიკოსმა, ვიდრე მანქანიდან გადავიდოდა, თქვა: ვერ ვხვდები, რა ხდება ჩვენ შორის, ალბათ, მართლაც უკეთესი იქნება, თუ ერთმანეთს მეტად არ ვნახავთ. ამას თქვენ არავინ გიშლით. თქვენც კი, ვინც თავისას ყოველთვის აღწევს, ჰკითხა მუსიკოსმა და ეცადა, ფრაზა დამცინავი გამოსულიყო. მეც კი, უპასუხა ქალმა. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ გაწყდება. ეს ნიშნავს, რომ არ გაწყდება. მძღოლი საბარგულის გასახსნელად გადმოვიდა და ელოდა, იქიდან ფუტლიარს როდის ამოიღებდნენ. ქალი და კაცი ერთმანეთს არ დამშვიდობებიან, არ უთქვამთ: შაბათამდე, - ერთმანეთს არ შეხებიან და ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა სასიყვარულო ურთიერთობის გაწყვეტას, ისეთი ურთიერთობისა, მშფოთვარეთა რიგს, დრამატულთა კატეგორიას რომ მიეკუთვნება: თითქოს მათ დაიფიცეს, ერთმანეთს აღარასოდეს შეხვედროდნენ. ვიოლონჩელისტმა ღვედი მხარზე შეიგდო და იქაურობას გაეცალა, სახლში შევიდა. და მოულოდნელად კარში შეყოვნდა, მაგრამ მაინც არ მობრუნდა. ქალი თითებით ჩანთას ჩაფრენოდა და კაცს უყურებდა. ტაქსი დაიძრა.

ვიოლონჩელისტი შინ შევიდა, თან გაღიზიანებული დუდღუნებდა: გიჟი, გიჟი, სუფთა გიჟი, თანამშრომლების შესასვლელთან ერთხელ დამხვდა ვიღაც, რომ ეთქვა, რა კარგად დავუკარი და ისიც ჭკუანაკლული აღმოჩნდა, მეც ვარ, რა, კრეტინი, ვკითხე, ერთმანეთს მეტად აღარ ვნახავთ-მეთქი, საკუთარი ხელით დავიგე ხაფანგი, არის ნაკლი, რომელიც პატივისცემას იწვევს ან, სულ ცოტა, ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ თვითკმაყოფილება ყოველთვის სასაცილოა, ქარაფშუტობა - კიდევ მეტად, ხოლო ყველაზე სასაცილო თავად გამოვედი. ძაღლს, რომელიც მის შესახვედრად გამოქანდა, დაბნეულად მოეფერა და მუსიკალურ სალონში გავიდა. ფუტლიარი გახსნა, ფრთხილად ამოიღო ვიოლონჩელი, რომელიც, ვიდრე დასაძინებლად წავა, უნდა ააწყოს, რადგან ტაქსით მგზავრობა, თუნდაც ხანმოკლე, ინსტრუმენტს არ უხდება. სამზარეულოსკენ გაეშურა, ძაღლს საჭმელი დაუყარა, თავისთვის სენდვიჩი მოიმზადა და ჭიქა ღვინოც მიაყოლა. წყენამ უკვე გაუარა, მაგრამ გრძნობას, რომელიც მის მაგივრად ჩნდება, მისი სულისთვის სიმშვიდე არ მოაქვს. როდესაც იხსენებს ყველაფერს, რაც ამ ქალმა თქვა, მათ შორის ფრაზას იმის შესახებ, რომ ორაზროვნებისთვის ყოველთვის გიწევს გადახდა, იგი ასკვნის, რომ მისი ყოველი სიტყვა, განურჩევლად კონტექსტისა, თავის თავში დამატებით აზრს ატარებს, რაც არც გონებით მიხვედრას ექვემდებარება და არც ჩაწვდომას, გაღიზიანებს და გისხლტება, როგორც წყალი, რომელსაც ამაოდ ხაპავდა ტანტალოსი, როგორც ტოტი, რომელსაც ხელს ვერაფრით ავლებდა, როდესაც ნაყოფის მოსაწყვეტად გაიწვდიდა ხოლმე. არა, იგი გიჟი სულაც არ არის, გაიფიქრა მან, მაგრამ ახირებები უეჭველად ბლომად აქვს. ჭამას რომ რჩება, მუსიკალურ სალონში ბრუნდება, თუ სასტუმრო

ოთახში, სადაც როიალი დგას - ჩვენ ხომ აქამდე ორგვარად აღვნიშნავდით ამ სივრცეს, მაგრამ, თუმცაღა ლოგიკური იქნებოდა მისთვის ვიოლონჩელის ოთახი გვეწოდებინა, რადგან სწორედ ვიოლონჩელით შოულობს იგი პურს არსობისას, მოგვიწევს ვაღიაროთ, რომ ეს საძაგლად ჟღერს და თავად ოთახის ღირსებაც კნინდება, რამდენადაც საკმარისია ეს ჯაჭვი ფიქრით გააგრძელო, რათა აღიარო ჩვენი დასკვნის სიმართლე: მუსიკალური სალონი, როიალის სასტუმრო ოთახი, ვიოლონჩელის ოთახი - ეს მეტ-ნაკლებად მისაღებია, მაგრამ სადამდე მივალთ, თუ გავაგრძელებთ და გაგვიჩნდება კლარნეტის სენაკი, ფლეიტის ფლიგელი, თურქული დოლის კუთხე. სიტყვებსაც ხომ თავიანთი იერარქია აქვთ, თავიანთი ეტიკეტი, პროტოკოლი, თავ-თავიანთი თავადური ტიტულები და პლებეური სტიგმები.

ძაღლი პატრონს ფეხდაფეხ მოჰყვა და იატაკზე მოკალათდა, მანამდე კი სამჯერ დატრიალდა თავისი ღერძის გარშემო - მხოლოდ ეს ზნე შემორჩა იმ დროიდან, როდესაც მგელი იყო. მუსიკოსმა კამერტონის „ლა“-თი ააწყო ვიოლონჩელი, ინსტრუმენტს სიყვარულით დაუბრუნა ჰარმონია, ანუ ის ზიანი აღმოფხვრა, რაც ქვაფენილზე ბარბაროსულმა ჯანჯღარმა მიაყენა. რამდენიმე წამით ახერხებდა, დაევიწყებინა ლოჟაში მჯდომი ქალი, თუმცა მაინცდამაინც ის კი არა, უფრო - შემაშფოთებელი საუბარი მსახიობთა სადარბაზოსთან, თუმცა ტაქსიში გამართული მწველი დიალოგი ისევ ჩაესმოდა, როგორც დოლების მოგუდული გრგვინვა. ლოჟაში მჯდომი ქალი მას არ დავიწყებია, მას არ სურს, დაივიწყოს იგი. ხედავს, როგორ დგას ის ლოჟაში, გულხელდაკრეფილი; ისევ გრძნობს მის დაჟინებულ, ალმასივით მზერას, რომელიც ღიმილის დროს ინთება. ფიქრობს, რომ შაბათს მას ისევ ნახავს, ნახვით კი

ნახავს, მაგრამ ის უკვე ლოჟაში აღარ იდგება გულხელდაკრეფილი, არ დაუწყებს მას შორიდან ცქერას, რადგან ეს ჯადოსნური წამი შთანთქა მომდევნომ, როდესაც იგი მობრუნდა, რათა - მას ასე ეგონა - ის უკანასკნელად დაენახა, ის კი აღარ იყო.

უკვე დიდი ხანი იყო, დუმდა კამერტონი და ვიოლონჩელმაც ძველი და საჭირო ხმიანობა დაიბრუნა, როდესაც ტელეფონის ზარი გაისმა. მუსიკოსი მოულოდნელობისგან შეხტა, საათს დახედა - თითქმის ორის ნახევარი იყო. რა ჯანდაბაა, გაიფიქრა მან, ვინ უნდა იყოს ასე გვიან. ყურმილი აიღო და რამდენიმე წამი დაელოდა, რაც, რა თქმა უნდა, უაზრობა იყო: მას უნდა ეპასუხა, სახელი ეთქვა, ან თავისი ნომერი და მაშინ მეორე ბოლოდან ეტყოდნენ: მაპატიეთ, სხვაგან მოვხვდი, - მაგრამ ამის მაგივრად იქიდან დაინტერესდნენ: თუ ტელეფონთან ძაღლი მოვიდა, მაშინ დაყეფება მაინც ინებოს. დიახ, ეს ძაღლია, უპასუხა ვიოლონჩელისტმა, მაგრამ ის უკვე დიდი ხანია აღარ ყეფს, ასევე დაკარგა ჩვევა უკბინოს ვინმეს საკუთარი თავის გარდა და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცხოვრება აუტანლად საზიზღარი ხდება. არ გაბრაზდეთ, გირეკავთ, რომ პატიება გთხოვოთ, ჩვენი საუბარი თავიდანვე სახიფათო გეზით წავიდა და დასრულდა, როგორც მოსალოდნელი იყო, სავალალოდ. არ ვიცი, ამ გეზით ვინ წაგიყვანათ, მაგრამ მე ნამდვილად არა. არა, ეს მე ვარ ყველაფერში დამნაშავე, არადა ბუნებით გაწონასწორებული და მშვიდი გახლავართ. ვერც ერთი შეგატყვეთ და ვერც მეორე. და იქნებ პიროვნების გაორება მაქვს. ამ შემთხვევაში ჩვენ ერთ ლიგაში ვთამაშობთ: მეც ხომ ძაღლი და ადამიანი ვარ ერთ არსებაში. ირონია თქვენს ბაგეთაგან რაღაც არაბუნებრივად ჟღერს, თქვენს მუსიკალურ სმენას ეს უკვე

უნდა ეკარნახა თქვენთვის. გეცოდინებათ, ქალბატონო, რომ დისონანსი მუსიკის ნაწილია. ქალბატონს ნუ მეძახით. აბა, როგორ მოგმართოთ, მე ხომ არ ვიცი, რა გქვიათ, ვინ ხართ და რას საქმიანობთ. ყველაფერს თავის დროზე გაიგებთ, სიჩქარეს კარგი არავისთვის მოუტანია, ჩვენ ხომ ერთმანეთი ეს-ესაა გავიცანით. მიუხედავად ამისა, ჩემი ტელეფონის ნომრის გაგება თქვენ უკვე მოახერხეთ. ამისთვის საინფორმაციო ცენტრები არსებობს, ხოლო პორტიემ საკუთარ თავზე აიღო ამ საქმის მოგვარება. სამწუხაროა, რომ ასეთი წარღვნამდელი აპარატი მაქვს. რატომ. იმიტომ, რომ უახლესი მოდელის რომ იყოს, თქვენი ნომერი უკვე დიდი ხნის წინ დაეწერებოდა. ეს ოტელში ჩემი ოთახის ნომერია. აი, თურმე, რა. ხოლო რაც შეეხება წარღვნამდელობას, მინდა გითხრათ, რომ ეს მე სრულიადაც არ მაკვირვებს. რატომ. იმიტომ, რომ თქვენს იერს შეეფერება: გეგონება ორმოცდაათი კი არა, ხუთასი წლის იყოთ. და როგორ გაიგეთ, რომ ორმოცდაათის ვარ. მე ასაკს უშეცდომოდ განვსაზღვრავ. ზოგჯერ მგონია, საკუთარი თავი ზედმეტად დაარწმუნეთ, რომ შეცდომებს არ უშვებთ. სწორედაც რომ არა: მარტო დღეს ორჯერ შევცდი და ასეთი რამ ჯერ არასდროს დამმართნია. არ მესმის. თქვენთვის წერილი მაქვს, მე კი ვერა და ვერ ვახერხებ მის გადმოცემას, არადა, ორჯერ შემეძლო - თეატრიდან გამოსვლის დროს და ტაქსიში. რა წერილია. ჩავთვალოთ, რომ ის მე დავწერე, როდესაც თქვენი ორკესტრის რეპეტიცია ვნახე. თქვენ რეპეტიციაზე იყავით. ვიყავი. ვერ შეგნიშნეთ. ბუნებრივია - ვერც შემამჩნევდით. როგორც უნდა იყოს, ეს ჩემი კონცერტი არ ყოფილა. საქებარი თავმდაბლობაა. და „ჩავთვალოთ“ ხომ იგივე არაა, რაც „ასე იყო“. ზოგჯერ ეს ერთი და იგივეა. ამ შემთხვევაში არა. გილოცავთ, თქვენ არა მარტო თავმდაბალი, არამედ

პრინციპულიც ყოფილხართ. მაშ ასე, მაინც რა წერილია. თავის დროზე ამასაც გაიგებთ. და მაინც, რატომ არ გადმომეცით, თუ ასეთი შესაძლებლობა იყო. ერთხელ კი არა, ორჯერ. მით უმეტეს, მაშ, რატომ. ამის გაგებას თავად ვცდილობ და შესაძლოა შაბათს, კონცერტის შემდეგ, თქვენ ის მიიღოთ, რადგან ორშაბათს მე თქვენს ქალაქში უკვე აღარ უნდა ვიყო. თქვენ აქ არ ცხოვრობთ. ცხოვრებით არ ვცხოვრობ. არაფერი მესმის - თქვენთან ლაპარაკი იგივეა, რაც ბოდიალი ლაბირინთში, რომელსაც გასასვლელი არა აქვს. ცხოვრების მშვენიერი განსაზღვრებაა. თქვენ ცხოვრება არ ხართ. მე არც ასეთი რთული ვარ. ვიღაცამ თქვა, რომ ყველა ჩვენგანი რაღაც დროით თავად არის ცხოვრება. სწორედაც - რაღაც დროით, მხოლოდ რაღაც დროით. ღმერთო, რა მაგარი იქნება, ზეგ ეს ყველაფერი რომ გაირკვეს - წერილიც და ისიც, რატომ არ გადმომეცით, ერთი სიტყვით, ყველაფერი, ამდენი საიდუმლოსგან დავიღალე. ის, რასაც თქვენ საიდუმლოს ეძახით, ჩვენთვის თავდაცვაა, ერთნი აბჯრით იმოსებიან, მეორენი - იდუმალებით. თავდაცვაა თუ სხვა რამე, მე წერილის ნახვა მინდა. თუ მესამედაც არ ჩამეშალა, ნახავთ. და რამ უნდა ჩაშალოს. იმან, რამაც ორჯერ ჩაშალა. მგონი, ჩვენ კატათაგვობანას ვთამაშობთ. ეგ თამაში ყოველთვის ისე მთავრდება, რომ კატა თაგვს იჭერს. თუ, რა თქმა უნდა, თაგვი არ მოასწრებს და კატას კისერზე ეჟვანს არ შეაბამს. პასუხი კარგია, უბრალოდ, ბრწყინვალე, მაგრამ, სამწუხაროა, რომ ეს მხოლოდ აუხდენელი ოცნებაა, ნატვრა, ასე ვთქვათ, მულტფილმებიდან თავსმოხვეული, რამეთუ, კატას რომც ჩაეძინოს, ხმაური გააღვიძებს და მერე მშვიდობით, თაგვო. როგორც ჩანს, ეს მე ვარ თაგვი, ვისაც ეუბნებით „მშვიდობით". თუ ჩვენ თამაში დავიწყეთ, ერთ-ერთს, უნდა-არ უნდა, მოუწევს თაგვი გახდეს, თქვენ კი არც

შესახედაობით და არც მოხერხებულობით კატას არ ჰგავხართ. გამოდის, განწირული ვარ, მთელი ცხოვრება თაგვის ხვედრი ვზიდო. კი, ვიდრე ცხოვრება გრძელდება, თაგვი ვიოლონჩელისტი იყავით. ისევ რაღაც მულტფილმიდანაა. თქვენ ჯერ ვერ შეამჩნიეთ, რომ ყველა ადამიანი მულტფილმის პერსონაჟია. გამოდის - თქვენც. თქვენ, მგონი, გქონდათ საშუალება, გენახათ, ვისაც ვგავარ. ლამაზ ქალს. გმადლობ. ხოლო ჩვენი სატელეფონო საუბარი - ფლირტს, თუმცა არ ვიცი, შესამჩნევია თუ არა ეს. თუ სასტუმროს ტელეფონისტი ქალი იმით ერთობა, რომ საუბრებს უსმენს, მაშინ იმავე დასკვნამდე მივიდოდა. ასეც რომ იყოს, ამას სერიოზული შედეგები არ ექნება, რამეთუ ქალი ლოჟიდან, ვისი სახელიც მაინც ვერ გავიგე, ორშაბათს მიემგზავრება. და არასდროს დაბრუნდება. დარწმუნებული ხართ. ნაკლებსავარაუდოა, კიდევ გაჩნდეს ისეთი გარემოებები, რომლებმაც აქ მოსვლა მაიძულა. „ნაკლებსავარაუდოა" მაინც არ არის „არასდროს". მე ყველა ზომას მივმართავ, რომ ამ მოგზაურობის გამეორება აღარ მომიწიოს. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, თქვენ არ ნანობთ. რა „ყველაფრისა". მომიტევეთ ჩემი არადელიკატურობა, მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ... ნუ ცდილობთ, ჩემთან თავაზიანი იყოთ, მე ამას შეჩვეული არ ვარ, ხოლო, გარდა ამისა, ძნელი მისახვედრი არ არის, რას გულისხმობდით, მაგრამ თუ მაინც საჭიროდ მიგაჩნიათ უფრო კარგად ამიხსნათ, მაშინ შეგვიძლია ჩვენი საუბარი შაბათს განვაგრძოთ. მანამდე ვერ გნახავთ. ვერა. კავშირი გაწყდა. ვიოლონჩელისტი ყურმილს მისჩერებოდა, რომელიც ისევ დაცვარულ ხელში ეჭირა. დამესიზმრა, ალბათ, - ჩაიბურტყუნა მან, ცხადში ასეთი რამ ჯერ არ დამმართვნია. მან ყურმილი კი არ დადო, დააგდო ტელეფონზე და ახლა უკვე ხმამაღლა მიმართა

ხმამაღლა მიმართა ვიოლონჩელს, როიალსა და თაროებს: რა უნდა ამ ქალს ჩემგან, ვინაა, რატომ გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში. გაღვიძებულმა ძაღლმა თავი წამოყო. პასუხი მის თვალებში იკითხებოდა, მაგრამ ვიოლონჩელისტი ყურადღებას არ აქცევდა და ოთახშიკუთხიდან კუთხეს აწყდებოდა - ნერვებმა, როგორც ჩანს, კიდევ მეტად გაილაღეს - ხოლო პასუხი, სხვათა შორის, დაახლოებით ასეთი იყო: ახლა, როდესაც შენ ამაზე ალაპარაკდი, ბუნდოვნად მახსენდება, ვიღაც ქალის მუხლებზე როგორ მეძინა, შეიძლება სწორედ ეგ იყო. რა მუხლები, რომელი ქალის, წესით, უნდა ეკითხა ვიოლონჩელისტს. შენ ხომ გეძინა. სად. სად და ლოგინში. და ის სად იყო. აი, აქ. ხუმრობა გადაწყვიტეთ, ბატონო ძაღლო, უკვე ათასი წელია, ამ სახლში, ამ ოთახში ქალი არ ყოფილა, აბა, დაწვრილებით მოყევი. როგორც შენ, ალბათ, იცი, დროის აღქმა ძაღლისებრთა ოჯახის წარმომადგენლებს ადამიანურისგან განსხვავებული აქვთ, მაგრამ, მგონი, მართლაც დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც შენ ქალთან ბოლოს სარეცელი გაიყავი, და ითქვა ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ირონიის გარეშე. როგორც ჩანს, ის შენთვის გამოიოცნებე. სავსებით შესაძლებელია, რამეთუ ძაღლები გამოუსწორებელი მეოცნებენი არიან, ჩვენ ცხადში ვოცნებობთ, მაგრამ მხოლოდ მანამდე, ვიდრე სიბნელეში არ დავინახავთ რაღაცას, რაც საშუალებას მოგვცემს წარმოვიდგინოთ, რომ ეს ქალია, არ შევხტებით დივანზე და მას მუხლებზე თავს არ დავადებთ. ეს შენი ძაღლური საქმეა, ეტყოდა ვიოლონჩელისტი. და თუ ასე არ აღმოჩნდა, ჩვენ მაინც არ ვწუწუნებთ ხოლმე, ეტყოდა ძაღლი. ხოლო სასტუმროში, თავის ნომერში შიშველი სიკვდილი სარკის წინ დგას და არ იცის, ვინ ირეკლება მასში.

მეორე დღეს ქალს აღარ დაურეკავს. ვიოლონჩელისტი

სახლიდან არ გადიოდა, იმის შიშით, რომ ზარი არ გამორჩენოდა. ღამეც გავიდა და - არაფერი. ვიოლონჩელისტს ახლა გაცილებით უარესად ეძინა, ვიდრე წინა ღამით. შაბათ დილით, რეპეტიციის წინ, გონება მოულოდნელად უცნაურმა აზრმა გაუნათა: ხომ შეიძლება ახლომახლო ოტელებში ჩამოიაროს და იკითხოს, ხომ არ გაჩერებულა მათთან ქალი ასეთი და ასეთი აღნაგობით, ასეთი და ასეთი ფერის თმით, ასეთი და ასეთი თვალებით, ასეთი ფორმის პირით, ასეთი ღიმილით, ხელების ასეთი და ასეთი მოძრაობით - მაგრამ იგი უარს ამბობს ამ გიჟურ წამოწყებაზე, ვინაიდან ცხადია, რომ მას დაუფარავი ეჭვით მშრალად უპასუხებენ: მსგავს ინფორმაციას არ გავცემთ. რეპეტიციამ უღიმღამოდ ჩაიარა: იგი უბრალოდ ცდილობდა დაეკრა ის, რაც დაწერილი იყო და არა ნოტებს მიღმა, ხოლო თუ ყალბი ნოტი გაეპარებოდა, ცდილობდა, ეს არც ისე ხშირად მომხდარიყო. დაკვრას რომ მორჩა, სახლში გავარდა. ფიქრობდა, ალბათ, დარეკა და ერთი დამტვრეული ავტომოპასუხეც კი არ აღმომაჩნდა, რომ გრძელი ზუმერის შემდეგ შეტყობინება დაეტოვებინაო. არა, მე უბრალოდ რაღაც ტროგლოდიტი ვარ, ქვის ხანის, დუდღუნებდა გზაში, ყველას აქვს ავტომოპასუხე, მარტო მე - არა. მაგრამ თუ იმის დამტკიცება იყო საჭირო, რომ ქალს არ დაურეკავს, მაშინ ეს მტკიცებულებები მომდევნო რამდენიმე საათში გამოჩნდა. რამეთუ ის, ვისაც არ უპასუხეს, როგორც წესი, გადმორეკავს ხოლმე, მაგრამ წყეული ტელეფონი დუმდა, ვიოლონჩელისტის უფრო და უფრო განწირული გამოხედვისადმი მთელი დღე გულგრილი რჩებოდა. სასოწარკვეთა კი საჭირო არ არის. სავარაუდოდ, ის არც დარეკავს, ამა თუ იმ მიზეზის გამო ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, მაგრამ კონცერტზე მოვა, მერე კი ისინი, როგორც წინა ჯერზე, ტაქსით დაბრუნდებიან და

როდესაც სახლთან მივლენ, იგი მას შინ შეიპატიჟებს და მაშინ უკვე შესაძლებელი იქნება მშვიდად დალაპარაკება და ქალი მას გადასცემს იმ ყბადაღებულ წერილს, და ორივეს ძალიან სასაცილოდ მოეჩვენება ის გადაჭარბებული ქება, რაც ქალმა გამოიმეტა და რეპეტიციის შემდეგ, რომელზეც მან ის ვერ დაინახა, ქაღალდს ანდო, ხოლო კაცი ეტყვის, მე როსტროპოვიჩი ნამდვილად არ ვარო, ხოლო ქალი - ვინ იცის, მომავალში რა მოხდებაო, ხოლო, როდესაც უკვე სალაპარაკო გამოელევათ, ან როდესაც სიტყვები სხვა მიმართულებით წავა, აზრები კი - სხვა მიმართულებით, სწორედ მაშინ შეიძლება მოხდეს ისეთი რამ, რასაც სიბერეში გაიხსნებ. აი, სულის ასეთი მდგომარეობით გამოვიდა ვიოლონჩელისტი სახლიდან, ასეთი მდგომარეობით მივიდა თეატრამდე, ასეთი მდგომარეობით ავიდა სცენაზე და თავისი ადგილი დაიკავა. ლოჟა ცარიელი იყო. აგვიანებს, თქვა თავისთვის, ახლა გამოჩნდება, აი, ვიღაც დარბაზისკენ მოიჩქარის. და მართლაც - ბოდიშების ბურტყუნით იმის გამო, რომ იმათი შეწუხება უხდებათ, ვინც უკვე თავ-თავის ადგილას ზის და ახლა იძულებულნი არიან, ადგნენ. რიგებს შორის ჯერ ისევ დადიან დაგვიანებული მაყურებლები, მაგრამ ქალი არ ჩანს. ანტრაქტის დროს მოვა. არც ანტრაქტის დროს მოვიდა. ლოჟა კონცერტის ბოლომდე ცარიელი დარჩა. და მაინც, გულს ჯერ კიდევ ათბობდა სავსებით საფუძვლიანი იმედი, რომ მან, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, კონცერტზე მოსვლა ვერ შეძლო და თანამშრომლების გასასვლელთან ელოდება. არა, არ ელოდება. მაგრამ, რადგანაც იმედის წესია, თუ არ გამართლდა, იმავ წამს თავისივე მსგავსი შვას,რის გამოც, ალბათ, მიუხედავად ურიცხვი იმედგაცრუებისა, ის არა და არ გადაშენდა, ამიტომაც ქალი, ალბათ, მისი სახლის სადარბაზოსთან

დგას, ბაგეზე ღიმილით, ხელში წერილით. რა თქმა უნდა, ის იქ არის, პირობა წმინდაა. არ არის ის იქ. ვიოლონჩელისტი სახლში ისე შედის, როგორც ავტომატი - აი, ის ძველი, რობოტების პირველი თაობის, რომელსაც ერთი ფეხისთვის უნდა ეთხოვა ნებართვა, რომ მეორე გადაედგა. მოიშორა ძაღლი, რომელიც მისასალმებლად გამოვიდა, ვიოლონჩელი, სადაც მოუხვდა, იქ მიაყუდა და საწოლზე მიეგდო. ეს ჭკუის სასწავლად გამოგადგება, იდიოტის ნასხლეტო, სულელივით იქცეოდი, უტვინო ხეპრესავით, შენთვის სასურველი აზრი იგულისხმე სიტყვებში, რომლებიც სულ სხვა რამეს ნიშნავდა, ხოლო რას - არც იცი და ვერც ვერასდროს გაიგებ, შენ ღიმილისა დაიჯერე, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ სახის კუნთების უნებლიე შეკუმშვაა, შენ დაივიწყე, თუმცა ამის შესახებ გულმოწყალედ შეგახსენეს, რომ უკვე ორმოცდაათი წლის მოიყარე, ასე რომ, ახლა ეგდე საწოლზე, მის მოყვანას სადაც აპირებდი, ვიდრე იგი დაგცინის, რომ სულელურ მდგომარეობაში ჩაგაგდო შენივე განუკურნებელი სიბრიყვის წყალობით. ძაღლი, რომელმაც ცოტა ხნის წინანდელი წყენა უკვე დაივიწყა, მის დასამშვიდებლად მოვიდა. წინა თათები ლეიბზე დაალაგა, ისე მიჩოჩდა, რომ პატრონის მარცხენა ხელს გაუსწორდა, რომელიც გვერდზე რაღაც უსარგებლო ნივთივით იყო გადაგდებული და მასზე თავი რბილად დადო. მას შეეძლო, თანამოძმეების მსგავსად აელოკა ის, მაგრამ ბუნებამ ამჯერად კეთილგანწყობა გამოავლინა და გულისხმიერებით დააჯილდოვა, რაც მას საშუალებას აძლევდა, ერთი და იმავე გრძნობების გამოსახატავად ახალ-ახალი მოძრაობები მოეფიქრებინა. ვიოლონჩელისტი მეორე გვერდზე გადაბრუნდა, მოჩოჩდა და ისე მოიხარა, რომ მისი და ძაღლის თავს შორის მანძილი მტკაველს გაუტოლდა;

ასე დაწოლილები ერთმანეთს თვალებში უყურებდნენ, სიტყვები არ სჭირდებოდათ, ისე ლაპარაკობდნენ: კარგადაც რომ დავფიქრდე, მაინც ვერ ვხვდები, ვინ ხარ, მაგრამ ამას ხომ მნიშვნელობა არ აქვს, მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს. სევდა ნელ-ნელა მოშორდა ვიოლონჩელისტის სულს; სინამდვილეში ჩვენი სამყარო ძალიან მდიდარია მსგავსი ეპიზოდებით: კაცი ელოდა, ქალი კი არ მოვიდა, ქალს იმედი ჰქონდა, კაცმა კი იმედი გაუცრუა და ჩვენ, ურწმუნო სკეპტიკოსები, გულზე ხელის დადებით ერთხმად ვიტყვით: ეს ჯობია, მაგალითად, ფეხის მოტეხას. ამ აზრის გამოთქმა ადვილია, მაგრამ ასჯერ უკეთესი იქნება, თუ მას სიტყვიერ ფორმაში არ მოვაქცევთ, რამეთუ სიტყვები ძალიან ხშირად მოსალოდნელისა და იმის საწინააღმდეგო მოქმედებებს იწვევენ, რის გამოც წარმოთქვეს, ასე რომ, საკმაოდ ხშირად ხდება - ეს ქალები და ეს კაცები ამბობენ: ვერ გიტან, ვერ გიტან - მერე კი მდუღარე ცრემლებს აღვარღვარებენ. ვიოლონჩელისტი საწოლზე წამოჯდა, მოეხვია ძაღლს, რომელმაც თათები მუხლებზე დაადო და საყვედურით, რაც საკუთარი თავისადმი იყო მიმართული, წარმოთქვა: კეთილინებეთ და ღირსება შეინარჩუნეთ, საკმარისია სლუკუნი. და დაამატა, უკვე თავისი უცვლელი კომპანიონის მისამართით: ჭამა, რასაკვირველია, გინდა. ძაღლმა კუდი გააქიცინა, რითაც უპასუხა, აბა, არ მინდა, უკვე რამდენი საათია, მშიერი ვზივარ. და ისინი სამზარეულოსკენ გაემართნენ. ვიოლონჩელისტმა არ ჭამა - არ უნდოდა. გარდა ამისა, ყელში გაჩხერილი ბურთი ლუკმის გადაყლაპვის საშუალებას მაინც არ მისცემდა. ნახევარ საათში იგი უკვე ლოგინში იყო: წამალი მიიღო, რათა ძილი სწრაფად მიეტყუებინა, მაგრამ ამან ვერ უშველა. ჩაეძინებოდა, ისევ გაეღვიძებოდა, თვალს

მილულავდა და ახელდა, სულ იმაზე ფიქრობდა, რომ ძილს უნდა დაეწიოს და ხელი ჩაავლოს, რათა უძილობას საშუალება არ მისცეს, გვერდით, საწოლის თავისუფალ ნახევარზე მიუწვეს. მას არ დასიზმრებია ქალი ლოჟიდან, მაგრამ იყო წუთი, როდესაც გაღვიძებულმა დაინახა, როგორ იდგა იგი გულხელდაკრეფილი მუსიკალური სალონის შუაგულში.

მომდევნო დღე კვირა მოუწია, ხოლო კვირა ისეთი დღეა, როდესაც ძაღლი უნდა გაასეირნო. სიყვარული სიყვარულის წილ, შეეძლო ეთქვა იმას, ვისაც კბილებით ძაღლის საყელური და სადავე ეჭირა. უკვე პარკში, როდესაც თავისი საყვარელი სკამისკენ მიემართებოდა, ვიოლონჩელისტმა შორიდანვე დაინახა, რომ იქ ქალი იჯდა. პარკის სკამები ყველას და არავის საკუთრება არ არის და, როგორც წესი, უფასოა, ასე რომ, იმას, ვინც პირველი მოვიდა, ვერ ეტყვი: ეს ჩემი სკამია, გადაჯექით, გეთაყვა. კარგად აღზრდილი ადამიანი, როგორიც ვიოლონჩელისტია, ასეთი რამის უფლებას თავს არასდროს მისცემს. მით უმეტეს, რომ ეჩვენება, თითქოს იმ ქალში ის შეიცნო, ვინც კონცერტზე ლოჟაში, პირველ რიგში იჯდა, ვინც არ მოვიდა, მიუხედავად დაპირებისა, ვინც გუშინ ღამით მუსიკალური სალონის შუაში გულზე ხელებდაკრეფილი იდგა. როგორც ცნობილია, ორმოცდაათს რომ გადააბიჯებ, თვალი ისე აღარ გიჭრის და პაჭუნს და ჭუტვას იწყებ, თითქოს თავი ველური დასავლეთის გმირად, ან წინა საუკუნეების ზღვაოსნად წარმოგიდგენია, თითქოს უნაგირში ზიხარ ან კარაველას ცხვირზე დგახარ და ხელს ქვემოდან შორეულ ჰორიზონტებს ჭვრეტ. ქალს განსხვავებულად აცვია, ვიდრე იმას, ამასწინანდელს, იგი შარვალსა და ტყავის პიჯაკშია გამოწყობილი და უეჭველია, სხვაა, ეუბნება

ვიოლონჩელისტი საკუთარ გულს, მაგრამ მას უფრო მახვილი მზერა აქვს და ამიტომ პასუხობს: თვალები გაახილე, სწორედ ის არის და ახლა ვნახოთ, როგორ მოიქცევი. ქალმა თავი ასწია და ვიოლონჩელისტის უკანასკნელი ეჭვებიც გაიფანტა - ის იყო. გამარჯობა, თქვა მან და სკამთან გაჩერდა, დღეს ყველაფერს ველოდი, მაგრამ არა ასეთ შეხვედრას. გამარჯობა, დასამშვიდობებლად და ბოდიშის მოსახდელად მოვედი, გუშინ კონცერტზე რომ არ ვიყავი. ვიოლონჩელისტი გვერდით მიუჯდა, ძაღლს ღვედი შეხსნა და უთხრა: წადი, გაისეირნე, - და ისე, რომ ქალისთვის არც კი შეუხედავს, უპასუხა: თქვენ საბოდიშო არაფერი გაქვთ, ხდება ხოლმე, ადამიანი ბილეთს ყიდულობს, მერე კი, ან ამ, ან იმ მიზეზით მოსვლას ვერ ახერხებს, ეს ნორმალურია. ბოდიშის ამბავი გავარკვიეთ და რაც შეეხება დამშვიდობებას, ჰკითხა ქალმა. თქვენი მხრივ ეს ისეთი დახვეწილი საქციელია: თავი ვალდებულად მიიჩნიო, უცნობ ადამიანს დაემშვიდობო, მით უმეტეს, ვერაფრით ვხვდები, საიდან იცით, რომ ჩვევად მაქვს კვირაობით ამ პარკში სეირნობა. თქვენზე მე თითქმის ყველაფერი ვიცი. ძალიან გთხოვთ, ისევ აბსურდულ საუბარს ნუ დავიწყებთ, იმის მსგავსს, როგორიც ხუთშაბათს თეატრთან გვქონდა, მერე კი ტელეფონით: თქვენ არ შეიძლება ჩემზე რაიმე იცოდეთ, რადგან ადრე არასდროს შევხვედრივართ ერთმანეთს. გაიხსენეთ, რომ მე რეპეტიციაზე ვიყავი. მე კი ვერ ვხვდები, დარბაზში როგორ შემოაღწიეთ: ჩვენი დირიჟორი უცხო პირებს არ უშვებს, ოღონდ, ღვთის გულისთვის, ნუ მეტყვით, რომ მას იცნობთ. ისე კარგად არა, როგორც თქვენ, მაგრამ თქვენ გამონაკლისი ხართ. არ ვისურვებდი. რატომ. გინდათ იცოდეთ, მართლა გინდათ იცოდეთ, ჰკითხა ვიოლონჩელისტმა განრისხებით, რომელიც

სასონარკვეთას უახლოვდებოდა. მინდა. იმიტომ, რომ მე შემიყვარდა ქალი, რომლის შესახებაც არაფერი ვიცი, რომელიც ჩემს ხარჯზე ერთობა და თავგზას მიბნევს, ხოლო ხვალ, კაცმა არ იცის, სად გაემგზავრება და მე მას მეტად ველარ ვნახავ. ხვალ არა, დღეს. მით უმეტეს. და ის, რომ თავგზას გიბნევთ, მართალი არ არის. შთაბეჭდილება სწორედ ასეთი იქმნება. რაც შეეხება იმას, რომ შეგიყვარდით, ამაზე ჩემგან პასუხს ნუ ელით, რამეთუ არის სიტყვები, რომელთა წარმოთქმაც აკრძალული მაქვს. ისევ საიდუმლო. და არცთუ უკანასკნელი. როგორ არა, ჩვენ ერთმანეთს დავემშვიდობებით და ყველა საიდუმლო მორჩება. შეიძლება სხვები გაჩნდეს. გთხოვთ, თავი დაანებეთ ჩემს წვალებას. წერილი. არანარი წერილი არ მაინტერესებს. რომც მინდოდეს თქვენთვის მისი გადმოცემა, ღიმილით წარმოთქვა ქალმა, მაინც ვერ შევძლებდი - სასტუმროში დამრჩა. მაშ, დახიეთ ის. დავფიქრდები, რა მოვუხერხო. რა არის აქ დასაფიქრებელი - ნაკუწებად აქციეთ და მორჩა. ქალი წამოდგა. უკვე მიდიხართ, ჰკითხა ვიოლონჩელისტმა. იგი ისევ იჯდა, თავს არ სწევდა და ეტყობოდა, კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა. მე თქვენ არც კი შეგხებივართ, ჩაიბურტყუნა მან. ეს მე არ მინდოდა, რომ შემხებოდით. ეს როგორ მოახერხეთ. ჩემთვის ეს ძნელი არაა. ახლაც კი. ახლაც კი. ხელი მაინც მომეცით. ხელები ცივი მაქვს. ვიოლონჩელისტმა თავი აიღო. ქალი უკვე აღარ იყო.

კაცი და ძაღლი პარკიდან მალე წავიდნენ, ნაყიდი სენდვიჩები შინ უნდა ეჭამათ, ბალახზე წამოწოლაც სხვა დროისთვის გადაიდო. დღე დამღლელად და სევდიანად იწელებოდა: ვიოლონჩელისტმა წიგნი აიღო და ნახევარი გვერდის წაკითხვის შემდეგ გადააგდო. როიალს მიუჯდა, მაგრამ ხელები - ცივი, გაქვავებული, თითქოს მკვდარი - არ

ემორჩილებოდა. ის კი არაა ვიოლონჩელი რომ აიღო, საყვარელმა ინსტრუმენტმაც უარყო. იგი სავარძელში თვლემდა და სურდა, დაუსრულებელ ძილში დანთქმულიყო და აღარასდროს გაეღვიძა. იატაკზე გართხმული ძაღლი დაძახების მოლოდინში მას მისჩერებოდა, მაგრამ ეს არ მოხდა. ალბათ, პატრონი ასე იმ ქალის გამო დადარდიანდა, ფიქრობდა ის, და გამოდის, რომ იტყუება ანდაზა, რომელიც ამბობს: თვალი თვალს რომ მოშორდება, გულიც გადასხვაფერდებაო. ანდაზები, საერთოდ, გამუდმებით გვატყუებენ, დაასკვნა ძაღლმა. თერთმეტ საათზე კარზე ზარმა დარეკა. მეზობელს რაღაც დასჭირდა, გაიფიქრა ვიოლონჩელისტმა და გასაღებად წავიდა. საღამო მშვიდობისა, თქვა ქალმა ლოჟიდან და ზღურბლს გადმოაბიჯა. საღამო მშვიდობისა, უპასუხა ვიოლონჩელისტმა, თან ყელის სპაზმს ებრძოდა. შემოსვლას არ შემომთავაზებთ. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, შემოდით, გთხოვთ. გვერდზე გაიწია, გამოატარა, კარი დახურა, და ეს ყველაფერი - ნელა, რათა გული არ გახეთქოდა. ფეხების კანკალით მიაცილა სასტუმრო ოთახამდე, აკანკალებული ხელით მიუთითა სავარძელზე. მეგონა, უკვე გაემგზავრეთ. როგორც ხედავთ, გადავწყვიტე შევყოვნებულიყავი, უპასუხა ქალმა. ხვალამდე. სავარაუდოდ. ვვარაუდობ, წერილი მომიტანეთ, რომელიც მაინც არ დახიეთ. დიახ, ის ჩანთაში მიდევს. მაშინ მომეცით. მოვასწრებთ, დროკიდევ გვაქვს, გახსოვთ, ვამბობდი, სიჩქარეს სიკეთე არ მოაქვს-მეთქი. როგორც გენებოთ, მე თქვენს განკარგულებაში ვარ. ამას სერიოზულად ამბობთ. ერთი დიდი ნაკლი მაქვს: მუდამ სერიოზულად ვლაპარაკობ, მაშინაც კი, როდესაც ვინმეს გაცინება მინდა - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გაცინება მინდა. რაკი ასეა, გავბედავ და თხოვნით მოგმართავთ. დიახ. ამინაზღაურეთ

გუშინდელი კონცერტი, რომელზეც არ ვიყავი. ეს როგორღა. როიალი ხომ გაქვთ. დიახ, მაგრამ მე საშუალო დონის პიანისტი ვარ. მაშინ, ვიოლონჩელიზე დაუკარით. ეს სხვა საქმეა, მზად ვარ, ერთი-ორი პიესა დაგიკრათ, თუ ასე გინდათ. მე ავარჩიო, ჰკითხა ქალმა. დიახ, მაგრამ ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში. ქალმა ის რვეული აიღო, სადაც ბახის მეექვსე სიუიტა იყო და თქვა: აი, ეს. ეს ძალიან გრძელია, ნახევარ საათზე მეტხანს გრძელდება, უკვე გვიანია. გიმეორებთ - თქვენ დრო გაქვთ. მანდ დასაწყისში ერთი პასაჟია, ის ერთხელაც ვერ დავძლიე. არა უშავს, უპასუხა ქალმა, მაგ ადგილას რომ მიხვალთ, გადაახტით ან შესაძლოა, არც დაგჭირდეთ, როსტროპოვიჩზე უკეთ გამოგივიდეთ. ვიოლონჩელისტმა გაიღიმა: ეჭვი არ შეგეპაროთ. მან ნოტები პიუპიტრზე დააწყო, ღრმად ჩაისუნთქა, მარცხენა ხელი ვიოლონჩელის მოჰკიდა, მარჯვენათი ხემი სიმებთან მიიტანა, თითქმის შეეხო და დაიწყო. განა მან არ იცოდა, რომ როსტროპოვიჩი არ იყო - იყო მხოლოდ და მხოლოდ ორკესტრანტი, რომელიც სოლოს იმ შემთხვევაში უკრავს, როდესაც ამას პროგრამა ითხოვს, მაგრამ აქ, ამ ქალის წინაშე, მისი იატაკზე გართხმული ძაღლის წინაშე, ამ ღამეულ საათს, თავისი წიგნების, თავისი პარტიტურების, თავისი ნოტების გარემოცვაში, ის თავად გახდა იოჰან სებასტიან ბახი, რომელიც კიოტენში ქმნის იმას, რასაც შემდეგ დაარქმევენ ოპუს ათას თორმეტს და რომელმაც ლამის იმდენივე ნაშრომი შექმნა, რამდენიც სამყაროს შემოქმედმა. რთული პასაჟი მარტივად დაიძლია, ისე, რომ შემსრულებელმა თავადაც ვერ შეამჩნია საკუთარი გმირობა, ღვთივკურთხეული ხელები ვიოლონჩელის ამღერებდა, ალაპარაკებდა, ატიტინებდა, აღმუვლებდა და, ალბათ, როსტროპოვიჩს ზუსტად ეს ოთახი, ეს საათი, ეს ქალი

დააკლდა. როდესაც დაასრულა, ქალის ხელები უკვე აღარ იყო ცივი, ხოლო კაცისა იწვოდა და ალბათ ამიტომაც ხელებმა ხელებისკენ გაიწიეს, შეერთდნენ და აღარ დაშორდნენ ერთმანეთს. შუაღამე უკვე დიდი ხნის, ძალიან დიდი ხნის გადასული იყო, როდესაც ვიოლონჩელისტმა იკითხა: ტაქსი გამოვიძახო, ხოლო ქალმა უპასუხა: არა, შენთან დავრჩები, - და საკოცნელად ტუჩები მიუშვირა. საძინებელში შევიდნენ, გაიხადეს და ის, რაც, წესით, უნდა მომხდარიყო, ბოლოს და ბოლოს, მოხდა, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. კაცმა დაიძინა, ქალმა - არა. და იგი, სიკვდილი, ადგა, სასტუმრო ოთახში დატოვებული ჩანთა გახსნა, ლილისფერი წერილი ამოიღო. ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს ეძებს, სად დავდოო - როიალზე, ვიოლონჩელის სიმებს შორის ხომ არა, ან იქნებ საძინებელში დაბრუნდეს და იმ ბალიშის ქვეშ ამოდოს, რომელზეც კაცის თავია მისვენებული. არსადაც არ დადო. სამზარეულოში გავიდა, ასანთი აანთო - მან, ვისაც შეუძლია, ერთი შეხედვით ფერფლად აქციოს ეს ქაღალდი, თითების ერთი შეხებით ალში გახვიოს - და აი, უბრალო ასანთმა, არაფრით გამორჩეულმა, ჩვეულებრივმა ასანთმა, დაწვა სიკვდილის წერილი, რომლის განადგურებაც მხოლოდ თავად სიკვდილს შეეძლო. ფერფლიც კი არ დარჩენილა. სიკვდილი საწოლს დაუბრუნდა, მძინარეს მოეხვია და - ვერც კი მიხვდა, რა ხდებოდა, რამეთუ სიკვდილს არასდროს სძინავს - მოულოდნელად იგრძნო, ძილი ქუთუთოებს რბილად როგორ უხუჭავდა. მეორე დღეს არავინ მომკვდარა.